644
1981/2

ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

25

11

1981

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

293

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

11

ნოემბერი

1981

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

3. კვლავაც რწმენის და სიმართლის დროშას აფრიალებდე!

## პოეზია და პროზა

7. ზურაბ კუხიანიძე — წამომყევით, ბიჭებო!.. ლექსი
8. გივი ბუთხუზი — წმინდა ხე. მოთხრობა
43. ელდარ კერძევაძე — ლექსები
47. ავთანდილ ყურაშვილი — ლექსები
49. შაქრო სამადაშვილი — ლექსები
50. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. დასაწყისი
60. გიგი სულაკაური — ლექსები
62. თამაზ ჯიბლაშვილი — ადამიანი მარტო არ არის. რომანი. გაგრძელება

## ახალი სახელები

84. გიორგი წიკლაური — ლექსები
86. ალექსანდრე გიგიტაშვილი — ლექსები

---

88. ქეთევან ჯავახიშვილი — მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. გაგრძელება

## საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობაზე თქმული

103. ოთარ ნოდია

## ჯანსუღ ჩარკვიანი 50 წლისაა

107. ჯანსუღ ჩარკვიანი — მეექვსე დღე. პოემა
123. ელდარ შენგელაია — ბავშვობის მეგობარს ვესალმები
123. რევაზ ინანიშვილი — მზეს ვთხოვ
124. ვანო ჩხიკვაძე — მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი

## წერილები

126. კარლო გეგელაშვილი — სასწაულები და სასწაულმოქმედნი. დასასრული

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

142. გურამ ბენაშვილი — მხატვრული ხედვის თვალსაწიერი
147. ზურაბ კუტალეიშვილი — ნაოსნობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში
154. სერგო თურნავა — აკაკი შანიძე დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში

მთავარი რედაქტორი
მორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუბლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კვლავაც რწმენის და სიმართლის დროშას აფრიალებდე!

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით კომუნიზმის შეგნებული მებრძოლები!

გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და საბრძოლო რეზერვს — საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს!

აი ასეთი მგზნებარე სიტყვებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ოქტომბრის 64-ე წლისთავის წინადღეებში.

ასე იყო მთელი ამ სამოცდაოთხი წლის მანძილზე და ასეა ახლაც. როგორც ძველნი იტყოდნენ, მაშ, ყურად იხვენ ხმა ესე, რამეთუ ხვალინდელი დღის ბატონ-პატრონი სწორედ შენ უნდა გახდე, შენ, ვისაც დღეს საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდობა გქვია.

მხოლოდ ერთი წელიწადი ანუ სამას სამოცდახუთი დღე ვავიდა წინა საოქტომბრო დღესასწაულიდან, მაგრამ აბა თვალი გადაავლე, რამდენი რამ მოხდა გულგასახარი.

ჯერ იყო და სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობები გაიმართა...

ვარდობისთვეში კი საბჭოთა საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის მესამოცე წლისთავი ვიზეიმეთ...

ჩვენმა მშრომელმა ხალხმა ბევრ სასახელო საქმეს დაუდო სათავე ქალაქადაც და სოფლადაც...

ყველა ამ სასახელო და სასიკეთო საქმის განხორციელების სულისჩამდგმელი კი, კარგად მოგეხსენება, კომუნისტური პარტიაა — თანამოაზრეთა ლენინური არმია, რომელსაც ხალხთან მტკიცე ერთიანობაში უპოვია თავისი ბუმბერაზული ძალა.

ხოლო პარტიისა და ხალხის ერთიანობას უწინარეს ყოვლისა ის უდევს საფუძვლად, რომ პარტია ხალხის ხორცი ხორცთაგანია, მას ღრმად აქვს გადგმული ფესვი ჩვენი საზოგადოების ყველა კლასსა და სოციალურ ფენაში.

თავის გზის ყველა ეტაპზე ლენინური პარტია ყოველთვის იყო და არის მშრომელთა სულისწადილის ნამდვილი გამომხატველი. პარტიისა და ხალხის შეკავშირება, ფიქრთა და საქმეთა მოქმედების ერთიანობა ემყარებოდა და ემყარება მტკიცე საფუძვლებს მარქსისტულ-ლენინური რევოლუციურ თეორიისა — ერთადერთი სწორი მოძღვრებისა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვსახავდეთ მეცნიერულად დასაბუთებულ პოლიტიკას, ვხედავდეთ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის თვალსაწიერსა და გზებს. ქვეყნის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის განუხრელი ზრდა სულ უფრო მკაფიოდ ცხადყოფს, თუ რაოდენ ღრმა და უცილობელია ლენინური ფორმულა: პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია.

შენ ისიც კარგად უწყი და არც ის გესწავლება, რომ სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამა მოიცავს ჩვენი ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარეს — მოხმარებასა და ბინას, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, კულტურასა და დასვენებას. მეთერთმეტე ხუთწლედში ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი გაიზრდება 16-18 პროცენტით: გაძლიერდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონ-



ბიბლიოთეკა

დებიდან დახმარებებისა და შეღავათების როლი, რომლებიც 20 პროცენტით გაიზრდება. აშენდება 530-540 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გათვალისწინებულია განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი.

გაიზრდება მოსახლეობის ფულადი შემოსავალი. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 13-16 პროცენტით გადიდდება, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 20-22 პროცენტით. მთავარი ის არის, ითქვა ყრილობაზე, რომ გავაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება სურსათით, აგრეთვე ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლით. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არის სიძნელეები მოსახლეობის ხორცითა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებით მომარაგებაში.

ეს სერიოზული პრობლემაა, და არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკურიც, სოციალურიც. იმაზე, თუ როგორ კმაყოფილდება ადამიანთა მოთხოვნილებანი სურსათზე, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი ჯანმრთელობა, გუნება-განწყობილება, შრომითი აქტიურობა. სწორედ ამიტომაც, პარტიის აზრით, ამ პრობლემის გადასაწყვეტად უნდა განხორციელდეს გადამჭრელი ღონისძიებანი. საჭიროდ არის მიჩნეული შემუშავდეს სპეციალური სასურსათო პროგრამა.

ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში შენც შენი განსაკუთრებული წვლილის შეტანა შეგიძლია და აკი შეგაქვს კიდეც!

დღეს ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრშია მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და სოციალიზმის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარების, განთავისუფლებულ ქვეყნებთან, კაპიტალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხები, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საქმის ვითარება. საერთაშორისო ცხოვრების პრობლემებზე პარტიულ დოკუმენტებს წითელ ზოლად გასდევს ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს მისწრაფება კვლავაც თანამიმდევრულად იბრძოდეს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის.

„დავიცვათ მშვიდობა, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — ჩვენს პარტიას, ჩვენს ხალხს, საერთოდ პლანეტის ყველა ხალხს დღესდღეობით არ ეგულებათ საერთაშორისო თვალსაზრისით ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა"...

და აი სწორედ ამ მშვიდობიანი ცხოვრების ზეიმად იქცა საბჭოთა საქართველოს მესამოცე წლისთავის დღესასწაული, რომელიც, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ უწინარესად შენი დღესასწაული იყო, საბჭოთა საქართველოს დღევანდელო ახალგაზრდა თაობავ! ეს შენ იყავი, მაისის ფერადფერადი ყვავილებით და გამარჯვების სიმღერით რომ ჩაუარე დღესასწაულის მაღალ ტრიბუნას, საიდანაც თვითონ ჩვენი სახელმწიფოს მეთაური ალალი ღიმილითვე უპასუხებდა შენს ალალ ღიმილს, — შენსას, ვინც ხვალ ქვეყნის შენებისა და წინ წაწევის საქმეში უფროსი თაობა უნდა შეცვალო...

— ცვლის აღზრდა: არა არის რა ცხოვრებაში ამაზე უფრო კეთილშობილური მიზანი, — ითქვა ამას წინათ პიონერულ მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, და იქ ისიც აღინიშნა და შენც თვალცხადლივ ხედავ, რომ ახლა ჩვენი რესპუბლიკა, მისი პარტიული ორგანიზაცია აღმავლობის გზას ადგანან. საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისევე როგორც მეათე ხუთწლედში, დღესაც სწრაფი ტემპი ახასიათებს. პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს რომ ასრულებენ, ჩვენი მშრომელები წარმატებით ანაღდებენ გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სხვა დარგებში.

ჩვენ ფრთას გვასხამს XXVI ყრილობის მაღალი შეფასება, — თქვა შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ედუარდ შევარდნაძემ, — უდიდესი ნდობა, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს უწევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი ლენი-

ნური პოლიტბიურო, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, მუდამ რომ გვიდგას მხარში ყველა ჩვენს საჭირო, საინტერესო საქმეში, თითოეულ სასარგებლო თაოსნობაში.

დიდხანს გვეხსომება საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის მე-60 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებული ამბები. დაუვიწყარ მოგონებად დაგვრჩა შეხვედრა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან, რომელიც ჩვენს დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა. ჩვენ გვახსოვს, ყოველ ჩვენგანს ახსოვს საზეიმო სხდომა, რომელზეც ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა შესანიშნავი, გულში ჩამწვდომი სიტყვა, აღნიშნა ჩვენი მიღწევები და ყურადღება მიაპყრო ჩვენს ნაკლოვანებებს. განსაკუთრებით დაგვახსომდა სადღესასწაულო დემონსტრაცია კონსტიტუციის მოედანზე, სადაც მშრომელები ძალზე გულთბილად მიესალმებოდნენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელებს, ყველა მოძმე რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

და ყველგან, ყველაფერში, ყველა პოლიტიკური და კულტურული მოვლენის შუაგულში ტრიალებდნენ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები, ჩვენი პიონერები და მოსწავლეები. სწორედ მათ შემატეს ვარდობისთვის ლაზათი ჩვენს იუბილეს, მიანიჭეს განსაკუთრებული ეშხი. მაინც რაოდენ ამაღლებული და მგზნებარე იყო ახალგაზრდობის ყოველი გამოსვლა, რაოდენ საზეიმოდ გაისმა და ღრმად ჩაგვწვდა გულში ჩვენი ახალგაზრდობის ფიცი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულების ფიცი, მართლაცდა, რა დიდებული სანახავი იყო...

ეს შენზე ითქვა, ჩვენო ახალგაზრდა მეგობარო, ვისაც იმედის თვალით შემოგცქერის ხალხი, ქვეყანა. შენ კი დღეს ყველგანა ხარ: მთაში და ბარში, ზღვაზე და ცაში, დაზგასთან თუ მინდვრად, სამეცნიერო ლაბორატორიაში თუ სამხედრო მწყობრში.

შენი სახელი ახალგაზრდობაა, ახალი, თავისუფალი საბჭოთა საქართველოს მშენებელი გქვია შენ და არსება შენი გრძელია... აქ დასტურ კარგი იქნება, თუ ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის იმ პასუხს გავიხსენებთ, რომელიც მან ამას წინათ გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტს გასცა...

— დიდმა რუსთაველმა ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ თქვა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია". იზიარებთ თუ არა ამ თვალსაზრისს? — ასეთი იყო კითხვა.

და აი პასუხიც:

— მთლიანად ვიზიარებ. მჯერა სიკეთის გამარჯვებისა, იქნება ეს რესპუბლიკის თუ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

კომუნისტი მოვალეა, კეთილი იყოს და სხვებსაც ასწავლიდეს ამას. მაშინაც, როცა ვინმეს მკაცრად ვაკრიტიკებთ ან პარტიიდანაც კი ვრიცხავთ, სამუშაოდან ვხსნით, ჩვენ ვიბრძვით, ადამიანისათვის, ადამიანური საწყისისათვის მასში, და არა მის წინააღმდეგ.

მაგრამ, მოდით რეალისტები ვიყოთ: სიკეთის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორსაა. მისი მოპოვება შეიძლება მხოლოდ პატიოსანი და კეთილი ადამიანების გაერთიანებული, ყოველდღიური მეცადინეობით. ისინი კი, სამწუხაროდ, ხშირად იმდენად აქტიურნი, მტკიცენი და ერთსულოვანნი არ არიან, როგორც მათი ანტიპოდები. ეს ჭეშმარიტება ჯერ კიდევ უკვდავმა ლევ ტოლსტოიმ აღნიშნა.

სიტყვამ მოიტანა და სიკეთის გამარჯვებისათვის ბრძოლაში უთვალსაჩინოეს როლს ასრულებენ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება. ჩემი აზრით, საჭირბოროტო თემაზე შექმნილი გულწრფელი, ღრმა და ნათელი ფილმი ან ლიტერატუ-

რული ნაწარმოები ზოგჯერ უფრო ჰრის, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე, ვიდრე ყველაზე სწორი დადგენილება.

უსათუოდ ნახეთ რეზო ჩხეიძის ფილმი „რაიკომის მდივანი“ (რუსულ ვარიანტში მას ეწოდა „მშობლიურო ჩემო მიწავ“). ეს არის იმის ნიმუში, რის შესახებაც ახლა ვილაპარაკეთ. ჩვენი პარტიული ორგანიზაცია დიდად მადლიერია რეზო ჩხეიძისა, რომ მან ამ საჭირო ფილმის გულისათვის მთელი სამი წლით გადადო მუშაობა ესპანელებთან ერთად გადასაღებ სურათზე სერვანტესის სახელგანთქმული რომანის მიხედვით. კარგად გვესმის, რომ „დონ კიხოტის“ ეკრანიზაცია ყოველი სერიოზული კინემატოგრაფისტას ოცნებაა.

დასასრულ დავიმოწმებ ჩვენი შესანიშნავი მწერლის ნოდარ დუმბაძის სიტყვებს: „ადამიანის სული ასგზის უფრო მძიმეა მის სხეულზე. იგი იმდენად მძიმეა, რომ მარტოკაცს არ ძალუძს მისი ტარება. და ამიტომ, სანამ ცოცხლები ვართ და სული გვიდგას, უნდა ვეცადოთ მხარში ვედგეთ ერთმანეთს, ვეცადოთ უკვდავვყოთ ერთმანეთის სული: თქვენ — ჩემი, მე — სხვისი, სხვამ — კიდევ სხვისა და ასე შემდეგ უსასრულობამდე, რომ კაცობრიობის ჯაჭვი არ გაწყდეს. და მაშინაც, როცა წინა თაობა წავა, მომდევნო თაობა სულიერად ღატაკი არ დარჩეს...“

ასეთ სახეს რომ მიაგნო, ნიჭია საჭირო. მაგრამ ქცევით კი, მე რომ მკითხო, ყველა ასე უნდა იქცეოდეს...

მაშ, სჭექე და შენმა ყიჟინამ მოიცვას ქვეყანა. უხმე, შენებრ პატიოსან, კეთილ ადამიანთ და გაერთიანდით ყოველდღიური მეცადინეობისათვის, რამეთუ სიკეთის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორსაა... ხვალ კი ასე შორს აღარ იქნება, მით უმეტეს, ზეგ...

დაე დიდი სიკეთის გამარჯვებისათვის ამ ძნელსა და არცთუ იოლ გზაზე, შენს მუდმივ თანამგზავრად ქცეულიყოს „ლურჯა ცხენების“ უკვდავი მომღერლის კურთხეული სიტყვები:

**ახალგაზრდა კვლავაც გზნებით**
**ხალხში უნდა ტრიალებდეს,**
**გრდემლსა სცემდეს და მინდვრადაც**
**მერანს მიაქროალებდეს.**
**სადაც იგრძნობს უმართლობას —**
**შურისგებით იალებდეს,**
**კვლავაც რწმენის და სიმართლის**
**დროშასააფრიალებდეს,**
**ხმალი, ხმალი! რომ მტერს მისგან**
**ტანში გააჟრიალებდეს,**
**რომ სამშობლოს ერთგულების**
**ფიცის სიტყვა იალებდეს...**

მაშ, სიკეთის საბოლოო გამარჯვებისა, რწმენისა და სიმართლის გამარჯვებისა იყოს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

## წამომყევით, ბიჭებო!..

წამომყევით, ბიჭებო,
დედაჩემის საფლავზე!..
აგერ, მთელი წელია,
აქეთ მეც არ ვყოფილვარ;
შევუერთდეთ იქაურ
დუმილს და სილამაზეს,
გადავთხაროთ ჟალტამი,
მზემ რომ ააფოფინა.

წამომყევით, შვილებო,
გოჩუნი და ზაზუნი,
რასაც ვამბობ, იცოდეთ,
თხოვნაც არის, ბრძანებაც:
პატივცემა ხსოვნის და
პატივცემა წარსულის
ხვალ-ზეგ უნდა განაგრძონ
სწორედ თქვენისთანებმა.

წამომყევით, ბიჭებო,
სახე გაიყირმიზეთ,
ააკვნესეთ გულებში,
რაიც ჩემს სულს სწყურია;
იქნებ, სასაფლაოსკენ
მიმორხეულ ბილიკზე,
წინ შემოგხვდეს ობოლი
თქვენი კბილა ზურია.

წამომყევით, ბიჭებო,
აგრემც შემოგევლებით,
იმ მშობლიურ ბორცვამდე
ბილიკ-ბილიკ ვიაროთ.
საფლავის ქვას შეახეთ
თქვენი თბილი ხელები,
რომ მიწაში გასუდრულ
თეთრ ძვლებს შეაჟრიალოს.

წამომყევით, ბიჭებო,
წამომყევით მხარგაშლით.
მზე ჩადის და სხვა გზისთვის
ეს დღე დაკარგულია.
პეპლებს ხელი არ ახლოთ,
იქნებ ერთ-ერთ მათგანში,
იქნებ ერთ-ერთ მათგანში,
დედაჩემის სულია.

წამომყევით ბიჭებო,
ეგ ქოჩორა თავები
ჩემთვის ძვირფას საფლავთან
მხოლოდ წამით დახარეთ.
ცრემლებს არ გთხოვთ, ცრემლები,
ქარში ნაკანკალები,
ფრთხილად შემოინახეთ
და სხვებს გადააყარეთ.

წამომყევით, სანამ მზე
ოქროს აფრას დაკეცავს,
წამომყევით, სანამ ცას
ჯანღმა გადაუარა.
იქ, მის გვერდით გაზომეთ
მტკაველით მიწა ნამცეცა —
მამათქვენი — ცოდვილი
დაეტევა თუ არა.

წამომყევით, შევცუროთ
რძისფერ ტბაში გვირილის,
დავურღვიოთ სიმშვიდე
უკუნ ძილში დანთქმულებს...
დროა, იგრძნოთ ძარღვებში
ანცი სისხლის ყივილი,
გარიჟრაჟზე გიჟივით
მზე რომ წამოახტუნებს.

წამომყევით, მოისმენთ
სიმყუდროვეს საოცარს,
სიკვდილის და სიცოცხლის
საიდუმლოს განახებთ.
იქ სულ სხვანაირია
ჩუმი სასაფლაოს ცა,
იქ სხვაგვარად ატოკებს
ქარი ველურ ბალახებს.

წამომყევით, ბიჭებო,
ეს დღე გამილამაზეთ!
იქ წევს თქვენი კეთილი,
გაცრეცილი ბებია...
თორემ, როცა დრო მოვა,
დედათქვენის საფლავზე,
თქვენი კოხტა ბიჭები
აღარ წამოგყვებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲘᲕᲘ ᲒᲣᲗᲮᲣᲖᲘ



ძნელი ყოფილა, ტიალი, ქვეყნად სურვილი ქალისა,
ყოფილა გულის დამდნობი, მუხლში დამლევი ძალისა,
თავზე თმის გამთეთრებელი დამბრმობი ორივ თვალისა.

ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲛᲗᲘᲣᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲐ თუ არა ხმადაბალი გაჭიანურებული სიმღერა, მაშინვე იქით იბრუნა პირი, თანაც ყურს უკან მიიფარა ხელი, რათა თანამესუფრეთა ხმაურისაგან დაეცვა სმენა.

სასადილოში მთვრალები უსხდნენ მაგიდას, თეგერას კი ჯერ ისევ ნათელი ჰქონდა გონება. სვამდა ამხანაგების ხათრით, მაგრამ მარჯვედ ეჭირა ყური, რომ მკაფიოდ მოესმინა ნაღვლიანი შემოძახილი, რომელიც სიყვარულის სიმღერას ჰგავდა თითქოს, არ იყო კი ის. სიყვარულისას უფრო სხვანაირად მღეროდნენ მთაში. მეორე ოთახში სვამდნენ და იქ ღიღინებდა ვიღაც. ბუნებით მხიარულ, ცოცხალ და სიმღერათა ტრფიალ თეგერას ენანებოდა, რომ მშვენიერ ლექსს უნდილი ხმით აფუჭებდა ვიღაც.

დიდხანს აღარ გაჩერებულა ბიჭებთან. სახიფათო გზა ჰქონდა გასავლელი და როგორმე მზიურ უნდა ასულიყო შინ. ადგა, ჰკითხა მებუფეტეს, რამდენია ჩვენზეო და გადაიხადა დანახარჯი. მერე გამოემშვიდობა თანამესუფრეთ.

უკვე მოსულიყო ავტობუსი. ახლა თავქვე დაბრუნებული ელოდა წამსვლელთ. მოყოლილი მგზავრები კი იქვე იცდიდნენ, პატარა მოედანზე. გახედა ზვავებისაგან ალაგ-ალაგ ჩამომზღვლეულ ციცაბოს, რომელზეც ლეგად მიიკლაკნებოდა საცალფეხო ბილიკი და მოესმა ვიღაც დედაკაცის ხმა:

— ანდე ე. ბიჭი იქაურია, სადაც თქვენ მიბრძანდებით. დავუძახებ, გიშველის ბარგის ზიდვას, აბა რა უნდა ჰქნა მარტომა? ტყუილადა გაქვ იმედი, ამ დროს აღარაფერი წავა იქა!

დააპირა მიბრუნება და შეანელა ნაბიჯი.

— თეგერავ აბა ერთი, მოდი აქა!

შავებში ჩაცმული ვიღაც ქალი უქნევდა ხელს. დააკვირდა და იცნო ნათესავი. მასთან იყო ვიღაც სანდომიანი ქალიშვილი, რომელსაც წინ ედგა ჩემოდანი, მოზრდილი ხელჩანთა და შეფუთული რაღაც...

მისვლისთანავე თქვა საერთო სალა-მი და ჩამოართვა ხელი. მერე მიხე-და უცნობსაც, მაგრამ მას არც კი გა-უღია ხმა.

— აი ეს გოგო თქვენს სოფელში მოდის მასწავლებლად. წაიყვანე, დე-დილასა!..

მიხედა ქალიშვილს.

ზურგშექცევით იდგა იგი.

— ანდე, ლოგინი და ჩემოდანი წა-იღე შენა! ჩანთას თავად წამაიღებს ესა! — თქვა მოხუცმა.

თეგერამ მხარზე მოიგდო შავ შა-ლითაში შეფუთული და საბლებით დაშარტული ლოგინი, აიღო ჩემოდა-ნიც და გაუდგა გზას.

— აბა, შენ იცი, კარგად ამგზავრე!

მარტომ იარა ერთ ხანს, მერე შეა-ნელა ნაბიჯი, მაგრამ არ დაეწია მას-წავლებელი. ალბათ არ სურს ჩემთან სიარულიო, გაიფიქრა და კვლავ ჩვე-ულებრივ განაგრძო სვლა. უნდოდა კი მიხედვა, მაგრამ არ მიბრუნებულა ჯიბრზე. არ აინტერესებს სხვა? არც თეგერა ფეთდება მისთვის!

შედგა ცოტა ხანს, მეორე მხარზე გა-დაიდო ლოგინი და ამასობაში თანდათან დაახლოვდა ფეხის ხმაც. მერე ისევ შე-ნელდა ცოტათი და, როგორც კი აიღო ჩემოდანი, დააპირა გამოლაპარაკება. უნდა ეკითხა, რატომ მოდის გვიან? ყველა, ვინც იყო მოსასვლელი, რა ხანია, მოვიდა და შეუდგა მუშაობას. სად იყო აქამდის? ჰკითხა მორიდე-ბით...

— რა ვიცი, აბა!.. — მიუგო ქალი-შვილმა, — ჯერ ვითომ არ ვაპირებდი წამოსვლას, შორია-მეთქი, მაგრამ ვე-ღარ გავძელი შინა და ვთქვი: აბა, რაც არი არი, წავალ მაინცა-მეთქი. შე-პირდა გამგეცა: წადი დროებითა და მერე აქ სადმე ახლოს გამოგინახავ რაღაცასო...

არ ეგონა, თუ ასე გრძელი და მრა-ვალსიტყვიანი გამოუვიდოდა პასუხი, უბრალო ჰქონდა ხმაც, კილოც... სოფ-ლელი თუ ილაპარაკებდა ამდენს, ერ-თი შეხედვით კი... უფრო მკაფიო და დახვეწილი ახსოვდა ქალაქელთა ხმა, მომჭირნენი იყვნენ სიტყვებშიც. ეხლა კი... შეაპარა თეგერამ თვალი. არაფე-რი სჯობდა მის შეხედვას! ქალაქელს ჰგავდა გარეგნობით, სრულებითაც არ ჩაეთვლებოდა ნაკლად სოფლური კი-ლო და მრავალსიტყვაობა. მოკლე სა-უბრიდან გაირკვა, რომ ერქვა ლილი. წლეულს დაემთავრებინა თბილისის პედაგოგიური სასწავლებელი და ბარ-ში რომ ვერსად ეშოვნათ მისთვის ად-გილი, მთაში გამოეგზავნათ მასწავ-ლებლად.

— დავისვენოთ! — თქვა ქალიშ-ვილმა.

მოიხსნა ტვირთი და შეხედა ჯიქურ. ახლა როდიღა არიდებდა სახეს. იდგა არხეინად და ხან თვითონაც შეავლებ-და თვალს. ხანაც გახედავდა კეცივით აყუდებულ ციცაბოზე ლეგად გაკ-ლაკნილ ბილიკს.

— ეგრე უნდა წავიდეთ? — რა-ღაცნაირი შიშით იკითხა და წარბებს შორის შეეჭმუხნა შუბლი.

— კი.,

— რათა?

— ძალიან შორია მაგ გზით! — უპასუხა და გახედა ასფალტიან შარას. — მაგას რომ გავყვეთ, შუაღამისა-საც ვერ ავალთ შინ. ესე კი...

— უიმეეე!..

უკვე ხშირდებოდა ბინდი. მწვერ-ვალებზეც კი ჩამქრალიყო მზის შუქი. მხოლოდ ღრუბლებს წაჰკიდებოდა დაისის ვარდისფერი ციაგი. აღარ იყო დაცდის ხანი, მაგრამ მასწავლებელი სრულებითაც არ წუხდა ამაზე. ვია-როთო, წყნარად უთხრა თეგერამ და კვლავ მხარზე მოიგდო ლოგინი, დასწ-ვდა ჩემოდანსაც... მიდიოდნენ ნელა და, რამდენადაც აკვირდებოდა ქალი-შვილს, იმდენად უფრო მოსწონდა იგი. ლამაზი იყო ძალიან. ატყუებდა თვალი, თუ ასეთი იყო მართლაც? ამ-

---

გივი გუთხუზი
წაიღდა ხე

ნაირი არავინ ენახა ჯერ. დაფიქრდა და წარმოიდგინა ყველა ნაცნობი. არა, ვერავინ შეედრებოდა ამას.

— დავისვენოთ! — კიდევ თქვა ქალიშვილმა.

დადო ტვირთი.

მასწავლებელი მივიდა ლოგინთან... თანდათან უფრო იხიბლებოდა მისი სილამაზით. გადაწყვიტა, გადახვეოდა საკოცნელად. დააპირა კიდეც... გაიხედ-გამოიხედა აღმა-დაღმა. კაციშვილი არ ჭაჭანებდა არსად.

— შორს არი კიდევა?

— აღარა! კილომეტრი დიამცდა იყოს! — უპასუხა და ზურგი შეაქცია ქარს. მერე ჩახედა ხეობას, რომლის კბოდეზეც მოლივლივებდა ფუმფულა ნისლი. ჩამოუდგა ქარის მხრიდან, გაიხადა ქურთუკი, მაგრამ აბა, როგორ ეკადრებოდა ეს ოფლისა და ცხვრის სუნით გაჟღენთილი ჩული? მერე გაშალა და აიფარა წინიდან. ასე ცოტათი მაინც დაიფარავდა სიცივისაგან.

მასწავლებელმა თვალებით გამოხატა მადლიერება. გაუღიმა და ჩაღუნა თავი.

მალე ნისლის კორიანტელმა გადაფარა მთელი ის არემარე. ნისლში ჩაინთქნენ თვითონაც. ქალიშვილს თანდათან დაენამა თმა. წარბ-წამწამებზეც კი დაასხდა ცვარის უწვრილესი ნამცეცები.

— წავიდეთ! — თქვა მასწავლებელმა.

თეგერამ აიღო ლოგინი, დასწვდა ჩემოდანსაც და ნელა გაუძღვა წინ. უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა მასწავლებელს... რაღაც ეთქვა კი არა, ელაპარაკნა დაუსრულებლად! რა კარგი ჰქონდა ხმა, რა ჟღურტულა!.. ბედნიერები იქნებოდნენ ამისი მოსწავლეები. თავადაც სიამოვნებით დაუჯდებოდა გაკვეთილებზე, დატკბებოდა ამისი ცქერით, სმენით... მაშინღა გამოერკვა ფიქრებიდან, როცა წაადგნენ კლდოვან ფლატეს.

— დაიცადე აქა, ავიტან ამასა, დავბრუნდები და მოგეხმარები ასვლაში!

ქალიშვილმა უიმედოდ ახედა ციცაბოს.

ავიდა პატარა დავაკებულ ადგილზე, ბუჩქების ძირში მიდო ტვირთი და ჩამოირბინა ფეხმარჯვედ.

მასწავლებელი სასოწარკვეთით გასცქეროდა კლდოვან დამრეცზე ირიბად გაკლაკნილ ბილიკს.

თეგერა დაჟინებით მიაცქერდა და უცბად წამოუარა გიჟურმა სურვილმა, ჩაეკრა გულში და ჰყოლოდა დიდხანს... ალბათ შეჭამდა კოცნით, ამოხდიდა სულს... რაც უფრო გადიოდა დრო, ლამაზი ეჩვენებოდა თანდათან, მოხდენილიც — თხემით ტერფამდის უნაკლოდ შეთხზული. სოფელში ვერ იყვნენ მაინცა და მაინც ეგრე ლამაზები. ყველასა ჰქონდა რაღაც ნაკლი. იცვამდნენ ულაზათოდ, ეს კი... ერთიურთს ამშვენებდა ადამიანი და სამოსი. აბა რა ჩასათვლელია ანგარიშში და, ფრჩხილებიც კი ლამაზი ჰქონდა, ფრჩხილები!.. დააპირა სცემოდა უცბად, მგლურად, მაგრამ...

მოხედა ქალიშვილმა.

უმალვე დახარა თავი, რათა ამით მიეჩქმალა ზრახვა. ამათ ხომ... ადვილად ვერაფერს გამოაპარებს კაცი, რვა წელიწადი გაატარა სკოლაში, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გასულია არც ერთი ოინი.

— წავიდეთ, თორო დაღამდება და მერე უფრო გაგვიძნელდება სიარული! — უთხრა და ქვემოდან დაუდგა მოხერხებულად, თანაც მხარი მიუგება ყოველი შემთხვევისთვის.

მასწავლებელმა ზედ ისე ფრთხილად დააყრდნო ხელი, თითქოს ეშინოდა, უცბად არ გამოსცლოდა საყრდენი.

ნელა გაუყვნენ ბილიკს. მაინც შიშობდა ქალიშვილი. უკანკალებდა მუხლები და, როცა აყუდებულ სიპს დაადგა ფეხი, მოუსრიალდა და გულგა-

ხეთქილმა უცბად მოხვია ხელი კისერზე. უნებურად ზედ მიებჯინა ათრთოლებული მკერდით. ამან როგორღაც დაუბნია გონება თეგერას, რაღაცნაირად დაუბნელდა თვალთ და თვითონაც უნებურად მოხვია ხელი. რამდენიმე წუთს გაჩერდნენ ასე. შიშისაგან აცახცახებული ლოყაზე ეხუტებოდა მკერდით. თეგერა ყუჩად იდგა რაღაც ჯადოს ძალით თავგზააბნეული. მერე დაეხვა თავბრუ, დახუჭა თვალები და გაირინდა სასიამოვნო ფიქრში: ვითომც ფლატეზე მიექანებოდნენ თავ-პირის მტვრევით, ეხეთქებოდნენ კლდეთა ბასრ შვერილებს, მაგრამ გულის შემაწუხებელი და გრძნობის წამრთმევი როდი იყო ეს ხეთქება. აი, ჩაცვივდნენ უფსკრულში და დააკვდნენ ერთმანეთს. ღმერთო!.. რა ტკბილი იქნებოდა ასეთი სიკვდილი!.. სანუკვარ მდგომარეობაში იწურებოდა წამები... გადაწყვიტა, ძალით გადაეგდო თავი ფლატეზე. თან გადაეყოლებინა ქალიშვილიც. ხელგაუშვებლად, ერთურთს ჩახუტებულნი ჩაცვივდებოდნენ უფსკრულში... თანდათან მოეგო ჭკუაზე. უცბად მისწვდა ნაზად მფეთქავ ყელთან... ჰკოცნიდა გაშმაგებით. ძლივს ესმოდა ჩაგუდული კვნესა, მაგრამ ამას სრულებითაც არ შეუშლია ხელი, კოცნით დაელტო მთელი სახე. ბოლოს ჩაავცრინდა ტუჩებში. ერთხანს იყვნენ ასე. მერე უცბად გაიბრძოლა მასწავლებელმა, მიაბჯინა მკერდზე ხელები და განიზიდა განზე. კვლავ უცბად დაუსრიალდა გლუვი ტყავის ლანჩა. ისევ გულწასულივით შეჰკივლა და მოეხვია კისერზე. ძალუმად მიაყრდნო ათქვირებული მკერდი. ამჯერად აღარ დაუკარგავს ჭკუა, ეგრევე აიყვანა ბალღივით, მოიკრიბა ძალა და ფრთხილად განაგრძო სვლა... ავიდა სამშვიდობოს და გაიწია ქალიშვილმა. გაუშვა ხელი. ახლა არა უშავდარა გზას. თუკი გზა დაერქმეოდა იმ ციცაბოზე გაქნილ ბალიკს...

ნელა განაგრძეს სვლა. მიდიოდა და გაბუტულივით მიჰყვებოდა მასწავლებელი.

— რა საგანი უნდა ასწავლოთ?

— დაწყებით კლასებში...

— კარგია მასწავლებლობა!

— კარგი რომ იყოს, ამ დღეში კი არ ჩავვარდებოდი!.. — ბედისადმი მდურვა გაისმა ამ სიტყვებში, — ესეთი მიუდგომელი და ოხერი ადგილი რომ ყოფილა, ალბათ იმიტომ არავინ მოდიოდა, თორემა!..

ეგონა, აშკარად გამოხატავდა გულისწყრომას წელანდელი მოპყრობის გამო, მაგრამ იქნებ ჩვეულებრივი იყო თეგერას საქციელი? იქნებ ყველა ასე მოიქცეოდა მის ადგილას? იქნებ ესეც ბუნებრივი იყოს, რომ წამოაქციოს ლოგინზე?.. მივიდნენ ბარგთან და, როცა უნდა დასწვდომოდა ასაღებად, მავედრებელი თვალებით როგორღაც შეხედა მასწავლებელმა.

— ჯერ ჩემს დღეში არ დავღლილვარ ასე, დავისვენოთ! — თქვა და ჩამოჯდა ლოგინზე.

წინ გაუჩერდა ახლაც. დასცქეროდა და... რაღაცნაირად შეეცოდა ალალი, მონდობილი, ამ უცხო მხარეს მოხიზნული, უსუსური...

— შორს არი კიდევა?

— აღარა, მალე ავალთ. ცოტაღაა აღმართი, მერე ველებია სულ! ვიაროთ და ავასწროთ, სანამ კიდევ ცოტათი ჩანს რამე, თორო მერე...

უხალისოდ წამოიწია ქალიშვილმა. ისევ გაუძღვა წინ. მიდიოდა ნელა, რათა შეღავათით ევლო ლილისაც.

ცოტა ხნის შემდეგ ნიაღვრებისაგან ჩამორეცხილ ფერდობზე აუხვია ბილიკმა.

— მომეჭიდე რამეზე.

ქურთუკში ჩაავლო ხელი. ესეც კი სიამოვნების მომგვრელი იყო თეგერასთვის. განიერ ნაბიჯებს დგამდა განზრახ, რათა უფრო მეტად შეეგრძნო მისი სიმძიმე. აიარეს აღმართი, და-

იწყო იელების ჩაშავებული ბუჩქებით ახუჭუჭებული და ხეობებით დასერილი უსწორმასწორო მინდვრები და გაუშვა ლილიმ ხელი. მერე გამოჩნდა აქა-იქ ანთებული სინათლეები. უცბად გაუჩნდა კითხვა: სად მიეყვანა აქაურთათვის მთლად უცნობი გოგო? რამდენიც უნდა ეფიქრნა ამაზე, ერთადერთი იყო გზა: თვითონ უნდა ყოფილიყო მასპინძელი. შევიდნენ სოფელში და აყეფდნენ ძაღლები. სიმღერაც ისმოდა ზემო უბნიდან. მერე სადღაც იქუხა თოფმა, რაზეც კიდევ უფრო აღავლავდნენ მყეფრები. მგლისფერ ბინდში ბუნდოვნად ჩანდნენ ბოსლები, სახლები და ალაგ-ალაგ შემორჩენილი ციხეები.

— აი ეს არი ჩემი სახლი! — წამოიძახა და გადაუხვია გზიდან.

რომ ავიდნენ აივანზე, კედლის ძირას მიდო ბარგი, შეაღო კარი და სინათლესთან ერთად გახურებული ღუმელის სითბო და ახლად გამომცხვარი პურის სურნელიც გამოვარდა გარეთ. თუნუქის ღუმელთან ტრიალებდა მაღალი, ვაჟკაცური შესახედაობის დედაკაცი, რომელსაც გაკვირვება გამოესახა ქალიშვილის დანახვაზე.

— ეს მასწავლებლად უნდა იყოს ჩვენს სოფელში, დედავ!

დიასახლისი უნდობლად შეხედავდა ხან შვილს, ხანაც — სტუმარს.

თეგერამ პალტო გამოართვა ლილის, დაჰკიდა კარადაში და სკამი დაუდგა ღუმელის გვერდით.

— რა გვაქვს ვახშმად?

— ხორცი! აბა რა გვექნება სხვა?

მიუსხდნენ სუფრას და სტუმარი, ავტობუსის გაჩერებასთან ამაყი და მიუკარებელი, ახლა მოხათრებულ და უბრალო გოგოდ იქცა ერთბაშად. არაფერს დააკარა ხელი. დარცხვენით მიაჩერდა ლანგარზე ამოღებულ კერძს, რომელსაც თანდათან უნელდებოდა ორთქლი. მერე გულჩაყვითლებულ ყველის ნაჭრებზე გადაიტანა მზერა, ბოლოს კი შეხედა დიასახლისს. იგი ძვალს ჯაყვათი ათლიდა ხორცს და ილუკმებოდა დინჯად.

ლილიმ ორივე ხელის საჩვენებელითა და ცერით აიღო ყველაზე პატარა ნაჭერი, ნაზად მოაციცქნა ხორცი და მიატანა პურს. ფრთხილობდა, რათა არ დათხვროდა თითები...

მერე ღუმელთან ახლოს დასხდნენ სამივენი. ამ დროს ვიღაცები აჩქამდნენ კიბეზე. ხმაურმა ამოინაცვლა აივანზე და გაისმა ძახილი. მაშინვე გაეგება თეგერა.

— რას უზიხარ შინა? — შეეკითხა მამუკა.

— წამო, ღვინო მოუტანიათ ბარელებს კაცრიელთან! — უთხრა ხინჯამ.

— მე რომ არ წამოვიდე, თქვენ უფრო აქ არა ხართ? შემოდით! — შეიპატიჟა ცალყბად, რადგან არ უნდოდა, ლილისთან შეეყვანა უცხო ბიჭები.

მხიარულად აქრიამულებულნი შეჰყვნენ და უმალვე გაჩერდნენ უცხო ქალიშვილის დანახვაზე. თანდათან გაივსო ოთახი ცხვრის სუნითა და შემოდგომის ცივი ღამის იდუმალი სურნელით. სტუმრები ლილის დაჟინებით თოფავდნენ ფართოდ გახელილი თვალებით, იგი კი მშვიდი გამომეტყველებით იგერიებდა მათს მზერას. როცა შემოსულთ სკამები დაუთითოვა დიასახლისმა, დასხდნენ და ახლა თეგერას მიაჩერდნენ ყველანი. მერე მამუკას მიუბრუნდა გაგა:

— წავიდეთ, ან მოვიტანოთ აქა!

— ჩაიცვი! — უთხრა მამუკამ.

— მე ახლა არსად არა ვარ წამსვლელი!

შეყოყმანდნენ ბიჭები. ეტყობოდათ, გულით ეწადათ დალევა, მაგრამ სასმლის მოტანას ვერ ჰბედავდნენ ქალიშვილის ხათრით. წაყოლაზეც უარს ეუბნებოდა მასპინძელი.

— წავიდეთ! — წამოიძახა მამუკამ და წამოდგნენ ყველანი.

— მოიცათ! — წინ გადაუდგა ბიჭებს.

— დასალევად მივდივართ!

— კაცო, მე დასალევიცა მაქვს და ყველაფერი!.. დედი!.. — მიმართა წოწკურს, რომელიც უკვე შლიდა სუფრას.

მყისვე წამოდგა ლილიც და მიეხმარა დიასახლისს... ერთი პირობა კი შეყომანდნენ ბიჭები, მაგრამ მტკიცედ გადაწყვიტეს წასვლა. რაკი აღარ დაუდგათ გული, თვითონაც ჩაიცვა ქურთუკი, დაიხურა ქუდი და გაჰყვა გასაცილებლად.

— ვინ არი ე გოგო? — შეეკითხა ხინჯა, როცა ჩაიარეს კიბე და ჩავიდნენ ეზოში.

— მასწავლებელი!

— კარგი ვინმე კია, ძმაო!

მერე შეჩერდნენ გზის პირას. ყორესთან ატუზულები არაფრად აგდებდნენ სუსხიანი ქარის სისინს...

— წამო, დავლიოთ! დალევა მინდა ძალიან! — უთხრა მამუკამ.

— არა ვარ გუნებაზე, თორო აგიბამდით მხარს!

— აქამდის ყველგან დაგვყვებოდი და რა დაგემართა ეხლა? — შეეკითხა მამუკა.

— თუ მაგ გოგოს გამო არ მოდიხარ ჩვენთან, ნუ გეშინიან, არ მოგტაცებს არავინ! ორიოდე ჭიქა დავლიოთ და, რო დაბრუნდები, შინ დაგხვდება ისევა, განა გაგექცევა სადა?

— ოოჰ, ერთი თქვენაცა! რა გამიჭირეთ საქმე? რაკი ეგრე ძალიან გინდათ ჩემი წამოსვლა, წამოვალ, აჰა! — გაბრაზდა და პირველი თვითონ გაუდგა გზას.

— ეგრე, შე კაი კაცო, რას გვალაპარაკებ ამდენსა? — ჩაიქირქილა მამუკამ.

ჩუმად მიდიოდნენ გაბუტულებივით. როცა მიუახლოვდნენ მასპინძლის სახლს, დაიძახეს გზიდანვე. ვიღაც გამოვიდა შინიდან.

— აბა, თებრუავ, არ მიიღებთ სტუმრებსა? — გასძახა მამუკამ.

ამასობაში კიდეც მიმარჯვდნენ სიპებით ნაგებ კიბეს, სადაც მდუმარედ ასვეტილიყო დიასახლისი.

— რატომ არა? სტუმარი ღვთის გამოგზავნილია მთიულისთვის!

— ღვინო არი კიდევა?

— ღვინოც არი და პურიცა! მოდით თქვენა!

ავიდნენ აივანზე და შეიხედეს უფარდებო ფანჯრებში, საიდანაც კარგად მოჩანდა შინამო. გახურებულ ღუმელს ირგვლივ უსხდნენ ქალები და ბალღები. მაგიდასთან კი სმა გაეჩაღებინათ კაცებს. ეტყობოდა, ახალი დამსხდრები იყვნენ ჯერ, რადგან არ ისმოდა ნასვამთათვის დამახასიათებელი ღრიანცელი.

— შეიძლება? — კარი პირველმა შეაღო მამუკამ.

— მიბრძანდით, მიბრძანდით! — შეაქეზა უკან მიმყოლმა დიასახლისმა.

მივიდნენ და დასხდნენ ერთიმეორის მიყოლებით· გახედა ღუმელთან ჩუმად ალაპარაკებულ ქალებს. მათში ერია ვიღაც უცნობი დედაკაცი. თეგერას აზრით, ის უნდა ყოფილიყო ღვინის პატრონი. გამხდარი, სახედალარული, გაშავებული... წყნარად რაღაცას უამბობდა ღუმელთან შეკრებილთ. კვლავ მიუბრუნდა სუფრას და ამ დროს მოიტანა დიასახლისმა დანაჩანგალი, მოუმატა პური და ყველიც.

თეგერამ მოწრუპა ცოტა და კარგად დაიგემოვა სასმელი. არ მოეწონა თითქოს, მაგრამ მაინც დალია თანამეინახეთა ხათრით. მერე დაუძახა დიასახლისს და უჩურჩულა ყურში:

— თუ იცი, ნამდვილი ღვინოა ესა?

— ამბობს, ნამდვილი ყურძნის წვენიაო და, აბა რა ვიცი?

— იმიტო გეკითხები, თუ ნამდვილი იქნებოდა, ვიყიდიდი ერთ ას ლიტრს, ორასს!

— რად გინდა მაგთვენი? ქორწილს ხო არ აპირებ, ბიჭო!

---

გივი ბუთხუზი
წმინდა ხე

— ღვინო მუდამ უნდა იყოს ოჯახში!

— მართლა, თეგერავ!.. — უცბად წამოიძახა დიასახლისმა და შეეტყო, რომ გაახსენდა რაღაც: — სალაპარაკო მაქვ შენთანა!

— მელაპარკე, რა!

— ახლა არა, მერე! ბევრს ნუ დალევ, შეინახე თავი, უნდა გითხრა რაღაც...

მუდამ ჯადოიან ძალას ახხივებდა ეს ქალი თეგერას მიმართ, ზოგჯერ ისეთსაც კი, უცნაურად აუღელდებოდა სისხლი ჭაბუკს, მაგრამ პატივს მაინც არა ჰყრიდა უკვე ორი შვილის დედასა და ვაჟკაცი ქმრის პატრონს.

გაღიმებულმა თებრომ გადააქანგადმოაქანა თავი, აჭიმა წარბები და მოქნილი ტანის მოხდენილი რწევით გაშორდა თეგერას... იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და გაირინდა ფიქრში. გათხოვებამდის უფრო გადასარევი გოგო იყო თებრო. კაცრიელი უყვარდა გაგიჟებით... კიდევ კარგი, მალე ქნეს ქორწილი.

— ხვალ ჩემი ფარა პირველი გაუდგება გზას! — თავმომწონედ წამოიძახა ისიდორემ.

იოსებმა კვლავ შეავსო ჭიქები, გააყანყალა გამოცლილი ხელადიანი და ასწია მაღლა, რათა დაენახვებინა ღვინის პატრონისთვის, რომ ცარიელი იყო და ითხოვდნენ კვლავ.

ქალმა უმალვე შენიშნა ეს, წამოდგა და ჩამოართვა ხელადიანი

— ჩემს ანგარიშზე მოიტანე ეგა და ორი კიდევ სხვა! — უთხრა თეგერამ ამაყად, — ფასში გინდა აიღე ფული, გინდა მატყლი, გინდა ერბო, გინდა ყველი!

ქალმა კარგად შეათვალიერა ჭაბუკი, გაიღიმა და წავიდა ღვინის ჩამოსასხმელად.

დიასახლისმა მოიტანა დარჩეული ნიორი, ცხელ-ცხელი ხორცი და განახლდა ჭამა. უკვე კარგად იყვნენ შემთვრალნი, მაგრამ მაინც არ ხმაურობდნენ ქალების ხათრით. გაბმით ლაპარაკობდნენ მარტო.

თეგერა კვლავ ფხიზლობდა [illegible] თავს, რადგან არ სცლიდა [illegible] სადილოში დალეული კი გაქარვებოდა უკვე.

— ანდე ე დედაკაცს დააკვირდი კარგადა! — უჩურჩულა თებრომ და მოუჯდა გვერდით.

— აბა რომელსა? — გაოცდა თეგერა.

— ღვინის პატრონსა, ჩვენს ნათლიდედასა!

უცბად გახედა მას. იგი ისევ ღუმელთან იჯდა ქალებში და განაგრძობდა წუნარ მუსაიფს.

თეგერა შემოუბრუნდა დისახლისს.

— ეგ რო შენი სიდედრი გახდეს, რას იტყოდი?

უმალვე შინისკენ გაექცა ფიქრი. თვალწინ დაუდგა მასწავლებელი და ჩაღუნა თავი.

— ე მაგას ერთი კაი გოგო ხყავს გასათხოვარი. წლეულს დაამთავრა საშუალო, მაგრამ არ უშვებს არსად. ჯერ გავათხოვებ, ჩავაბარებ პატრონსა და მერე იმან იცოდეს თავისი ცოლის საქმეო. თუ უნდა ასწავლოს, თუ უნდა — არაო. იმას ამბობს, აქაური რო ვინმე გამოჩნდებოდეს ხეირიანი, მოვიყვანდი ზესიძედო. ვენახიცა აქვს, ბაღიცა, ბოსტნეულისთვი ცალკე ადგილი, კაი გამართული სახლ-კარი, მანქანისთვის ფული...

— მერე და, მე რა? — დაბნეული შეეკითხა თეგერა.

— მერე ისა, რომა... მიდი, უკლოვ!. როცა ე მაგას მეუბნებოდა, მაშინვე შენ დამიდექი თვალწინა. ვთქვი გუნებაში: აბა ვინა, კაი ბიჭი თუ ვინმეა, ერთი ეგ თეგერაა-მეთქი.

— რატო, კარგნი ბევრნი არიან სხვანიცა. ერთი გოგო ჰყავს მარტო?

— ჰო. ოცის წლისა დაქვრივდა საწყალი და იმაზე დადო თავი...

კვლავ გახედა ღვინის პატრონს, მართლაც, ძალიან ჯაფის ქალი ჩანდა

იგი. შეეცოდა რატომღაც. მერე წარმოიდგინა ზესიძე, რომელიც მზამზარეულზე მიდის სხვის ოჯახში და ყოყოჩობს ცოლეურთა მონაგარზე.

— რას იტყვი? — შეეკითხა თებრო.

— რა ვიცი, აბა! ცოლის ცოლი გავხდე?

— როგორ თუ ცოლის ცოლი? — ვერ გაიგო დიასახლისმა, — ეგ რაღა სიტყვაა?

— ცოლის ბინაზე რომ მივიდე, ის ქმარი იქნება, მე — ცოლი.

— არა, ბიჭო, განა ეგეთებიც არიან, საწყლები! იცი, რა ალალი ხალხია? გადაგყვებიან ზედა!

— როგორებიც უნდა იყვნენ, მაინც უხერხულია ზესიძეობა.

— შენაცა, რა გენაღვლება? ჩადი, მიიხედ-მოიხედე ცოტა ხანსა, არ მოგეწონება იქაურობა? მაავლე გოგოს ხელი და წამაიყვანე შინა!

— საწყალ ქალს ძლივს გამოუზრდია ერთი შვილი, თავი დაუდვია იმაზე და მე წავართვა ისიცა? ცოდვაა! ვერ ვიზამ მაგას! თუკი დავესიძები, კიდეც უნდა დავრჩე იქა!

— ჰოდა დარჩი, ძმაო, დარჩი! არც ერთში არ იქნები წაგებული, ჩემის ძმების სიცოცხლემ!

გაეცალა დიასახლისი და კვლავ მაგიდაზე გადაიტანა ყურადღება.

— თავმჯდომარეს უთქვიაო, რომაო, ორმოცდაათ სულზე მეტს აღარ გავაშვებინებ მწყემსებსა ყიზლარშიო.. — თქვა იორამმა.

— შენ საიდან გაიგე ეგა? — შეეკითხა ხინჯა.

— ისეთმა კაცმა მითხრა ეგა, რომელიც ეგრეა იმასთანა, აი! — თქვა და საჩვენებელი თითები მიატყუპა ერთმანეთს.

მდუმარება ჩამოვარდა წუთით. მერე მამუკამ ამოიღო ხმა:

— არ ჩაუვა ფეხი!

— მაშინ კაციშვილი აღარავინ წაუვა ყიზლარსა და წავიდეს თავადა! — წამოიძახა გაგამ.

— ვისაც ორმოცდაათ სულზე მეტი ცხვარი ჰყავს, ისინი წავლენ მარტო! — თქვა და ახარხარდა იოსები.

— ეგეთები ცოტანია კოლექტივში. ეყოფიან მაგთვენა ფარებსა? — იკითხა მიხამ.

— დაიქირავებენ დანარჩენებსა! — არ ტყდებოდა იოსები.

— სად დაიქირავებენ იმთვენსა?

— დაიქირავებენ! მერე იყვიტყვიტეთ ცხვარბევრის პატრონებმა!

რატომღაც ყველამ თეგერას მიაპყრო ყურადღება: აცა, აბა ერთი, რას იტყვისო. მაგრამ იღიმებოდა მარტო.

— რამთვენი გეყოლება, თეგერავ!

— ეყოლება ერთი... ორასამდე მაინცა! — მის მაგივრად უპასუხა ხინჯამ.

სიამაყის ღიმილმა გაუბადრა სახე.

— ე მაგან იქნებ სულაც დაანებოს თავი ცხვარსა. გახყიდის და წავა ბარში ძმობილი! — წამოიძახა იოსებმა.

— ბარში რა უნდა მთიულსა?

— რატომა? აკი ჩასახლდნენ მაგისი ძმები! ეგ რა, ნაკლებად მაიქნევს თოხსა? — ქირქილებდა იოსები.

— თეგერა არ წავა არსად! მაგისი ძმები იმ იმედით ჩასახლდნენ შირაქს, რო ემაგან არ უნდა გააციოს მამაპაპის კერა! — თქვა ფირანმა.

გადაუხადა ღვინის პატრონს ფული, მერე იპოვნა დრო და გაიპარა შინ.

დიასახლისმა გააცილა გზამდის და უთხრა ბოლოს:

— აბა, შენ იცი! იფიქრე კარგადა. თუ გადასწყვიტო ეგ საქმე, ვეტყვი ამ ქალს. მერე ჩავიდეთ გოგოს სანახავად!

ფიქრობდა და ჭკუაში უჯდებოდა ბარად ჩასიძება. მართლა თუ ორმოცდაათ სულზე მეტს აღარ გაატანდნენ ყიზლარს, აღარ ეღირებოდა მთაში ცხოვრება. ფიქრებში წარმოიდგინა

---

გივი ბუთხუზი
ჭრინდა ხე

ათქლასდამთავრებული გოგო,. ჩვიდმეტი წლისა, რომელსაც დედა არ უშვებს არსად, მზეთუნახავივითა ჰყავს შინ ჩაკეტილი... მერე გაახსენდა ლილი, ბარიდან მთაში მასწავლებლად გამოგზავნილი... აერია ფიქრი, დაეფანტა გონება. აივანზე რომ ავიდა, კვლავ გაუხსნელი დახვდა ლილის ლოგინი. ფრთხილად შეაღო კარი. ოთახში იწვა ლილიც... ფეხაკრეფით მივიდა მის სასთუმალთან. გულაღმა მძინარს ოდნავ გაჰპობოდა ტუჩები, ძლივს გასაგონად უსტვენდა სუნთქვისას. ფეხაკრეფით გაეცალა და გაბრუნდა თავისი საწოლისკენ. ღილების ხსნით დახედა სარეცელს და გამოცვლილი დაუხვდა თეთრეული. თავისებური სუნი უდიოდა ახლადგაუთოებულ ზეწარს, ბალიშის პირს, საბნის გადასაკრავს... ჩააქრო სინათლე და ბნელში გაიხადა სამოსი. დაწვა და გაიხსენა თებროს ნალაპარაკევი... არა, არავინ არ უნდოდა სხვა! აი, შინ ჰყავდა საცოლე! მიბრუნდა მისი საწოლისკენ და დაუგდო ყური. მერე ადგა ფრთხილად, დააცქერდა ზემოდან, როგორღაც ამო საყურებელი იყო მწოლიარე. თავბრუდამხვევი სუნი დიოდა მისი სასთუმლიდან. დაიხარა და სულ ახლოს მიუმარჯვა ყური, მერე — ტუჩები. ლამის ზედ დაეწება მის ბაგეს. ასე იყო კარგა ხანს. ერთი კი დააპირა დაჰკონებოდა ზედ, მაგრამ ვაითუ ექივლნა და დაეფეთებინა წოწკური, გათავდებოდა კიდეც სირცხვილისაგან! გასწორდა ისევ და სარყასავით დაადგა თავს. მერე მთვარემ შემოიხედა ფანჯრიდან და ირიბად დააფინა ცვილისფერი შუქი სტუმრის ლოგინს. პირდაპირ თვალებში რომ მიაშუქა მნათობმა, გაეცალა მაშინ კი. დაწვა და სწორედ ამ დროს შეიშმუშნა ლილი. „თურმე ღვიძებია!" გაიფიქრა და იგრძნო უხერხულობა. მერე წარმოიდგინა, რომ... უკვე ცოლი იყო მისი. გაახსენდა, როგორ ეხვეოდა და ჰკოცნიდა ფლატეზე. გაუშტერა თვალი და განაბა სული, რათა კარგად გაეგონა მისი სუნთქვა, არ ისმოდა არაფერი. სდუმდა საოცრად... თანდათან იცვალა ადგილი მთვარემ, მისი ნათელიც შეუმჩნევლად გადმოცურდა სტუმრის საწოლიდან, დაეფინა იატაკზე და ბინდში გაბუნდოვანდა ლილი. ველარა ხედავდა წელანდელივით. ფიქრობდა და მასთან იყო მთელი გულით. ვითომ და ეწვა გვერდით, ჰკოცნიდა და იხუტებდა გულზე... იზმორებოდა მეტისმეტი სიამოვნებისაგან. ხშირად გაიხედავდა ხოლმე მისკენ. რა ბედნიერება იყო, რომ იქვე, ორიოდე ნაბიჯზე, იწვა იგი. ჯერ არ ახსოვს, ასე ახლოს ყოფილიყოს მძინარე ქალიშვილთან. ასეთ ლამაზ და მოხდენილ გოგოსთან. ოჯახში ყველაზე უმცროსს, არავითარი საერთო არ ჰქონია უკვე დაზრდილ დებთან. ადრევე დათხოვდნენ ისინი. მერე სულ ბიჭებს დარჩათ ტახტი და მოედანი. იზრდებოდა მამაკაცურ გარემოში — უქალიშვილებო ოჯახში...

ალიონს პირველი შეეგება ფხიზლად. ბინდისასვე წამოიწია საწოლიდან. ისე მისწვდა პერანგს, არ აუხდია საბანი, რათა, თუ გამოიხედავდა შემთხვევით, არ დაენახნა ლილის. ეგრევე მიეტანა სკამზე ჩამოფენილ შარვალსაც. იატაკზე გამოათრია მისი ტოტები და ჩაიცვა საბნის აუხდელად. მერე წამოდგა და აიღო წინდა... რამდენიმე წუთის შემდეგ ჩავიდა კიბეზე, შევიდა ბოსელში, ჩაგავა ზღავები, დაწმინდა ხარები, ძროხები.. შეუტანა თივა და, რომ გამოდიოდა გარეთ, მიხედა ბაკში შერეკილ ცხვარს. დღეს უნდა გასდგომოდნენ ფარები გზას. არ უნდოდა წასვლა ყიზლარს, მაგრამ ვისთვის გაეყოლებინა თავისები? ყველასთან დათესილი ჰქონდა სიკეთე, არავინ ეტყოდა უარს, მაგრამ ვინ... ვინ იყო უფრო საიმედო?

მტრედის ფრთებით ჩამოდიოდა სისხამი დილა აღმოსავლეთის მთათა დათოვლილი გალავნიდან. მტრედისფრადვე დათრთვილულიყო მთელი

მიდამო. როგორც მდუღარე ქვაბს, ეგ-რე უდიოდა ოხშივარი ბაკში არხეინად მცოხნავ პატარა ფარას. ნესტოებიდან თვითონაც გასდიოდა ორთქლი. „ჯერ არ იქნება ამდგარი და სირცხვილია შესვლა“, გაიფიქრა და წარმოუდგა ცხადად. გუნებაში კარგა ხანს ეალერ-სა მის ორეულს. მერე წავიდა სოფელ-ში. ცულის ხმამ გაახედა მეზობლების-კენ, ბოსლის წინ გამოეგორებინა ოთხ-თვალა იორამს. ნაჯახით ქერქავდა მუ-ხის ლულუტ სახელწავეს. შეჩერდა და მიესალმა გზიდან. დიდის ამბით მოიკითხეს ერთმანეთი.

— შენ როგორ ისე დადიხარ?

— როგორა? — შეეკითხა თეგერა.

— არ გეტყობა, თუ ემზადები! — უთხრა და ბოლო მოუკვერცხა ლატანს, მერე გაბურღა და მოსინჯა ღერძზე, — ისევ ხვთისოს ფარაში მიდიხარ?

— რა ვიცი, ვნახოთ, შეიძლება აღარ წავიდე! გაიყოლე ჩემი ცხვრები, იორამ!

— შენა?

— დოლობამდის შენ იყავი, დო-ლობისას ჩამოვალ მენა და გამოგიშვებ შენა!

— ბიჭოდა, რა გაგჭირვებია ეგე-თი?

— მაქვს რაღაცა საქმე!

— ძალიან დიდი საქმე თუა, შეიძ-ლება!

თითქოს მძიმე ლოდი გადაიგდოო გულიდან, შვებით ამოისუნთქა ამ სიტყვებზე. გახარებული დაბრუნდა უკან. რომ მიმარჯვდა სახლს, გაახსენ-და ლილი. ეხლა კი ზეზე იქნებაო, გა-იფიქრა და სულ დაავიწყდა ცხვარი. მაშინვე ავიდა შინ. ესაუზმათ უკვე. ფაქიზად დასუფთავებულ მაგიდაზე დაჭრილი პურით სავსე ლანგარი იდგა მხოლოდ. ღუმელის გვერდით ჩაცუც-ქულიყო ლილი. ცხელ წყალში რეცხ-და ჭურჭელს. როგორღაც უხერხულად გაიღიმა და წყნარად ჩაილაპარაკა დამნაშავესავით:

— გიცადეთ, გიცადეთ და... ეს არის, შეგასწარით საუზმე... დაჯე, ახლა-ვე მოგიტან! — თქვა, შეიწმინდა ხელე-ბი და ხორცის ნაჭერი ამოიღო თეფშ-ზე, მერე შენელებული წვენი დაასხა და ფრთხილად მიიტანა მაგიდასთან.

...როცა ადგა და მოიწმინდა პირი, მაშინ გამოვიდა მეორე ოთახიდან ლი-ლი. ჩაცმული და გამზადებული გა-ჩერდა მაგიდასთან, გაუღიმა და უთხ-რა მორიდებით:

— წამომყევი სკოლაში!

როგორ ეტყოდა უარს! მაგრამ შე-იშმუშნა უხერხულად: სირცხვილი იქ-მებოდა ამ კარგად გამოწყობილ გო-გოს გვერდით გაევლო გაუპარსავსა და მწყემსურად ჩაცმულს.

გაუგო და გაამხნევა მასწავლებელ-მა:

— რა გიშავს? შენ სახლში ხარ, შენს სოფელში!

ესიამოვნა ეს სიტყვები...

შევიდნენ პირველი სართულის საჩი-ხში და ლილიმ შეიხედა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახებში. მერე ავიდნენ აივანზე, შეჩერდნენ ერთ-ერთი კარის წინ და დააკაკუნა წყნარად. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ახალგაზრდა და ლამაზი კაცი, რომელსაც თვალი დარ-ჩა უცნობ ქალიშვილზე.

— აი, ეს ახალი მასწავლებელია, პატივცემულო დირექტორო! — მო-წაფესავით უთხრა თეგერამ.

— მობრძანდით! — კარს ჩამოეცა-ლა დირექტორი, — მოდი, თეგერავ, შენაცა!

დიდხანს აღარ დარჩენილა იქ. აივნი-დანვე გაბრუნდა და ჩაირბინა კიბე. ხომ დიდი ბიჭია უკვე, კრძალვა და რიდი მაინც შემორჩა მასწავლებლე-ბისა. უწინდებურად წითლდებოდა მათ-თან ლაპარაკში. ისევ იმდროინდელ ბავშვად წარმოუდგებოდა ხოლმე თავი. რა შეიყვანდა ახლა იქ! ყველა რომ მოაჩერდებოდა ერთბაშად...

გამოაღო ბაკის კარი, გამოარჩია

გივი ბუთხუზი
წმინდა ხე

17/27



ბიბლიოთეკა

საკლავები და შეამწყვდია ბოსელში. ყოველ ზამთარს თხუთმეტიოდე სულს იტოვებდა შინ, რათა გულუხვად უნდოდა დახვედრა მტერ-მოყვარეს — ყოველთვის ბლომად უნდა ჰქონოდა ახალი ხორცი... მერე გამოუშვა ბაკიდან დანარჩენები. მინდორში გარეკვას ჩვეულებმა ახლაც იქითკენ აიღეს გეზი, მაგრამ შემოაბრუნა სოფლისაკენ.. ზემო უბნის თავში, იალაღებზე სძოვდნენ ყიზლარს გასარეკად დაგალავებული ფარები. იქ იყო დიდ-პატარა. თითქმის მთელი სოფელი აცილებდა ყიზლარში მიმავლებს... იორამის ფარაში შეურია ცხვარი.

...რომ დაბრუნდა შინ, მოწყენილმა მოათვალიერა დაცარიელებული ეზო. ბოსელში ჩქამობდა წოწკური. მერე ნაკელით სავსე ჯინი გამოათრია ხენჯლისტრებით... მიეხმარა და, როცა მორჩნენ ნეხვის გადაყრას, უბრად შეაჩერდნენ ერთმანეთს.

— წავიდა ცხვარი ყიზლარში! – ჩაილაპარაკა მოწყენით.

— აბა, წამოდი აქა! — თქვა წოწკურმა და გაუძღვა შვილს, რომ ავიდნენ აივნზე, იქ განაგრძო დანარჩენი: — კარგი გოგო ჩანს ეგ მასწავლებელი. მითხრა დილას, აბა რაღა სხვაგან წავიდე, დეიდაო, ვიქნები ბარემ აქაო. იყავი, შვილო-მეთქი. აი, ემ ოთახში დავაბინაოთ! — შუა კარისაკენ მიიღო ბებრული, გამხდარ-გაშავებული ხელი წოწკურმა, — დავუცალოთ ერთ-ერთი საწოლი და შემოვიტანოთ მაგის ბარგი.

ხელი წამოავლო ჩანთას და ჩემოდანს. გაიხსენა გუშინდელი დღე, პირველად რომ შეხედა ზურგშექცეულს, მერე როგორ აედევნა შორიახლოს, როგორ გასცა ხმა... ეგრევე დადო საწოლზე საბლებით დაშარტული ლოგინი, გახსნა იშტად შეკრული ნასკვი, შემოაძრო შალითა და გადაშალა ლეიბ-საბანი. უმალვე იყნოსა ის ნაცნობი სურნელი. რომელიც გუშინ შეიგრძნო პირველად. გაახსენდა, როგორ მიეკრა შიშისაგან აცახცახებული, როგორ მიახუტა რბილი და თბილი მკერდი, მერე როგორ მიეტანა [illegible]-ნელად... გარინდებული დასცქეროდა იატაკს. ასეთი რამ არ ახსოვს გუშინდლამდე. მანამდის მხოლოდ იდუმალ ლტოლვას გრძნობდა გოგოებისადმი. ხანდახან კიდეც გასთამაშებია ზოგიერთს, მაგრამ ის სულ სხვა... არაფერი არ დაახსომდა იქიდან. რვა კლასი დაამთავრა და მერე წავიდა ცხვარში. მას აქეთ თითქმის სამუდამოდ დაშორდა გოგოებს. ცხვარში იყო ერთთავად. მხოლოდ ძილში თუ ნახავდა ხანდახან. სიზმრებში ტკბებოდა მათთან ყოფნით. ცხადად კი... ოცნებობდა მხოლოდ. ბუნდოვანი და მიუწვდომელი იყო ეს ოცნება. ალბათ, ამავე დღეში იქნებოდნენ სხვა ბიჭებიც. ხშირად საუბრობდნენ გოგოებზე. მორიგად ამბობდნენ სიყვარულის სიმღერებს, გაიძახოდნენ ხმადაბლა და ნაღვლიანად. ეს მაშინ, როცა მოიცლიდნენ დღიური ჯაფით დაღლილები. დაბინდებისას დაეყრებოდა ცხვარი ველზე და, თუკი სადმე მოიხელთებდნენ შეშას, გააჩაღებდნენ ცეცხლს, ჩაჰყრიდნენ ხორცს და შეუდგამდნენ ქვაბს... ტკბილ-გემრიელად ჩუხჩუხებდა გვიანი ვახშამი. იქვე იწვნენ ძაღლები, ახლოს სძოვდნენ ცხენები, ამოდ იცოხნებოდა ფარა. თვითონ კი მისჩერებოდნენ ქვაბს და სდუმდნენ ფიქრში გარინდულნი. ამ დროს ხვთისო შემოსძახებდა სიყვარულისას. იმ ხმის ძალით ჯადოვდებოდნენ ძაღლებიც კი. ამოდ გაინაბებოდნენ დაყუნცულნი. შორს აღარ მიდიოდნენ ცხენებიც. ვინ უწყის, როდის და ვისგან იყო შეთხზული ის სიმღერები. ზოგჯერ მღეროდა თვითონაც. მაგრამ ისე ვერა, როგორც სხვები. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ განეცადა ეს გრძნობა. ზოგჯერ აღიღინდებოდნენ მოხუცნიც, მაგრამ სიყვარულისას აღარ ამბობდნენ ისინი. მღეროდნენ ვაჟკაცობასა და სამართლიანობაზე თხზულთ. ახლა თვითონაც აღიღინ-

და განთქმულ მომღერალთა დარად, მაგრამ ველზე ნამღერივით ტკბილი და ამო როდი ეჩვენა საკუთარი ხმა. კედლები აძლიერებდნენ ბგერებს... ერთბაშად ჩაუწია ხმას, შედარებით არა უშავდარა ახლა, მაგრამ მაინც ვერ იყო ისეთი, როგორიც ის ღამეული სიმღერები, ტრიალ ველზე რომ გაისმოდა ვახშმობამდის.

ფარდაგი გაფინა საწოლზე, მერე გაშალა ლოგინი, გაასწორა და დააცქერდა ბალიშ-ლეიბს. ახლა მწოლიარე წარმოუდგა ლილი. მაგრამ რაკი არ ენახა შიშველი ქალი, ჩაცმულად წარმოიდგინა იგი. სწორედ ისეთად, როგორიც ჩარჩა მეხსიერებაში. გამობრუნდა უკან და კართან მისულმა კვლავ მიხედა საწოლს. მერე იქვე დაუფინა საწმისი, რათა ადგომისას იატაკზე არ დაედგა შიშველი ფეხი. ამაღამ შემოვა ლილი, გაიხდის... როგორ უთხრას, რანაირად, რომ უყვარს? რად უნდა თქმა? განა ვერ მიხვდება უამისოდაც? შუაღამისას, როცა უკვე გულის ძილში იქნება გაყურსული, შემოიპარება ფრთხილად... რომ შეშინდეს და მორთოს წივილ-კივილი? დაფეთდეს წიწკურიც, მოცვივდნენ მეზობლები... ნეტამც გამოჩნდებოდეს ისეთი რამ საქმე, დედა წავიდოდეს სადღაც...

გავიდა გარეთ და გახედა სკოლას. დაწყებულიყო გაკვეთილი, არავინ ჩანდა გარეთ. იქიდან ნელა გამოაყოლა თვალი ეზოს, გადმოვიდა ყორეზე და გამოყვა თავიაანთ ნაკართოფილარს. რა უნდა ეკეთებინა დღეს? როგორ გაეძლო უსაქმოდ? მისულიყო თვითონაც სკოლაში? რცხვენოდა მასწავლებლებისა. არა და... რამდენჯერმე გაატარ-გამოატარა თვალი სკოლიდან თავიაანთი სახლის კიბემდის. რა კარგი იქნებოდა, რომ ასე პირდაპირ იაროს ლილიმ. სად შორიდან მოვლა, სად — ასე!.. ზოგჯერ ტალახი იქნება სოფლის გზაზე, ზოგჯერ — ტბორებიც... ასე პირდაპირ კი... მაგრამ წვიმებისა და ლხობის დროს ხომ ატალახდება ეზოც? გაიყვანოს ერთი კარგი ბილიკი!.. განა ეს ყველაზე კარგი დასტური არ იქნება იმისა, რომ უყვარს ლილი? ლილი!.. ლილი!..

გამოიტანა ლარი, კვერი და ბარნიჩაბი. აივნის კიბესთან დაასვა პალოები, გააბა ლარები ყორემდის, მერე ნიჩბით მოასწორა ლარებს შორის ადგილი, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ზედ, დატკეპნა კარგად და მოაგროვა ქვები... მუშაობდა დინჯად, თანაც ლილის ხედავდა სასიამოვნო ფიქრებში. ეჩვენებოდა უკვე, როგორ გაივლიდა ასე... მაღალსა და ბრტყელ ქვებს არჩობდა ლარების გასწვრივ, მათ შორის კი პატარებს აგებდა ერთიმეორეზე მიჯრით, სწორედ ისე, როგორც უნახავს ქალაქებში.

კარგა მანძილზე რომ ჩავიდა ნაკარტოფილარში, სწორედ მაშინ წამოადგა დედა.

— აქ რო არ იღლებოდე, გაგეყვანა აგერ, წყაროსკენ, ლაფში რო ვწვალობ ეს ამდროულა დედაკაცი... კიდევ აგერ, იქით... — ხელი გაიშვირა საპირფარეშოსკენ.

თუნდაც სულ ბილიკებით დაქსელავდა მთელს ეზოს, ოღონდ ტალახს არ შეეწუხებინა ლილი. ამ ზამთარს ხომ ისიც დაუწყებს წყალს ზიდვას?

მთელი დღე იმუშავა თავაუღებლივ და მიადგა ყორეს. მობრუნდა და დააკვირდა არშიასავით სწორად და თეთრად გავლებულ ბილიკს, რომელზეც ამიერიდან გზა უნდა დაედო ლილის. ლილი!.. სად არის აქამდის? ალბათ, მოვიდა შინ. ისე გაერთო საქმეში, გამოეპარა მისი დაბრუნება... წამოავლო ხელი კვერს, ბარ-ნიჩაბს, გაბრუნდა შინისკენ და მოესმა ლილის ხმა:

— დღეს გააკეთე ეგა?

---

გივი ბუთხუზი
წმინდა ხე

უცბად აიხედა და დაინახა მოაჯირთან მომდგარი.

— კი. ხვალიდან ეგრე ივლი სკოლაში!

— დედააა... ღმერთო, მომკალი!.. რატომ შეწუხდი ჩემი გულისთვის?

რატომ შეწუხდიო?.. სრულებითაც არ უგრძვნია შეწუხება! მუშაობდა სიამოვნებით... ისე გავიდა დრო, ვერ გაიგო დაღამება. არ უგრძვნია დაღლა, შიმშილი.

დასჭრა შეშა, შეაბინავა საქონელიც და წავიდა წყალზე. კარგად დაიბანა ხელ-პირი, დაისველა თმა და ავიდა შინ.

ყოჩაღად დიასახლისობდა ლილი...

მიაჩერდა უხმოდ... უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ველარ იკრებდა აზრს.

ლილი საქმიანობდა მშვიდად, რაღაცნაირი თავმოწონებითაც კი...

გაიტანა სკამი და დაჯდა მოაჯირთან. მოელოდა, რომ გამოვიდოდა ლილიც, ჩამოუდგებოდა გვერდით... ვერ ეტყოდა ვერაფერს და აღარ უნდოდა მისი გამოსვლა, დაიტანჯებოდა ხათრით. რაზე უნდა ჩამოეგდო სიტყვა?

უცბად მოესმა ძახილი. ღია კართან იდგა ლილი.

— მოდი!

ოხშივარი უდიოდა თეფშებზე ამოღებულ საჭმელს. წვენში იფშვნიდა პურს წოწკური...

ვახშმის შემდეგ გარეთ გავიდა ისევ. წყნარი სტვენით მიიარ-მოიარა ეზო, შეხედა საქონელსაც და მერელა ავიდა შინ. უკვე გასულიყო ლილი დასაძინებლად. დაწოლილიყო დედაც... ჩააქრო სინათლე. გადაწყვიტა, ეფხიზლნა გვიანობამდის და, როცა დაიძინებდა წოწკური, მერე მისულიყო ლილისთან. ეთქვა პირდაპირ, თამამად, რომ... დაღლილს შეუმჩნევლად მოერია ძილი. ესიზმრა ლილი. სახლწინ აღმართულ ნათლის სვეტზე იდგა და იქიდან უღიმოდა ნაზად, უქნევდა ხელს და ეშუშპრებოდა მორცხვად. მოინდომა მასთან მისვლა, მაგრამ ვერ შეეხო სვეტს. როგორც ბანის ერდოდან დარბაზში ჩაჭრილი მთვარის ნათელი, ეგრე იდგა შუქი და მის კენწეროზე იწონებდა თავს ლილი. ნამდვილი მზეთუნახავივით მოჩანდა დაბლიდან. უნდოდა მისწვდომოდა, მაგრამ... შეხაროდა და ღიღინის მსგავსი რაღაც ჩქამი წასცდა მძინარეს. იმ ჩქამზე გამოფხიზლდა წოწკური, მიუგდო ყური და მიხედა შვილის საწოლს. გვიანღა მოეგო გონთ, რომ ძილში მღეროდა თეგერა. მღეროდა გაბმით, ულაზათოდ, მოწადინებით, უსიტყვოდ... მერე შეწყდა ღიღინი, შეიშმუშნა და გადაბრუნდა ფანჯრისკენ. გაახილა თვალი და გამოფხიზლდა თანდათან. მთვარე იყურებოდა ოთახში. ირიბად სჭრიდა მისი ნათელი შინ დავანებულ წყვდიადს. თვალი გაუშტერა ოდნავ შეგვერდელავებულ მნათობს და დაფიქრდა სიზმრად ნახულზე. რა ლამაზად მოჩანდა ლილი!.. ადგა და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ. ფრთხილად გაიხურა კარი. აივნიდან ჩახედა ჭალებს და ღრმად ჩაისუნთქა ბებერი შემოდგომის ცივი ჰაერი. მთვარის შუქში ცისფრად გარინდულიყო მთელი მიდამო... მერე შეტრიალდა იმ ოთახისკენ, სადაც ეძინა ლილის. უმალვე გაახსენდა წოწკური. მაინც მივიდა ახლოს და ყური მიადო კარს. არაფერი ისმოდა შიგნიდან. ისევე სდუმდა შინამოც, როგორც მთვარის შუქით ნაბანი ცისქვეშეთი. ფრთხილად მიაწვა კარს... ჩაეკეტნა ლილის. გაბრუნდა და ჩავიდა ძირს. უკვე დათრთვილვა მოესწრო ნამს. ვერცხლის ქამარივით მოჩანდა სკოლისკენ გაყვანილი ბილიკი.

დილით მართლაც იმ ბილიკით წავიდა ლილი სკოლაში. ფრთხილად მიაბიჯებდა რატომღაც. თანაც ისე დაიცქირებოდა ძირს, თითქოს ყინულზე მიდის და ეშინია მისი ჩატეხვისო. ყურადღებით აკვირდებოდა რუდუნებით ნახელავს. მივიდა ყორესთან, მაღლა და განზე გასწია მკლავი. თი-

თქოს დასაყრდენს ეძებსო ჰაერში, ისე გაასავსავა ხელი. ფრთხილად ავიდა ზედ, ფრთხილადვე ჩავიდა ძირსაც და მერე ყამირზე გამართა ნაბიჯი.

საუზმის შემდეგ აიღო ურო-კვერი, ბარ-წიჩაბი, ლარი და ჩავიდა წყაროსთან. მიაჩერდა სასიამოვნოდ მოქლურტულეს. საამურად გამოჩუხჩუხებდა დამრეცი ბექიდან. მან, ვინც ყიზლარში ატარებდა ყოველ ზამთარს, კარგად იცოდა გემრიელი წყლის ფასი. დედამ შთააგონა აქედან სახლამდის გაეყვანა ბილიკი. აქ ხომ ლილიც ჩამოვიდოდა წყლის წასაღებად!

ბარით ასწორებდა წყაროს წინა მოედანს და ფიქრობდა ლილიზე, იმ ღამით ნახულ სიზმარზე... აი, გაიყვანდა ბილიკს და ეტყოდა ლილის, რომ... თუმცა რად უნდოდა თქმა?.. როცა მოასწორა მოედანი, თითქოს ბეტონის ფილებიაო, ისე მოაგო სიპებით და მერე მიადგა წყაროს. დაამსხვრია ქვები და სულ ლურჯი ნამტვრევით აშოაშენა აუზის საშუბლე კედელი, დაქარგა თეთრი კენჭების გრეხილი ზოლებით, დაუდო ლარი და წყალმა პირველად გაიკვლია გზა სწორსა და გლუვ სადინარში, ჩხრიალით გადაეშვა ქვებზე დაგუბებულ ტბორში. უფრო მხიარულად, უფრო ხმამაღლა ამღერდა და გარემოს გაბედულად ამცნო თავისი მეორედ დაბადება. მიუშვირა პეშვი ჭავლს და დიდხანსა სვა ცივი და გემრიელი წყალი. მერე გაირინდა ფიქრში. რა კარგი იქნებოდა, რომ აქ, ამ წყაროს თავზე, შრიალებდეს ტოტებგაბარჯღული ვერხვი, აუზის ირგვლივ ჰყვაოდნენ ყვავილნი, აქეთიქით იდგეს სკამები... მოვა გაზაფხული, ამწვანდება ველი, გაიფურჩქნებიან ყვავილნი... მოაგორა ორი კაი დიდი ლოდი და ორივე ისე ჩასვა მიწაში, რომ მოსახერხებელი ყოფილიყო ჩამოსაჯდომად. მერე ჭალაში მოთხარა მოზრდილი ვერხვი, დარგო აუზის გვერდით და ჩავიდა მზეც. ერთხანს მიაჩერდა ვერხვის გახრეკილ რტოებს და წარმოიდგინა ცხადად, როგორ აშრიალდებოდა ზაფხულში. მართალია, ეს არ იყო მზე, არც იფანი, მაგრამ მაინც ხელშეუხებელი იქნებოდა სამუდამოდ, ვითარცა წმინდა ხე ხატის კარზე. იშრიალებდა საამურად, ლაღად, ვით სპეტაკი სიყვარულის მკვიდრი დასტური...

ბინდისასლა ავიდა შინ, მაგრამ იქ არ დახვდა ლილი. მერე ფეხაკრეფით მივიდა და შეიჭვრიტა მის ოთახში. ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიდან მკრთალად მოჩანდა იგი. თავჩაღუნული მისჯდომოდა მაგიდას. ისევ გამობრუნდა უკან.

— ივახშმეთ? — ჰკითხა დედას.

— აბა ვინა? შემოვიპატიჟე, მაგრამ არა მცალიანო.

რაღაცნაირად ეუცხოვა ლილისგან... დააკაკუნა კარზე და, რომ მოესმა მოდიო, შეაღო და გაჩერდა ზღურბლთან.

— მოდი, ვივახშმოთ!

— არა მცალიან, სამუშაო მაქვს ბევრი. კლასი მომცეს და იმის შინაგანაწესსა ვწერ ახლა.

— მერე დაწერე!

— ამის გარდა ბევრი საქმე მაქვს სხვა! — უპასუხა და კვლავ ბეჯითად განაგრძო წერა.

უყურა ცოტა ხანს, მერე ფრთხილად გაიხურა კარი და გაჩერდა აივანზე. რატომ შეხვდა ლილი გაბუტულივით? თებრომ ხომ არსად გათქვა ის ამბავი?.. წაიხემსა უგულოდ, მერე გაეცალა სუფრას და გავიდა აივანზე. უკვე ამოსულიყო მთვარე. ქარვისფერ შუქში ბანაობდა მთელი მიდამო. რაც გარეაეს ცხვარი. ჩამყუდროვდა ღამეები: აღარ ისმოდა შეზარხოშებულთა კივილი და სიმღერები, ძაღლების ღავღავი, გაჭენებულ ცხენთა თქარათქური, თოფის სროლა... ფეხაკრეფით მიუახლოვდა ფანჯარას. კვლავ ფხიზ-

ლობდა ლილი. შეიძლება მართლაც აქვს ბევრი საქმე!.. ქურთუკმოსხმულმა ჩაიარა კიბე და გაუხვია წყლისკენ. როგორღაც მოწყენილად, დაობლებულივით გამოიყურებოდა მთვარის შუქში გახვეული არემარე. ჩამოჯდა ქვაზე და მიაჩერდა აუზს. მერე წმინდა ხეს გაუშტერა თვალი. გაიფოთლებოდა ამ ზაფხულს... მალე გამოაფხიზლა სუსხმა და გამობრუნდა უკან. აღარ კრთოდა სინათლე ლილის ფანჯრებიდან. დაწოლილიყო წოწკურიც. წყნარად შეიპარა შინ.

დედის ფუსფუსზე გაეღვიძა დილით. წოწკური ტრიალებდა ღუმელთან. უკვე გაემზადებინა საუზმე და ბუზღუნებდა გულდაწყვეტილი:

— მე არ ვიცი, რასა შჭამს ე გოგო! მშიერი თუა, რაზე იკლავს თავსა?

— იქნებ მე მერიდება, გავალ და დაუძახე!

— აბა რაღა დავუძახო? წავიდა!

ნუთუ ეძინა ამდენ ხანს? სკოლაში წასვლაც კი დაუსწრია ლილის. მყისვე წამოვარდა ზეზე, ჩაიცვა და მიირბინა ფანჯარასთან. სწორედ ამ დროს გადააბიჯა ლილიმ ყორეზე. ახლა უკვე დათრთვილულ ყამირს აჩნდებოდა მისი პატარა ნაფეხურები. ნელა ავიდა კიბეზე, გაიარა აივანი და თან მიჰყვა თეთრ კედელზე ირიბად გაწოლილი ჩრდილიც... წუხელ თუ არ ეცალა სავახშმოდ, ახლა? რატომ წავიდა უზმოდ? რად იქცევა ასე? დაფიქრდა და რაღაცნაირად დაეხურა გული. დაღონებული ჩავიდა წყაროზე და კიბის ფორმაზე გამოსჭრა პატარა ბექობი, მერე დააწყო ქვები, რათა ავდარში არ ჩამოტალახებულიყო მიწის კიბე. კარგად მოაპირკეთა საფეხურები...

— ცხორში ხო კაი ბიჭი ხარ, კარგი ბალღა ხყოფილხარ შინა საქმეშიცა, გამარჯვება!

ერთხანს პირღია შეაჩერდა თებროს. მერეღა უპასუხა სალამზე.

— შენთან სალაპარაკოდ მოვედ! — როგორღაც წყნარად და მორცხვად წარმოსთქვა მან, თანაც გამალებით განაგრძო წინდის ქსოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალბათ, ისევ იმ საქმეზე უნდა მითხრას რაღაც...“

თებროს შეკავებული ღიმილი უკრთოდა ტუჩების კუთხეებში, თანაც ათვალიერებდა იქაურობას. მერე ისევ დახედა წინდას და, არ შეუწყვეტია ქსოვა, ისე თქვა:

— რთველში ვართ დაპატიჟებულნი იმ დედაკაცთან, ჩვენსა რო ხქონდა ღვინო გასაყიდი.

— თქვენი ნათლიდედა? მე რაში დამპატიჟებდა ისა?

— ველაპარაკე. იცის ყველაფერი. რთვლობას ჩამაიყვანე და ვაჩვენოთ გოგო-ბიჭს ერთურთიო. დღეს კი მამივიდა დეპეშა... შენ იქნებ აღარც კი გინდა აღარავინ. ანდე, შინ მოგივიდა თავის ფეხით... — თქვა და ეშმაკურად გაიღიმა თებრომ.

— მე რა მამივიდა...

— რა, არ მოგწონს?

— მე ბევრიც მომწონდეს, მერე რა!

— ჰო, ეგა... აქაოდა, ნასწავლი ვარო, არ გაგიყადრებს თავსა!

არ ესიამოვნა ეს სიტყვები. სულაც არ უფიქრია აქამდე, რომ ნასწავლი იყო ლილი და ამით დააჭარბებდა თავს. აი, რატომ ერიდება თურმე!

— შენ იცი, ძმაო, გინდა წამოდი, ნახე ისიცა. თუნდა... ვისკენაც გაგიჭრის ბედი, ის დაგრჩება ბოლოს... წამო, განა აუცილებელია, რო ის საქმე... გაიხარებ რთველში, წყალს დაალევინებ თვალსა!..

„ჰო, რთველში შეიძლება,“ — გაიფიქრა და ჰკითხა:

— ვინა და ვინ მისდიხართ?

— მენა, კაცრიელი და ბალღები. ცოტა ადრე წადი შენა, ქვეშეს დაგვიხვდი ავტობუსების გაჩერებასთან... აბა, კარგად იყავი! ეგრე, როგორც გითხარი!.. — თქვა და ქსოვნითვე გაბრუნდა უკან.

საღამოსღა მოვიდა ლილი. წიგნები და რვეულები მოიყოლა თან. ცარ-

ცითა და მელნით ჰქონდა დათხვრილი ლამაზი თითები. შეჩერდა აივნის კიბესთან და იკითხა გულგრილად:

— სად მიდის ეს ბილიკი?

— წყაროსთან! — უპასუხა ამ ყურადღებით გახარებულმა.

ლილი შეყოვნდა და დაფიქრდა რატომღაც.

— იცი რა კარგად გავაკეთე? აბა წამო, ნახე! — უთხრა და გაუძღვა წინ.

ჰკვლევდა ბილიკს და ისე მიჰყვებოდა ლილი. ნელა ჩაიარეს კიბე, მოათვალიერა სიპებით მოგებული პატარა მოედანი და მიაჩერდა წყაროს.

ხან აუზს შეხედავდა გახარებული, ხანაც — ლილის.

— ჩამოხოლ, წაიღებ წყალს და არსად არ მოგეცხება ტალახი. შეგიძლიან აქვე დაიბანო ხელ-პირიც. თუ დაღლილი იქნები, ჩამოჯდები აქ, დაისვენებ... გაზაფხულზე გაიფოთლება ეს ვერხვიც...

— დედა, რა კარგია! — როგორღაც გულგრილად ჩაილაპარაკა ლილიმ.

— თუ გინდა, აქ წაიკითხავ წიგნსაც... ზაფხულში იქნება კარგი! ყვავილებს დავრგავ ბილიკის ნაპირებზე... — ლაპარაკობდა გახარებული და ხანდახან შებორძიკდებოდა მოულოდნელად, რადგან ლილი გულგრილად, უგრძნობლად როგორღაც მისჩერებოდა წყაროს.

შეატყო, რომ სრულებით არ უსმენდა და გაჩუმდა გულდაწყვეტილი.

ლილიმ წიგნები და რვეულები დააწყო იქვე, მივიდა ღართან და მიუშვირა ხელი ნაკადს. გადაიბანა და მუჭით შესვა რამდენიმე ყლუპი.

— კარგია, ძალიან კარგია! — თქვა ბოლოს, აიღო წიგნები და გაბრუნდა სახლისაკენ.

გაჰყვა თავადაც. უნდოდა შეჰყოლოდა შინაც, მაგრამ გადაიფიქრა მისი გულგრილობით დაღონებულმა. დააბინავა საქონელი, მერე დაიბანა ხელები და ავიდა შინ. ეგონა, წოწკურთან დახვდებოდა ლილი, მაგრამ მას კვლავ თავის ოთახში ენთო სინათლე. შეიხედა ფანჯრიდან და, როგორც ღრუბლებში მბჟუტავი მთვარე, ფარდებში ეგრე როგორღაც მოჩანდა მაგიდასთან მიმჯდარი ლილი.

„რად იქცევა ასე?“ გაიფიქრა და შევიდა შინ.

— მიდი, უთხარი შემოვიდეს!

— რაღა ვუთხრა, აბა! — თქვა და გავიდა წოწკური. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა და გააქნია თავი: — არაო!

„ნეტა რად არი ასე? თუ გათქვა თებრომ ის ამბავი, ვინ შეატყობინა ლილის? ნუთუ მასწავლებლებმაც იციან ჭორაობა?“

ადრე ადგა დილით. დაიბანა თავი, გაიპარსა პირი და გამოეწყო სასტუმროდ.

— სად ემზადები? — შეეკითხა დედა.

— ჩავალ დუშეთს!

ამ დროს ნანატრივით შემოვიდა ლილი. ესიამოვნა, რომ შემოუსწრო კარგად გამოწყობილს. ზედ დარჩა თვალი ლილის, გაუღიმა კიდეც. გამხნევდა ამით. მოიკრიბა იმედი... ერთად გავიდნენ შინიდან. მალე უნდა გაყროდა ლიყო მათი გზები, მაგრამ წაჰყვა სკოლამდის. აი ეხლა კი ჰქონდა დრო, ეთქვა გულახდილად, რომ უყვარს ძალიან, უყვარს და აღარ შეუძლია მეტის მოთმენა. მაგრამ ვერ გაბედა ხმის გაღება. უთქმელობის გამო წუხდა შინაგანად. რამდენადაც ახლოვდებოდა მათი გაყრის დრო, იმდენად უფრო განიცდიდა გაუბედაობას. ბრაზობდა თავისთავზე. რომ მოჰყავდა შინ, მაშინ იქცეოდა თამამად და რა ემართება ახლა? ნასვამობას დააბრალა ის გამბედაობა. გადაწყვიტა, როცა დაბრუნდებოდა რთვლიდან, დაელია ცოტა, დამთვრალიყო ისე, როგორც მაშინ, და ეთქვა, რომ უყვარს ძალიან...

გივი ბუთხუზი

ფშინდა ხე

— სად მიდიხარ? — ჰკითხა ლილიმ.

— ნათესავებში!

ეგონა, კიდევ შეეკითხებოდა რაღაცას, მაგრამ აღარაფერი უთქვამს მეტი. ამ დროს გაიყარა კიდეც მათი გზები. „ვატყობდი, ეხამუშებოდა ჩემთან სიარული“, გაიფიქრა და გაახსენდა ის წუთები, როცა სკოლაში გააცილა გაუპარსავმა, დაუბანელმა და ცუდად ჩაცმულმა. მაშინ არ თაკილობდა მწყემსის გვერდით სიარულს, ახლა...

გზის პირას ელოდა ცოლ-ქმარი. თებრო ბავშვს უწმენდდა მოთხვრილ ფეხსაცმელს და უჯავრდებოდა ნამეტნავად გულმოსული... მალე გამოჩნდა ავტობუსი. გააჩერებინეს და აიბარგნენ შიგ. სალონი სავსე იყო მგზავრებით, მაგრამ კაციშვილი არ იღებდა ხმას. თითქოს რაღაც იდუმალ სევდას შეეპყრო ყველა. შეხედა თებროს და კაცრიელს. მდუმარედ იყურებოდნენ გარეთ. ახლა, ამ ხალხთან შედარებით, სულ სხვანაირი ყაიდისანი ეჩვენებოდნენ მწყემსები. მართალია, სიტყვაძუნწნი და კრიჭაგაუხსნელნი იყვნენ ცალცალკე, მაგრამ როგორც კი ხუთიექვსი ერთად მოიყრიდა თავს, აბა მაშინ იყო სეირი! მხიარულად იგონებდნენ სასაცილო ამბებს. ლამის იფხრიწებოდნენ გულიანი სიცილით. თავად მაინცა და მაინც არ ეხერხებოდა ეგრერიგად ლაპარაკი, მაგრამ ბევრნი იყვნენ ისეთები, მოხდენილად, კვიმატად რომ ხუმრობდნენ ერთმანეთში. მწყემსი იყო კაცრიელიც, იცოდა ლაზათიანი ხუმრობის ფასი, მარილიანი მოსდიოდა სიტყვაც, მაგრამ საბრალოდ სდუმდა აქ, რადგან არავინ ეგულებოდა ამყოლი. ისე ეჭირა თავი, თითქოს მჭადიდან ვერ გამოარჩევდა ნახშირს. მაგრამ აბა ეს იყო, თუ ვინმე იყო, აი!.. უნდოდა თუ არა, თავადაც უნდა ყოფილიყო დანარჩენებივით გაჩუმებული. რა იყო მისი ფიქრის საგანი? ერთი სუსტი და გამხდარი, შავთვალწარბა და თეთრი ქალიშვილი, ბარიდან რომ მთაში გაგზავნეს მასწავლებლად. პირველად ძალიან ამპარტავანი ჩანდა თითქოს, მაგრამ მერე მოტყუდასავით როგორღაც. ერთი შეხედვით საცოდავადაც კი დაიჭირა თავი. მაგრამ აი, ამ ბოლო დროს გაიხედა გან̃ზე და კვლავ ასწია ცხვირი. თუმცა ამ დილით, ერთად რომ გამოვიდნენ შინიდან, ისევ დახარა თავი მორცხვი ყაყაჩოსავით.

რამდენადაც დაღმა მიიწევდა ავტობუსი, იმდენად უფრო ემატებოდა ფერი გარემოს. მთებში ხომ მთლად გადაყვითლდა ხეთა სამოსი, ზოგს გასცვივდა კიდეც, ქვევითა და ქვევით თანდათან მატულობდა სიმწვანე. გარემოს თვალიერებით განვლო ფასანაური, ანანური, ჟინვალი... მერე გაგანიერდა ხეობა, ბოლოს ერთბაშად გააღო პირი და დაჩნდა თხელ ბურუსში გარინდული მინდვრები. ჩაწეული მინებიდან განუწყვეტლივ შემოსისინებდა ნიავი და თან მოჰქონდა მწიფე ხილის მსუყე სურნელი. გასცქეროდა მტრედისფერ ბურუსში გარინდულ ველებს და ელანდებოდა ბარის ჩვეულებრივი სოფელი გამრჯე და კუნთმაგარი ადამიანებით. მათში ბევრნი იქნებოდნენ ლამაზი გოგოებიც... თუნდაც სწორედ ისეთები, წლეულს რომ დაამთავრეს საშუალო სკოლა და დარჩნენ სოფელში. რამდენადაც უფრო შეიგრძნობდა ნაყოფიერი ველების მსუყე სურნელს, რაც უფრო მეტად ფიქრობდა აქაურებზე, იმდენად მეტად იმსჭვალებოდა მათდამი პატივისცემით. ფიქრობდა მომავალი მასპინძლის ქალიშვილზეც, რომელიც წარმოდგენილი ჰყავდა როგორც მსუქანი და ჩაპუტკუნებული გოგო, ერთთავად რომ წითლად უღვივის ღაწვები, ლაპარაკობს ღუღუნა ხმით და ვალიმებისას პატარა ღრმულები აჩნდება გატკეცილ ლოყებზე.

ლარივით სწორსა და მოგუდრონებულ გზაზე მიქროდა ავტობუსი, მიირწეოდა საამურად... მაშინღა გამო-

ერკვა ფიქრებიდან, როცა კაცრიელმა შოფერს გააჩერებინა მანქანა. რომელიღაც დიდ სოფელში იყვნენ უკვე. ათვალიერებდა მწვანედ მოხასხასე ეზოებს, მწიფე. ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს, გზის პირებზე აქა-იქ მოსაუბრე ბიჭობას... ჩავიდნენ ძირს და გაჩერდნენ გზაჯვარედინთან. მერე ტაქსს გაუსტვინა კაცრიელმა. იქვე ბარგთან მოსრიალდა მანქანა. მას რაღაცა სახელი უთხრა სოფლისა, მერე ჩასხდნენ და გაუდგნენ დასიცხულ მინდვრებში ლეგად გაწოლილ გზას. ჩაწეული მინებიდან კვლავ შემოუბერა ნიავმა. ცოტა ხნის შემდეგ შევიდნენ ორღობეში და თანდათან უკლო სვლას ტაქსმა...

გადმოვიდნენ მანქანიდან, გაისტუმრეს მძღოლი და თებრომ გაიყოლა ბავშვები. კაცრიელმა წამოიკიდა ხურჯინი, რომლის ერთი თვალიდანაც მოჩანდა ფეხებგაკრული თოხლი, აიღო ჩემოდანიც და გაუხვია მაღალი სახლისაკენ. დანარჩენს თვითონ წამოავლო ხელი. შევიდნენ თუ არა ჭიშკარში, დაჩნდა მწვანედ მობიბინე ეზო, დიდი კაკალი, ოწინარაღმართული ჭა, სიძველისაგან ოდნავ გვერდზე გადახრილი და ხავსმოკიდებული კრამიტით გადახურული ფიცრული...

კაცრიელი ცოლ-შვილზე წინ წადგა და დაიძახა თავისებური გუგუნა ხმით. წუთიც და გამოჩნდა დიასახლისი. სიხარულითა და სიცილით ჩამოეგება იგი სტუმრებს. მას გამოჰყვნენ სხვებიც და უმალვე აღმოჩნდნენ გახარებულ დამხვდურთა ალყაში... იმ ხალხში ბევრი ერია კარგი, ლამაზი გოგო, მაგრამ რომელი იქნებოდა ის? როცა მინელდა ჟრიამული, შინ შეიპატიჟეს სტუმრები. სავსე მაგიდას მეჩხერად შემოსხდომოდნენ მეინახენი. ხელის ჩამორთმევა, გაცნობა... ათვალიერებდა დაუსრულებლად აჟღურტულებულ გოგოებს, რომლებსაც კაცებთან და ბიჭებთან თამამად ეჭირათ თავი.. კარგად რომ წაიხემსეს, წამოდგნენ ახალგაზრდები და გავიდნენ სადღაც. მერე წასჩურჩულა კაცრიელმა, რომ ყურძნის საკრეფად მიდიოდნენ და უნდა გაჰყოლოდნენ. თავიდანაც ეზოდან მესრის კარით გადავიდნენ ვენახში. ჩაუარეს პამიდვრის ბუჩქებს, კიტრის ბარდებს, გაკრეფილ ვაზებს და შევიდნენ მსხმოიარეში. ლაპარაკობდნენ, (დილით დაეწყოთ რთველი), ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ მერთველენი, თანაც გამალებით სჭრიდნენ მტევნებს და აწყობდნენ კალათებში. მისჩერებოდა მავთულებზე გაკრულსა და ნაყოფით დამძიმებულ ტოტებს... პირველად იყო რთველში. ყურძენი კი ეგემნა ბაზარში, მაგრამ ტკბილი ეჩვენებოდა ეს უფრო. ჭამდა და დასცქეროდა კანდაკორძებული ვაზის ძირში გათოხნილ ფხვიერ მიწას. უკვირდა, იქიდან როგორ მოდიოდა ასეთი სიტკბო. შაქრის ნატეხები ხომ არ ეწყო ფესვებში? ლერწებს მძიმედ ეკიდა მზის მცხუნვარებითა და მიწის ღალით დატენილი მტევნები.

— აგერ ეს მიირთვით! — მოესმა მოულოდნელად.

რატომღაც შერცხვა და მყისვე მიბრუნდა გაწითლებული. მის წინ მორცხვად იღიმებოდა ტანთოქმა და ლამაზი გოგო. გამოწვდილი ხელით ეჭირა თხელი, მზისფერი მარცვლებით შეჯონჯლილი კუფხალი.

— ეს უფრო ტკბილია, ასეთები არჩიეთ საჭმელად!

— სულ ერთი არ არის?

— არა, თხელ მტევანს კარგად სწვდება მზე და შაქრდება უფრო. კუმსი კი ნაკლებ ტკბილია იმიტომ, რომ მზე ყველგან ვერ ატანს კარგად.

ქალიშვილი რაღაცით ჰგავდა მასპინძელს. გაახსენდა ლილი. სჯობდა ეს იმას. ახალგაზრდა იყო უფრო, ლამაზი, მხიარული, ცოცხალი... მაგრამ ლილი... მაინც ის ეჯდა გუნებაში.

— პირველადა ხართ რთველში?

— კი!

იქვე მოიტანა კალათი, მიუცუცქდა ვაზს და ზედიზედ ააჭრა მტევნები. როცა კალათი წაიღო სადღაც, მოვიდა ქეთო:

— ანდე, დააკვირდი კარგადა, ხო კარგი გოგოა?

— კი!

— ჰოდა, დააკვირდი! ელაპარაკე! — უთხრა და გაშორდა მერე.

მართლაც კარგი იყო მასპინძლის ქალიშვილი. სჯობდა ლილის, მაგრამ... რა დაავიწყებს იმას, როცა მოხვია ხელი და ჰკოცნიდა მთელი ქინით?

კვლავ მოხუსხუსდა მასპინძლის ქალიშვილი, ასჭრა და ასჭრა მტევნები. ხელად გაავსო კალათა...

— თქვენ სოფელში კი არ არის ვენახი?

— არა!.. მთებია სულ! დიდი, მაღალი მთები!

— როგორ მაინტერესებს... თქვენებური იყო ყაზბეგი, არა?

— მოხევე იყო ის. მთას იქით ისენია, მთას აქეთ — ჩვენა.

— სულ ერთია! ვგიჟდები მის ნაწარმოებებზე! უნდა წამოვიდე როდისმე, დავათვალიერო, მაინტერესებს...

— რაღა როდისმე? აი, ეხლა რო წავალთ...

— წამიყვან?

უცბად აუჩქროლდა გული ამ სიტყვებზე. ცხელი რაღაც მოაწვა სახეზე. იგრძნო, როგორ აეწვა ლაწვები. „წამიყვან?“ რანაირად იყო ნათქვამი! ძალიან თბილი. ბევრის დამტევი იყო ეს სიტყვა. პირდაპირ გულში მოხვდა და შემოევლო სასიამოვნო ჟრჟოლა.

— ჰა? — თავდახრილმა შეეკითხა და გამოხედა სხივებივით გაშლილი წამწამებიდან.

— რატო არა? — უპასუხა დარცხვენით, მიმოიხედა თანაც. მართალია, ყველანი საქმით იყვნენ გართულნი, მაგრამ შეამჩნია მაინც, რომ ზოგიერთები ზვერავდნენ ჩუმჩუმად. კიდევ უფრო გაწითლდა და გადაწყვიტა, შორს დაეჭირა თავი. დაიხარა მსხმოიარე ვაზთან და, როგორც კი შეაქცია ზურგი, მყისვე იგრძნო უხერხულობა. კვლავ მიბრუნდა მისკენ, მივიდა ახლოს და ჩუმად ჰკითხა სახელი.

— ქეთი! — მორცხვად, მაგრამ ხმამაღლა უთხრა მან, — მე ძალიან მაინტერესებს, როგორი ხალხი ცხოვრობს თქვენთან? — ჰკითხა და ამოუდგა გვერდით, ლამის ზედ მიაყრდნო მხარი და ისე განაგრძო კრეფა.

— ჩვეულებრივი! აი, როგორიც — კაცრიელი, მე!..

— გიცქერით და თვალწინ მიდგას ელგუჯა, მათია, გივარგი, მარტია... ახლაც არიან იმათნაირი მამაცი ვაჟკაცები?

— რატო არა, კი!

— რა კარგია! ნეტავი ეგეთ ხალხში მამყოფა სულ! ეხლაც იტაცებენ ქალებს?

— თუ ბიჭს უყვარს გოგო და მშობლები არიან წინააღმდეგნი, კი!

— თქვენებური ბიჭი რომ ვიყო, უეჭველად მოვიტაცებდი ერთ კარგ გოგოს, ყველაზე ლამაზს... მოვიტაცებდი და წავიყვანდი მიუვალ მთებში. ვიქნებოდით იქ... ვიცხოვრებდით მარტო ჩვენ, ორნი! ჯიხვის მწვადებით გავიტანდით თავს! მეყვარებოდა... ჩავიძვრენდი სულში! შევწირავდი თავს! ძალიან მიყვარს ეგეთი მამაცური საქმეები!

— თქვენ რო მოგიტაცოთ ვინმემ?

— მერე რა? მოვიდეს, ვინც ვაჟკაცია!

რატომღაც გაახსენდა ლილი. მასთან შედარებით ცოტა რაღაც მოაკლდა ქეთის. ლამაზი იყო ძალიან, ლილიზე გაცილებით ლამაზი, მაგრამ ატაცებულობა ამცირებდა ცოტათი. იქნებ არც ევარგებოდა უამისოდ? ალბათ, დაამახინჯებდა ლილისებური სიდინჯე. მიმოიხედა. ირგვლივ და, თითქოს ეშინია ვისიმეო, უთხრა წყნარად:

— თქვენ ძალიან კარგი გოგო ხართ!

— მართლა კარგი ვარ? — ვარდისფრად შეეფაკლა სახე.

...ისე გავიდნენ ვენახის ბოლოში, ვერ გაიგეს ლაპარაკში გართულებმა. დანარჩენები უკვე ბრუნდებოდნენ თავში, რათა ხელუხლებელი რიგებიდან დაეწყოთ კრეფა. სავსე კალათებსა და სათლებს სცლიდნენ გოდრებში. არჩეული მტევნების ჭამით ბრუნდებოდნენ უკან. იქვე იდგა ერთი დაბალი, გამხდარი, ნაბდისქუდიანი კაცი, რომელსაც ხშირსა და ჯაგარა ულვაშებში ძლივს უჩანდა ნესტოები და ტუჩ-პირი. აყანყალებდა თავმოდგმულ გოდრებს და გაიძახოდა დაღლილობისგან მისუსტებული ხმით:

— ღმერთო ბარაქა დაუდევ ნატუას მოსავალსა, ჭურ-მარანსა!.. მშვიდობასა და ლხინ-მხიარულობაში მაახმარე თავის ნაწვავ-ნადაგი!

ჯერ არსად ენახა ასეთი გარეგნობის კაცი. ჯილად წამოზრდილი წარბები თითქმის მთლად უფარავდა ყიყმატსა და ცისფერ თვალებს. მოუნდა მისი გამოლაპარაკება, მიიტანა ორივე კალათი და მიესალმა გაღიმებული.

— გაგიმარჯოს ღმერთმა! — უპასუხა კაცმა და თავადაც გაუღიმა ძველი ნაცნობივით, — შენ აქაური არ უნდა იყო... ვინ არი ეგა, ქეთო? — მიუბრუნდა ქალიშვილს.

— მთიულია, ფიდო ძიავ!

— ჰოო. კიდეც იმიტომა მაღალი და ლამაზი! როგორ გიხდებათ ერთად დგომა!...

ახლა ხელებზე მიაპყრო ყურადღება. არწივის ჭანგებივით ერთთავად მოღუნული ჰქონდა ლამის გახევებული თითები. ძალის დატანება სჭირდებოდა მათს გაშლაზე.

ფიდომ შეამჩნია, რომ ხელებზე უყურებდა სტუმარი, თავადაც დაიხედა ზედ და თქვა:

— ბარისა და თოხის მუდმივი ხმარებით დამრჩა ესე. ძლივს გავშლი ხოლმე... აბა ერთი, ამკიდე! — უთხრა თეგერას, თანაც გოდრის ყურს წაავლო ხელი, მიუბრუნა ზურგი და ჩაიდრიკა მუხლებში.

უშველა აწევა.

ფიდო თითქმის მთლად დაფარა გოდორმა. ფეხებიღა უჩანდა მარტო. რაღაცნაირი სიბრალულით განიმსჭვალა მისადმი. დაფიქრებულმა გააყოლა თვალი.

— ფიდო, ვინ გითხრა, გოდრები ზიდეო? — დატუქსა ვენახის ბოლოში გამოჩენილმა მასპინძელმა.

— ვინა და ჩემმა თავმა!

— როგორ მინდა შენთან საუბარი, მაგრამ აღარ ვიცი, რაზე გელაპარაკო! — ჩუმად ჩაიდუდუნა ქეთიმ. — დავისვენოთ თუ გინდა, ჰო?

— ვკრიფოთ ნელ-ნელა.

— აი რა კარგი მტევანია, აპა! — გაუწოდა ქეთიმ, თანაც დახედა და მოაწყვიტა რამდენიმე მარცვალი.

გამოართვა და დაიჭირა განზე. შეუბერა და ძირს ჩააგდო მარცვლებზე აცოცებული მწვანე ობობა. ჭამდნენ ორივენი და მიჰყვებოდნენ ბილიკს. გავიდნენ აბიბინებულს ეზოში და გახედა ცაცხვის ძირში შეკრებილ კაცებს, რომელთა შორისაც იდგა კაცრიელი. იგი მჯილით ატყავებდა ტოტზე ჩამოკიდებულ ცხვარს.

— მოდი, მარანი დაგათვალიერებინო!

ქვის კიბით ჩავიდნენ სარდაფში და უმალვე მიაპყრო ყურადღება მტევნებით პირთამდე სავსე საწნახელს. დაენანა ეს ამოდენა ყურძენი ერთად რომ იყო შიგ დაუდევრად ჩაყრილი. ხის ღარით რაღაც მიწანწკარებდა ქვევრში. თლილი ჭიქა იდგა საწნახლის თავზე. მიუშვირა ქეთიმ მომწვანო-მორუხო ჭავლს, გაავსო და გახედა სინათლეზე.

— აპა, ნახე როგორია!

გამოართვა და მოსვა ცოტა. ტკბილი იყო ძალიან...

უცბად გულიანად აკისკისდა ქეთი.

გივი გუთხუზი
წმინდა ხე



ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარი მიზეზი არ იყო სიცილისა, მაგრამ მაინც იცინოდა ხმამაღლა. ამ დროს გაისმა ხვნეშა და მიიხედა კარისაკენ. კიბეზე ნელა ჩამოდიოდა წელში ორად მოხრილი გოდორმოკიდებული ფიდო. მისი დანახვა თითქოს არ ეჭაშნიკა ქეთის. უცბად აიმრიზა და უთხრა გაანჩხლებით:

— ნეტა რა ძალა გადგია? მეტი საქმე არა გაქვს? წადი, მიხედე შენს ვენახს, ვინ დაგიძახა, მოდი და გოდრები ზიდეო?

ფიდო ხვნეშითვე ჩაიდრიკა მუხლებში, საწნახლის გვერდით მიდგა ტვირთი, მერე კვლავ გაიმართა წელში და ბანჯგვლიანი ხელის ზურგით მოიწმინდა ოფლი.

— შენ თავის დღეში ვერ გაიგებ, რა ძალა მადგია! — უთხრა მშვიდად, თავის ოდნავი ქნევით და გაბრუნდა ისევ.

— ქეთი! — დაიძახა დიასახლისმა.

— ჩუ! არ გააგონო! — წასჩურჩულა ქეთიმ.

— აგე იქ არიან, აგე! — მოესმა ფიდოს ხმა.

— გაგიხმეს ენა! — მიაწყევლა გულმოსულმა და გაეშურა კარისაკენ. გვერდზე ჩავლისას ხელზე მოჰკიდა ხელი და მოუჭირა ძალუმად. ვერ გაიგო, რატომ მოიქცა ქეთი ასე.

— რას აკეთებთ მანდა? — მარანში შემოიხედა დიასახლისმა.

— დავათვალიერებინე! — უპასუხა აწითლებულმა და გაბრაზებულმა ქეთიმ.

ქალმა ჯერ ერთი შეათვალიერა ყურადღებით, მერე — მეორე.

— მიდი მიხედე გოგოებს, სირცხვილია! ისინი მუშაობენ, შენ კი!.. — მკაცრად შესძახა და წარბშეხრით გააყოლა თვალი ვენახისკენ მიმავალ ქალიშვილს. მერე მოხედა თეგერას და უთხრა დაყვავებით: — შენ არ გეწყინოს არაფერი!

თეგერამ ის იყო დააპირა ვენახში დაბრუნება, რომ დაუძახა კაცრიელმა.

კვამლი და მწვადის სუნი გამოდიოდა სათონიდან.

— სადა ხარ... რამთვენს გათვალიერებ! — უთხრა მან, როცა მოვიდა ახლოს.

— მარანში ვიყავით.

— ცოტა შორს მაგ გოგოსგან, თორემ ქალების ჭკუა შენ თუ არ იცი, მე მკითხე. ოღონდ ერთი კი... და მერე აღარ დაეძებენ, რა იქნება ბოლოს. სირცხვილია, ქვეყანა გაიგებს და ორივეს მოგვეჭრებათ თავი!

ეწყინა და უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ შეუნახა ხათრი. ალბათ, რაღაც არ მოსდის ჭკუაში ჩემგანო, გაიფიქრა და გადაწყვიტა, ცოტათი უფრო სხვანაირად დაეჭირა თავი, შორს ყოფილიყო ქეთისგან...

ადრე გაეღვიძა დილით. კაცრიელის ხვრინვაზე გაახილა თვალები. წამოიწია და გაიხედა ფანჯრებისკენ. მინებიდან უკვე მოჟონავდა მტრედისფერი. რაკი არ ჩქამობდა არავინ, კვლავ მიდო თავი და გაირინდა ფიქრში. უმალვე წარმოუდგა ლილი... ხომ სჯობია ქეთი? მაშ რატომ ეს არ აჯადოებს იმგვარად? რომ დაესიძოს აქ, ალბათ, ვერ შეიყვარებს ქეთის. რა უბედური იქნება საწყალი გოგო! მას ეყვარება გაგიჟებით, თვითონ კი მუდამ წარმოდგენილი ეყოლება ლილი. და განა ცოდვა არ იქნება ქეთი? უბედური იქნება თავადაც, რომ ლილის წილ... ვერა, ვერ იზამს ამას! დაე, ბედნიერი იყოს ქეთი! ვინც ეყოლება ქმრად, მასაც უყვარდეს სულით ხორცამდე! ღმერთო, ნუ ამაშორებ ლილის! მასთან ამყოფე ჭირსა და ლხინში! დღესვე უნდა წავიდეს შინ!

ამგვარს ფიქრებში მომძლავრდა დილა... ადგნენ მერე, გავიდნენ და მიიარ-მოიარეს ეზო, ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს. აშკარად აკლდა კაცის ხელი ოჯახს. შეშის საჭრელ კუნძზე ეგდო დაბლაგვებული და ტარდაძრული ცული. ვერაფერი დაინახა ისეთი, გამოეთალნა ტარი. ამ

თვალიერებაში შენიშნა ანაზდად: ლობეზე მიკრულ ფიცარს ცხრა ლურსმანი ჰქონდა მირტყმული, ცხრავე ძირში გადუნული და მიჭეჭყილი... არ უნდოდა, მაგრამ თითქოს განგებ ეჩხირებოდა თვალში ამგვარი რაღაცეები. მერე გაიხედა იქითკენ, საითაც ეგულებოდა მშობლიური მთები. ძეძვით მოსილი გორა ეფარებოდა წინ. მის მიღმა, შორს, ციცაბო კალთებზე დაბალახობდნენ ნისლები. მათ ქვემოთ არწივის ბუდეებივით მიყუჟულიყო სოფლები. იქნებ ახლა უკვე სკოლაში მიეშურება ლილი? ლილი!.. ბავშვივით ინატრა აფრენა და თავიანთი სახლის წინ დაჯდომა. ერთხანს იქითკენ გაუშტერდა თვალი. თითქოს უხილავი ღვედებით რაღაც ეწეოდა შინისკენ. თვალწინ წარმოუდგა სახლი, ბოსელი, ველები, მთები... მიმოიხედა ირგვლივ. ვერაფერს დაახარბა თვალი. აქ არა ებადებოდარა საკუთარი და მშობლიური. არა მოიძებნებოდარა ისეთი, რაზეც მცირე ამაგი მაინც ექნებოდა გაწეული. ამიტომ არ იზიდავდა არაფერი. იქ კი... შინ... გაუვერანდებოდა სახლ-კარი, გაუჩანაგდებოდა ცხვარი — ყველაზე მეტად საამაყო და სასიქადულო! განზე დარჩებოდა ლილიც, ლილი!.. ალბათ, ახლა სარკესთან ივარცხნიდა თმას...

— რა ადრე ამდგარხართ? რა გეჩქარებოდათ? — ასძახდა გაღიმებული მასპინძელი.

— მთიულნი ადრე ადგომასა ვართ ჩვეულნი, ლოგინში ვერა ვძლებთ დიდხანს! — თავმომწონედ უპასუხა კაცრიელმა.

— წამოდით, დაიბანეთ ხელ-პირი, მზად არი საუზმე.

როცა შევიდნენ შინ, სუფრას უკვე უჯდა თებრო და რამდენიმე ქალი. მიუსხდნენ თვითონაც. მალე შემოემატნენ გოგო-ბიჭები. ბოლოს მოვიდა ქეთიც. გოგოებმა კიდევ უფრო გაამხიარულეს სუფრა. მძიმედ ეჭირა თავი. სდუმდა დაღონებულივით. არ ერეოდა მარაქაში. მერე კაცრიელმა დაატანა ძალა: ორჯერ ზედიზედ გამოაცლევინა დიდი სასმისი და გა[illegible]-თო თანდათან. მაინც თვალწინ ცხადივით ედგა მშობლიური კარ-მიდამო, იქ აფუსფუსებული ლილი. აი, სარკის წინ დგას ახლა და მტკიცედ დაგმანული ტუჩებით უჭირავს თმის სამაგრები. გამოიძრობს ერთს და ჩაირჭობს კეფასთან დახვეულს თმაში, კიდევ... მერე აიღებს წიგნებს, რვეულებს და წავა სკოლაში. ამ დროს შემოიტანეს გიტარა და ვიღაც გოგომ დაუკრა საცეკვაო. უნდოდა ქეთისკენ გახედვა, მაგრამ ეშინოდა თითქოს. ჰოი რა ტკბილი იყო ეს შიში! წამოდგა კაცრიელი, გაშალა ხელები და გაისმა ტაშიც. ფიცხად ცეკვავდა ტანაშოლტილი, ხელებგაშლილი. ახლა უფრო მაღალი და მოხდენილი ეჩვენებოდა კაცრიელი. ლამის თვალებით ჭამდნენ გოგოები. ერთხანს ცეკვავდა მარტოდ, მერე თებრო ჩამოუდგა და საყვარლად შეეშუშპრა ქმარს. ქალური სინარნარით უვლიდა წრეს. ნამდვილი ფარდი და დარი იყო კაცრიელისა. მათ ცქერაში რაღაცნაირად უგრძნო გულმა, რომ მალე გადაიწვევდნენ და გააგრძელებინებდნენ ცეკვას. მერე ჩამოუყენებდნენ ქეთის... გახედა მას. რაღაცნაირის დაჟინებით უცქეროდა ქეთი. უმალვე დახარა წამწამები, დააშტერდა იატაკს და წარმოუდგა ლილი. აი, წიგნები და რვეულები ამოუდვია იღლიაში და მიაბიჯებს მისთვის საგანგებოდ გაკვანილ ბილიკზე... თავდახრილივე. მიბრუნდა კარისაკენ და გავიდა გარეთ. როგორც კი მარტო აღმოჩნდა თავისთავთან, უმალვე რაღაცნაირად აუჩქროლდა გული. გაიხედა მთებისკენ და ამოისუნთქა შვებით. დროზე უნდა გასცლოდა აქაურობას. მიაცქერდა ჰიშკარს, მაგრამ უმალვე შებოჭა სინდისის არტახებმა: როგორ მიეტოვებინა თებრო და კაც-

გივი ბუთხუზი
ჭაინდა ხე

რიელი? მიბრუნდა კვლავ. აღარ უნდოდა შინ შესვლა. არა და, უხერხული იყო გარეთ დგომაც. უცბად მიწყდა ტაშ-სიმღერა და მერე კიბეზე ხარხარით ჩამოირბინა კაცრიელმა. მოდიოდა და ცხვირსახოცით იწმენდდა ოფლს.

— არ წავიდეთ?

— აბა როგორა? აღარ გვიშვებენ! ახლა ამათი მეზობლები გვეპატიჟებიან დიდის ამბითა!

— რო დამაბა, ავიწყვეტ და გავიქცევი!

— რა გეჩქარება? ვიყოთ და ვატაროთ დრო!

— უნდა წავიდე!

— კარგი, აბა მაშ მოვემზადებით ჩვენაცა!

...მართლაც, აღარ დარჩენილან დიდხანს. ძალიან ეხვეწებოდა მასპინძელი, ეპატიჟებოდნენ სხვებიც... მერე დაიწყო წამსვლელ-დამრჩომთა გამომშვიდობება... ჩამოუარა ყველას და, როცა ჯერი მიდგა ქეთიზე, მან ჩაღუნა თავი, მიბრუნდა გვერდზე და აუჩუყდა გული. არა ჰქონდა მეტი გზა, უნდა გაკლდევებულიყო როგორმე. ერთხანს უყურა მდუმარედ და გაშორდა რაღაცნაირის სინანულით...

მოედანზე უკვე ჩამომდგარიყო ავტობუსი. ავიდნენ და დააწყეს ბარგი.

თებროს რაღაცას ელაპარაკებოდნენ ქეთი და დედამისი, მაგრამ მალევე გამოემშვიდობა და მოუჯდა ქმარს. თითქოს მას უცდიდაო, ჩართო მძღოლმა ძრავა. უნებურად წაუვიდა თვალი ქეთისკენ. ნაღვლიანი, ფარული ცრემლით აცილებდა იგი.

დაიძრნენ და ამოისუნთქა შვებით... მოეწონა აქაური გოგოები. არაფერი არ ეცხოთ სოფლელობისა. ქალაქელებსა ჰგავდნენ სულ. ასევე... ბიჭებიც. კარგად ეცვა ყველას. მთაში ვერ იცვამენ ასე. ვერც თმას ივარცხნიან და იყენებენ ამათნაირად, ვერც ასე ნაზნი და მოხდენილნი არიან მთიული გოგოები. ჯერ ხომ ისევ ლამაზია თებრო, უმალვე გახუნდა მათს გვერდით, უდგრეში გამოჩნდა როგორღაც. გაირინდა ფიქრში და თანდათან მოიპარა ძილმა. როცა გაეღვიძა, უკვე მიახლოვებოდნენ სოფელს. ბავშვებს ეძინათ მარტო. გადასახვევთან გააჩერებინეს მძღოლს. დაიზურგნენ ტვირთით და გაუდგნენ გზას. უნდოდა ლაპარაკი მასპინძლებზე, მაგრამ თითქოს ჯიბრზე სდუმდა ცოლ-ქმარი. სწყინდა, რომ არ ეკითხებოდნენ არაფერს. მერე თავად ჩამოაგდო სიტყვა:

— კაი ხალხნი ყოფილან!

— ჰოდა აბა, შენ იცი ეხლა! ემაგათ კაცი და პატრონი უნდათ მარტო! მიდი და იქნები ბატონივით! — უთხრა თებრომ.

— მთის კაცს გაუჭირდება ბარში! — წამოიძახა კაცრიელმა.

—მთელი შირაქი მთიულებით არი სავსე, თუკი არ უჭირთ იმათა, რაღა ამას გაუჭირდება ბედენადა? — შესიტყვა ცოლი.

— მე ვერ დავბარავდი და ვერ გავთოხნიდი! წავიდეს იმის!.. ღმერთმა დალოცოს ჩვენი მთა! გარეკე ცხვარი და წამოუწექი გვერდოში! რამსიდიდე ვენახი აქვთ, იმის დაბარვა და გათოხნა... ერთთავად ცას უნდა უცქიროს ბარელმა კაცმა და ეხვეწოს ღმერთს. არ მოუვიდეს სეტყვა, არ იყოს გვალვა... დაილოცა ცხვარი!.. აბა გახედეთ ჩვენს მთებს! როგორ ამაყად აღერებულან ღრუბლებში! თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა! მკვდარსაც კი წამლად შეერგება ჩვენი წყალი და ჰაერი. რაღა ღირს, როცა წამოაქცევ ცხვარს და გადავა აბრაშუმივით ნაზი და ქათქათა კანძი. ცხრანაირ რთველს მირჩევნია ეგა! დილამს რო ჩაისხამ პარკში და მოსწურავ ყველს... მერე რო ჩააწყობ გუდიაში... დედაკაცო, შენ ჰკვიანად იყავ, თორო თუ მართლა გამიწყრა ღმერთი და აგაყოლე ჰკვა — ჩავსახლდი ბარში, მერე მამკითხე ერბო, ყველი და ხორცი!

— ვისაც ეგენი არა აქვ, ვერა გვჯობიან ჩვენა?

— რითა? იმთვენი ხალხი ვათვალიერე და ერთიც ვერავინა ვნახე კაცისფერი კაცი! მარტო მენა და თეგერა ვერიეთ ხეირიანები. აბა სხვა ვინა, ვინ მოგვედრებოდა ჩვენა? — შესძახა და ახარხარებული მიუბრუნდა ცოლს.

— ჰო, მარტო შენი თავი მოგწონს შენა!

ნელა შეუდგნენ აღმართს. ისევ განაგრძეს მცირე ხნით შეწყვეტილი საუბარი:

— გაგიგონიათ ჯერა, რო მთაში ვინმე გამხდარიყოს ავადა? ბარში კი რას არ გაიგონებს კაცი! ზოგი ინფრაქტს უჩივის, ზოგი — წნევასა, მარილებსა. შაქარსა... ე შაქარი და მარილები როგორიღა რამ იქნება ნეტა? აბ სად გაგიგონიათ მთაში ეგენი? შაქარი და მარილი ნეტა იმთვენი მოგვცა, ყიდვა აღარ დაგვჭირდეს... — ამ ხუმრობაზე ახარხარდა კაცრიელი.

ჭკუაში უჯდებოდა მისი ლაპარაკი. ჯერ სულ არა ფიქრობდა ბარში ჩასახლებას და ამ სიტყვებზე მთლად გაუფუჭდა გული. ეგონა, თუკი ჩავიდოდა მართლა, მაშინვე მიაფრინდებოდა რაღაც სნება. დაფიქრდა მერე, თვალწინ დაიყენა ყველა, ვისაც კი იცნობდა მთაში. ერთიც არავინ იყო სნეული. ხომ ათასგვარ სიდუხჭირეს განიცდიდნენ მწყემსები მთაბარობაში, მაინც ქვასავით მაგარი იყო ყველა.

გამოეთხოვა ცოლ-ქმარს და გაუხვია თავიანთი სახლისკენ. ეზოში შესვლისთანავე შეჩერდა და დიდი ხნის უნახავივით მოათვალიერა მშობლიური კარმიდამო, სკოლისკენ გაყვანილი ბილიკი.. მერე კვლავ განაგრძო სვლა. აივნის კიბის ძირში დადო ტვირთი და ჩავიდა აუზთან. სასიამოვნოდ მოჩხრიალებდა წყარო. მიუშვირა პეშვი და დაიბანა ხელები. დალია კიდეც. ბარში ერთხელაც ვერ ჩაატანა გემო იქაურ წყალს. გამობრუნდა უკან და ამ დროს გამოვიდა ბოსლიდან წოწკური.

— სად იყავი? — შეეკითხა შეშინებულივით.

დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

— მერე? რატო არა სთქვი? წაგელო ერბო ან ხორცი, როგორ ჩახვედი ეგეთი ხელცარიელი?

— თებრო და კაცრიელი დამხვდნენ ქვეშეს, იმათ წამიყვანეს სტუმრად.

ამ დროს მივიდნენ კიბესთან. წამოავლო ხელი სავსე ჩანთებს და ავიდნენ მაღლა. დასხდნენ აივანზე და ხონჩასა და ტაბაკზე ამოალაგა ყურძენი, ლეღვი, მსხალი, ვაშლი... თვალებად იქცა ხილს მიშტერებული წოწკური.

— დალოცვილია ბარი, ყველაფერია იქა! აქ რო არა იბადებარა მწარე პანტისა და მჟავე მაჟალოს მეტი... ამისი პატრონი კი გასწყდეს, აგრე აჰა! — წამოიძახა წოწკურმა და კარგა მოზრდილ მტევანს წამოავლო ხელი.

— ხილი რო გიყვარს, მაგის ქვეყანაა ბარი. ჩავიდეთ იქა!

— მიყვარს რა!.. ყოფილიყო აქაცა, რა გვინდა იქა?

„საცხოვრებლად არც დედაჩემს უნდა ბარი. უშლიდა შვილებსაცა... მე მეგონა, იმათი წასვლის შემდეგ შეიცვლიდა შეხედულებას. მაინც არ უნდა!" გაიფიქრა და ჰკითხა ყოველი შემთხვევისათვის:

— სადაც ხილია, იქ წავიდეთ ჩვენაცა!

— იქ რო წავიდეს ყველა, ვიღა იყოს მთაში? ბარელებს კიდევ მატყლი, ყველი, ერბო და ხორცი უნდათ. ჩავუტანთ ამეებსა და გავუცვლით ხილში! — ამბობდა წოწკური და გაფაციცებით ჭამდა ყურძენს.

— სად არი ლილი?

— გადავიდა სხვაგანა!

მოხუცი მტევანს დასცქეროდა და ერ შეუმჩნევია, შვილმა როგორ შეიცხადა ეს ამბავი. ერთხანს ეგრე იდგა გა-

შტერებული. მერე თანდათან მოეგო გონთ... გაშორდა დედას და დაღონებულმა აქეთ-იქით დაიწყო სიარული. ლამის ტიროდა ბოღმისაგან. ახლა განაღა გაიკარებდა ლილი! ანდა... როგორღა მივიდოდა მასთან?.. დახშირბინდებამდის იხეტიალა გარეთ, მერე შევიდა და დაწვა უმძრახად.

წოწკურს ლუმელის გვერდით ეფინა საწმისი, ზედ იჯდა ფეხმორთხმით და ართავდა არხეინად. უყურებდა მოხუცს და თანდათან ბრაზდებოდა მასზე. თითქოს იგი ყოფილიყოს დამნაშავე ლილის წასვლაში.

— ვისთან გადავიდა?

— ლომდარისას, ლიზასთან იქნება იქა!

რა არხეინად ლაპარაკობს!.. ლომდარისას... ლიზასთან... კარგა ხანსა ფიქრობდა და სდუმდა გატრიზავებულივით. წუთით მთელი სიცხადით წარმოუდგა ლომდარ — ამაყი, პირქუში, უკარება...

— ხომ არაფერი ეწყინა ჩვენგან, რად წავიდა ნეტა? გეკითხა მაინცა!

— აბა რა ჩემი საქმე იყო, როგორა ვკითხავდი?

მისი გულისთვის დარჩა შინ... მისი სიყვარულით გაიყვანა ბილიკი სკოლისკენ, წყაროსკენ... ახლა სულამც ოხრად დამრჩალა ყველაფერი!

დილით, როგორც კი გაახილა თვალი, კვლავ დაფიქრდა ლილიზე. თანდათან ისევ შემოაწვა სევდა. აღარ უნდოდა ადგომა, აღარავისი დანახვა არ ეწადა ამის შემდეგ.

დაიძახა ვიღაცამ და მყისვე მიატოვა ტარ-ფთილა წოწკურმა, გავიდა აივანზე. კარისაკენ ჰქონდა მიპყრობილი თვალი. აინტერესებდა, ვინ მოაკითხა ამ დილით, ვინ შემოჰყვებოდა წოწკურს. და აი, ლომდარმა გადმოალაჯა ზღურბლზე. გაჩერდა საკართანოს და თქვა სალამი. პატარაობიდანვე ხათრი და რიდი ჰქონდა ამ კაცისა, რაღაცნაირი შიშიც... ყველაფრით თავისებური იყო იგი. ჯერ მარტო გარეგნობით ხიბლავდა კაცს... გადმოკარკლული ბრიალა ცისფერი თვალები, ყავისფეფერი ჯმუხი სახე, განზე გადაშლილი ულვაშები, ზვიადი მიმოხვრა... პატივად ჩათვალა მისი მოსვლა. როგორც გალიაში დამწყვდეული მგელი ვერ ჩერდება ერთ ადგილას და მოუსვენრად აწყდება აქეთ-იქით, ეგრე მიმოდიოდა ლომდარ. წოწკურმა ლუმელის გვერდით დაუდგა სკამი, მაგრამ ზედაც არ დახედა სტუმარმა. მიმოდიოდა წელში ამაყად გამართული, თავაწეული... მონუსხულივით ადევნებდა თვალს და ატყობდა, რომ რაღაცის თქმა ეწადა სტუმარს. ბოლოს მობრუნდა და შესძახა დიდგულად, შეტევით:

— ჰაი დედაშენთა!.. რას უწევხარ ამთვენ ხანსა?

— ცუდად რასმე ვარ!

ლომდარს მკრთალად გამოესახა ღიმილი. ჯერ შუბლგახსნილი არ ახსოვს ეს კაცი, ახლა შვენოდა ღიმილი ერთთავად პირქუშსა და ზვიადს.

— ბარიდან ხუ არა ამაიყოლერა ჰირი?

„კაცრიელმა თუ სამ ილაპარაკა, რო რთველში ვიყავით“.

ერთთავად დაუდეგარი, მუხლმოუღლელი იყო ლომდარ. ჯერ არ ახსოვს ეს კაცი ერთ ადგილას დამდგარი. ფიხონშიც კი არ აყენებდა მუხლს. მოუსვენრად გადი-გამოდიოდა წინ და უკან... რა საქმეზე ეახლა შინ? რა ჰქონდა სათქმელი, ან რატომ სდუმდა ეგრე ჯიუტად? მის მაყურებელს თანდათან განქარდა სევდა და კინაღამ წასკდა სიცილი: ომში იყო ლომდარ და სროლის დროსაც ხომ ეგრე არ დაიწყებდა აქეთ-იქით სიარულსო. უკვირდა, როგორ უძლებდა გული სანგარში. მიმოდიოდა ტანსრული, ბრგე... ერთი სული ჰქონდა, რას ეტყოდა ახალს. მაგრამ სდუმდა განგებ. მიმოდიოდა აქეთ-იქით და, თითქოს როგორღაც ამძიმებდა იატაკს ვეება სხეულით, მჭიდროდ რომ ამოსხალტულიყო

ყავისფერი შალის სამოსში. ჯერ არასოდეს მოუდგამს აქ ფეხი და რა ეშმაკმა მოიყვანა ამ დილით? ანდა რატომ არ იღებს ხმას? რამ გასარჯა ასე ადრიანად? შალის გალიფე შარვალი, შალისავე ბლუზა, მოკლე ტყავი...

— როგორ გაატარეთ დრო შენა და კაცრიელმა?

— კარგადა! — უპასუხა და გაიფიქრა: „აჰაა... კიდეც არ მიკვირდა? იმას დაუმღერებია ჩვენი ამბავი".

— ადე ჩაიცვი და გავიდეთ ფიხონში!

— ვიყოთ აქა, სად წავალთ ამაზე უკეთეს ადგილას?

აღარაფერი თქვა მეტი. მიუბრუნდა ღუმელს და გახედა წოწკურს.

— ცოტა ხანს გადი სადმე, წოწკურო, თეგერასთანა მაქვ სალაპარაკო.

მოხუცი გაოგნებულივით როგორღაც მიაჩერდა სტუმარს.

— წადი-მეთქი სადმე, წადი!.. ცალკე უნდა ველაპარაკო თეგერას! — შესძახა დიდგულად და უმალვე იგრძნო, რომ ძალიან უხეშად გამოუვიდა ნათქვამი. მერე დაყვავების კილო გაურია ხმაში: — კაცურ ამბებზე უნდა ვილაპარკოთ და უხერხულია შენთანა!

მოხუცმა აიღო ფთილით სავსე ხოკერი, ტარსაბრუნი და გაბუტულივით გავიდა გარეთ.

— მართლა ბარში აპირებ ჩასიძებას? ჯერ არავინ დამცირებულა ეგრე მთიული! შენ იქნები პირველი!

გაუკვირდა როგორღაც. ნუთუ მართლა არავინ ჩავიდოდა ბარში ზესიძედ?

— თავის დამცირებაა ცოლის შერთვა? — ჰკითხა ყასიდად.

— ძაღლებისაგან გაჯენჯილი მელა თუ გინახავს სადმე? — თქვა და ცქვიტად აახამხამა თვალები, — ერთი მელა დაიჭირეს თურმე ძაღლებმა. კარგა ხანსა ჯენჯეს და დაანებეს თავი. როგორც კი იცდინა მყეფრების თვალი, წამოდგა და გაძუნძულდა ბუჩქებში. შემოხვდა ტურა. რა არი ეგა, კაცოო, რა მოგვსლია შე ბეჩაოო! — თქვა და გაიცინა ლომდარმა. განაგრძო მერე: — ეჰ ჩემო ნათლიაო, როგორიც უნდა ვიყოთ, ზესიძეებს ხო მაინც ვჯობივართო... არც ეგ არაკი გაუგონია სადმე?

— აბა მა რა ვქნა: დამიწუნა შენმა მდგმურმა და...

— შენ არავის დაუწუნებიხარ, ჭკვიანად იყავ!

— მაშ რად გადმოვიდა აქედანა?

— მერე რა! შეუამხანაგდა ლიზასა, იმასთან უფრო გაიადვილებს ცხოვრებას, — თქვა და მოიმარჯვა პაპიროსი, მერე ღუმელიდან მაშით გამოიღო ნაღვერდალი, მოუკიდა და გაბოლების შემდეგ მიუბრუნდა ისევ: — ლილი თუ მართლა გინდა ცოლად, უთხროდი პირდაპირ!

— როგორა, აბა!

— როგორა და კარგად! გამოვიყვან ჩვენსა და გალაპარაკებთ ერთად. შე კაი კაცო, ყველაყანი რო წახვიდეთ აქედანა, რასა ფიქრობთ ბოლოს და ბოლოსა? შარშან ზამთარს გაგვიჭირდა ოთხ კაცს ერთი დალეული ბებრის გასვენება. აღარავინა გვყავდა შამშველებელი! გვაკლდება ხალხი, იცლება სოფელი, ცოტანიღა ვრჩებით აქა! ჭირი იქნება თუ ლხინი, უნდა ვიყოთ მრავლად, ეგეც რო არა... მალე ღარიბდება ბარში ჩასული მთიული, კარგავს მადლ-ბარაქას, ვეღარ არი გულადი და პურადი. ბარელი კაცი ვერ დაუკლავს ცხვარს სტუმარსა. მარტო ერთი ქათმით მაატყუებს ორსამ კაცს. აბა რა არი ერთი ქათამი? მოგიტანენ და თავადაც მოუსხდებიან ჯალაბნი. ჩაგაცივდებიან, ჭამე და ჭამე!-თქვა და ახარხარდა ლომდარი, რითაც კიდევ უფრო ცხადად გამოხატა ბარელთა უნიათობა, მერე განავრძო კვლავ: — აბა როგორა ვჭამო, შვილო და ძმაო, ერთი ქათამი ერთ კაცს არ ეყოფა და დანარჩენებსა? ღმე-

---

გივი ბუთხუზი
წმინდა ხე

რთმა დალოცოს ჩვენი მთიული! რამ-თვენიც უნდა მოუვიდეს სტუმარი, გულუხვია მუდამა. დაუკლავს ერთ კარგ ჭედილას და გაუვსებს სუფრას ხორცითა. იმასთან გაუკეთებს ხინკალსა, ყაურმასა, შაუწომს მწოდსა, მიუტანს ყველსა... მულარალი გვაქვ ყველაფერი! ამაყნიცა ვართ, ჩაუქნიც, მამაცნიც, სიტყვა-პასუხიანნიც! ერთთავად ფოლადი რეკს ჩვენს ხმაში! ჯერაც არ მოჩლუნგებულა ჩვენი ხმალი! დანდობა და შანახვა ვიცით კაცისა. არ გაგონილა ჯერა, სიტყვა გაემრუდებინოს მთიულს, მოეტყუებინოს კაცი! აი რა დიდი მადლი სცხია ჩვენს ხალხს! ჩადის მერე ჩვენი კაცი ბარში და ფუჰდება იქა! ეხდება ქუდი! ჩვენ კი მთელნი ვართ ჯანითაცა, გულითაცა, სულითაცა!..

— ძველად სუ ბარში სახლდებოდნენ ჩვენებურები, რატო იმათ არ უშლიდა არავინ?

— დედაშენთა!.. სხვა დრო იყო მაშინა ვაჟო! ვიწროობა გახლდა მთაში! ხალხს არა ჰყოფნიდა სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი. ხალვათობაა ეხლა! ვინღა ხნავს ამ დროში? ქერსა და ჭვავილსღა თუ დავთესთ ცოტას ლუდ-არყისთვის, ეგ არი და ეგა! მზას მოგვდის ფქვილი მაღაზიებში, ვიღას რაში უნდა ხვნა-თესვა?

— ჩემი ძმები რო სახლდებოდნენ ბარში, სად იყავი მაშინა?

— არ ვიყავი შინა, თორო... გამასწრეს იმათა!

— შენი ბიჭები? — შეახსენა შვილები, რომელთაც, რა ხანია, დაამთავრეს უმაღლესი და არავინ იცოდა დედ-მამის მეტმა, სად იყვნენ ეხლა.

მათს მოგონებაზე ავად მოეღრუბლა სახე ლომდარს. აუგად ახსენა ისინი. მერე დასძრახა თავისი თავიც, რაკი შეცდა და ხელი მოუმართა სწავლაზე. კვლავ მიუბრუნდა თეგერას:

— სადმე გაგიგონია ჯერა, რო ავადმყოფი მაერჩინოს ვაშლსა, მსხალსა და ყურძენსა? წყლულზეც ბალახეულობასა ვხმარობთ წამლად, დაქექილზეც, დაჭრილზეც, გულ-გვამში გამდგარ სენზეც!.. — წამოიძახა და ალარ დაუცადა პასუხს, — ბალახეულობაა ყველაფრის წამალი! თუ რამ კარგი და სასარგებლოა ჩვენი ჯანისთვი, ბალახშია სულ! ცხორი და ძროხა რო სძოვს, იმ ბალახეულთა სიკეთე გადის რძესა და ხორცში, იმით ვიკვებებით ჩვენა და იმიტო ვართ საღნი და დღეგრძელნი. მარტო ჩვენი წყალი და ჰაერი არ იქნება დიდი ბედნა. ამასთან ერთად გვაჯანსაღებს ერბო, ყველი, ხორცი, ამათში დვრიტასავითა დევს მთის ყოილთა და ბალახთა სიკეთე. ხორცი ზრდის ადამიანს ახოვანს, სრულს... თურმე იაპონელებმა სანამ არა ჰამეს ხორცი, მანამ არ ქნეს ტანი. ხორცი რო ჰქონდათ ულევრად, იმით იყვნენ ჩვენი ძველები ჯანოვნები, ტანოვნები, შეუპოვარნი, ძალგულოვანნი, სრულნი!.. იმ ხალხითა სცემდა თავზარს ზურაბ მტერთა! ჰაი დედაშენთა, ზურაბო!.. იმათსავე კვალზე უნდა ვიაროთ ჩვენაცა! — წამოიძახა და გაბრუნდა კარისკენ.

სრულებითაც არ სჭირდებოდა ამდენი ლაპარაკი, მაგრამ ისე ომახიანად საუბრობდა ლომდარ, მისჩერებოდა მოჯადოებულივით. მერე ჩაიცვა საჩქაროდ, გაჰყვა გარეთ და გახედა მზეს. ოქროსფერ ნათელში თბებოდნენ შეჭირხლული ქედები. მინდვრებში უკვე გამდნარიყო თრთვილი. საოცარი მდუმარება დაუფლებოდათ საამურ სითბოში გარინდულ იალაღებს... გააცილა ლომდარ და მერე გახედა სკოლას. სევდიანად სდუმდა იგი. თითქოს ისვენებდა ბალღების ჟრიამულით გაჯერებული და დაღლილი. ხვალ დილით კვლავ აჟრიამულდებოდა გოგო-ბიჭობა. ხვალიდან უკვე სხვა გზით მივიდოდა ლილი. ისევ შემოაწვა სევდა მის ხსენებაზე. წეღან ლომდარის ლაპარაკმა როგორღაც გაუნელა მწუხარება ,ახლა ისევ დაეხურა გული. მიდგა-მოდგა სახლწინ და გახედა რუდუნე-

ბით გაყვანილ ბილიკს. რა იმედით აკეთებდა, რა ხალისით, რა სიყვარულით!.. სიჩუმეში თოფის ხმასავით მჭახედ გაისმა ვიღაც ბიჭების შეკივლება. მათი ძახილი კიდევ უფრო გააძლიერა ქვაყორეებსა და ციხე-სახლებს შორის ჩამდოვრებულმა მდუმარებამ. გაიხედა ზევით და დაინახა დაღმართზე ჩამომსრბოლი ცხენოსნები. იცნო ხინჯა, ბუბა, მამუკა, გაგა... მამუკამ მოჰკრა თუ არა თვალი, მოზიდა სადავეს და ავად რასმე გამოუშტერა მზერა. დანარჩენებმა გადაასწრეს მას. გავეშებული ფრთხვინავდა მისი საფერხე, ცქმუტავდა და წამდაუწუმ იყალყებოდა რბოლის ჟინით აღტკინებული.

— რას აკეთებ შინა? — დაუძახა და მათრახჩამოკიდებული ხელით მოიჩრდილა თვალებზე, — ახლავე მოდი ჩვენთან!

მერე მიუშვა სადავე და მიჰყვა დანარჩენებს.

სახლებს მიღმა გაუჩინარდნენ ყველანი. უმალვე მათთან გაუწია გულმა. რომც არ დაეპატიჟნათ, მაინც მივიდოდა ამ ნაღვლიან გუნებაზე. ხშირად იყვნენ ჭირსა და ლხინში ერთად... ძუაგამონასკული შიშველი ცხენები ლაგმებით მიებათ მარგილებზე. არავინ ჩანდა დერეფანსა და ეზოში. ერთმანეთში არეული ბოხი ხმები ისმოდა კარლია ოთახიდან. ამ დროს გამოვიდა მამუკა. მას გამოჰყვა მზია, რომელსაც მოჰქონდა სუფრაგადაფარებული ხონჩა.

— საიდან გამოგვეცხადე აქა, ჰეე! — მხიარულად შესძახა ამ დროს გარეთ გამოსულმა გაგამ და მიბრუნდა დანარჩენებისკენ, — კიდევ მოგვივიდა ერთი ძმა, ვეფხვებო!

გაღიმებულმა ჩაუარა მზიამ, დაუტოვა წყნარი სალმი და ჩავიდა ეზოში. უმალვე გააყოლა თვალი. რა ძალიან ლამაზი ეჩვენა ეს კარგუნცელა! თითქოს ახლა ენახოს პირველად. ამნაირად ლამაზი და მოხდენილი აბა რომელი იყო რთველში? იქაურები — კარგად ჩაცმულნი, წარბ-წამწამგასწორებულნი... რატომ აქამდის არ ახსოვს ეს გოგო ასეთი?

ყველანი ძირს ჩავიდნენ მთვრალთა-თვის ჩვეული ღრიანცელით და მიესალმნენ სათითაოდ.

— სადამდის მიაცილეთ ცხვარი?

— გავცდით დარბაზს!

— მიდით, მზად არი! — თქვა მზიამ და კვლავ შევიდა შინ.

მამუკა თავად გაუძღვა ბიჭებს. მაღალი კანჭებით გადაალაჯეს ოდნავ გადანგრეულ ყორეს, რომლის ძირში ატეხილი ჭინჭარიც უკვე დაეზრო თრთვილს. მივიდნენ ციხის გვერდით ყამირზე გაშლილ სუფრასთან და ირგვლივ შემოუსხდნენ ფეხმორთხმით. ხინჯა მისწვდა ხელადიანს, მერე წამოკრიფა ყანწები და ჩამოარიგა სავსეები. მამუკამ გახედა ოქროსფერ ქაფში გავარვარებულ მზეს. მერე ქედებზე მიმოატარა მზერა, ბოლოს შეხედა ბიჭებს და დაიწყო ხმამაღლა:

— გაუმარჯოს ჩვენს მთებსა და იალაღებს, ნუმც მოშლია ცხვარი და მწყემსი მთიულეთს! ასე უშრომიათ ჩვენს ძველებს, იმათნაირადვე ნამუსიანად გვეცხოვროს ჩვენც! გაგავ, შენთანა ვარ ალავერდს, ლომო!

ერთურთს აჯახეს ყანწები. ორივედან გადაინჩქრა არაყი და ისეთი ჯახანი გასდგათ სასმისებს, თითქოს ვერძნი დასტაკებოდნენ ერთურთს. გაოფლიანებულ ხელებზე გადაუვიდათ სასმელი, ჩაუგუბდათ სახელოებში და იდაყვებთან გამოჟონა წვეთებმა.

ხინჯამ ნეკთან გადაყვლეფილი სისხლშემხმარი მჯიღი გადაისვა ახლად აკოკრებულ ულვაშებზე, მოიწმინდა ტუჩები და დასწვდა ლუკმას.

— ..როგორც მე ეს ყანწი დავლიო, ეგრე აგე იმ დალალული მზის მადლი შაგეწიოთ ყველასა! — თქვა და თავადაც მოიყუდა სასმისი.

— მოდით, ამით დავლოცოთ ჩვენი

ცხვარი, — დაიწყო ისევ მამუკამ, — პური ჩვენი არსობისა, რითაც წელში ამაყად გადრეცილნი დავდივართ ქვეყანაზე. ღმერთმა ბარაქა ნუ დაგვილიოს მაგის ნაპარსში, ნაშენსა და ნაწველში!..

— ამინ! ღმერთო გაუმარჯვე ჩვენს ცხვარს, რომელიც გვაჭმევს პურს, გვალაღებს ტოლ-სწორში და გვაამაყებს ხალხში!

დაცლილი ყანწები წაღმა-უკუღმა დაცვივდა სუფრაზე. მასპინძელი მიბრუნდა სახლისაკენ და დაიძახა გულმოსულმა:

— ჩქარ მაიტანეთ ხორცი, დავწყდით შიმშილითა!

— ბალღო, მოხარშული რო არ არი ჯერა! — ნაზის ხმით გამოსძახა კართან მომდგარმა მზიამ.

— რა უჭირს? სულ უმსა შჭამენ ლომ-ვეფხვნი, მაგრამ არა უშავდებათრა მაგითა!

მალე გამოჩნდა მზია. მას ერთ ხელში ეჭირა ხონჩა, მეორეში — ტაბაკი. მოუახლოვდა თუ არა, მყისვე წამოხზხდა მამუკა და მიეშველა დას: გამოართვა ტაბაკი, რომელიც სავსე იყო მოხარშული ხორცით. ხონჩა კი მზიამ თავად დადგა სუფრაზე. ქერის ახალი გამომცხვარი გუნდა პურები ეწყო ზედ.

მამუკამ კვლავ შემართა ყანწი:

— მოდით, ამით მოვიგონოთ ჩვენი მამა-პაპანი, რომელთაც მრავალი ხმალი გაუცვდათ ქნევაში, არ გასწყვიტეს ჩვენი ჯილაგი და პირნათლად ჩავიდნენ საფლავებში! ფეხზე ავდგეთ და ისე შავაწიოთ კეთილი სიტყვა!

მყისვე აზეზდნენ ყანწმოღერილნი.

— აი, ამ მიწაზე, — განაგრძო სადღეგრძელო მამუკამ, — სადაც ეხლა გვიგია სუფრა, ვინ იცის, რამდენი ცრემლი უნთხევიათ დედათ, რამდენი სისხლი და ოფლი უღვრიათ მამათ! შეეძლოთ, გახიზნულიყვნენ მშვიდობიან ადგილებში, მიპკედლებოდნენ რომელსამე ძლიერს ტომს, თავი არჩინად ეგრძნოთ სხვათა კალთის ქვეშ, მაგრამ არ გაექცნენ თავიანთ სამკვიდროს! ვენაცვალე მათ წმინდა სულს! იმათ რო ეგრე ერბინათ აქეთ-იქით, მაშინ ხომ აღარც გვექნებოდა საქართველო!.. მოდით, უფრო უპრიანი რო გამოგვივიდეს ეს სადღეგრძელო, უფრო ნაღდად რო მოგვესხას იმათი მადლი, ხელი შევახოთ მათს ნატერფალებს!. — თქვა, ჩაიმუხლა და გაჩიჩქნა მიწა ბალახის ფესვებს შორის, მერე მოფხოტნა და კარგად მოიფხვიერა მჭიდში.

მას მიჰბაძეს დანარჩენებმაც...

— ნუ დავიბანთ, ესეთი ხელებითა ვჭამოთ პური!..

როცა გამოცალა ყანწი, კვლავ მიბრუნდა სახლისაკენ და დაუძახა დას:

— მოდი, მოგვილხინე, მზიავ! სუფრა დაგვიმშვენე, გოგო!

გამოვიდა მზია. დაირა და ფანდური მოჰქონდა თან. თავდახრით მოაწოდა ფანდური ძმას, მერე ერთად მიატყუპა მუხლები, ზედ მჭიდროდ მოიკრიფა კაბის კალთები და დაუჯდა გვერდით.

მამუკამ ამოდ შეუხმატკბილა სიმები ერთურთს, დაუკრა მერე, თანაც გაახვნა ლაშნი და შემოსძახა ბოხი, მკერდისმიერი მგრგვინავი ხმით...

მდუმარედ უსმენდნენ ყველანი. რაკი მღეროდა ზურაბზე, ფიქრში გარინდულთ მარადჟამს მშფოთვარე და უძლები ერისთავი ედგათ თვალწინ.

მერე... დაირას უკრავდა მზია, ფანდურს — მამუკა, გაგა და ხინჯა ეცეკვებოდნენ ერთურთს. ღრეობით რომ იჯერეს გული, კვლავ შესხდნენ ცხენებზე და ხმამაღალი შეძახილებით დაათხეს საფერხენი.

ადრე გაეღვიძა დილით. დაფიქრდა და გაიხსენა გუშინდელი ამბავი: რა ტკბილი იყო, რა კარგი! აფსუს, რომ თვითონაც არ წავიდა ცხვარში! მოლალატესავით როგორღაც გამოსხლტა ტოლ-სწორთ! ეჰ, რა იცოდა თორემ...

მოუარა საქონელს და უხალისოდ

მიდგა-მოდგა ეზოში. ბოლოს გახედა სკოლას. დააკვირდა ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ მასწავლებლებს. გადაწყვიტა მოეცადნა მანამდის, სანამ გამოჩნდებოდა ლილი. თითქოს დიდი ხანი იყო უკვე, რაც არ ენახა იგი. აბა ახლა... გამოიხედავდა თუ არა აქეთკენ! მიდიოდნენ და მიდიოდნენ ბალღები, თანდათან მატულობდა ჟრიამული სკოლის ეზოში. მათი მაყურებელს გაახსენდა თავისი პატარაობა. რა ტკბილად მოსაგონარია ის წლები! მასწავლებლებისაგან არც ერთისა არა გაახსენდებოდა რა ცუდი, მარტო ლიზა შურობდა რატომღაც. ფრთხილად კი იყო მუდამ, რათა არ მიეცა ცემის საბაბი. იქნებ მან ჩაუკაკლა ლილის? აბა ერთი, კარგად ჩაუკვირდეს ლილის წასვლის მიზეზს. ლიზამ ხომ არ გადაიბირა თავიდანვე? თვითონ შინაბერას, სხვისიც შურს გათხოვება და დაქორწინება!..

დაღონებულმა დაალამა მთელი დღე. ვეღარა ჩერდებოდა ერთ ადგილას. საღამო ხანს კი წავიდა ლომდართან. შედგა საჩიხში და მიხედა ფანჯრებს იმ ოთახისას, რომელშიც ცხოვრობდნენ ლილი და ლიზა. გაზეთები ჰქონდა აფარებული მინებს. მიდგა მეორე ოთახის კართან და დააკაკუნა გაუბედავად. ლომდარის ცოლმა გამოხედა ღია კარიდან. სალამზე წყნარად უპასუხა და შეიპატიჟა შინ. ღუმელის გვერდით საუფროსო სკამზე იჯდა ლომდარ. თანდათან განქარდა ჯავრი მის დანახვაზე. პირველად ხედავდა ამ კაცს დამჯდარს. ალბათ, ასევე ჩერდება მგელიც საკუთარ ბუნაგში...

დიასახლისმა ქმრის პირდაპირ, ღუმლის მეორე მხარეს დაუდგა სკამი და გავიდა სადღაც.

დაჯდა და მიაჩერდა ლომდარს. როგორც ჩვეოდა, ახლაც ჯიუტად აყოვნებდა სიტყვას მასპინძელი. ეს თითქოს არ იყო კეთილის მაუწყებელი, მაგრამ ღიმილი... როგორღაც მანუგეშებლად იღიმებოდა იგი. უნდოდა შეკითხვოდა რამეს, მაგრამ თავადაც ჯიუტად დაიჭირა თავი. მასპინძელს აცალა ხმის გაღება.

— წავედი!.. — წამოიძახა [illegible] ხნის შემდეგ და ადგა.

— მოიცა! — დამამშვიდებლად როგორღაცა თქვა ლომდარმა.

დაჯდა ისევ. მდუმარებაში იწურებოდა დრო წამებად, წუთებად... ცოტა ხნის შემდეგ კი შემოვიდა დიასახლისი და შემოჰყვა ლილიც. როგორღაც შეკრთა მის დანახვაზე. თითქოს თავად ყოფილიყოს დამნაშავე მის გადმობარგებაში. ერთი ხანობა ვეღარ უსწორებდა თვალს. მერე თანდათან გაუარა უხერხულობამ, ერთბაშად როგორღაც მოთამამდა ბოლოს.

ხან ერთს შეხედავდა ლომდარ, ხან — მეორეს. ბოლოს მიაჩერდა მდგმურს:

— აბა, ლილი, შვილო, იმ საქმეზე გელაპარაკები ისევა!

— თქვენ რაზე იწუხებთ თავსა? თვითონ ამოიღოს ხმა. ლაპარაკის შნო არ უნდა ჰქონდეს მაგხელა ვაჟკაცსა?

ძლიერ დასცეცხლა ამ სიტყვებმა. იგრძნო, როგორ წამოწითლდა ლაწვებზე. დაეფანტა აზრი. ვინ იცის, იქნებ მართალიც იყო ლილი? თითქმის სამი თუ ოთხი დღე ჰყავდა შინ და...

— შენგან რო პირი გვექნება აღებული, წავალთ თქვენებთანაც. იმითაც გავაგებინებთ ამ ამბავს... — კვლავ დაარღვია მდუმარება ლომდარმა.

— ტყუილად წახვალთ იქა! თუ მე არ მინდა...

— არ გინდა და მოგიტაცებ! — შესძახა გულმოსულმა.

— შენ ვინ მოგცა მაგისი შნო? — დამცინავად უთხრა და გავიდა თავის ოთახში.

„შნო უნდა მოტაცებას? კარგი მაშ!" გაიფიქრა და აღარც თვითონ დარჩენილა დიდხანს. გულამღვრეული

---

გივი ბუთხუზი

წმინდა ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიდა შინ. დაიდგა სკამი ღუმელთან, ჩაჰკიდა თავი და აღარც გაუღია ხმა. „ვინ მოგცა მაგისი შნოო... რა შნო უნდა მოტაცებას? გააჴლე ხელი და ჰაიდა! მაგრამ ამას რა საერთო ექნება სიყვარულთან? ალბათ, მოტაცება უფრო უხარიათ გოგოებს, ემაყებათ სხვათა თვალში. ჰი!.. ვინ მოგცა მაგისი შნოო! აბა თუ ვინ მომცა!“

დილით ადრე გაეღვიძა წოწკურის ხმაურზე. მოხუცი ნაჯახით სჭრიდა ცხვრის ბარკალს და წვრილად დაკუწულ ხორცს ჰყრიდა ქვაბში. ერთხანს გაირინდა სასიამოვნო ფიქრში. ადგა მერე და, რომ მიმოიხედა ირგვლივ, უფრო მეტი სინათლე შენიშნა ოთახში. მაშინვე მიბრუნდა ფანჯრებისკენ. ერთიანად გადათეთრებულიყო გარემო. ყაპყი მოსულიყო ღამით. ხმაც ისმოდა კრამიტებიდან დაცვენილი წვეთებისა. დიდი ხნის საგზალი როდი იქნებოდა ეს თოვლი: დახედავდა მზე და წყლად აქცევდა ხელად. ითოვა მთელი დღე. თოვდა ღამითაც, მაგრამ დილა შემობრძანდა ქალწულივით ნაზი და პირნათელი. მერე მზემ გამოიხედა და თვალისმომჭრელად აქათქათა მთა-ველები. თავადაც რაღაცნაირად გამოუდარა გულმა. მით უფრო, შუადღისას უკვე აღარ იყო თოვლი სოფელში და ახლომახლო მინდვრებში. ვეფხვის ტყავივით აჭრელდა მთათა მზვარე ფერდობები. ერთი პატარა გაზაფხული კიდევ დადგება დიდ ზამთრამდეო, გაიფიქრა და იმედიანად მოათვალიერა იალაღები, რომელთაც მსუბუქად ეხურათ იასამნისფერი ოხშივრის თბილი საბურველი. აივნიდან გადასცქეროდა ეზოს, საქონლის ნაფეხურებში ჩამწდარ ტბორებს, მზის გულზე არხეინად მცოხნავ ცხვრებს... ბიჭობა საფიხვნოდ შეყრილიყო დავითის ბოსლის ბანზე. ზოგჯერ ხმამაღალი ხარხარი ან ვიღაცის მხიარული შეძახილი აღწევდა იქიდან. დაღონებულს ეუხერხულებოდა იმათს მარაქაში გარევა. აღარსად მიუწევდა გული. ასე ეგონა, ყველამ იცოდა, როგორ დაამცირა ლილიმ: ვინ მოგცაო მაგისი შნო! აბა თუ ვინ მისცა!

მწუხრისას ისევ აიშალა ღრუბლები, ნაცრისფრად დასუდრეს ზესკნელი, ამოვარდა ცივი ქარი და ამას მოჰყვა გამთოშავი ნისლი. არ გაუმართლდა ვარაუდი, რომ კვლავ გამოკეთდებოდა ამინდი. მალე ბუზანკლებივით აირივნენ ფიფქები. გაბრაზდა ამინდის გაუარესების გამო. მალიმალ გადიოდა გარეთ და ჯიბის ფარნის შუქზე ხედავდა, როგორ ირეოდა ოქროსფერი სინათლის წვრილ ზოლზე ვერცხლისფერი ფიფქები. ელეოდებოდა გული ბუნების უკუღმართობაზე...

განთიადისას ჩაიცვა ჩექმები და გავიდა გარეთ. ჩამოთოვლილ გარემოს თეთრად გაენათებინა დილის ბინდი. შუა წვივამდის შემოსწვდა თოვლი. კვლავ ბარდნიდა ხვავრიელად... მოუარა საქონელს, მერე დასჭრა შეშა და კიდეც დაიძახა ფოსტალიონმა. ათასი რაღაც გაიფიქრა მის დანახვაზე. რატომღაც ეგონა, ქეთი გამოუგზავნიდა წერილს.

— დეპეშაა!

გააჟრჟოლა ამ სიტყვაზე. უწადინოდ გაეშურა მისკენ.

— ეთერი გიგზავნით!

უმალვე დახედა ფურცელს: „დედი, ჩამოდი აუცილებლად“. იტყობინებოდა უფროსი და. უკვე მოზრდილი შვილების დედა იყო იგი. არ ახსოვს ჯერ, როდისმე შეეწუხებინოს წოწკური. რა დაემართა ახლა?

ამ ამბავზე შეფიქრიანდა მოხუცი. კარგა ხანს ჩასცქეროდა ტარსა და საბრუნს. მერე წამოდგა და მოემზადა წასასვლელად.

— როგორ ჩავუვიდე უხორცოდ? — ჩაილაპარაკა და შვილს მიაპყრო მავედრებელი მზერა...

თეგერამ ჭედილის ფეშხო დასჭრა და შეახვია სუფრაში. ცოტა ხნის შემდეგ კი სასტუმროდ ჩაცმულ-დახურულ წოწკურს ხურჯინაკიდებული

უყვარდა თოვლს. ჩააცილა გზამდის, გაისტუმრა ავტობუსზე და მობრუნდა ისევ.

გადაუღებლად თოვდა კვლავ. რაღაცით ესადაგებოდა ეს ამინდი მის გუნებას. სკოლის დამთავრების შემდეგ ეს იყო პირველი ზამთარი, რომელსაც ესწრებოდა შინ. გახვეტა თოვლი და გაიყვანა ბილიკი საპირფარეშომდე, გზამდე, წყაროსდე... მერე ავიდა შინ და შეუკეთა ღუმელს. ბოლოს მიწვა ტახტზე და ამოუშვა ფშვენა. როცა გაიღვიძა, საღამოს ბინდი მოსძალებოდა არემარეს. აჟრიამულებულნი ბრუნდებოდნენ შინ მეორე ცვლის მოსწავლეები. ისევ ლომდართან გაუწია გულმა...

შინ დახვდა მასპინძელი.

გაიხადა ქურთუკი, მოიხადა ქუდი და ღუმელთან ახლოს დაიდგა დიასახლისის შემოთავაზებული სკამი. ჩუმად ისხდნენ ჯერ. მერე თანდათან აიწყეს საუბარი. თქვეს ამ მთისა, იმ მთისა... ბოლოს იკითხა ვითომდა ცალყბად, თუ სად იყვნენ მდგმურები.

— გრიშაანთას წავიდნენ! — უპასუხა ლომდარმა.

იმის გაგება მოსწადდა ახლა, თუ რა ესაქმებოდათ იქ. პენსიონერი პედაგოგი იყო გრიშას მეუღლე. ავადმყოფსა და მოხუცებულს აღარაფერი ესაქმებოდა სკოლასთან. არც ვინმე იმათი სწორფერი ჰყავდათ შინ და გაუკვირდა, თუ რა საქმეზე ჩავიდნენ იქ. უმალვე ფანჯრებისკენ წაუვიდა თვალი. უკვე ბნელი ღამე იყურებოდა გარედან. რატომღაც ძალიან მოუნდა თავადაც ჩასულიყო იმათსა. იქიდან წამოჰყოლოდა თან, ამოეცილებინა აქამდის... ახლა უკვე აღარ იყო მოტაცების დრო. სად წაიყვანდა ამ უამინდობაში? შეკრული იყო გზები, მალე ზვავები დაიწყებდა ჩამოდენას... როგორ მოულოდნელად გაუსხლტა ხელიდან! მისი გულისთვის დარჩა შინ, მოსცდა ცხვარს... ბრაზის ცეცხლი წაეკიდა ამის გამო. ადგა და მისწვდა ქურთუკს. ეხვეწნენ მასპინძლები, მაგრამ არ დარჩა ვახშმად. გავიდა და ნელა გაჰყვა გზაზე გაკვალულ ბილიკს. რომ გაუსწორდა თავიანთ გზადასახვევს, გადაიფიქრა გრიშაანთას ჩასვლა. გაჩერდა და აეკვიატა უცნაური აზრი: ასე უნდა ამოევლოთ ლილის და ლიზას... მოჰკიდებდა ხელს და შეიყვანდა შინ. ვისი ეშინია ბოლოს და ბოლოს? ეგ არის, უნდა აიღოს თავზე ხელი!

დიდხანს იცადა გზაზე, მაგრამ ჯერ არსად ჩანდნენ ისინი. მოსწყინდა სიცივეში დგომა და გაუხვია შინისკენ. რომ შეუდგა კიბეს, მაშინ მოესმა ქალების კისკისი. უმალვე გაბრუნდა უკან. მყუდრო ზამთრის ღამეულ სიჩუმეში ხმამაღლა ისმოდა მათი კისკისი. ჩაიხედა ჩალმა. უსრიალდებოდათ ფეხი დათოვლილსა და მოლიპულ აღმართზე. წამდაუწუმ გაისმოდა მათი შეკივლება და სიცილი. როცა მოახლოვდნენ, მაშინღა შეჩერდნენ და მოაშტერდნენ მდუმარედ.

— რომელი ხარ? — დაიძახა ლილიმ.

უხმოდ გაეშურა მათკენ.

შეჰკივლეს გულგახეთქილებმა და კვლავ დაეშვნენ თავქვე. მაგრამ ლილის მოუსრიალდა ფეხი და გაიშხლართა გულაღმა. ლიზას აღარც კი მოუხედნია მისკენ... თეგერა კი დასწვდა ლილის, დაუმუწა პირი და ჰკოცნიდა გიჟურად...

გულწასულივით მინებდა ლილი. აღარა ცდილა გაბრძოლებას, აღარ იღებდა ხმას. სიხარულისაგან გაგიჟებული ჰკოცნიდა და ეალერსებოდა ჩურჩულით. შეიყვანა შინ და ჩაუკეტა კარი. უხაროდა, რომ ადვილად გამოუვიდა ეს საქმე. აღარ ტიროდა ლილი. დასვა საწოლზე და გულათროლებულმა მიაყურადა გარემოს. გაახსენდა დამფრთხალი ლიზა. სად, ვისთან უნდა მისულიყო იგი? როცა დარწმუნ-

დებოდა, რომ ალარავინ მისდევდა უკან, გაჩუმდებოდა და მივიდოდა შინ. შეატყობინებდა ლომდარს ამ ამბავს. იგი მაშინვე მიხვდებოდა ყველაფერს და დააწყნარებდა მდგმურს. კვლავ მიაყურადა კარს. ჩამიჩუმიც არ ისმოდა არავისი. თანდათან დაუცხრა მღელვარება. მერე მობრუნდა და ბედნიერების ღიმილით გაბრწყინებული მიაჩერდა ლილის...

დილით გაეღვიძათ ბედნიერებსა და განებივრებულებს. ადგა და გაიქცა ბიძაშვილებთან. ფეხების ბარტყაბურტყით აირბინა კიბე და დააკაკუნა კარზე:

— მოდი, მოდი! — დაუძახა ვილაცამ.

შეაღო და უმალვე გახურებული ღუმელის სითბო ეცა გაციებულს სახეზე. არჩილი უკრავდა ფანდურს. ნუცა და ოთარი კი სიმღერას აყოლებდნენ ძმას...

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — — შესძახეს გამხიარულებულმა ბიძაშვილებმა.

— ი შენი მდგმური რო გაუტაცნიათ, როგორ გუნებასა ხარ, ვაჟო? — შეეკითხა ბიძა.

— მაგის მდგმური კი არა, ლომდარისა იყო — გაუსწორა მამას ნუცამ.

იქვე ახლოს დაიდგა სკამი და შეიოკა ღიმილი.

— უშნო ხარ, უშნო! — ახელებდა არჩილი, — მასწავლებელი გოგო შემოგიგდო ბედმა, შენ ვერ ივარგე და აგე! სხვას დარჩა ეხლა, უკლოვ!

— ძალიან კარგადაც მაიქცა, რო არ ახლო ხელი! — შეესიტყვა შვილს დედა. — რად უნდოდა ი ბარელი? ხორცი იმას არ აკრავს და ფერი, აბა რა შვილები უნდა გაზარდოს იმანა? იმას ბევრითა სჯობიან ჩვენი მთიული გოგოები!

— იქაური დედები მაშ როგორა ზრდიან შვილებსა? — შეეკითხა დედას არჩილი.

— იმათ თავიანთი წესი აქვთ ალზრდისა, ჩვენ — ჩვენებური! — აბუბუნდა ბიძა, — ჩვენებური დედა ბალღს აკვანშივე უმღერის საგმირო ლექსებსა და იმთავითვე მამაცურად ზრდის შვილებს. განა იქაც იციან ეგრე?

— ეხლა რაღა საჭიროა სიმამაცე?

— როგორ არ არი? — მოხუცს ავად მოეღრუბლა სახე.

— სხვა დროა ეხლა! — გულგატეხილივით როგორღაც ჩაილაპარაკა არჩილმა და ჩაიქნია ხელი.

— ეხლაც საჭიროა და მუდამაც საჭირო იქნება სიმამაცე! როგორიც უნდა დადგეს დრო, ისევე საჭირო იქნება სიმამაცე, როგორც სიმართლე და სიყვარული! სიმამაცეს არასდროს გაუვა ყავლი! — წარბებშეჭმუხვნით წამოიძახა მოხუცმა.

არჩილმა ახლა სხვა ჰანგზე მომართა ფანდური და დასძახეს მისრიაშვილზე. ლამაზად ასდევდნენ და-ძმანი ერთურთს. გრძნობის წარმტაცი რამ გამოსდიოდათ დაკვრაც, სიმღერაც. ალბათ, სხვა დროს არ გაეცლებოდა მათ, მაგრამ ახლა... ველარ მოითმინა მეტი, წამოიწია და მიხედა ოთარს.

— გამომყევი გარეთა, უნდა გითხრა რაღაც!

როცა გავიდნენ აივანზე, მოქაჩა სახელოზე და წასჩურჩულა ყურში:

— რასაც ეხლა გეტყვი, არ თქვა არსად! ჩადი ქვეშეს, ნახე საბჭოს მდივანი და უთხარი, რო ამოვიდეს ჩვენსა თავისი საქორწილო დავთრებითა. ხელს რო აწერინებენ ცოლ-ქმარს...

შინისკენ მიმავალს გაახსენდა ლომდარ. ძალიან უხერხული მოეჩვენა მისი მოსვლა ქორწილამდის. იქნებ არც იყო შინ. როგორც კი შეიტყობდა ლიზასგან ამ ამბავს, ყოველგვარი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად გაეცლებოდა შინაობას.

დაიბერტყა შეთოვლილი ჩექმები და შევარდა შინ.

ლილის უკვე დაელაგებინა ოთახი. მოწყენით იჯდა ღუმელთან.

— დატრიალდი ეხლა, გააკეთე რამ კარგი საჭმელი! დიასახლისი ხარ ოჯახისა!

...მეორე დღეს, როცა სკოლაში წასასვლელად მოემზადა ლილი, აილო ნიჩაბი და გაუძღვა წინ. უკვალავდა თოვლს... მიიყვანა ბილიკი სკოლის აივნის კიბემდის და მაშინვე მოკურცხლა შინისკენ. გაახურა ღუმელი, მიუჯდა და გაირინდა ფიქრში. მერე აილო ფანდური და დაღონებულმა დაალილინა სიყვარულის სიმღერა. თანდათან აუწია ხმას, აუწია და ამღერდა მთელი გრძნობით, გატაცებით... თითქოს ყველაფერი მღეროდა ამ ოთახში. მღეროდნენ კედლებიც კი. როცა იჯერა გული, გაჩუმდა და მოესმა ფეხის ხმა. წუთიც და შემოვარდა თავქუდმოგლეჯილი ბავშვი. ჯერ მოითქვა სული, მერე ალაპარაკდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ:

— ვიღაცები მოუვიდნენ ჩვენს მასწავლებელსა... გაიყვანეს კლასიდანა და ჯავრობით აიყვანეს სამასწავლებლოში... მარო ძალომ გამამგზავნა შენთანა, წადი შაატყობინე, რო მშობლები და ძმები მოუვიდნენ ლილისა, მოემზადოსო...

„მშობლები და ძმები... საიდან გაიგეს?.. ვიღაცამ თუ შეატყობინა დეპეშით... რაღა ვიღაცამ? ვინ იქნებოდა ლიზას მეტი...“ გაიფიქრა და აფორიაქდა შინაგანად.

— კარგი, წადი! — უთხრა და აკანკალდა რატომღაც. რა ექნა, მისულიყო სკოლაში? ეხათრებოდა მასწავლებლებისა, უფრო კი ლილის მშობლებისა და ძმებისა. რაღაცნაირად ეშინოდა მათი. როგორ შეეხედნა პირში, რა ნამუსით გაესწორებინა მათთვის თვალი? დაფიქრდა და ბიძაშვილებთან გაუწია გულმა. მაგრამ როდი მივიდა იქამდის. დაუძახა და შორიდან მიიხმო ოთარი.

— მშობლები მოსვლია ლილისა!.. შენ წადი და დაზვერე, რა ამბავში არიან სამასწავლებლოში. მაგარი ჭექა-ქუხილი უდგათ, თუ უბრალოდ ჯავრობენ მარტო? მიდი დაუძახე არჩილსაც. გამოვიდეს და გამეგზავნოს ლომდართან.

წავიდა ოთარი...

დაბრუნდა უკან და გახედა სკოლას. არავინ ჭაჭანებდა არც აივანზე, არც — ეზოში. ვინ იცის, რა ხდებოდა სამასწავლებლოში, გარეგნულად კი სიმშვიდე იყო ყველგან. შეირბინა ბოსელში. არხეინად იცოხნებოდნენ ძროხები. მერე გადახედა ცხვრებსაც. ხარბად კმაკნიდნენ თივას. „ორი ცხვარი დაიკვლება. თუ დამჭირდა, მივაყოლებ მოზვერსაც. ახ, რა დროს მიყელეს!.. რა ვქნა მარტომა?..

ვეღარა ჩერდებოდა ერთ ადგილზე. წუხდა, რომ არ ჩანდა ოთარი, არც — არჩილი. უსაშველოდ გრძელდებოდა წუთები, წამები... გახედა სკოლას. უკვე გამორბოდა ოთარი. მშვიდობა რომ იყოს, ჩვეულებრივი ნაბიჯით გამოუდგებოდა გზასო, გაიფიქრა და მიეგება აივანზე.

— წაყვანას უპირებენ ლილისა. ძმები ცალკე უყვირიან, დედა და მამა — ცალკე. ლამის აჰყარონ ჭერი მუქარით. ეხლავე წავიყვანთ ჩვენს შვილსა და გამოვაცხადებთ მილიციაშიო, ციხეში ჩაგყრით ყველასაო. ლილი ბავშვივით მიმჯდარა კუთხეში და ილვრება ცრემლად.

— რა უნდათ მაინც, რას უყვირიან?

— რად გათხოვდი აქაო, რად გაყევი მთიულსო, მერე ისიც ვისა, მწყემსს, მაგისთვის გასწავლეთო? აქ უნდა დაბერდე ამ ბნელსა და ყრუ მთებშიო? არ დაგაყენებთ აქაო.

მძიმედ შემოაწვა ბოლმა. გაუძნელდა სუნთქვა. მერე წარმოიდგინა აცრემლებული ლილი და მთელი ხმით უყვირა ოთარს:

— წადი და შადი ისევა!.. იქიდან გაიქეცი ლომდარიაანთას!..

ბივი ბუთხუზი
წმინდა ხე

წავიდა ოთარი და თეგერა მიდგა ფანჯარასთან. თვალწინ დაუდგა საბრალობლად ატირებული ლილი. ამის გამო გაბრაზდა და გაეშურა სკოლისკენ... რაც უნდა მკაცრი ყოფილიყო ლილის მამა, ხომ არ შეჭამდა ბოლოს და ბოლოს? თუკი ლილი განიცდიდა მის სიავეს, თვითონ რაღა ჰქონდა დასამალი? მიდიოდა და თანაც უკან უდგებოდა მუხლი. კი არ ეშინოდა, ეხათრებოდა მასწავლებლებისა. არ უნდოდა, მათი თანდასწრებით ეგემნა ცოლეულთაგან მოყენებული უსიამოვნება... როგორ, რა პირით მისულიყო მათთან?.. არავინ ჩანდა არც სკოლის აივანზე, არც — ეზოში. „დაე მომკლან, სიკვდილი მირჩევნია ასეთ ყოფას!..“ გაიფიქრა და გადაალაჯა ყორეზე. სწორედ ამ დროს გაიღო სამასწავლებლოს კარი. იქიდან მოისმა ვიღაცების ყვირილი და გამოვიდა ატირებული ლილი. მას ხმაღალი წყევლით გამოჰყვა თავსა და წელზე შალმოხვეული ქალი. მერე გამოვიდა კაცი, ბოლოს — ძმები. არ იყო მეტი გზა, უნდა გადასდგომოდა წინ.

გასცდნენ სკოლას და გაუდგნენ ჩამ ბილიკს, რომელიც მოკლეზე უერთდებოდა დიდ გზას. იწყევლებოდა დედაკაცი, ილანძღებოდა კაცი, გაუგებრად ბუზღუნებდნენ ბიჭები. როცა გავიდნენ სკოლის ეზოდან, მაშინღა წამოეწია მიმავლებს. გამარჯობათო, დაუძახა დაბნეულმა. უცბად მოტრიალდნენ ოთხივენი. მოტრიალდა ლილიც და დაიძახა ატირებულმა:

— წადი შინ, წადი! წადი! სად მომდევ? მივდივარ შენგან! დამანებე თავი!

წყევლით ამოთაქა სიდედრმა, შეაგინა სიმამრმა. ძმები კი გამოიქცნენ ლანძღვით შეჩერდა და დაელოდა მათს დარტყმებს. მოვარდნენ და წაუშინა ორივემ. ხელგაუნძრევლად ეცეძანებოდა და პირუტყვივით უხმოდ იტანდა ტკივილებს. ხელს როგორ შეუბრუნებდა ლილის სიყვარულით? ურტყამდნენ ულვთოთ. ისე გამწარდა ბოლოს, კინაღამ ატირდა ბოღმისაგან. მოუქნია თვითონაც, მაგრამ უმალვე შეაჩერა ხელი, ღმუილით იკბინა მაჯაზე. ისინი კი ურტყამდნენ გამეტებით.. გულგრილად უყურებდნენ მშობლები... მერე გამოიქცა კაცი, ერთიორი გაჰკრა იმანაც და გაირეკა ბიჭები. გაიხედა წინ, მაგრამ უკვე აღარ ჩანდა ლილი. ჩაფარებულიყო ხევს, რომელსაც ირიბად სჭრიდა საცალფეხო ბილიკი. გაიქცა, რათა გადასდგომოდა ცოლს. კვლავ გამოიწია მისკენ უფროსმა ძმამ, მაგრამ აღარ გამოუშვა მამამ, უჯიკავა და გაიგდო წინ.

ჩავიდნენ გზატკეცილზე, სადაც გაეჩერებინათ ძველი პატარა ავტობუსი. მასში თითქმის ძალით შეაგდეს ლილი და შევიდნენ თავადაც. დაინახა, უმცროსი ძმა მიუჯდა საჭეს... ეცა კარს და, რომ ვერ გააღო, ჯიქურ გადაუდგა წინ. ნელა დაიძრა ავტობუსი. ერთხანს კი უძალიანდებოდა მას, მერე წაიგდო ქვეშ და ძლივს მოასწრო საბუქსირე კაუჭებისათვის ხელის ჩავლება... მიიწევდა ავტობუსი და მიათრევდა დაღმა. თანდათან უმატებდა სვლას... დაეღალა ხელები, აეწვა კიდეც ყინვისაგან, ლამის... ძრავის თუხთუხში არ ესმოდა, როგორ ღრიალებდა ლილი. არც ის დაუნახავს, როგორ უტაცა ძმას საჭე. ის კი გაიგო, რომ შეჩერდა მანქანა, გაიღო კარი და ახლაღა მოესმა შეუკავებელი ღრიალი. ჩამოხტა ლილი და შეიხედა ქვეშ. მერე ოდნავ ხმაჩამცხრალმა მოუარა წინიდან და მიეხმარა წამოდგომაში. როცა გაიმართა წელში, მოჰკიდა ცოლს ხელი და მიაბრუნა სოფლისაკენ.

ნებაზე მიჰყვებოდა ლილი, ქმრის მკლავს იხუტებდა მთელის ძალით, თანაც კვლავ ტიროდა გულამომჯდარი და ლამობდა რაღაცის თქმას, მაგრამ სიტყვებს აღარ ანებებდა ყელში ამომჯდარი გული. მიდიოდა და ლამის ტიროდა თავადაც.

ელდარ კერძევაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დედას

შენს თვალწინ ვბერდები,
დედაჩემო...
მე მახსოვს
შენი ახალგაზრდობა,
თიქოს ტოლებიც კი ვიყავით,
მერე ჩამოდგა
ჟამი სიჭაბუკის
და ჩვენ დავშორდით,
ახლა ისევ
წამოგეწიე, —
შენსკენ მეტი ვარ
ვიდრე ჩემი შვილებისაკენ.

## სოფელი. გვიანი შემოდგომა. წვიმა. ვკითხულობ წიგნებს.

დღემდე ცხოვრობდა
მთელი ხმელეთი, —
ფაუსტის ჭკუით,
დონ-კიხოტის სისულელეთი.
დღემდე ცხოვრობდა
მთელი ხმელეთი
ხვალინდელი დღით,
ზეგინდელით,
ანუ მერეთი...
ო, ჭეშმარიტად
ნაღდ გრძნობათა იყო ნადიმი, —
მადამ ბოვარი...
კარენინა...
მზე თინათინი...
იყო ღალატი,
იყო შური,
ლოცვაც და წყევლაც,
მაგრამ იცოდნენ სიყვარულიც და გაჭრა ველად.
თქვენ არ იფიქროთ,
არ იფიქროთ რამე ისეთი...
მოწყენისათვის სულ მცირედიც კმარა მიზეზი,
მე კი ვუცქერი ყრუ სოფელში ცივ შემოდგომას,
საკუთარ ხელში სურვილების უმწეოდ კვდომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პ. ა.

შენი ტუჩების ლიანდაგებზე
გადაირბინა ექსპრესივით
შენმა სიცილმა
და ყველა ჩემი ქათინაური
თან გაიყოლა.

## მ ა ს

დახვალ ძველი ეტიკეტით,
კვლავაც კოხტად გაცვია, —
მაგრამ დაგიკარგავს პეწი,
ძველებური გრაცია.
მახსოვს რუსთაველზე ბიჭებს
ელეთ-მელეთს გვმართებდი,
და ვითვლიდით შენს ნაბიჯებს,
შენზე ფიქრით ვათევდით.
სიო სიცხეს მიასვენებს
მთებში მზე იწურება,
მიდიხარ და მიგაქვს ჩვენი
დაფერფლილი გულები...

## გახსოვს?

*თედო ბექიშვილს*

დრომ
თბილისის ქოხ-მახები
თანდათან აჩალა,
მაგრამ ხსოვნას ხელი ვერ ახლო...
სადაც ახლა
ლამაზი სასტუმროა, —
„აჭარა“,
ნაქირავები
მცირე ოთახი გქონდა,
გახსოვს?
ერთ საღამოს
გესტუმრეთ
მე და ჩანტლაძე შოთა
(გვიანი შემოდგომა იდგა),
დედის ხელი დასტყობოდა
შენს ღარიბულ ოთახს, —
რაღაც-რაღაცეებიც ჩამოეტანა მთიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაჭო-ერბომ და ჟიპიტაურმა ჭანჭურის
გაგვახალისა (ნამეტნავად შოთა).
იჯდა შოთა
პოეზიის მსაჯულად...
ჩვენც არაყმა გაგვათამამა ცოტა.
...
სხვა დრო იყო,
რაღაც სხვაგვარად სანატრელი
(წარსული აწმყოს მძევალია)
დღევანდელს არ ვემდური,
არც მინდა არაფერი, —
მაგრამ წარსულ დღეთა
შუქს ვერ შეველიე...
დრომ
თბილისური ქოხ-მახები
თანდათან აჩალა,
მაგრამ ხსოვნას ხელი ვერ ახლო...
სადაც ახლა
ლამაზი სასტუმროა —
„აჭარა",
ნაქირავები
მცირე ოთახი გქონდა,
გახსოვს?..

●

ტრაგედიაა,
აბა რაა
ცხოვრება ჩემი, —
ზღვა ასე მიყვარს
ზღვაზე ერთიც ამ მივის გემი...
ტრაგედიაა,
აბა რაა
ცხოვრება ჩემი...

## სევდა

დოდოს

იმ წელს
შენს ქალაქში ყოფნა მომიწია,
ქალაქში სტუმრები იყვნენ ოხრად,
ამბობდი, მომწყინდაო პროვინცია,
დედაქალაქში ჯობიაო ყოფნა...
წუხდი, ვერ ვნახეო კაცი, —
ნაღდი სიყვარულის შემძლე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადლით გაგზომავსო ჩარჩის
თუკი ვინმეს გულით ენდე,
წლები დავკარგეო უქმად,
რა ბედენაა გატაცება ოდენ,
გამიჭირდაო ცხოვრება უქმროდ,
მეც მინდაო ჩემი ოჯახი მქონდეს.
და...

        თვალებზე ცრემლი მოგერია...
კმარა, აღარ მოვყვები დანარჩენს...
ისედაც მწარეა და დაუნდობელია, —
როცა თავად კითხულობ
                              საკუთარ განაჩენს.

მინაწერი:

ორი წელია
            აგიშვია ცხოვრების აფრა,
გავიგე, მოჰკიდებიხარ ოჯახსა და ქმარ-შვილს.
მაინც გკითხავ: ბედნიერი ხარ ახლა...
თუ... ბედნიერი იყავი მაშინ?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

საითაც მივალ და როგორც მივალ,
მაინც მშობლიურ ღრუბლებს
მოვდენი...
შენ გეკითხები, ცრემლი რომ გცვივა,
მოვკვდები, ნუთუ, მართლა
მოვკვდები;

ვეღარ ავყვები ცისკენ ბალახებს,
ვეღარ წამილებს უშენოს ღელე.
მადლობელი ვარ, რაც არ მანახე...
რაც უნდა ვნახო სიკვდილის მერე.

●

შენს გამო ყოველ ღამე ვკვდები და,
შენს გამო ყოველ დილით
ვცოცხლდები,
მზირალო ცათა გუმბათებიდან,
მდინარო ჩვენთა გალობებიდან...

შენ, შენ გნატრიან სიტყვავ, ხმიერო!
შენ, — მარადისი ჭმუნვის საგანი,
ჰაი--ჰაი, რომ საბედნიეროდ,
საბედნიეროდ ხარ ჩვენთაგანი.

## სიმშვიდისათვის

ყველანი აქ ვართ, ამ რიყეზე, ამ ცისკიდურზე;
ყველანი აქ ვართ, ყასაბი თუ მევიოლინე...
შორს კი, შორს მოსჩანს ბნელი სასახლე
პირქუში ღამის კენწეროზე გამოტანილი...

პირი ვიბრუნეთ მიწისაგან,
ყველანი აქ ვართ შემოყრილნი;
თითქოს...
ამოდის,
თითქოს...
ნათდება..
სიმშვიდისათვის,
სიმშვიდისათვის,

სიმშვიდისათვის შემოყრილნო!
ტელევიზორის ეკრანებზე — თქვენს დახრულ ძვლებთან
თითქოს...
ამოდის,
თიქოს...
ნათდება;
თიქოს ტოტია მოუძლვება ტყიერთა ხროვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თქვენთვის ვინატრე

მეწყება ჩუმი სინანული, რომ აღარა ვარ ოცი წლის ბიჭი,
რომ უსაშველოდ დამღლელია ჩემი ასაკი;
თითქოს ცხოვრებაც იგავია — ფოთოლ-ბალახი,
შუადღით მთიბავი რომ გადაუვლის...

დავბრუნდი ერთხელ ბავშვობის წყლებზე, —
ისევ მდუმარედ ჩაჰყურებდნენ საკუთარ ფესვებს
და ტირიფები,
ტირიფები,
თქვენთვის ვინატრე სიტკბოება მეტყველებისა.

შაქრო სამადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რისთვის ვაგროვებ

მე ასე ვფიქრობ, მე ასე მჯერა:
სანამ ვარ, სანამ გული ირჯება —
ვუმატო ხოლმე მზის სხივებს სხივი,
მოგართვა ხოლმე მზე თაიგულად.
ჰაეროვანი და ღვთაებრივი —
თავისად ვინ და რით დაგიგულა?!

ნეტავი იმას, ვისაც სმენია
თანხმობა შენი... სათნო, გამგონე —
სხვისი ხარ, სხვისი... მე კი მდენია
ცხარე ცრემლები. რისთვის ვაგროვებ
უთვალავ სხივებს, მათ შუქში
ვისი თმები გავხვიო?!

## ცრემლი

მესამე ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელმა ირინა როდნინამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარული გამოხატა ცრემლით, რომელიც ტელევიზიის ეკრანზე მსოფლიომ ნახა.

ცრემლი... დაგორდა სახეზე ცრემლი,
მახარებს, ვუმზერ მას ალტაცებით.
ცრემლი — დაძაბულ ფიქრთა
გამხელა,
ცრემლი — ნანატრის კვლავაც
ახდენა.
ცრემლი — სასახელო წარსული
და დღეის დიდების დასტური.
ცრემლი — შუქოსნობა წამწამების,
ცრემლი — უკვდავება ამ წამების.
ცრემლი — გამარჯვების ნიშანი —
რა ვნახო სხვა შესანიშნავი!
შენს კურცხალს, მშვენიერო ირინკა—
დაერქვას უნაზესი ლირიკა!

კვარცხლბეკზე შემდგარო როდნინა,
როგორი ტირილი გცოდნია?!

ვარ მრავალთაგანი... ირინა მეც
მიყვარს,
მის ცრემლს რომ შევხედე, ასე
ვთქვი:
ვინც იცავს ღირსებას ამ ჩვენი
ქვეყნისას —
ყველას დაებედოს,
ყველას დაებედოს,
ყველას დაებედოს
ცრემლები
ასეთი.

## ნასოფლარზე

ძნელია, როცა დასტოვებ, წახვალ...
მძიმეა, როცა არვის არ ელი.
ოი, ნეტავი არ დამანახვა
ნანგრევები და ნასახლარები.

ჯიუტი კითხვა გულში გავივლე:
ნაეზოვრებზე ვარდებს, ყვავილებს —
ელით მოსპობა, გადაშენება,
ნეტავი საწყლებს რა ეშველებათ?

ველურ მცენარემ ანიშნა ზამბახს:
თუ შეგიძლია გამიძელ, აბა,
გაგანადგურო, — ამის ჟინი მაქვს,
შენი ხანჯლების არ მეშინია!

მსუსხავი კითხვა გულში გავივლე:
მზრუნველი ხელი აღარ ტრიალებს,
ველური ებრძვის და ატიალებს.
რა ეშველებათ ლამაზ ყვავილებს?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

# სასწაული

რომანი

დათო ერისთავს...

ის ინსტიტუტი, სადაც გედეონი ეუფლებოდა უმაღლეს განათლებას, საიუბილეო თარიღს დღესასწაულობდა — დაარსებიდან ოცდამეხუთე წლისთავს, და მე რომ არ გითხრათ, მიხვდებით ალბათ თვითონვე. ზეიმისათვის სამზადისს ადრევე დარევდა ხელს იქაურებს — ჰო, ეგრეც იყო: საიუბილეო კომისია ორი წლის წინათ აერჩიათ. სხდომებსაც იშვიათად როდი იწვევდნენ. იკრიბებოდნენ დრო-დრო და წინასწარვე ჰვრეტდნენ ღონისძიებებს, მომავლისათვის რომ გახლდათ გათვალისწინებული, ხოლო პრესა და რადიო-ტელევიზია საგულდაგულოდ აშუქებდა როლსა და მნიშვნელობას უმაღლესი სასწავლებლებისას. პროფესორ-მასწავლებელთა მოგონებებიც ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში და კიდევ, ნარკვევები თუ ჩანახატები იქ აღზრდილ ცნობილ მეცნიერებსა და კურსდამთავრებულებზე, რომელნიც თითქმის ყოველ კუთხე-კუნჭულს შეჰყუუოდნენ ჩვენი ქვეყნისას — უკიდურეს ჩრდილოეთს, სადაც ზამთრის გარდა, წლის სხვა დრონი პირობითი ცნებებია მხოლოდ და მხოლოდ — თუ უკიდურეს სამხრეთს, აუტანელი სიცხე-პაპანაქება რომ სუფევს, უკიდურეს აღმოსავლეთსა თუ უკიდურეს დასავლეთს და, ბარემ აქვე დავსძენ, თავდაპირველად, აი, იმ დღიდან, როცა საიუბილეო კომისია შეიქმნა, სამზადისი ძალზე ჩვეულებრივ დაიწყეს, უხმაუროდ, არც ზედმეტი ფუსფუს-ფაციფუც-მღელვარება უფილა მაშინ და არც აურზაურ-აყიოტაჟ-ციებცხელება, ხოლო მერე, ჟამი რომ გამოხდა და, სადაც იყო, კარს შეუმსხვრევდათ ის ნატვრაოცნებად ქცეული თარიღი, უცნაური ამბები დატრიალდა — სასწავლებლის დამაარსებელ პროფესორ-მასწავლებლებს, საკმაოზე მეტნიც რომ იყვნენ, რაკი ინსტიტუტი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებულიყო, განსაკუთრებული სიამაყე დაეტყოთ, სიამაყეცა და თავდაჯერებულობაც, რასაც იმათი ყოველი მოქმედება მიგანიშნებდა — მოღლილ-მოშვებულნი დაალაჯებდნენ, საგანგებოდ გამომუშავებული ნაბიჯით, ხოლო სახეზე იერი დაჰკრავდათ ჯოჯოხეთური გარჯით ქანცმილეული ადამიანისა. ზედმიწევნით ნიშანდობლივი კი ის გახლდათ, რომ ლექციებსაც სხვანაირად კითხულობდნენ, ადრე რომ არა სჩვეოდათ. იმდაგვარად — წამეტნავი ექსტაზ-აღტკინებითა და ზედმეტი ზეშთაგონებით, იფიქრებდი, ეგ არი და ეგა, ნაღდი ქურუმები არიანო... მერე ისევ გამოხდა ხანი და უხუცეს პროფესორ-მასწავლებლებს უფრო ახალგაზრდებმაც მიჰბაძეს, საშუალო თაობას რომ განეკუთვნებოდნენ, აი, იმათ, და ისინიც ქურუმებს დაედარნენ... დრო კი მაინც თავისას სჩადიოდა — მიედინებოდა, და მოხდა ის, რაც ლოგიკურ-კანონზომიერი გახლდათ: სიამაყე, რომელიც თავდაპირველად ხანშიშესულთ დამჩნეოდათ, მოარულ სენადა თუ ეპიდემიად აგიზგიზებულიყო თითქო: საშუალო

თაობად რომ ითვლებოდნენ, იმ აღმზრდელთა შემდგომ დაავადებად ქცეულმა რწმენა-თავდაჯერებულობამ წვრილფეხა მეცნიერებსა და ასპირანტებს დარია ხელი, ქურუმები იყვნენ ახლა ისინიც, ოღონდაც უფრო დაბალ საფეხურზე მდგომნი... ხოლო შემდგომით შემდგომ, რაღა ძნელი გამოსაცნობია, სენი სტუდენტებსაც გადაედებოდათ, პაწია, მაგრამ დიდი და ბრწყინვალე მომავლის მქონე ქურუმებს დაემსგავსნენ ისინი... და, აი, ერთ მშვენიერ დღესაც მთავარ კომენდანტს მოეკარი თვალი, მოშვებულ-ქანცგაცლილი დააბიჯებდა ინსტიტუტის ეზოში და სახითაც ნატანჯ-ნათრევი ადამიანი გეგონებოდა, არადა, პოზა იყო ეგა — იმ დილით ერთ ძველ ნაცნობს შეხვედრია ჩემსას და ასეთი რამ უთქვამს: „ძილით ველარა ვძღები ბოლო ორი წელია, ე, რა უბედურებაა ჩემს თავსა, კაცო, ჭამის მადაც ხომ მაქვს და მაქვს!— ჩაფიქრებულა ეგ რომ უბრძანებია, მერე ხელი ჩაუქნევია თურმე. — არ ვიცი, რა ჯანდაბა ვუშველო მოზღვავებულ ენერგიას...“ ჰოდა, რიგით კომენდანტებსაც მეტი რაღა ჩარა ჰქონდათ, ადგნენ და უფროსს დაედარნენ... ბოლოს კი მახსენდება, იმ მშვენიერ დღეზე უფრო წარმტაცი დილაც გათენდა და დაუჯერებელი რამ მოხდა — კარისკაცებიც დაიბღინძნენ, ისე რომ მართლაცდა დიდებული სანახაობა გახლდათ იმ თავმომწონე, გაამაყებული ხალხის ყოველი მოქმედება-საქციელი... ხოლო იმ საღამოს, საიდანაც ამბის თხრობას ვიწყებ, უამრავ ნათურასა თუ რეკლამას აებდღვრიალებია ინსტიტუტის ეზო-შემოგარენი. გრილი, ჩახჩახა ღამე იყო, ისეთი, უმალ რომ გამოგაკეთებს, რაგინდ მოშხამულ გუნებაზეც უნდა ბრძანდებოდე, ფერთა სინარნარე კი კლუბში უნდა გენახა, საიუბილეო საღამო მიმდინარეობდა იქა, დასკვნითი თანაც, და ყველაფერს თვალნათლივ წარმოიდგენთ ალბათ, რაკიღა ადრევე მოგახსენეთ, რა წრფელის მოწიწებითა თუ საამო რუდუნებით ემზადებოდა ხალხი იმ სანუკვარი დღისთვის, იმდენი ხნის ლოდინის შემდეგ რომ შემობრძანებულიყო. კაშკაშებდა კლუბი, თითქოსდა ცეცხლი ეკიდა... გედეონი კი ლალისა და რეზოს შუა ჩამჯდარიყო და გახალისებული შესცქეროდა სცენას: თანაკურსელები იყვნენ ბიჭები, მეხუთე კურსის სტუდენტები, ხოლო ლალი სხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა, უფრო დაბალი რანგისად რომ მიიჩნევდა ხალხი, ალბათ იმიტომ, არცთუ ისე დიდიხნის წინათ რომ დაარსებულიყო...

ერთიმეორე უყვარდათ გედეონსა და ლალის — ცაუს ქალი ამ ექვსიოდე თვის წინათ გაეცნო და მას შემდგომ ძალზე ხშირადა ხვდებოდნენ ერთმანეთს, ბოლოს კი ორივენი მიმხვდარან, უერთმანეთობა აღარ ძალგვიძსო, და ისიც დაუსკვნიათ, ადრე იქნებოდა თუ გვიან, ერთურთს მაინც შევხვდებოდითო... ეს რაღა ირწმუნეს, უფრო მტკივნეული სიმწვავით შეუყვარდათ ერთმანეთი. იმ საღამოს კი ინსტიტუტის აწვია გედეონმა ლალი და თანაკურსელებისაც გააცნო; გოგონები გარეგნობამ მოაჯადოვა ლალისამ და ჩაცმულობამაც, ხოლო ვაჟები სისადავე-უბრალოებამ, თანდაყოლილი რომ ჰქონდა გოგოს... თავად გედეონი კი ყოვლად ჩვეულებრივი სტუდენტთაგანი ბრძანდებოდა, არაფრით გამოირჩეოდა სხვათაგან — ესწრებოდა ლექციებს, დროდადრო აცდენდა კიდეც. საპატიო მიზეზით ზოგჯერ, ხანგაშვებით კი უმიზეზოდაც, აალირებდა თავს და, იმის სანაცვლოდ, ინსტიტუტს რომ სწვეოდა, ქალაქის ქუჩებს მიჰყანყალებდა, დადიოდა ქანცის გაცლამდე; საქმე არა ჰქონდა რა და ცუდუბრალო ყიალ-ხეტიალს სწირავდა დროს და, აი, რასა ფიქრობდა: კარგად ვიქცევი, ლექციებს რომ ვაცდენ, ისედაც ბევრი რამა აქვს ცხოვრებას ისეთი, რისი შესრულებაც შეუძლებელია და ამგვარი მცირე სიამოვნება რაღად უნდა მოვიკლოო... ერთი მწერისა არ იყოს, უზრუნველ-უდარდელად ატარებდა დროს და, მოდგებოდა თუ არა ჟამი გამოცდებისა, წიგნებს მიუჯდებოდა, ჰოდა, წელშიწახრილ-გაძვალტყავებულ სამებსა ღებულობდა, ცოდნით ხან, ხანაც ეშმაკობით, ფრიადებსა და კარგებს კანტიკუნტობდა იმისთვის და ამიტომაც იყო, შშირად რომ დამდურებია სტიპენდია. მაგრამ რაღას იზამდა, დაიარებოდა ამრეზილ-აზღარბული და სტუდენტობაც თვალდახელშუა იწრიტებოდა, მოკლედ, ყოველმხრივ ჩვეულებრივი სტუდენტი გახლდათ გედეონი, მაგრამ ეგ იქამდე, ვიდრე საიუბილეო თარიღს იდღესასწაულებდა ინსტიტუტი. იმ საღამოს კი ერთი მეტად უჩვეულო რამ შენიშნა თავის თავს, იმგვარად საკვირველი, თავიდან ვაოგნდა კიდეც, ხოლო მერე, ხანი რომ გამოხდა, უცნაურმა აღმოჩენამ ერთიანად შეაცვლევინა ჩვეულ-დაკანონებული ნირი ცხოვრებისა, უფრო მეტიც, საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებად აქცია, უნიჭიერეს ყმაწვილკაცად, რომელსაც თურმე, ნუ იტყვი და, უსაბაბოდ აკნინებდა მუხთალი წუთისოფელი... თავდაპირველად კი, აი, იმ საღამოს, ჩვეულებრივი ამბები სწვეოდა ფიქრად, წვრილმან-ყოველდღიური, ხოლო საზეიმო ვასწყობილება, რომელიც ირგვლივ სუფევდა, იმასაც გადასდებოდა — სასიამო სიმშვიდე დაუფლებოდა, იშვიათად რომ სჩვეოდა, იმდაგვარი... მერე კი, თანაკურსელებმა რომ მოიწონეს ლალი, უცნაურად გაამაყდა გედეონი, ბატონპატრონი ამ უძვირფასესი საუნჯისა, რომლის ღირსად არასოდეს მიუჩნევია თავი და გაუელვა: „ვიცოდი, მოეწონებოდათ, არდადეგებზე

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

სოფელში ჩავიყვან ბარემ და ჩვენებს გავაცნობ...“

ეს რომ გაიფიქრა, საიუბილეო სხდომა ახალდაწყებული იქო მაშინ, ერთხანს კიდევ გახლდათ ჩაფიქრებული, ნაადრევად ხომ არ გადავწყვიტე ამგვარი რამო, სწონიდა გუნებაში... რა თქმა უნდა, დროულიაო, დაეთანხმა მერე ფიქრს და ლალის გადაუჩურჩულა: „რას იტყვი შენ, როდის მოვაწეროთ ხელი?...“ მოულოდნელობისაგან თავგზა აებნა ლალის, ხოლო გედეონს არ გამოჰპარვია, როგორ შეკრთა გოგო, ისიც დაინახა, ცოტაც და, ცრემლმა რომ დაუცვარა თვალები, სახეც აუვარვარდა და ვაჟს ესიამოვნა იმისი შეცბუნება-აფორიაქება: საამო ჟრუანტელმა დაუარა ტანში, თუმცა კარგა ხანი იყო, რაც ერთმანეთი უყვარდა ქალვაჟს, მაგრამ ცოლქმრობაზე იქამდე არც ერთს წამოსცდენია სიტყვა და არც მეორეს. ამიტომაც იგრძნო ლალიმ უმწეობა-სასოწარკვეთა, კრინტი ვერ დაეძრა, არადა, იცოდა, აუცილებლად უნდა ეთქვა რაიმე და ხელახლა რომ გაუმეორა გედეონმა წამისწინანდელი შეკითხვა, სახეზე უცებ გაუფერმკრთალდა სიწითლე, დაღლილი ფერი დაედო, ბოლოს კი, რახან ვერაფერი თქვა, წარბები ამშვილდა ჯერ კითხვის პასუხად, თავი ჩაღუნა შემდგომ და უმწეოდ აიჩეჩა ვიწრო მხრები... „ერთი წლის მერე, — ისევ ჩასჩურჩულა გედეონმა, — უმაღლესს როცა დავამთავრებ...“ და ერთხელ კიდევ შეთრთოლდა გოგო, მაგრამ ამჯერად უმალ გადაუარა უხერხულობამ: ღიმილი ჩასდგომოდა თვალებში, შესცქეროდა ვაჟს ღიმმორეულ-დაბურუსებული და, როგორც ყოველთვის, იმ დროსაც სათნო შესახედაობისა იყო, წელანდელი უმწეობაც გაჰქრობოდა უკვალოდ და თანდათან ეუფლებოდა ნეტარი სიმშვიდე...

ეს რომ ხდებოდა, ჯერ კიდევ ჩვეულებრივი სტუდენტი იყო გედეონი და, რა თქმა უნდა, ვერც წარმოიდგენდა, რა უნდა მომხდარიყო ცოტა ხნის შემდგომ... საიუბილეო საღამო რომ გახსნეს და ტაში მინელდა, დეპეშები წაიკითხეს მერე — საიდანღა არ მოსულიყო მილოცვები, მოძმე რესპუბლიკებიდანაც და მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებიდანაც, ეგ კი არა, ზოგიერთ ინსტიტუტსა თუ უნივერსიტეტს წარმომადგენლის გამოგზავნაც არ დავიწყებოდა და ბოლო აღარ უჩანდა კეთილ სურვილთა ნაკადს. ტაშის ხმაც წარამარა ისმოდა, რაც უფრო და უფრო აძლიერებდა საზეიმო განწყობილებას...

შემდგომ კი, დრო რომ გავა და გედეონს ის საღამო მოაგონდება და გაიხსენებს, სწორედ მაშინ რომ აღმოაჩნდა უჩვეულო უნარი, რომელმაც იქამდე ჩვეულებრივი ყმაწვილი საქვეყნოდ სახელგანთქმულ პიროვნებად აქცია, გაუკვირდება ყოველთვის, რაღა იმ ზეიმსა და აღფრთოვანების წუთებს დაემთხვა ყველაფერიო, მაგრამ რაკი თანამედროვე ახალგაზრდა ბრძანდება, ცხადია თავისთავად, ზებუნებრივ ძალებს ვერ მიაწერს უცნაურ შერწყმა-დამთხვევას მაშინდელი საზეიმო წუთებისას და ნიჭის გამოვლენისას...

ლალის რომ გადახედა გედეონმა, გოგო სცენის მზერით იყო გართული, მაგრამ იგრძნო თუ არა, ბიჭი მიყურებსო, თავადაც შეავლო თვალი, შეჰყურებდა, წელანდელი ნათქვამი ახსენდებოდა ვაჟისა და ცდილობდა, წინასწარვე განეჭვრიტა ყოველივე ხვალინდელი დღეებისა: როგორ მოაწერდნენ ხელს, შეიცვლებოდა თუ კვლავაც ისეთივე დარჩებოდა გედეონი მას შემდგომ, რაც ცოლქმრულ ცხოვრებას დაიწყებდნენ და კიდევ სხვა უამრავი რამის წარმოდგენაც სურდა, ისეთი ამბებისა, მომავალთან რომ იყო დაკავშირებული, მაგრამ წარმოსახვის უნარი ღალატობდა ამჯერად გოგოს, სხვა დროს კი, როცა ამდაგვარი თუ მსგავსი ფიქრი სწვევია — რა დასამალია და, ხშირად ხდებოდა ესა — თითქოს კინოკადრებს უმზერდა, ისე საოცარი სიცხადით დაუნახავს მერმისი: ტკბილი, საამო, ფერადსა და უცნაურად თბილ, თითქო არაამქვეყნიურ ბურან-ნისლში გამოხვეულ-ატივტივებული... რეზო კი გაფაციცებით გასცქეროდა სცენას — გულდასმით უსმენდა რომელიღაც ორატორს: დიდებული მჭევრმეტყველი ჩანდა ის კაცი, ხმაც სასიამოვნო ჰქონდა, რბილი, ხავერდოვანი, ჰოდა, აუდიტორიასაც მეტი რაღა ენდომებოდა, მოხიბლული იყო, სულგანაბულ-გატრუნული. მერე რომელიღაც ამერიკელი თუ ინგლისელი პროფესორი ლაპარაკობდა და თუმცა დარბაზში მსხდომთა უმეტესობამ, საყველპუროდაც არ იცოდა ის უცხო ენა, დიდებულად უწყოდნენ მაინც, ორატორი ქება-დიდების კორიანტელს აფრქვევდა მასპინძელთა მისამართით და დარბაზიც მოწიწებითა და გულისყურით ისმენდა უცხოელის ენაწყლიანობას. გედეონი კი ჯერ ისევ ჩვეულებრივი სტუდენტი იყო. ჩვეულებრივი სტუდენტი გახლდათ მაშინაც, ლალიმ ყურთან რომ მიუახლოვა ტუჩები და ჩუმის ხმით წარმოთქვა:

— იცი რა, გედეონ? მოდი, ბარემ შენი თანაკურსელებიც მოიყვანე ჩემთან დაბადების დღეზე...

— უჰ, — მიუგო გედეონმა, — კიდევ კარგი, რომ შემახსენე, რეზოს მოვიყვან...

— სხვებიც მოვიდნენ, ნუ მოგერიდება...

— ეგეც საკმარისია, — უპასუხა გედეონმა და რეზოს მიუბრუნდა, — კინაღამ გადამავიწყდა, ხვალ ლალის დაბადების დღეა და, მეწვიოსო...

— აუცილებლად, — უთხრა ლალიმ, — თორემ ძალიან მეწყინება...

რეზომ ცალი თვალი მოჭუტა, დაეტყო ცხადად, ფიქრს რომ მინებებოდა, მაგრე გარინ-

დულ-ცალთვალმოჭუტული ფიქრობდა, თანხმობის ნიშანი იყო ალბათ ესა... ნიჭიერ სტუდენტად მიაჩნდა რეზო ყველას და ასეც იყო, როდი სცდებოდნენ, მაგრამ რაკი თავზეხელაღებული ყმაწვილის სახელი ჰქონდა დავარდნილი, უკვირდათ ეს ამბავი. პროფესორ-მასწავლებლებსაც აოცებდათ მოუწესრიგებელი ბიჭის ღრმა ცოდნა და ამიტომაც იყო, გამოცდისას თავს არ იზოგავდნენ, ოღონდაც დაბალი ნიშანი დაეწერათ როგორმე იმისთვის. ჩვეულებრივ, თითქმის ყველა ლექტორი ერთ საათზე მეტ ხანსა სცდიდა ხოლმე, ახსოვდათ კარგად, ლექციებზე ხშირად რომ არღვევდა წესრიგს. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ცოდნა არ იკარგებოდა, ბოლოს და ბოლოს იძულებულნი ხდებოდნენ, ფრიადზე შეეფასებიათ უდისციპლინო სტუდენტის ცოდნა და სიამოვნებდათ კიდეც უმაღლეს ნიშანს რომ უწერდნენ... არც მუშტი-კრივში დაუდებდა რეზო ვინმეს ტოლს: იმისი გალახულნიც უხილავთ ხშირად და ისიც უნახავთ თვალებჩალურჯებულ-ჩასისხლიანებული, თან არც ერთ ამქვეყნიურ სიამტკბილობა-დროსტარებაზე არ გახლდათ უარისმთქმელი— ქეიფ-ღრეობაც სიამოვნებას ჰგვრიდა და იმ გოგოების საზოგადოებაც, მსუბუქ-ქარაფშუტული ყოფაქცევისა რომ არიან, ქეიფის წამომწყებიც თითქმის ყოველთვის თავად გახლდათ (და იმ საღამოს, ლალიმ რომ უთხრა, დაბადების დღეზე მეწვიეო, სიხარულით დათანხმდა: შაკაზე როგორ გაგაწბილებო და დიდებულ გუნებაზეც მოდგა...

და მერე კი ინსტიტუტის რექტორს მისცეს სიტყვა, ჰოდა, სწორედ მაშინ უპოვა გედეონმა საკუთარ თავს ის უჩვეულო უნარი თუ ნიჭი, რომელმაც შემდგომ საქვეყნოდ გაუთქვა სახელი: რეზოს ეჩურჩულებოდა იგი იმ დროს, ხოლო სცენაზე, ტრიბუნასთან რექტორი იდგა და ლაპარაკობდა. ჩვენი ინსტიტუტიო... — ჩაესმა უცებ გედეონს ორატორის ხმა და აზრდაუტანებლად გაიმეორა გუნებაში ეს ორი სიტყვა. მიზეზგარე, მერე რატომღაც დამარცვლა კიდეც. ესეც ცოტა იყო, ბგერებადაც დაანაწევრა და უეცრად ტანმა უგრძნო, რაღაც უნდა მომხდარიყო უჩვეულოზე უჩვეულო, რაც ყოველივეს, დღემდე არსებულსა თუ ჩვეულებრივს თავდაყირა დააყენებდა და ცხოვრებას ახალ, მანამდე არარსებულ კალაპოტს მოარგებდა... საფეთქლებზე ჩაქუჩს ურაკუნებდნენ თითქოს, მსუბუქ თავბრუსხვევასაც გრძნობდა იმ დროს, გაბრუებულიც იყო, ღვინის სმისას რომ სჩვეოდა, იმდაგვარად, შემდეგ კი ტვინმა უნებურად და ელვისუსწრაფესად გამოითვალა ბგერათა რაოდენობა იმ ორი სიტყვისა, რომელიც წამის წინ ჩაესმა, ხოლო გონებამ უნებლიეთ — არც საჭიროება ყოფილა და არც სურვილი — აიტაცა და აღიქვა. დიახ, ასე გახლდათ, თავისთავად ხდებოდა ყველაფერი, სტიქიურად...

„თოთხმეტი ბგერა, — გაუელვა გედეონს, თოთხმეტი ბგერისაგან შედგება ეს ორი სიტყვა...“ და თითებზე დაიანგარიშა. წარმოსადგენადაც ძნელია, რაოდენ მტკივნეული, თანაც შემზარავი იყო გაოცება, როცა დარწმუნდა, არ შევმცდარვართო... ჰოდა, ზუსტად აი, ეს წამებია მნიშვნელოვანი ჩვენთვის, და, გამოიცნობთ მგონი, რატომაც. მიზეზი ერთადერთია: სწორედ მაშინ, რექტორმა რომ წარმოსთქვა, ჩვენი ინსტიტუტიო, ხოლო გედეონმა უნებურად, თითქოს სხვისი გონებით აზროვნებდა, ისე გაიმეორა ფიქრში ის ორად ორი იმდაგვარი სიტყვა, რომლის ბადალ-ფარდი უამრავი მოეპოვება ადამიანის მეტყველებას, და მერე კი ტვინმა ანგარიშმიუცემლად დაადგინა ბგერათა რაოდენობა, აი, დროის ამ მცირე მონაკვეთში ხდებოდა ყოვლად ჩვეულებრივი სტუდენტის გარდასახვა უჩვეულო ნიჭისა თუ უნარის მქონე ადამიანად, რომლის სახელი ჯერ მხოლოდ თანაკურსელებმა და ნაცნობ-მეგობრებმა დაიკერეს პირზე, მერე პროფესორ-მასწავლებლებმა, შემდგომით შემდგომ პრესამაც აიტაცა და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, ტელევიზიამაც მოაწყო გადაცემა გედეონზე, საოცარი უნარით დაჯილდოებულ ადამიანზე. იმხანად საკმაოდ რომ გახლდათ განებივრებული ნაცნობთაგან და უნიჭიერეს ყმაწვილკაცადაც კი იყო აღიარებული. და ასე განსაჯეთ, სტუდენტი, რომელიც ადრე არაფრით გამორჩეულა სხვებისაგან, კინაღამ ერთი სამეცნიერო-პოპულარული ფილმის გმირადაც კი იქცა...

მაშ ასე: გრილი, ჯადოსნური ღამეა. ინსტიტუტის შენობასა და შემოგარენს უამრავი, სხვადასხვაფერის რეკლამა აბდღვრიალებს, კლუბის დარბაზში კი წარამარა გრიალებს ტაში. საზეიმო განწყობილება დაუფლებია ყველას, შინაურებს თუ ზეიმზე საგანგებოდ ჩამობრძანებულ სტუმრებს, მოდგა, როგორც იქნა, ნანატრი ჟამი და ამიტომაც სუფევს ირგვლივ ისეთი სიხარული თუ აღფრთოვანება, იშვიათად რომ განუცდია ადამიანს, ხოლო გედეონი ლალისა და რეზოს შორის ჩამჯდარა ამ დროს, თვალმოუცილებლივ შესცქერის აკაშკაშებულ სცენას, თან მსუბუქ გაბრუებასაც გრძნობს, რადგან ლალის გვერდით ზის ახლა და უყვარს... და, აჰა, ტრიბუნასთან ინსტიტუტის რექტორი დგას უკვე და ხდება ის, რამაც გედეონი სულ სხვა ადამიანად აქცია შემდეგ და ესეც არ ყოფილა ალბათ შემთხვევითობის ბრალი: სწორედ იმ საღამოს უნდა დამთხვეოდა ჩვეულებრივი ადამიანის გარდასახვა, თითქოს და სიმბოლურ იერფერს ატარებდა ყოველივე, რაც მოხდა... ხოლო სცენაზე რექტორი ლაპარაკობდა კვლავ და ხალხიც სულგანაბული უსმენ-

და, ქუხდა და ქუხდა ტაში და დარბაზი რომ მიწყნარდებოდა, მერელა განაგრძობდა ლაპარაკს ორატორი. გედეონი კი კვლავაც ადრინდებულად იყო გაბრუებულ-გაოგნებული... მერე და მერე, თანდათან მოიკრიფა აზრი, თუმცა ნებისყოფის წარმოუდგენელი დაძაბვა დასჭირდა საამისოდ და გონს რომ მოეგო, ამგვარი რამ გაიფიქრა: „ძალზე უცნაური ამბავია, — და წამით ისევ წაერთვა უნარი აზროვნებისა, ბოლოს კვლავ მოერია თავს, უმწეოდ მიმოიხედა აქეთ-იქით, — როგორ გამოვიცანი, ა? — და გადაწყვიტა, — მოდი, რაც არის არის, ერთხელაც ვსინჯავ, საინტერესოა, კვლავაც შევძლებ, თუ არა...“ და სასწაული იყო, საოცრება თუ ნათელხილვა, გედეონისეულ წარმოსახვას რომ აღემატებოდა, კიდევ განმეორდა: ჩვენი კურსდამთავრებულებიო, ეს ორი სიტყვა ჩაესმა და ტვინიც კვლავ უჩვეულო სისწრაფით ამუშავდა, საოცრად ზუსტი იყო პასუხიც. ჰო, გედეონი ჩვეულებრივი სტუდენტი აღარ იყო, ყველასაგან განსხვავებულ ადამიანად ქცეულიყო იმ სალამოს, უჩვეულო პიროვნებად, ისეთად, რომლის მსგავსი ძალზე იშვიათად თუ შეგხვდება ცხოვრებაში, თავად კი, უბრალო წარმოდგენაც არ ჰქონდა ყოველივე ამაზე, რომ იტყვიან, ბაიბურს არ არისო, აი, ასე იყო მაშინ, ცხადად და ნათლად ყველაფერი, რაც მის თავს მომხდარიყო, მერელა შეიცნო, მოევლინებით...

საზეიმო სალამო კი ჯერაც არ გასრულებულიყო — ორატორი ორატორს სცვლიდა, ხოლო გედეონი სწრაფად და უშეცდომოდ ანგარიშობდა რამდენი ბგერისაგან შედგებოდა ნებისმიერი სიტყვა თუ წინადადების ნაწილეთი, მერე, რამდენიმე წუთი რომ გავიდა, თავისუფლად, გონების დაუძაბავად ამოიცნო საკმაოდ ვრცელ წინადადებათა ბგერების რაოდენობა, რომელსაც მიკროფონი აფრქვევდა საზეიმო ფერებით აჩახჩახებულ დარბაზს... „მგონი ჭკუაზე ვირყევი,“ — ამგვარი რამ გაიფიქრა, ოციოდე წუთი რომ გასულიყო პირველი აღმოჩენა-განცვიფრების მერე და ძლიერი შიში დაეუფლა, იქამდე უცნობი და იგრძნო შემდგომ — ტუჩები უცახცახებდა, მალე ის თრთოლა-ცახცახი ხელის მტევნებსა და მუხლებს გადაედო ბაგეებიდან, ცოტაც და, სხეულის თითქმის ყოველ კუნთსა თუ ნერვს მოედო და დაიძაბა საშინლად გედეონი: ყურებზე მჭიდროდ მიიდო ხელისგულები, ეგების აღარ გავიგონო, რას ლაპარაკობენ ტრიბუნაზეო, მაგრამ არა, ტყუილი გარჯა გამოდგა — სიტყვები კვლავ გარკვევით ჩაესმოდა და ტვინიც თითქოს ინერციით განაგრძობდა ჯროთხელ აჩემებულ საქმიანობას, მუშაობდა როგორც ძრავა, მჭახე, უსიამო რახრახხმაურიც ჩაესმოდა გედეონს ყურში, თითქოს ის უხილავი, მაგრამ სინამდვილეში არსებული ძრავა წარმოშობდა ამაზრზენ ცახცახს, რომელიც სხეულის ყოველ უჯრედს მოდებოდა უკვე, ვერაფრით რომ ველარ შეეჩერებინა და კვლავაც წელანდელი „ჭკუაზე ვირყევი“ უქანცავლდა გონებას, უბურუსებდა... ბოლოს ვეღარ აიტანა ჯოჯოხეთური დაძაბვა, აღარც იმ არარსებული ძრავას რახრახის ატანა ძალუძდა.

— წავიდეთ, — მიმართა ლალის, რეზოსაც მიუბრუნდა მერე. ორივე განაცვიფრა იმისმა მოულოდნელმა სურვილმა, უცნაურმა და ახირებულმა, ხუმრობად რომ მიიჩნიეს თავიდან.— წავიდეთ, აღარ შემიძლია აქ ყოფნა...

— რა დროს წასვლაა, — თქვა რეზომ, როგორც კი დარწმუნდა, გედეონი აღარ ხუმრობსო, — საცაა კონცერტიც დაიწყება...

— ჰო, მართალია, — ლალიმაც აუბა მხარი რეზოს და უცებ შიში დაეტყო, — რაკი აქამდე მოვიცადეთ, ბარემ ბოლომდე დავრჩეთ...

„თუ არ გავედი აქედან, გავგიჟდები, — გაიფიქრა გედეონმა და რეზოსა და ლალის შეავლო მზერა: აწითლებოდა თვალები, სახეც იმდაგვარად ავარვარებოდა, მაღალი სიცხისას რომ სჩვევია ავადმყოფს, — გავგიჟდები, დროზე თუ არ გავედი აქედან...“

— ცუდად ხომ არა ხარ? — ჰკითხა ლალიმ, — სიცხე გაქვს იქნებ...

თავს მშვენივრად ვგრძნობო, თითქოს სხვისი ხმით წაიბუტბუტა გედეონმა, ბოლოს კი, როგორც იქნა, ორივე დაითანხმა და დარბაზში თუ სცენაზე მსხდომებმა დაინახეს, როგორის გულმოდგინებით მიიკვლევდა გზას გასასვლელისაკენ სამი ახალგაზრდა — ორი წარმოსადეგი, სასიამოვნო აღნაგობა-გარეგნობის ჭაბუკი და ერთიც ულამაზესი, მოქნეულიო, რომ იტყვიან, აი, იმგვარი ტანის გოგო...

დიდი უზრდელები ჩანანო, ასე გაიფიქრეს იქ მყოფებმა იმათი მისამართით, ხოლო ერთმა ფრიად პატივსაცემმა, თმაჭაღარა პროფესორმა, სცენიდან რომ გადასცქეროდა დარბაზს — და რომელსაც იქ მყოფთაგან ყველაზე მეტი წვლილი გაეღო ინსტიტუტის გახსნისას, ამიტომაც თუ იყო, წინასაიუბილეო სამზადისის დროს სხვებზე უწინ რომ დამსგავსებოდა ქურუმს, ჩვენ შემდგომაც რამდენჯერმე მივუბრუნდებით ამ პროფესორს — რეზო და გედეონი იცნო და გაიფიქრა: მაცალონ, გამოცდაზე ვუჩვენებ სეირს მაგ მამაძაღლებსო... სიტყვის კაცი გახლდათ ის ჭაღარა, ფრიად პატივსაცემი პროფესორი, თანაც კაციშვილს არ ეხილა ჯერ იმისი ღიმილი, თავის დამცირებად მიაჩნდა ვგონებ, მოღიმარი რომ სჩვენებოდა ხალხს.... ისე კი, რა თქმა უნდა, ზეიმის მონაწილეთაგან ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, კლუბის დარბაზი მაშინ უჩვეულო უნარის მქონე ახალგაზრდამ რომ მიატოვა და ის ნიჭი სწორედ იმ ღირსსახსოვარ სალამოს გამოვლინდა... ხოლო შემდგომ გრილსა და ნათურების მკრთალ შუქში გამოხვეულ მიბნედილ ქუჩებს მიუყვებოდნენ სამივენი, კარგა

ხანს მიდიოდნენ ხმაამოუღებლად. თავიდან ლალი ალაპარაკდა, მისი ხმის გაგონება იყო თუ არა, რეზოს მყისვე გამოუკეთდა გუნება, ყოველმხრივ სადა და უბრალო იყო ეს გოგო: ლაპარაკითაც, ქცევითაც, ჩაცმულობითაც, ხოლო სიარულით ისე დადიოდა, ცქერით ვერ მოიძღებდი გულს და ეგ უშუალობა-სისადავე სულ ერთი იყო, გსურდა თუ არა, მოგაჯადოებდა მაინც, მოგხიბლავდა... გედეონს კი ჯერაც ვერ ჩამოსცილებოდა მტანჯველი შიში: გონება კვლავაც საოცარის გულმოდგინებით ჩაჰკირკიტებდა სხვათა მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვასა თუ წინადადებას და შემზარავი სისწრაფითა და სიზუსტით ანგარიშობდა ბგერებს, თითქოს ვიღაც ყოვლისშემძლე ბოროტ ჯადოქარს ამ ჭაბუკისათვის ტვინი უზუსტესი გამომთვლელი მანქანით შეეცვალა — გედეონი ახლა გრძნობდა კიდეც თავის ქალაში ჩადგმულ უცხო სხეულსა თუ საგანს და სწორედ ამის შეგრძნება იწვევდა შიშს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა, შემზარავი და საშინელი ხდებოდა... ხოლო ლალი ბიჭებს შორის მიაბიჯებდა და წარსულს იხსენებდა; წლებს ბავშვობისას, დიდი უგუნური ვინმე ვიყავი მაშინო, ამბობდა... „როგორც კი თოჯინას მოვიგდებდი ხელთ, დავადებდი მაშინვე დანას და ვჭრიდი...“ გედეონს კი ამ დროს დაანგარიშებული ჰქონდა, რამდენბგერიანი წინადადება წარმოსთქვა ლალიმ, თუმცა ცდილობდა, როგორმე უკუეგდო ეს აკვიატება, მაგრამ არა, ყოველივე თავისთავად ხდებოდა, მისი ნება-სურვილის დაუკითხავად... ხოლო ლალი კვლავ განაგრძობდა: „ბავშვობაში, ზუსტად არ მახსენდება, საიდან გამეგო, დაბადებამდე ყოველი სულიერი მუცელში იმყოფებაო და ამიტომაც ვფატრავდი სათამაშოებს. მახსოვს, ასე ვფიქრობდი: ამ თოჯინას რომ გავჭრი, შიგ მეორე დამხვდება, იმგვარივე, მაგრამ უფრო პატარა-მეთქი, რა თქმა უნდა, ყოველთვის მიქარწყლდებოდა იმედი, მაგრამ რწმენას მაინც არა ვკარგავდი, როგორც კი ახალ თოჯინას მოვიგდებდი ხელთ, ვჭრიდი მაშინვე იმასაც, ეგ კი არა, მამაჩემს ახლა ხომ აქვს და აქვს ლიპი, მაშინაც არა ჰქონია ნაკლები, დარწმუნებული ვიყავი: მუცლით პატარა მამიკოს დაატარებდა, თავად რომ იყო, ისეთივეს და ოცნებად მქონდა ქცეული, ნეტავ მამაჩემიც გამაფატრია მუცელზე-მეთქი...“

რეზო გულიანად ახარხარდა, გედეონს გადახედა მერე, თავჩაღუნული რომ მოლაყუნობდა, მეტყველების უნარიც დაკარგოდა თითქოს და აზროვნებისაც... გამოანგარიშებული ჰქონდა უკვე გედეონს იმ ჩახლართული წინადადების ბგერათა რაოდენობა, ლალიმ რომ წარმოსთქვა წამის წინ და შიშიც იმას ერქვა, მაშინ რომ დაუფლებოდა, თანაც მეტისმეტად მტანჯველი და მტკივნეული რამ იყო უცხო, გახურებული სხეულისა თუ საგნის შეგრძნება თავის ქალაში... „მოდი და, ვეტყვი ბარემ ამაღ- რა დღეშიცა ვარ, — გადაწყვიტა უეცრად. ხომ დავიღუპე, ჩვეულებად რომ მექცეს ეს ამბავი და ყველას ლაპარაკს ვუკირკიტო...“

— აი, ჩემი სახლიც გამოჩნდა, — თქვა ლალიმ, იყუჩა ერთხანს მერე და გედეონს მიმართა: — რამ დაგამუნჯა, ხმა რომ არ ამოგიღია ამხელა გზაზე, მე კი შენს გასამხიარულებლად ვიქერქეტე ამდენი სისულელე. — შეყოვნდა წამით, პასუხს დაელოდა, მაგრამ ვინ აღირსა, — ხმა ამოიღე, ცუდად ხომ არა ხარ?..

გედეონმა, როგორც მოსალოდნელი იყო და შეეფერებოდა იმის მაშინდელ მდგომარეობას, ბგერები დაიანგარიშა ჯერ, შინაარსს ლალის ნათქვამისას არც ჩაჰკვირვებია, შემდგომ კი მიხვდა გაჭირვებით, რასაც ეუბნებოდნენ და ამოღერღა:

— არა, ცუდად არა ვარ, გადავიქანცე...

— კარგად იყავით, ბიჭებო, — თქვა ლალიმ, — აბა, შენ იცი, გედეონ, ხეირიანად გამოიძინე ამ ღამით და უგუნებობაც გაგივლის... — ბიჭებს შეავლო ბოლოს მზერა წამით და ნელი ნაბიჯით დაშორდა, ხოლო რეზო და გედეონი შესცქეროდნენ, როგორ მიირხეოდა და უჩინარდებოდა სიბნელეში, მერე კი შეჩერდა უეცრად, მოტრიალდა, თვალნათლივ იგრძნობოდა, რაღაც სურვილი გასჩენოდა, ცოტაც და, ღამისეულ სიჩუმეში ხმაც გაისმა მისი: — გედეონ, ერთი წუთით ვერ მოხვალ? რაღაც უნდა გითხრა...

გედეონის ტვინმა ის აკვიატებული საქმე შეასრულა ჯერ, საოცარი სიზუსტით რომ გამოითვალა ბგერები, მერე გაემართა ბიჭი გოგოსაკენ, როცა მიუახლოვდა, თვალებში ახედა ლალიმ:

— მიყვარხარ...

„ცხრა ბგერა...“ — უცებვე გაუელვა გედეონს და თქვა:

— ჰო, ვიცი...

— ვერც წარმოიდგენ ალბათ, ისე მიყვარხარ...

ისევ იმ წყეულმა ბგერებმა დაუბურუსა გონება, უფრო მიეძალა თავის ტკივილიცა და თავბრუსხვევაც, ლალი კი ლაპარაკს განაგრძობდა:

—იცი რა, გედეონ, შენც მითხარი მიყვარხარო, — თვალს ვერ აცილებდა ვაჟს, ასცქეროდა დაჟინებით, ბოლოს ჩურჩულით მიმართავდა; — მითხარი რა, ჩაფიქრებული მაქვს რაღაც, ჩქარა, რაღას უცდი, მითხარი და, იცი რა? თუ მეტყვი, სიზმრად გნახავ ამაღამ, ვიცი, რომ ასე იქნება, დროზე მითხარი, ძალიან მინდა, სიზმარში გიხილო...

**ჯუმბერ ტიკარაძე**

სასწაულები

ბგერები ახლა ჭიანჭველებივით ამოძრავდნენ ტვინში, და ბოლოს, ლალის ნათქვამს რომ ჩაუღრმავდა, ენის ბორძიკით წარმოსთვა გედეონმა ის ერთადერთი სიტყვა, რომლის თქმასაც თხოვდა გოგო — „მიყვარხარ...“ უცებ მიტრიალდა ლალი და წავიდა, გედეონი კი შესცქეროდა უაზროდ, უხუროდა შუბლი, ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ, არც არაფერს ფიქრობდა...

— აუჰ, რას წავიქეიფებთ ხვალ! — რეზომ თქვა ესა, დაინახა, ლალის გაუჩინარების შემდგომ ერთ ადგილზე რომ გაშეშებულიყო გედეონი, უმზირა შორიდან და როცა მიხვდა, საშველი აღარ დაადგებოდა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა. გედეონი კი თავის სადარდებელს დამორჩილებოდა კვლავაც, უუურა რეზომ, უუურა და, რაკი იაზრა, ბურანიდან ვერ გამოვიყვანო, ბოხი ხმით ჩასძახა ყურში: აუჰ, რას წავიქეიფებთ ხვალო, და მერე მიაყოლა: — კარგი გოგოა ლალი...

— ჰოო... — წარმოსთქვა გედეონმა შეცვლილი ხმით, ზმუილს რომ უფრო ჰგავდა საქონლისას. და რეზო შეცბუნდა უცებ, თავგზა აურია მეგობრის უეცარმა ცვალებადობამ...

— რა მოგივიდა დღეს, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვამდა ყოველ ბგერას, გარკვევით, თითქოს განგებ, უფრო უკეთ რომ დაეანგარიშებია გედეონს, — ცუდად ხომ არა ხარ?..

— არაფერიც არ მომსვლია, რამდენჯერ უნდა ვთქვა... — კვლავაც ზმუილი იყო ესა: ძროხას თუ ძალუძს ალბათ ამდაგვარად დაზმუვლება, თანაც იმ დროს, როცა მშიერი მგელი ასდევნებია...

მიხვდა რეზო, ფარცაგი არ იყო გედეონის თავს, ეგების როგორმე გამოვუკეთო გუნებაო, გაუელვა და უთხრა:

— გინდა გამოვიცნო, რა გითხრა წელან ლალიმ? — მაგრამ არა, ამაო იყო წადილი: კვლავ გაოგნებული გახლდათ გედეონი და თითქოს ჯიბრითო, მაინც დაასრულა რეზომ ის, რისი თქმაც სურდა: — მიყვარხარო, ასე გეტყოდა, — შეავლო ისევ მზერა და ბრაზი მიეძალა უეცრად: იგრძნო აშკარად, განმარტოება სურდა გედეონს და ბრაზნარევი ხმით უთხრა: — წავედი, კარგად იყავი...

კიდევ ერთხელ წაისაქმიანა გედეონის ტვინმა და მერელა გაანდო პატრონს არსი აგერ ახლახან წარმოთქმული რეზოს სიტყვებისა და შვებად მოუვლინა მარტოდ დარჩენის სიამე თუ ნეტარება, აუცილებელი რომ იყო იმჟამად და ათქმევინა: „კარგად იყავი...“ და გზას გაუდგა შინისაკენ. ჰოდა, მაშინ უნდა გენახა, ჩაბნელებულ ქუჩებს რომ მიუყვებოდა. დათვივით მიძუნძულებდა და იცით, როგორც დათვივით? — გსმენიათ ალბათ, ზამთრის ხანგრძლივი, მომქანცველი ძილისათვის რომ დაუღწევია თავი და დაბაჯბაჯებს გაბოროტებულ-დაბროსიალებული, თანაც ერთი სული აქვს, ვიდრე დანატრებულ საკბილოს წააწყდებოდეს სადმე ცარიელი კუთხის... ამოსავლად, თუმცა ვიტყვი წინასწარვე, ცოტა იმედი იყო, ზვარაკს ვერ მოიხელთებდა იმ ღამით გედეონი, მსხვერპლს, რომელიც აუცილებელი გახლდათ, რათა ნაჩვევ კალაპოტს დაბრუნებოდა ცხოვრების ნირი თუ სიცოცხლის ყოველდღიურობა... მიყანყალებდა, მისდევდა დაცარიელებულ ღამისეულ ქუჩებს, უხმაუროს, ბნელში გახვეულს და თავისავე ნერვებს, ჯანსა თუ გონებას იწირავდა ზვარაკადა და მსხვერპლად, ხოლო საღამო შემოდგომისა გრილი იყო, ოდნავ სიცივეგარეული ქარიცა ქროდა და გედეონს ის უცნაური თვისება აფორიაქებდა კვლავაც, თითქოს საგანგებოდ მიმალულ-მიჩქმალული, რომლის არსებობისა არა უწყოდა რა იმ დღემდე... მერე კი, როცა უქმმა ყანყალ-ხეტიალმა მოქანცა, ნადირივით შეიბერტყა ტანი, შემსუბუქდა თანდათან და სიმშვიდეც დაეუფლა, თითქოს სიზმრისეული თუ მივიწყების მორევში ჩაკარგული და რაკი მარტოდმარტო იყო, გონებასაც მეტი რაღა ძალა ჰქონდა, სურდა თუ არა, მოსვენებული უნდა ყოფილიყო მაინც... მიალაჯებდა ისევ, ნამდვილი მარტოსულიცა და მწირიც, ყველასაგან მივიწყებულ-განწირული — სწორედ ამგვარი განცდა დაუფლებოდა იმ ქარიან ღამით, რომელიც საბედისწეროდ ეჩვენებოდა მაშინ და ფილტვებით სიწყნარეს ისე ისრუტავდა, როგორც ჰაერს, ჰაერზე მეტადაც რომ იყო საჭირო და რაღაი აღარაფერი იყო დასაანგარიშებელი იმ უბგერო სიჩუმეში, სიმშვიდეც მოსულიყო, მაგრამ მხოლოდ წუთიერი აღმოჩნდა შვება მარტოობისა — გონებამ ასეთი რამ ფიქრი წამოატივტივა: „უცნაურია დღევანდელი დღე, დროზე მაინც გათენდებოდეს, ხვალაც განმეორდება თუ არა ეს ამბავი...“ შეძრა ერთიანად ამის გაფიქრებამ, ისე შეაზარა, როგორც მამაკაცს დახარბებულ დიაცს შეაძრწუნებს უნიათობა-უგვანობა ცვედანისა, მრავალი უძილოდ გათენებული ღამის შემდეგ რომ მოუგდია ხელთ და საამო მოლოდინით სურვილგაღვიძებულ-გონდაკარგულს, ნაღდ მამაკაცად მიუჩნევია, იმას კი საჭიროსულის გაბოროტებით უგრძნობინებია შემზარავი სინამდვილე... და ის ახლახან ნახსენები ფიქრი იყო მიზეზი მტკივნეული შეძრწუნებისა, გონებამ მტანჯველის სისწრაფით, ... მიწევნითი სიზუსტით დაიანგარიშა წელამდელი ნაფიქრალის ბგერათა რიცხვი, თითქოს ზედ ტვინზე დაეჩორკნა ის ბგერები ახოებად გედეონს, ბლაგვი, უანგიანი დანით თანაც... ტყუილად ჰქონდა თურმე განმარტოების იმედი, ამჯერად უარესი სატანჯველი დაჰპატრონებოდა, ჯოჯოხეთური, ფიქრის შევავება კი იმის ძალ-ღონეს აღემატებოდა, მოედინებოდა გაზა-

ფხულის წყალუხვ მდინარესავით. კალაპოტმორღვეულ-წამლეკი...

შინ რომ მივიდა. დარეტიანებულიყო. დაკარგვოდა უნარი საღად განსჯისა. დროის შეგრძნებაც აღარ ძალუძდა. ისეთი განცდა დაუფლებოდა. თითქოს წლების მანძილზე ერთ ადგილას იჯდა სადღაც. ნესტიან. ცივ საკანში გამოკეტილი და სქელტანიან წიგნებს კითხულობდა შეუსვენებლივ. გაუგებარი ტერმინებითა თუ ცნებებით გადატვირთულს. რომელთა ჩაწვდომა-დამახსოვრება შეუძლებელი იყო მისი გონებისათვის; დღისითაც კითხულობდა თითქოს და ღამითაც, წლის ყოველ დროს.. ოთახი კი დიდებულად იყო დაკრიალებული — სახიამო სიმშვიდეს მოჰგვრიდა დაღლილ ადამიანს სისუფთავე-სიმყუდროვე, იქ რომ სუფევდა და ყოველივე ლალის დამსახურება გახლდათ: თითქმის ყოველ მეორე დღეს აკითხავდა გოგო ვაჟს და თითქოს ნაადრევად შემოდიოდა მერმისი. რომელიც, როგორც ჩანდა. არცთუ ისე შორს უნდა ყოფილიყო. — სუნთქვაც ესმოდათ მისი და სურნელსაც გრძნობდნენ. ხოლო იმ წარმტაც დღეებს. როცა ლალი გედეონის ოთახს აკრიალებდა, მომავლისაგან სესხულობდნენ თითქოს. ორთავეს ამგვარი გრძნობა ეუფლებოდა ხოლმე მაშინ და მშვენივრად უწყოდნენ. როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ ადამიანებს შეჰფეროდა, გადახდაც აუცილებელი იქნებოდა ვალისა, მარტოდენ საჭიროებისადაგამო რომ ესესხათ. არ ეგებოდა სხვაგვარად და ისიც დიდებულად გაეგებოდათ, როგორ უნდა გადაეხადათ ვალი: ამ სესხის მაგიერ დღეების არდავიწყება იქნებოდა სესხის გადახდა. მაშინ, როცა აწმყო წარსულად იქცეოდა...

ტრიალებდა ხოლმე ლალი ვაჟის ოთახში: ერთთავად აკაშკაშებული. სუსტი. უმწეო... გვიდა. აკრიალებდა. რეცხდა. აუთოებდა... აქედანვე ეუფლებოდა ჩვევებს. რაც მერე და მერე აუცილებელ საქმიანობადა თუ მოვალეობად უნდა ქცეოდა. მხახიობი იყო თითქოს. ნაადრევად რომ შესდგომია რეპეტიციებს, თუმცა, ვინაიდან ქალი გახლდათ. არაფერი გასჭირვებია. მოხდა ისე, ახალი კაბა მოიზომა თითქოს და რაკი ტანსაცმლით ბავშვობიდანვე იყო განებივრებული, მოეწონა ის სამოსი და დაიტოვა კიდეც. მერე კი უცებვე გადაივიწყა... ჰო. დიასახლისობდა ხოლმე ლალი გედეონის ოთახში და საოცრად მომხიბვლელი იყო იმისი საქმიანობა, რაც მთავარია. ბუნებრივი: ყველაფერი თბილ, სიზმრისეულ ბურუსს დახვეოდა ირგვლივ. თავად ლალიცა და გედეონიც ნისლში გამოხვეულიყვნენ...

პირველად ამ სამიოდე თვის წინათ მოეყვანა გედეონს ლალი აქა: წავიდეთ ერთი. სრა-სასახლე დაათვალიერე ჩემი. — აი. ახე მიმართა იმ დღეს გოგოს, ლალისაც როდი უთქვამს უარი. აინტერესებდა მართლაც. სად ცხოვრობდა გედეონი და დასთანხმდა. კოცნითაც მაშინ აკოცა პირველად გედეონმა ლალის. დიდი არაფერი უნდოდა იმ ვიწრო, სტუდენტური ოთახის დათვალიერებას... ..კარგ ადგილზე ცხოვრობ და ოთახიც კარგია ერთი კაცის, მით უმეტეს სტუდენტის კვალობაზე..." — უთხრა ლალიმ. კედელზე გაკრულ თაროსთან მივიდა მერე. იდგა ერთხანს იქ. წიგნებს ათვალიერებდა. როცა გედეონი მიუახლოვდა. ნაბიჯის ხმა ჩაესმა თუ არა მისი. უგრძნო უმალ გულმა. რაც უნდა მომხდარიყო. უცებ მოუდუნდა სხეული. მკლავებში მოიმწყვდია მერე გედეონმა და აკოცა: წინასწარ არ ჰქონდა გადაწყვეტილი ეს და აკოცა თუ არა. მაშინვე გაიფიქრა — აუცილებლად ატირდება. ცრემლს ვერ შეიკავებსო... მკლავები რომ შეუშვა. კიდევ გრძნობდა გოგოს ტუჩების სითბო-სილბილესა თუ გამაბრუებელ სურნელს საკუთარ ბაგეებზე შერჩენილს: ..ატირდება. სადაც არის, აქვითინდება." მაგრამ შეცდა. ხმა არ ამოუღია გოგოს: დაეხარა თავი. სახე წამოსწითლებოდა. ქუთუთოები დაბლა დახროდა. მკლავები კი ულონოდ ჩამოეშვა... უმწეოდ იდგა მაშინ ლალი. გაბრუებულ-რეტდასხმული იმ ტკბილი მოულოდნელობისაგან. რომლის საჭიროებას ყოველთვის გრძნობდა ალღოთი. მას შემდგომ. რაც ვაჟს დაახლოებოდა. თითქოს თრთოდა და ირწეოდა კიდეც. როგორც ძალზე უმწეო ყვავილი. რომელიც შემთხვევით აღმოცენებულა სადმე უადგილო. შეუფერებელ ადგილას მოხვედრილი თესლიდან და ფერდაკარგულს საცაა წვიმა წალეკს. ან ქარი მოჰგლეჯს და უგზოუკვლოდ წაიფართოვებს... დიდხანს იყო ლალი სიტყვისდაუძვრელად. თავი ჩაქინდრული ჰქონდა კვლავაც. თვალები ძირს დაეხარა. მსუბუქი. ფერადი კაბა ემოსა ტანთ. სუსტი მკლავები ადრინდებურად ჩამოეყარა ულონოდ. სუნთქავდა ღრმად, ლამაზად აუდ-ჩაუდიოდა მკერდი. ოღონდაც ეგ იყო. უკვე უკვალოდ გაჰქრობოდა სახეზე სიწითლე. წელან რომ მოსდებოდა. ფერი მიხდოდა ახლა და მარჯვენა ფეხის ფეხსაცმლის წვერს მსუბუქად უსვამდა იატაკს — უცნაურად ჯადოსნური იყო ყველაფერი: მისი პოზაც. მხრებზე ჩამოშლილი ხშირი თმაც, ულონოდ ჩამოყრილი სუსტი მკლავებიც, ლამაზი. ფერადი კაბაც, მკერდის რხევაც სუნთქვისას და მარჯვენა ფეხის გაუცნობიერებელ-რიტმული მოძრაობაც — მოშორდებოდა მარჯვენა წვივი მარცხენას. მსუბუქად მოსცილდებოდა. გაიწევდა განზე სულ ოდნავ. მერე ნელინელ წაიწევდა წინ. გაიმართებოდა ფეხის ტერფი და გაესმებოდა იატაკს. ერთ-

ხელ. ორჯერ. სამჯერ და ისევ ნელა წავიდოდა მარჯვენა წვივი მარცხენისაკენ და შეუერთდებოდა... ბოლოს კი გონს მოეგო გოგო: ნელინელ ასწია თავი მაღლა, ხელის თითები ჩასჭიდა ერთმანეთს და ბიჭს შეავლო მზერა — გაფართოებოდა თვალები, გაჰპობოდა შინდისფერი ბაგეები. უცქირა, უცქირა, კარისკენ გაემართა მერე ხმის ამოუღებლად, ნაბიჯი წადგა თუ არა, ზურგით იგრძნო, გედეონიც წავიდა მისკენ, შეჩერდა და უთხრა: „ნუ გამაცილებ, ჩემით წავალ...“ ეს როგორც კი თქვა, შეტრიალდა მსუბუქად და, უეცრად ვაჟს აეკრო, აეკონა, ფრთხილად შეეყუჟა იმის მკლავებს, ნებიერად, და, ისევ იგრძნო გედეონმა გოგოს ბაგეების მათრობელა სითბო და გამაბრუებელი სურნელი სუნთქვისა... და, აი, სწორედ მაშინ ატირდა ლალი: უხმოდ ქვითინებდა, უცახცახებდა სუსტი, მოქნილი მხრები, ცრემლით ინამავდა ავარვარებულ ლაწვებსა თუ აწითლებულ ტუჩებს, ხოლო გედეონი სითბოს მინებებოდა გოგოს მსუბუქი, მოქნეული ტანისას და სურნელს სუნთქვისას რომელიც ამჯერად უფრო მეტად გამაბრუებელი გამხდარიყო და შემდგომით შემდგომ უცილობლად საჭირო რომ შეიქმნა მისთვის — ამ მათრობელა სურნელს სტოვებდა ლალი გედეონის ოთახში ყოველი მოსვლის შემდგომ, თავად კი ამის საზღაურად ტუჩებითა და თმით მიჰქონდა თან ბიჭისა და იმ ოთახის ნაცნობი სუნი...

ტანზე გაუხდელად გაგორებულიყო გედეონი იმ ღამით საწოლზე — კვლავაც იმგვარადვე იყო აფორიაქებული, როცა ის უცნაური თვისება შენიშნა თავის თავს და შემდგომაც, ქუჩაში რომ დალაყუნობდა მარტოდმარტო...

●

კარი ლალიმ გააღო, დაინახა თუ არა ბიჭები, უმალვე დაეტყო აღფრთოვანება: აუბდღვრიალდა თვალები. შუქი ჩაუდგა შიგ, სახეზე კი სათნო ღიმილი მოეფინა. ცოტა ხანს იყო გარინდული, ხან გედეონზე შეაჩერებდა მზერას, ხანაც რეზოზე, უცებ ჩამოიცილა შემდეგ წელანდელი ღიმილი — გედეონს შეავლო თვალი ჩაფიქრებულმა, უმზირა ათიოდე წამს და კვლავ გაიღიმა. ცისფერი, მოკლემკლავება კაბა ეცვა იმ საღამოს ლალის, ცხადი იყო, საგანგებოდ შეეკერა დაბადების დღისათვის. კაშკაშებდა. ისე უხდებოდა და გედეონს როცა შესცქეროდა, ღიმილიც თანდათან რომ ეფინებოდა სახეზე, რეზომ მზერა ვერ მოსწყვიტა. გედეონი კი მგონი ვერც იმ ლამაზ კაბას ამჩნევდა, ვერც მომჯადოებელ, წამლეკ სილამაზეს ლალის თვალებისას, წარმტაცი, აბდღვრიალებული ღიმილისას თუ მთელი სხეულისას, თავის სადარდებელს ასდევნებოდა მაშინაც... ხოლო ოთახში ყველაფერი მსუბუქ, ჯადო ბურუსს აეტივტივებია: სინათლე მკრთალად ანათებდა ავეჯს, უკვე გაწყობილ მაგიდასა თუ იქ მყოფ ადამიანებს; ნათურის მკრთალი შუქი, სიმშვიდისა და მყუდროების განწყობილებას რომ ჰქმნიდა, კიდევ უფრო მეტის სიმკვეთრით ადასტურებდა განსაკუთრებულობას იმ დღისას, საზეიმო რომ გახლდათ ოჯახისათვის...

ლალი თოჯინას დასცქეროდა, საჩუქრად რომ მიართვეს ბიჭებმა, იქიდან გედეონზე გადაიტანა მზერა, რეზოსაც შეხედა წამით: „ლამაზი თოჯინაა, — ხმამაღლა გაიცინა მერე, — პირობას ვიძლევი, არ გავფატრავ, ახლა კი ჩემს მშობლებს გაგაცნობთ...“ და ბიჭებს შუაში ჩაუდგა ლალი, უფრო ტანწვრილი გამოჩნდა, იმათ შორის რომ ჩადგა, მსუბუქად გადადგა ნაბიჯი და ისინიც წაიყოლია ოთახის იმ კუთხისაკენ, სადაც მშობლები დამდგარიყვნენ მისი. „ესენი ჩემი ამხანაგები არიან, — უთხრა დედამისს. — გედეონსა და რეზოს შორის იდგა ისევ და კვლავაც წელანდელი ღიმილი უკიაფებდა თვალებში, — დედაჩემს ელენე ჰქვია, მამაჩემს კი დავითი...“ რეზომ ჯერ ქალბატონ ელენეს ჩამოართვა ხელი, შემდგომ ბატონ დავითს და ფიქრში წასულმა გედეონმაც მიჰბაძა... ლალის მშობლებმა კი განსაკუთრებული გულისყურით გედეონი შეათვალიერეს, ცდილობდნენ თანაც, სხვებს არ შეემჩნიათ, ამგვარი ინტერესით რომ შეჰყურებდნენ... ხოლო გედეონმა, მიუხედავად იმ დაბნეულობისა, მტანჯველი საიდუმლოთი რომ გახლდათ გამოწვეული, იგრძნო მასპინძლების საგანგებო ყურადღება და წამოწითლდა კიდეც. ქალბატონმა ელენემ კი შენიშნა, როგორ აუვარვარდა სახე ვაჟს და გაიფიქრა: „თავხედი არა ყოფილა. ჯერ კიდევ შესძლებია გაწითლება...“ და წამიერმა ღიმილმა გაუსათნოვა თვალები. ისე ესიამოვნა ეს ამბავი. ხოლო რეზოს საოცრად ნათელი გონება ჰქონდა იმ დროს — დაწმენდილ-დაცინცხალებული, და თუკი გედეონს ბევრი რამ გამორჩა, რეზო ყველაფერს გულდასმით ათვალიერებდა ირგვლივ და არც არაფერი დარჩენია შეუნიშნავი: არც ლალის მშობლების მზერა მაშინ, როდესაც გედეონის ღირსება-ნაკლოვანებებს სწონიდნენ, არც გედეონის უეცარი ავარვარება, არც ის ღიმილი, რომელიც წამით დააჩნდა სახეზე ქალბატონ ელენეს იმ დროს, როცა გედეონი წამოწითლდა; ყველაფერს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა რეზო და, მგონი მოეწონათ სასიძო... — დაასკვნა ბოლოს. ოჯახის უფროსებიც გულდასმით შეათვალიერა რეზომ და ლალის ნათქვამი გაახსენდა წინა ღამისა: მართლაც საკმაოდ მოზრდილი ღიპი ჰქონდა ბატონ დავითს, მაღალი, სქელი ზონზროხა კაცი იყო, პიჯაკის ყველა

ღილი შეეხსნა. ღიპი არ აძლევდა შეკვრის საშუალებას, შეხსნილი ჰქონდა პერანგის საყელოც, ხოლო სამკეცი. ნბზინავი ღაბაბი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს კისერი საერთოდ არ ჰქონდა ამ კაცს და არც არასოდეს ჰქონია. როგორც ჩანდა, პატარაობითვე ექნებოდა მიდრეკილება სიმსუქნისაკენ — დონდლო ბავშვი უნდა ყოფილიყო თავის დროზე, გამელოტებული თავიც უბზინავდა, ულაპლაპებდა მკრთალ სინათლეზე; წეღან კი გედეონს რომ შესცქეროდა, საოცრად კეთილ თვალებს ალივლივებდა და გარეგნობაც მიგანიშნებდა იმისი, კეთილი კაცი ბრძანდებოდა... ქალბატონი ელენეც წარმოსადეგი აღნაგობისა გახლდათ, ფაშფაშა დედაკაცი იყო, იმასაც სამკეცად აბზინებოდა ღაბაბი, მაგრამ, ქმრისაგან განსხვავებით, კისერი ჰქონდა საკმაოდ გრძელი, ეტყობოდა, საოცრად მოხდენილიც ექნებოდა ახალგაზრდობისას, იქამდე, ვიდრე სიმსუქნე შეეპარებოდა. ახლა კი წონით ქმარს არ ჩამოუვარდებოდა და ისიც საოცრად კეთილად აჟუჟუნებდა თვალებს წამის წინ. გედეონს რომ შეჭყურებდა და იმის გარეგნობაც ამხელდა ცხადად. სათნო დედაკაცი უნდა იყოსო.... ამჯერად, როცა ერთმანეთის გვერდით დამდგარიყვნენ, ერთურთს ჩამოჰგავდა ცოლი და ქმარი, გარეგნობითაც, სახის ყოველი ნაკვთის მოყვანილობითაც თუ თვალთა ფერითაც: ორივეს ჭროლა, მაგრამ სახის სიმსუქნის მიუხედავად, მაინც ფართო თვალები ჰქონდა. ცოლ-ქმრის ამგვარი საოცარი მსგავსება, როგორც ჩანდა, ერთად გატარებული წლების ბრალი არ იყო, ისე ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ცხადია, ოჯახის შექმნამდეც ასეთივენი იქნებოდნენ. ლალი კი არც დედას ჩამოჰგავდა და არც მამას: რეზომ თვალის შევლებისთანავე შეამჩნია ესა, მაგრამ რატომღაც საჭიროდ სცნო და ლალის უთხრა: „გამოცხადებული დედაშენი ხარ, ძალიან ჩამოჰგავხართ ერთმანეთს..." ამ სიტყვებმა, არ გამოჰპარვია რეზოს, სიამაყე მოჰგვარა ქალბატონ ელენეს და იმასაც მიმართა: „ახალგაზრდობისას ჩამოყალიბებული ლალი იქნებოდით..." მართლაც ასე იყო, — დაეთანხმა ქალბატონი ელენე. ბატონმა დავითმაც კვერი დაჰკრა და გაცნობის ცერემონიალიც ამით გასრულდა...

(გაგრძელება იქნება)

## გიგი სულაკაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 8 დეკემბერი

*ჯ. ლ.*

ამ მინდორზე
ოდესღაც მირბენია.
და ყვავილები
(ისევე, როგორც საბავშვო
გადასაყვანი სურათები)
შიშველ სხეულზე
სურნელოვან
და ფერად კვალს
მიტოვებდნენ.
ახლა აქ მტვერია.
ჩემში ჩემზე
გაცილებით უძველესი
სინათლის სხივი
ამაოდ ცდილობს
დააბრმავოს
მკაცრი განგება.
ვერ დაველოდე სიბერის ტყვიებს.
უფრო უცნაური
ვიდრე ჩვეულებრივი
ჩემი საუკუნე,
ხოლო თქვენი
კიდევ ერთი დღე
ასე დასრულდა.

### საგნები თოვლში

*ოტია პაჭკორიას*

თბილისში ცივა
და გამვლელები
სხვადასხვა გზით
თითქოს ერთი სახლისაკენ
მიიჩქარიან.
მზეა
და ქარი —
გუმბათწაკვეთილ საყდრებსა და სამრეკლოებს
ახლის ერთმანეთს.
მძიმედ ბინდდება
და მთაწმინდიდან ნელა ეშვება
ლურჯი ტრამვაი.

ქალაქის ფსკერზე
ისევ ღიაა
რესტორანი — პანდორეს ყუთი,
რომლიდანაც უძვირფასესი განძის ნაწილი
უკლებლივ ყველას,
დაუნდობლად ჩამოგვირიგდა.

ყველა მდინარეს თავის მთვარე აქვს.

მეც აქ მოვედი
და ვხედავ ქალებს,
რომლებიც უკვე
ქაღალდის ფერმკრთალ ყვავილებს გვანან,
ანდა,
ჭიქებში ჩარჩენილ ღვინოს.

მინის კერპი —
სინდისივით მკაცრი სიცოცხლით
სავსე რომ იყო,
გუშინ დაიმსხვრა.

რას გააკვირვებ ხეებს ქარებით,
ხოლო ამ კედლებს
ლექსებით, კვამლით...
მარტოდარჩენილ მეძავთა სევდა
შემოდის სულში სუსტი შუქივით.

მთელი ცხოვრება ვსწავლობ ხეტიალს,
მინახავს როგორ ჩამორბოდა
ბიჭი ფერდობზე.
მერე წაიქცა...
მომბეზრდა უკვე.
აბაზრებულ ცეცხლთან დავრჩები
და სიბნელეში
თოვლწაფარებულ საგნებს გავხედავ,
რომლებიც სანთლის ნაღვენთებს
გვანან.

ეს მირჩევნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმთვრალის შემდეგ,
ნაბახუსევზე,
თითქოს ვიღაც მიყურებს
გამადიდებელი შუშით
და არა მარტო მე,
არამედ,
ოთხჯერ გადიდებულ ჩემს
ფიქრებსაც
უდიდესი გულისყურით
ათვალიერებს.
ალბათ უკვირს —
ახლა რომ სხვა ვარ...
ჩვენ ხომ დავიშალეთ
და სათითაოდ
სიმარტოვეს ჩავუყარეთ საფუძველი.
მე კი ამასაც არ დავჯერდი
და ბნელ ხახაში
ჩავცქერი სინდისს,
რომელიც წესით,
უკვე აღარ უნდა მაწუხებდეს.

●

თვალდახუჭული,
როდესაც მზეს შევხედავ
ჯერ სისხლისფერ ფარდას
დავინახავ,
ცოტა ხანში კი
ლურჯი, მწვანე და იისფერი
მოძრავი ლაქებიც
გამოჩნდებიან.
ასე საათობით ვერთობოდი
ბავშვობისას...
ახლა ეს თამაში
იმ საყვარელ წიგნებს მაგონებს
მერე კვლავ რომ გადავიკითხე.
თვალდახუჭული
მე ჩემსავე მეხსიერებას ვხედავ
და ეს სულაც არ მაოცებს.
უცნაური ის იქნებოდა
მომავალი რომ დამენახა —
მოხუცი ბავშვი
მზეს უყურებს
დაბრმავებული.

●

შენ,
მოგზაურო,
კარგი გიქნია,
ჩვენს ქალაქში
რომ შემოსულხარ.
ეს ქალაქი ერთადერთია
მთელს მსოფლიოში —
გაუთხოვარი და სევდიანი
ქალებით სავსე.
მართალი გითხრა,
მათ კდემაში
ეჭვი არავის ეპარება.
და შეიძლება ამიტომაც
საკუთარ თეძოებზე ამხედრებულნი
ასაფეთქებელ ნაღმებივით გატენილ
მკერდებს დაატარებენ.
და ზოგიერთი მათგანი
დილიდან შუაღამემდე
მთელი საუკუნით იკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჯიბლაშვილი



II.

რომანი

კალათბურთის მოედანი ისე იყო მინგრეულ-მონგრეული, გეგონება უპატრონოაო. ანზორი ოზხერელმა და რეზომ ნიჩბები და წერაქვები მოიტანეს. მინდორი გადავთხარეთ და გადავასწორეთ.

— ორმოები არ დაგრჩეთ. — თქვა ანზორმა.

ვედროებით ხრეში მოვზიდეთ და პატარ-პატარა ორმოები ამოვავსეთ. დაგვიანებული ხალხი თანდათან გვემატებოდა და სიზარმაცემაც იჩინა თავი.

— გუნდის გადახალისებას ვაპირებთ, მოდი და ივარჯიშე. შენისთანა ახმახი სწორედ რომ გვჭირდება. — ანზორი მეუბნება.

— რამდენი ხანია ბურთი კალათში აღარ მისვრია.

— ივარჯიშე და ჩადგები ფორმაში. — წერაქვით ქვა ამოაგდო.

კვიპაროსების იქით გოგონები გამოჩნდნენ. წინ ცირა მოდიოდა. ხელში ნიჩაბი ეჭირა.

— აბა, როგორ მუშაობს სპორტული სექცია? — იკითხა ცისფერთვალა გოგომ და პლაშჩი გაიძრო, მერე პირდაპირ ლერისთან მივიდა, წერაქვი მათხოვე. მოგეხმარებით.

გოგომ წერაქვი მოხერხებულად დაიჭირა და ღონივრად დაჰკრა.

ახლა სხვები შემოვიდნენ მოედანზე. ბიჭები გახალისდნენ.

კალათბურთის ფარს კიბე მივადგი და რეზოს გავძახე, სალებავიანი ვედრო მომაწოდე-მეთქი. ცოტათი ჩამოიწიე, ვერ მოგწვდებით. როგორც იქნა, ამომაწოდა. ის იყო ჭაგრისი ვედროში ჩავყავი, რომ ერთი აწოწილი ბიჭი მომადგა, გინდა თუ არა ჩამოდი, მე შევღებავო. არ მომეშვა და ჩამოხტომის დროს წავბარგანავდი, კინაღამ ბიჭი წავაქციე. ხელი შემაშველა, , დგას და მიყურებს. რა ნაცნობი ჩანს-მეთქი. ის პატარა ბიჭი არ იყო, ამერიკელი თუ ინგლისელი გოგო რომ მოეწონა! იმანაც მიცნო და გამიღიმა.

გახსოვს ის გოგო, მეკითხება და მთელი სახე უცინის. ყურებიც კი რაღაცნაირად უმხიარულებს, საულვაშეზე ღინღლი წამოშლია და უბზინავს.

— ხო გითხარი, კომკავშირის მდივანსა ჰგავს-მეთქი, ტყუილია?

წადი, დაიკარგე აქედან, თორემ მაგ გაბუშტულ ცხვირს უფრო გაგიბუშტავ-მეთქი, წათაქება დავუპირე, მაგრამ უცებ ძალიან მომეწონა და ველარაფერი ვუთხარი. მართლა მთლად ღლაპი ჩანდა, სულაც არ ეტყობოდა სიმამაძალლე, მიამიტმა ბიჭებმა რომ იციან, ისე ლაპარაკობდა. ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და კარგა ხანს იცოდვილა, სანამ მოუკიდებდა. მოუკიდა თუ არა, ასანთის ღერი დააგდო და ცირასკენ შეტრიალდა, თვალი აღარ მოუშორებია. ცირა კენჭებს არჩევდა და გოგოს ელაპარაკებოდა. გახევებული ბიჭი სიგარეტს ხარბად ქაჩავდა, ცირას მზერა რომ ვერ დაიჭირა, ჩემკენ მოიხედა.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 10.

— რამდენისა ხარ? — რისთვის ვკითხე, მეც არ ვიცი.

— იმ დღეს არ გითხარი, თვრამეტისა ვარ-მეთქი. — მოვიდა და პირდაპირ ცხვირში შემომაბოლა. — შენ რა გგონია, ტყუილი ვთქვი? გაპრიალი ვაშლივითა ჰგავს ამერიკელს.

— საერთოდ, ადამიანები ვგავართ ერთმანეთს.

ჯერ მე შემომხედა, მერე — ცირას. რა თვალებით შეხედა! — ნერვები ამეწეწა, მოდი ერთი წავუთაქებ, ზედმეტი მოსდის-მეთქი, მაგრამ ნამწვი გადააგდო, წავიდა, კალათბურთის ბოძს მიეყუდა და სალებავით დაითხუპნა.

— ეე, — დაუძახა რეზომ, — რას შვრები?

ბიჭი გაწითლდა, დაბნეულად ააცეცა თვალები, თავი მიატრიალ-მოატრიალა, დათითხნილი ბეჭების დალანდვა უნდოდა, მაგრამ სიცილი დააყარეს. ცხვირსახოცი ამოიღო, მოდი, ჩამოგწმენდავ-მეთქი. ბიჭი ჩემკენ მოტრიალდა, კარგა ხანს მიყურა და ზურგი მომიშვირა. იმ გოგოს თავს თუ არ დაანებებ, უარესი მოგივა-მეთქი, თან რაც ძალი და ღონე მაქვს, ბეჭზე ცხვირსახოცს ვუსვამ, სულ გავუწითლე.

— გოგო რა შუაშია, დამავიწყდა, რომ შეღებილი იყო.

— ჰოდა, მეორედ არ მოგივიდეს.

ბიჭმა აწითლებულ მხარზე ხელი მიიწვდინა და ცხვირსახოცი გამომართვა.

— ეს მაინც აღარ ივარგებს, უნდა გადავაგდო.

— შენ ადგილას რომ ვიყო, სახსოვრად შევინახავდი.

ისეთი თვალებით შემომხედა, შემეცოდა.

— რა გქვია?

— თენგო. შენა?

— ჯურხა.

იდგა და გულუბრყვილოდ მიყურებდა. ეტყობოდა ახალი ჩამოსული იყო სოფლიდან.

— შენ თუ გინდა, ვიძმაკაცოთ.

— მე აქ არავის ვიცნობ. ჩვენი ბრიგადის ბიჭებიც ისე მექცევიან, თითქოს საბავშვო ბაღიდან ვიყო გამოსული. ბალღად მთვლიან. სკოლაში კალათბურთს ვთამაშობდი, ამბობენ, აქ გუნდი უნდა ჩამოაყალიბონო.

— ითამაშებ?

— რატომაც არა!

კაი აწოწილი იყო, თითებიც იმსიგრძე ჰქონდა, ნამდვილ კალათბურთელსა ჰგავდა. წამო, გუნდის კაპიტანს გაგაცნობ-მეთქი.

ანზორმა ახედ-დახედა და უთხრა, ვარჯიშზე იარეო.

საიდანღაც შალიკო გამოჩნდა, ჯეილებს გაუმარჯოსო, დაგვპყივლა და ოზხერელს ხელი ჩამოართვა.

— თავმჯდომარეს გაუმარჯოს! — მიესალმნენ აქეთ-იქიდან.

— რა აიჩემეთ, თავმჯდომარეო, კოლმეურნეობაში ხომ არა ვართ?

— მოდი, ერთი, წერაქვი გამომართვი.

— მაგას წერაქვი და თოხი რომ სძულდა, სოფელში იცხოვრებდა.

— როგორ არის საქმე? — საქმიანად იკითხა შალიკომ.

—ფრენბურთის ბადე, ბურთები და სპორტული ფორმა გვინდა, — თქვა რეზომ.

— რამდენი ხართ? — დაიბნა შალიკო.

— ფეხბურთელები თხუთმეტნი ვართ.

— სხვანი ვინღა არიან?

ანზორმა ნიჩაბი დააგდო და შალიკოსთან მივიდა.

— შარშანდელი ფორმა დაიძენძა, ახალი გვჭირდება. კალათბურთელები ობლები ხომ არა ვართ?

შალიკომ ქუდი კეფაზე აიგდო, მოგვათვალიერა და დაგვპირდა, ხვალ მოვილაპარაკოთ. პირობა რიგიანი იცოდა, მაგრამ ხელიდან არაფერი გამოუდიოდა. მაგან თუ ფორმა არ გვიყიდა, მამის საფლავს გეფიცები, პარტკომში ვუჩივლებო, ბრაზობდა რეზო.

ანზორმა ბურთი გადმოაგდო. განიერი წრე შეიკრა. ბურთი მსუბუქად ფრინავდა. თენგო გრძელი თითებით რბილად, მოხდენილად ისროდა. წრეში გოგოებიც შემოგვიცვივდნენ.

ბურთის თამაში, იცოცხლე, კარგი იყო, მაგრამ ტექნიკუმში ვიყავი წასასვლელი და გასახდელში გავიქეცი. გზაში თენგოზე ვფიქრობდი, მერე ამერიკელი გოგო გამახსენდა. ტანსაცმელს რომ ვიცვლიდი, სულ ის მედგა თვალწინ. მართალს ამბობს ეს ცხვირმოუხოცავი, გამოცხადებული ცირა იყო.

საერთო საცხოვრებელში არ მივსულვარ. პირდაპირ ტექნიკუმში გავვარდი. ერთი ლექციის მეტს ვერ გავუძელი. ხუშტურმა მომიარა, ავდექი და შინისკენ გავწიე. ვიცოდი, იმ დღეს ვარლამა მორიგეობდა და მასთან ქაქანი მომენატრა.

ვარლამა გარეთ სკამზე იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და სრუტუნებდა.

— გამარჯობა, ვარლამა!

— გაგიმარჯოს, თუ გინდა!

ეტყობოდა, კაი გუნებაზე იყო. გვერდში მივუჯექი და ფეხი ფეხზე შემოვიდე.

— აბა, ჩამოყარე, რა იცი ახალი? — მკითხა ვარლამამ და ჩემკენ მოტრიალდა.

— არაფერი. ბაზარში სიძვირეა, მაღაზიებში სიგარეტი არ არის, ქალაქში აქოთებული ავტობუსები დახრიგინებენ. ქუჩები დანგრეულია და ჩვენი კომენდანტი მეორე ქალიშვილს ათხოვებს.

— ეგ გუშინწინ არ მითხარი?

— აბა, ახალი კიდევ შენ გეცოდინება.

---

## თამაზ ჯიბლაშვილი
## ადამიანი მარტო არ არის

ვარლამმა განგებ ჩაფიქრდა, რომ დაეინტერესებინე.

— გუშინ ლოლას ქმარი მოუვიდა და შერიგება სთხოვა,

— მერე?

— იუარა. თავს მოვიკლავ და ეგ არ მოხდებაო.

— შენ რა უთხარი?

— მოგცლია ერთი. ცოლ-ქმრის საქმეში ჩარევა ვის გაუგონია.

ვარლამმა გააპურჭყა. წარამარა პურჭყება იცოდა. ჩემს მოსვლამდე იქაურობა უკვე მოეზუნზლა.

— ჩემი მუცლისათვის ცოლ-შვილს რავა ვაწუხებინებ? მთვრალი რომ მივეთრევი ხოლმე, გიყვარდეს, მომინდება ალერსი და კოცნა, დავერევი დიდიან-პატარიანად და კოცნით ვახრჩობ. სიფხიზლეში ჯერ მე ცოლ-შვილისათვის არ მიკოცნია. განა არ მინდა, მაგრამ, რაცხა არ გამომდის. ეგ ლოთბაზარა სიფხიზლეში მკოცნის, დათვრება და უხათქუნებთ, რავარია?

ვარლამმა პრიმა გაირჭო და გაჩუმდა. მერე ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

— უწყებაა, გეძახიან.

— ჯანდაბას მაგათი თავი. ცალტვინა არ მოსულა?

— საქმეზე მივალ და მოვალო.

დავჩუმდით, ვარლამმა ქუდი მოიხადა და მუხლზე ჩამოიდო. როცა ქუდი არ ეხურა, ცხვირი უფრო წოპწოპინა და გრძელი უჩანდა. უცბად გაახსენდა თავისი უბედურება და ისევ დაიხურა. გამეცინა.

—რას იკრიჭები?

— იმ დღეს ძაან მიგილო უფალმა.

—ნუ მახსენებ, ნამეტანი მოგვივიდა.

— მოგვივიდა კი არა, მომივიდათქო. შენს მეტი ყველა ფხიზელი იყო.

— კაი ერთი, თუ ძმა ხარ, ის აყლაყუდა რეზო ხომ მივაწვინე?

— ცალტვინა?

— გადაშენდით აქედან ორივე. ქურდია ეგ შენი ცალტვინა. სმაში პატიოსანი უნდა იყოს კაცი! აგერ კვირას მოდით ჩემთან და გაჩვენებთ, რა ჯეილებიცა ხართ.

— კვირას არ მცალია. თუ გინდა იმკვირია მოვალთ.

— მაინც რა ცალები გკიდია?

—საქმე მაქვს.

— არ ითქმება?

— ნამეტანი სერიოზულია და ვერ გაგიმხელ.

— მთელი ქალაქის ამბები ვიცი, მარა ქვეყანა არ დამიქცევია. შენ რა საიდუმლო გაქვს, რომ თავს იფასებ?

— ვერ გენდობი და გინდა მომაკლი.

— ასე ხომ?

— გინდა შენ გცოდნია და გინდა რადიოში გამომიცხადებია.

— წადი, დაიკარგე აქედან შე დამთხვეულო! უყურე ამას?!

ვარლამმა ყასიდად გამიბრაზდა. გაბრაზდა და ენა გადაყლაპა. მიმავალ ტროლეიბუსს — გააყოლა თვალი. ზედიზედ ახველებდა და სრუტუნებდა. უშნო სრუტუნი იცოდა. ერთხელ მითხრა, ბალღობისას გავცივდი და მას შემდეგ დამჩემდაო. იმერელ ვარლამას თავისი კუთხისა ბევრი ჰქონდა გამოყოლილი, ქერილი და ფხუკიანი იყო. ომამდე ფოსტალიონობდა თურმე. ჰიტლერი რომ მივასიკვდილეთ, ოჯახს მოვეკიდე და რუსთავისკენ ვიბრუნე პირიო. ომი ახალი გათავებული ყოფილა, ვიღაც რეჟისორს ვარლამას სოფელში ფილმი რომ გადაუღია. ვარლამა ამ ფილმში თავისი გრძელი ცხვირის წყალობით მოხვედრილა და ეს ამბავი ახლაც სალაპარაკოდ აქვს. მთელ სოფელში ერთი მე ამომირჩია, ძაან ტიპიაო, იკვეხნიდა ვარლამა.

სადალაქოდან ივლიანე გამოვიდა, ცალ ხელში სპორტული ჩემოდანი ეჭირა, მეორეში — ჯოხი.

—ჩამოჯექი, ივლიანე, სად მიგეჩქარება?

— მთელი დღე არ ვზივარ? კაცი აღარ დეიარება სადალაქოში.

— თმასაც აღარ იკრეჭავენ, ბოშო?

— გოდოუშენდაყენ პატრონი. ორი კაკალი კაცი აღარაა თმიანი. ამ ბალნებს მაინც რა დაემართათ, აკვანშივე მელოტდებიან.

— გადი, ივლიანე, პენსიაზე და წადი სოფელში.

— მერე და, შენ მირჩენ ოჯახს, ვარლამა?

ივლიანემ წელი ვაივაგლახით აითრია, მოუკვდა პატრონი რადიკულიტსო და ბებრული ნაბიჯით წავიდა.

— დარჩენილიყავი, შე კაცო, პეტერე ხანს! — მიაძახა ვარლამამ, მაგრამ ივლიანეს აღარც გაუგონია, ქუჩაზე გადადიოდა.

— ერთი რაღაცის დირექტორია, მეორე საკანდიდატოაო, მარა ვინაა ამის პატრონი, მოუკვდა მაგი პატრონს! ახლა შენ ამას რომ უყურებ, არაფერი შეგეშალოს და ძაან გამოჩერჩეტებული ნუ გგონია. შარშან სოცდაზღვევის ინსპექტორი რომ მოკვდა, კაპანაძე, დედა, რა ქნა, ბიჭო, არ დაგვწყვიტა ხალხი! სვა, მარა რა სვა! სანამ ჭირისუფალი არ მობრუნდა სასაფლაოდან, სუფრიდან ვერ წამოვაგდეთ. უხსენე პენსია, გამოვა ახლა ეს საქმე?

— ნუ იცი შენ, ვარლამა, გაზვიადება.

— მამის სული წამიწყდეს, თუ ტყუილი ვთქვა. ე, კითხე, ლუკაია დაფეხვილს, იქ არ იყო?

— მაინც რამდენი დალია?

— ოცდახამი სტაქანი გადაუძახა და მეტი რა გინდა? ქორწილში არ ისმება ამოდენა ღვინო.

— თქვენებურ ღვინოს ფუთს დავლევ.

— მამა გიცხონდება.

— დედას გეფიცები.

— დეიდუპე აქედან. კუმ ფეხი გამიყო, მეც ნახირ-ნახირათ, ივლიანეს რომ უყურებ. ნურას უკაცრავად, ძველი ნაფრონტალია, ქერჩზია ნაომი. ბუდაპეშტის ალებისას გაუხვრიტეს ფეხი. ჩვენ, ჩემო ბიძია, იმმა იმოდენა უბედურებას გადაგვყარა, ახლა რომ მახსენდება, ტანში მაჟრიალებს. თოფის ერთი გასროლა მზის დაბნელებას უდრიდა; — ვარლამა ახლა უკვე წარბშეკრული ლაპარაკობდა, — სხვა რომ არაფერი, ბოშო, ადამიანის სისხლის დანახვა გაგაცოფებს. მე რომ გადამწვარი სოფლები და დახოცილი ბაღნები მინახავს, გაძლება არ უნდა? ტყვია თუ არ მომკლავს, საცოდაობისგან გული გამისკდება-მეთქი. ახლა, ხომ ხედავ, რა დროა, ცხოვრება წინ მიდის. ავადმყოფობას რა ვუთხარი, თორემ რა დროს ჩემი პენსია იყო. ყოველდღე გაზეთში ვიყავი გამოჯგიმული, ჩემისთანა მვალცავი ბარე ორი არ დაიარებოდა, მარა რას იზამ! კაცმა რომ თქვას, რამდენმა გაფუჭებულმა დაიძვრინა თავი ქარხნიდან. ახლა პამიდორი და ყვავილები დააქვთ მოსკოვში გასაყიდად. ესაა, ბოშო, საქმე? ერთი, თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავს. ნუ დამზარდები, მიდი იმ პატიოსან ქარხანაში და უთხარი, ტყუილი პენსია რომ აქვს ზოგზოგებს დანიშნული. რავაა იმათი საქმე, უკან ხომ არ შემოვაბრუნოთთქვა. იზამ ამას?

— მაგაზე კაი ხანია ლაპარაკობენ და გრძელი სიაა შედგენილი. ხელმეორე კომისიაზე გაატარებენ სუყველას, მაგრამ, კაცმა რომ მოიცალოს, არც შენ გამოხვალ მამა აბრამის ბატკანი-მეთქი. იყვირა, მაგრამ რა იყვირა! ვინ მამაძაღლმა უარი თქვას უკან დაბრუნებაზე, მაგრამ ჯანი მაქვს გალახული და რა ვქნათ. კარგა ხანს ვიდავეთ. პენსია ტყუილუბრალოდ გაქვს მოკვარახჭინებული, ეგრე რომ არ იყოს, ხმის დროს რატომ არა ხარ დავრდომილი-მეთქი. შენც თუ ამ ჭკუაზე ხარ და ეჭვით მიყურებ, სხვა ვინღა დავაჯეროო. ცოლ-შვილი გაიწყვიტა, იმდენი იფიცა, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, ნამდვილად ჩამოწერილი ხარ-მეთქი. გულზე მოეშვა.

10.

გაზაფხულის გემრიელი დილა იდგა. პროსპექტზე მივაბიჯებდი და ცირაზე ვფიქრობდი. ჯერ ცხრაც არ იყო, ხალხი კანტიკუნტად იარეოდა. ასეა ჩვენს ქალაქში: უქმე დღეებში დილდილობით გვერდების გამობრუნებამდე სძინავთ.

ჯიხურში შევედი და ცირას დავურეკე. ახლავე გამოვალო.

გარეთ რომ გამოვედი, სიგარეტი გავაბოლე და ცალტვინას ჰალსტუხი გავუსწორე. ზუთწუთში ცირაც გამოჩნდა, გული ამოვარდნაზე მქონდა.

— რას მორბოდი? მომეცი, მე წამოვიღებ.

— პალიტრას მე წამოვიღებ, შენ მოლბერტი გამომართვი.

გაჩერებამდე ფეხით ვიარეთ.

— ავტობუსით წავიდეთ, — მითხრა ცირამ, — ტაქსები გიჟებივით დაქრიან.

ავტობუსმაც ფეთიანივით ვარეკა. ცირა ფანჯარაში იცქირებოდა. გადაზნექილ მინდვრებს მწვანე ფერი ეპარებოდა.

— აქ რას აშენებენ? — მკითხა ცირამ.

— სათბურს. ცალტვინა ამბობს ზამთარზაფხულ კიტრი თავზესაყრელად გვექნებაო, უკვე მარილს იმარაგებს.

მერე ავტობუსში ერთბაშად ყველა ჩუმდება და მანქანის გრიალიღა ისმის, მე და ცირა იდაყვებით ვეხებით ერთმანეთს. ჩვენს წინ ბავშვიანი ქალი ზის. ბავშვი წარამარა ჩვენკენ ტრიალებს და რაღაცას გვეტიტინება. ანგელოზივით თეთრი და სუფთა კანი აქვს, იმხელა თვალებს აბრიალებს, სარკედ გამოდგება. დედა ცდილობს დააძინოს, ხან კალთაში აწვენს, ხან მკერდზე იხუტებს, ბავშვი ჟინიანობს, არ ეპუება, ხან ჩემკენ იწევს, ხან ცირასკენ.

ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა და ხალხი ჩაღაგდა. ზოოპარკი, როგორც ყოველთვის, ბავშვებით იყო გამოტენილი. ჯერ ჩიტნალიებისა და აკვარიუმებისაკენ გავწიეთ. ფენჯერს ჯიშის აფრიკული მელა რკინის ცხაურს იქით ხალხს ემალებოდა. ბავშვები კენჭებს ესროდნენ და, ალან იცოდა, სად შემძვრალიყო, ფაფარაყრილი მიწის მგელი გაშმაგებით გვიყურებდა, ხოლო ძაღლი დინგო არხეინად იწვა. ძაღლი რის ძაღლია, რომ ბედს არ შეურიგდეს.

— მოდი, მაიმუნები ვნახოთ. — ვუთხარი ცირას.

ცირა იცინის და მაიმუნების სანახავად მივდივართ.

მე და ჩემი წინაპარი თვალებდაჭყეტილი ვუყურებთ ერთმანეთს. ერთი, უფრო თამამი, ცხაურს მოახტა. შოკოლადი გავუწოდე, ფოჩი შემოაცალა და დასუნა. ახლა სხვები მოაწყდნენ ცხაურს. წრიპინა მაიმუნმა თათი გადმოყო და ავტოკალამი ამწაპნა, სიხარულისაკან ელეთმელეთი მოუვიდა, გაიქცა და ჩაცუცქდა. დანარჩენებიც მიესივნენ. დიდი მაიმუნი ფუთფუთით მიეხალა, ავტოკალამი წაგლიჯა და პირში ჩაიდო. წრიპა აზტა და წრიპინით აიკლო იქაურობა. აფსუს, ცალტვინას ნაჩუქარი ავტოკალამი რა დღეში ჩამიგდეს!

ცირამ ვეფხვი უნდა დახატოს. ახლა იქითკენ მივდივართ. ვეფხვი მეფურად იწვა და

თვალებს ლულავდა. ჩვენკენ არც გამოუხედავს.

ცირა სახატავად მოემზადა. ვეფხვი წინ და უკან დადიოდა და ილრინებოდა.

ცირამ მოლბერტი გააწყო და სალებავები ამოიღო. გამვლელები ჩვენ წინ ჩერდებოდნენ.

— ეს ისეა გადარეული. დღეს არ დაწყნარდება, — თქვა ცირამ, — რა უნდა ვქნათ?

— წამო. ჩაი დავლიოთ და მერე დახატე, სად გაგვექცევა.

კაფეში შევედით. კაკაო და ფუნთუშები დავუკვეთეთ. ოფიციანტმა ცივი კაკაო და თითო ფუნთუშა მოგვიტანა.

— არ შეიძლება ცოტათი შეათბოთ? — მე ვეკითხები.

კი, ბატონო. მხრები აიჩეჩა მომტანმა. კაკაოები აგვაცალა და წავიდა. თუ შეიძლება, თითო ფუნთუშაც დაგვიმატე-მეთქი, მივაძახე.

— რაღად გინდა, — მეუბნება ცირა. — თითოც გვეყოფა.

რა იცის, ღორმუცელა რომ ვარ. აბა მე და ცალტვინა ვიყოთ. ათ-ათს შევჭამდით.

ცირა მაგიდისკენ იყო წახრილი, თმები ჩამოეშალა და თეფშზე დაეფინა. ჩვენ თვალებში ჩავხედეთ ერთმანეთს. ცისფრად უელვარებდა. რომ იტყვიან, ღრმა და უძირო თვალებით, არაფერიც, ჩვეულებრივი თვალები ჰქონდა, ოღონდ ძალიან შთამბეჭდავი და ლამაზი. მე მიყვარდა ეს თვალები!

ოფიციანტმა კაკაო მოგვირბენინა და სადღაც გაქრა. ცხელ ჭიქებს ორთქლი ასდიოდა.

— ყავით მარჩიელობა იცი? — მეკითხება ცირა.

— არა. თუ აქვთ, მოვატანინებ.

— არ ექნებათ.

ოფიციანტს გავძახე. ახლავე მოგართმევთო.

— ყავას რომ დალევ, ფინჯანი ასე დააპირქვავე, — მასწავლა ცირამ, — ვნახოთ რა ჩიტი ხარ.

პირი ამოვითუთქე. ახია ჩემზე, ავიჩემებ ხოლმე, ცხელი, ცხელიო, და ესეც შენი მდუღარე!

— აბა, გადაიწერე პირჯვარი, — მითხრა ცირამ.

კისერი წავიგრძელე, იქნებ ჩავიხედო-მეთქი. მაცალეო, ხელით გამწია, აქ ისეთი ღომხალია, თავგზა აგებნევაო. მერე ტაში შემოსცხო, ხო, ხო, რა ამბავში ხარ, გაგონილა, ბიჭო, ამდენი გოგოებით.

— რას მატყუებ!

— არაფერსაც არ გატყუებ. თუ გინდა ჩაიხედე. აი ერთი, მეორე, აი კიდევ, ბუზებივით გეხვევიან.

— სად ხედავ მანდ გოგოებს?

— უყურე, — წინ წამოიწია, — ხედავ? არა, ეგ არა, აქეთ მოიხედე, სულ გოგოებში გაქვს საქმე. მაინც რამდენია!

გულიანად იცინოდა; თან თავის ლამაზ თითს ჭიქისკენ იშვერდა და „შეხედე“, „შეხედე“ მახელებდა. თვალებგამოკუსული ჩავცქეროდი და იმ წუთში ჯულიაზე ვფიქრობდი, აქ საიდან გამოტყვრა-მეთქი.

— ეგ ყველაფერი ტყუილია, — მე ვეუბნები.

— ვითომ რატომ არის ტყუილი?

— იმიტომ, რომ მანდ მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, დანარჩენი ტყუილია.

— ერთიო? რაც კი ქვეყანაზე გოგოა, ყველა ამ ფინჯანშია თავმოყრილი, შეხედე, შუაში დგახარ და აღარ იცი, საით გაიხედო.

— ტყუილია-მეთქი.

— ესეც მე ვარ? შეხედე, ერთი განზე დგას და შორიდან გიყურებს.

ოფიციანტმა ანგარიში წარმოგვიდგინა. გუდა-ნაბადი ავიკარით და გამოვედით. ცხაურთან რომ მივედით, ვეფხვი არხეინად იწვა და თვალებს ნაბავდა. იქვე ხუთი-ექვსი წლის ბიჭი ჩაცუცქულიყო და პირდაბჩენილი შესცქეროდა.

ცირა უკვე ხატავდა. ვეფხვის მეზობლად ფაფარაყრილი ლომი გამოჯგიმულიყო. გრძელი კუდი ფეხების გასწვრივ შემოედო და თავაწეული იყურებოდა. დიდრონი, ყვითელი თვალები ისეთი მშვიდი ჰქონდა, ვერ გაიგებდი, სძულდი თუ პატივისცემით გიყურებდა.

ცირას ტილოზე ფერები გადააქვს. ცნობისმოყვარე ხალხი ჯგროდ ეხვევა. ორი ბერიკაცი ჩვენს გვერდით დადგა და ვეფხვებზე დაიწყეს ლაპარაკი. ერთი, ეტყობოდა, ზოოლოგი ან ამ საქმეში ძაან გათვითცნობიერებული უნდა ყოფილიყო. მე ტილოს ვუყურებდი, ცალი ყური კი იმათკენ მქონდა.

უცებ ნაცნობ სახეს მოვკარი თვალი, ღმერთო, გამახსენე, ვინ არის და გინდა მომკალი. მივაშტერდი, მაგრამ ვერაფრით ვერ გავიხსენე. აშოლტილი გოგო იყო. გვერდში იმასავით აწოწილი ბიჭი მიჰყვებოდა. ბიჭს მხარზე ხელი გადაეხვია და რაღაცას ელაპარაკებოდა. ის კიდევ ხმამაღლა იცინოდა და იქ მყოფთა ყურადღებას იქცევდა. ცოტა ხანში სულ ახლოს მოვიდნენ. მოლბერტის უკან დადგნენ და ჯერ ნახატს შეხედეს, მერე ცირას. გოგომ ტუჩები აწრუპა. ვაი, რა ნაცნობი სახე ჰქონდა, სახელიც ენის წვერზე მადგა, მაგრამ გულზე გადამივარდა და ვერ გავიხსენე. გოგო არხეინად იდგა, ბიჭი თმებზე ეფერებოდა. მივედი და გვერდში ამოვუდექი, შენც არ მომიკვდე, ზედაც არ შემომხედა, ვიღაც ჩაფსკვნილ ბიჭს მიესალმა. თან კავალერს მხარზე ეკიდებოდა. ბიჭს, ეტყობოდა, ხატვის ინჩიბინჩი გაეგებოთა და ტილოს გულდასმით დასცქეროდა. ერთი პირობა ცირას შენიშვნაც კი მისცა, ცხვირთან ზემოთ, ცოტა გააბაცეო. მერე მე და იმ გოგომ შევხედეთ ერთმანეთს, გოგო ერთი წამით დამაცქერდა, მერე ისევ ვეფხვებს გახედა. ალბათ ვეფხვი ჩემზე უფრო კარგი საყუ-

რებელი იყო. ბიჭმა გოგო გალიასთან მიიყვანა. კარგა ხანს იდგნენ, როცა უკან მობრუნდნენ, გოგომ ცერად გადმომხედა. ბიჭი არცთუ სიმპატიური იყო, მაგრამ გამოყვანილი წელი კოჰწია ქალივით მიჭქონდა. ვერ ვიტან კონტაპრუწებს, მეტიჩრები არიან. იმ გოგოზე ფიქრმა კი ნამდვილად გადამრია. ტანსაცმელი რომ ტანსაცმელია, ისიც ნაცნობი ჰქონდა. რაც მართალია, მართალია, ადამიანების დამახსოვრება არ ვიცი. ხომ შეიძლება ახლობელი ყოფილიყო, მაგრამ იმანაც რომ ცივად შემომხედა, ესე იგი შემეშალა-მეთქი, ბოლოს დამავიწყდა კიდეც.

ზოოპარკში კარგა ხანს ვიყურყუტეთ. ცირამ გული მოიოხა. კაი ხანია ფუნჯი ხელში აღარ ამიღიათ, მშვენიერი ნახატი გამოუვიდა.

თბილისური საღამო მოიპარებოდა. მტკვარზე ლამპიონები ჩახჩახებდა და მამადავითს ცეცხლი ეკიდა.

— კარგი იქნებოდა ხელოვნების მუზეუმშიც რომ მოგვესწრო შესვლა, — თქვა ცირამ.

— ნახატს ველარ დაამთავრებდი.

— გგონია დავამთავრე? ამას კიდევ იცი რამდენი თითხნა უნდა. როგორ მინდოდა მუზეუმში შესვლა.

— ოქროს თასი თუ გინახავს, ომის წინ რომ აღმოაჩინეს უსახელო ყორღანზე?

— ახლახან ერთი წიგნი გამოვიდა, იმაში ამოვიკითხე. ძალიან მწყდება გული.

— თუ გინდა მომავალ კვირას წამოვიდეთ.

— ძალიან მინდა.

გაჩერებასთან რომ მივედით, უკვე რიგი იდგა. მოლბერტი ფეხებთან დავიდგი და გვერდში ამოვუდექი ცირას. დისპეტჩერი საქმიანად მიმოდიოდა ტროტუარზე და საათს დასცქეროდა.

— სამ წუთში მოვა. — პათეტიკურად გამოაცხადა დისპეტჩერმა.

— ხუთი იყოს, არ დავეძებ, — თქვა ახალგაზრდა კაცმა, — ოღონდ მოვიდეს.

— გრაფიკით სამ წუთში უნდა მოვიდეს. ახლა ისე აკონტროლებენ რო...

— ვითომ ახლა რათაო, სხვა დროს არ აკონტროლებდნენ?

— შენ რა, შარზე ხარ?

— მოეშვი, ვალიკო, რას გადაეკიდე? — წასჩურჩულა ქალმა ახალგაზრდას.

ვალიკო გაჩუმდა, ავტობუსი ზუსტად სამი წუთის შემდეგ მოვიდა. დისპეტჩერმა საქმიანად გადმოხედა ხალხს, ვითომ, ჩემი ტყუილი ვის გაუგონიაო და სადისპეტჩეროში შევიდა.

—მეორეს დავუცადოთ, თორემ გაგვჭყლეტენ, — მითხრა ცირამ.

ხალხი ავტობუსში აცვივდა.

ცოტა ხნის შემდეგ დისპეტჩერმა სარკმელში თავი გამოყო და შოფერს დაუძახა, წადიო. შოფერი კონდუქტორს ელაპარაკებოდა და არ გაუგონია. დისპეტჩერმა მეორედ დაუძახა.

— მაცალე პატარა ხანს. — უთხრა შოფერმა და ლაპარაკი განაგრძო.

— წადი რა, კაცო! — წამოიწრა დისპეტჩერი.

ამახობაში მეორე ავტობუსიც ჩამოდგა. დისპეტჩერმა ხმამაღლა შეიგინა. სისხლი ტვინში ამივარდა. გულმა ისეთი ბაგაბუგი მოროთო, ვიფიქრე, ამომივარდება-მეთქი.

— თუ შეიძლება, ნუ ილანძღებით, — მივედი და ხმადაბლა ვუთხარი, — ქალებისა მაინც მოგერიდოთ

დისპეტჩერმა აგდებულად ამათვალიერა.

— წადი, ბიძია, აქედან

ძარღვებში სისხლი გამეყინა.

— გთხოვთ, ნუ ილანძღებით, თქვენ აქ იმიტომ ხართ, რომ სხვებს მოუწოდოთ წესრიგისაკენ!

დისპეტჩერი წამოდგა და ჯიხურის კარებში გაიჩირა:

— უყურე ამ ლაწირაკს! — თვალები გადმოატრიალა და შემორტყმაც დააპირა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა.

— ლაწირაკი და გაფუჭებული შენ თვითონა ხარ! — ავდექი და მოლბერტი მოვუქნიე, წვივში თუ კოჭში მოხვდა. გაყვავდა, ამას დღე დაადგა. კოჭლობით წამოვიდა ჩემკენ. მოგკლავ, შენი აგე და ისეთ ჯერ ხარცხვილმა გამაოფლიანა, მერე იმისმა ლანძღვამ. ცირა გაფითრებული მიყურებდა და აღარ იცოდა, რა ექნა. ვდგავარ და ველოდები, როდის მეცემა. სანამ ის დამეტაკებოდა, მივვარდი და მაჯები გადავუგრიხე, თან ვჩხავი. თუ არ გაჩერდები, აქვე ჩაგაძაღლებ-მეთქი. მეძგერა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მარწუხები ისე მოვუჭირე, შენი მოწონებული. ხელები ზურგს უკან ამოვუტრიალე და მუხლი მივაბჯინე, აბა ლანძღვა როგორი უნდა. ახლა გიჩვენებ. მტკვარში გადაგაგდებ-მეთქი. გვარიანად უყარდა, ღვინის სუნად იყო წასული.

— ხელი გაუშვი. — ვიღაცამ მკლავში ხელი ჩამავლო. მერე დისპეტჩერს საყელოში ჩასწვდა, შემოატრიალა და მშვიდად, მაგრამ გასაგებად უთხრა: — აღარ მოეშვები ლოთობას, თუ წავაბრძანო იქ? — ისეთი გააწნა. ვიფიქრე დაეცემა-მეთქი. — წადი. შენს ადგილზე დაეგდე და ხმა აღარ ამოიღო!

დისპეტჩერი უხმოდ ვატრიალდა, თან მაჯებს ისრესდა. მივტრიალდი და ჩემს მხსნელს შევხედე. ხალხი ეხლაღა აყაყანდა, რისთვის გააშველე, ნეტავი ეცემაო. უცნობმა ქუდი მოიხადა და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

ისეთ გუნებაზე ვიყავი, აღარ ვიცოდი რა მექნა. მოლბერტი ავიღე და დავკეცე. ცირას ფერიფური აქვს დაკარგული, ერთიანად კანკალებს და თვალს არ მაშორებს, ალბათ ეში-

ნია, ისევ არ დავეტაკო იმ დამთხვეულს. ის კიდევ დაბალი სარკმლიდან კბილებს მიკრაჭუნებს. გულში ვფიქრობ, ხალხისა არა მრცხვენოდეს, მე ვიცი, რასაც გიზამდი-მეთქი. ხალხისა კი რა მოგახსენოთ, სანამ ვძიძგილაობდით, იდგნენ და გვიყურებდნენ. რომ მოვეკალი, ყურსაც არავინ შეიბერტყავდა. თუ არა და, მერე გაზეთში გამომაჭენებდნენ — ამან და ამან ხულიგნობა ჩაიდინა და საზოგადოებამ უნდა გაკიცხოსო. გაკიცხვას ვინ ჩივის, ტყავს გამაძრობდნენ. ზოგიერთი შეიძლება მოწმედაც წამოსულიყო, ეგ არის ჩხუბისთავი, მაგან წამოიწყო და ჩამომკიდეთო. მოდი და ენდე ამისთანებს. ახლა კიდევ დგანან და მაქებენ. აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ეგ ლოთბაზარა სასიკვდილე თუ არა, ციხეში ამოსალპობი ნამდვილად არისო.

ცოტა გონზე რომ მოვედი, იმ უცნობს გამოველაპარაკე, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ჩვენი გამიშვი-დამიჭი-მეთქი. მადლობას რაზე მიხდი, კაცური ვალი მოვიხადე, თუ რუსთაველიდან ხარ, ხვალ მოიცალე, გამომიარე და გაჩვენებ მაკის დელიოდელიასო. უფროსს დავურეკავ, ჯერ ხომ იმას შევახურებ ასეთი კრეტინებით რომ არის აქაურობა გამოტენილი. მერე ვეტყვი, ცხრა პირი ტყავი გააძროს, პარმენი ვარ, მიროტაძე, მეორე სკოლაში ისტორიას ვასწავლი, მოდი და მინახულეო.

ამასობაში ავტობუსიც ჩამოდგა. პარმენმა თვალით მანიშნა, ავიდეთო და წინ ცირა გაატარა. პარმენი ჩვენს წინ ფანჯარასთან დაჯდა, ჯიბიდან გაზეთი ამოიღო და თავი აღარ აუწევია, კითხულობდა. შუა გზაზე გაწვიმდა. მანქანის მინები წყლით დაიხაზა. ისედაც მოჟამულ გუნებაზე ვიყავი და ახლა ამ წვიმამ სულ მომათავა. პარმენი წამდაუწუმ გაზეთს ატრიალებდა ხელში, ალბათ, საინტერესო რამეს ეძებდა, ეტყობოდა, არც ის იყო გულგახარებული. მთელი ავტობუსი გატრუნული იჯდა. ერთგან საბარგო მანქანამ გიჟივით გაგვიქროლა და ტალახიანი ნიაღვარი ფანჯრებს შემოასხა. არავის ხმა არ ამოუღია. კონდუქტორიც ჩუმად მიყუჟულიყო თავის სკამზე და თვლემდა.

— ხვალ აუცილებლად დამირეკეთ, — მითხრა პარმენმა, როცა ავტობუსიდან ჩამოვედით, — მე არ მიყვარს უპირობა, დილითვე მოველაპარაკები მაგის უფროსს. აი, ჩემი ტელეფონის ნომერი.

მიროტაძეს მადლობა ვუთხარი და შევპირდი, ხვალ სალამოს დაგირეკავ-მეთქი. წვიმას გადაეღო. ასფალტზე წყლის პატარა გუბეები იდგა.

კაფეში აღარ შევსულვართ. ცირა შინ მივაცილე და საერთო საცხოვრებლისაკენ გავწიე. მინდოდა, ვარლამს დამხვედროდა, ცოტა გულს მოვიოხებ-მეთქი. მაგრამ ვიცოდი, იმ დღეს ისვენებდა. ბედად ცალტვინა დამხვდა ოთახში, წამოწოლილიყო და წიგნს კითხულობდა.

— მოხვედი? — წამოჯდა.

პლაშჩი კარადაში შევკიდე და გრაფინიდან წყალი დავასხი.

საჭმელი თუ გაქვს-მეთქი. ძეხვი და პურია, გეყოფაო. მაგიდას მივუჯექი და პირი ამოვიტენე. სულმოუთქმელად ვჭამდი, თან წყალს ვაყოლებდი და ცოტათი მოვსულიერდი. გუნება კი ისევ გაფუჭებული მქონდა.

— სად იყავი? — მეკითხება.

— ზოოპარკში.

— რა გეზოოპარკებოდა?

ხელით ვანიშნე სიგარეტი მომეცი-მეთქი. იმ ჩხუბში ჩემი დამკარგოდა.

— დილიდან იქა ხარ?

— დილიდან.

— იმ გაწრიპულთან იქნებოდი.

თავი დავუქნიე. ზის და თვალს არ მაშორებს. გამოტეხვა უნდა.

— რა ხანია, ჯულია ჩაბარდა ისტორიას. მარტო ვიყავი.

— არა მჯერა.

— ნუ დაიჯერებ.

ცალტვინამ ასეთი რამეები არ იცოდა, მაგრამ ბოლო დროს გადამეკიდა, საკაიკაცოდ არ დადიხარ. თორემ არ დამიმალავდიო. ავდექი და ვუთხარი, მე და ცირა ვიყავით-მეთქი. ჯერ თვალები გაუბრწყინდა. მიყურა, მიყურა და მერე მაკოცა.

— ახლა კი მომწონხარ.

— აქამდე არ მოგწონდი?

— იმ ჯულიას რომ დაათრევდი, არა. რა შენი საქმე იყო.

— რაც იყო, იყო.

ერთი ჭიქა წყალი კიდევ დავლიე. მივედი და ფანჯარაში გადავეყუდე. ასფალტს წყალი შეეშრო და გრილოდა. ჰაერი ნოტიო იყო. გაჩახჩახებულ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. უცებ ზოოპარკში რომ გოგო ვნახე, ის გამახსენდა. ახლაღა მომაგონდა, ვინც იყო. ნამწვი გადავაგდე და მოვტრიალდი.

— დღეს გრეტა შემხვდა. გახსოვს, ამას წინათ გიამ რომ გოგოები ჩამოიყვანა? ვერ მიცნო. მთელი დღე ვფიქრობდი, სად მინახავს-მეთქი. ეხლა მოვედი აზრზე.

— იმ გრეტას ფეხებზეც არა ჰკიდიხარ. ერთხელ იყო შენთან, მორჩა და გათავდა. რაღაში სჭირდები? ჩასავლელი იყო და ჩაიარა!

— ჩვენს შორის არაფერი მომხდარა. გამოტყვრა და გამოყეყეჩდა.

— არ დავიძინოთ? — მეკითხება, თან იხდის.

ტანსაცმლიანი გადავწექი, ცოტა ხანს ვიტრიალე და აღარც გამიგია, როდის ჩამეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11.

თენდებოდა. დგანი გამაყრუებლად გუგუნებდა. შოთას ფეხდგომელა ჩაეძინა. ცოლი საავადმყოფოში იწვა და ერთი კვირა იყო მუხლი არ ჩაეხარა. იმ ღამით გაიოზი ეჩხუბა, ჩამოჯექი, ცოტა დაისვენეო, მაგრამ შეაგდო ქვა და თავი შეუშვირა. სიტყვა ვეღარ ვუთხარით.

ჩვენს ზემოთ ამწემ გაირახრახა, ზოიამ ხელი დამიქნია.

— გეძინება?

— რა დროს ძილია, თენდება,

კიდევ რაღაც ჩამომძახა.

რა თქვაო, შოთა მეკითხება. მეორე მხრიდან საყვირი აბღავლდა, ზოიამ ისევ დამიქნია ხელი. მეც დავუქნიე.

ამწის მემანქანე ზოია ივანოვა კომკავშირის ბიუროს წევრია. ქართულს რუსული აქცენტით ლაპარაკობს. ცირას დაქალია. მგონი ცალტვინა ეპრანჭება; ვნახოთ, რა გამოუვა, ზოიას მამა, ანდრეი ანდრეიჩი ცნობილი მგლინავია, ახლა პენსიაზეა, მაგრამ ყოჩაღად არის და ხშირად გამოგვივლის ხოლმე, გაიოზი ანდრეი ანდრეიჩის ნამოწაფარია და ძაან პატივში ჰყავს.

— ჯურხა, — შოთა მეძახის, — პაპიროსი გამითავდა, ფილტრიანი მომაწევინე.

სიგარეტი რომ მივეცი, ვუთხარი, ცოტა ხნით იქით გავალ-მეთქი. ჯიხურში შევედი და მორიგე ექიმს დავურეკე. ამა და ამ პალატაში რომ ესა და ეს ქალი წევს, როგორ არის-მეთქი. რიგიანი კაცი გამოდგა, ადამიანურად მიპასუხა, სიცხემ დაუკლო და ჩაეძინაო. რა გადავცეო, შემეკითხა. არაფერი, მაინტერესებდა როგორ იყო-მეთქი. მადლობა ვუთხარი და ყურმილი დავდე.

დგანზე რომ ამოვედი, შოთას ვუთაქე, შემოვატრიალე და ცერი ვაჩვენე ასეა-მეთქი საქმე.

— საავადმყოფოში დავრეკე, მაყვალასთვის სიცხეს დაუკლია და არხეინად სძინავსო.

— შენ რა გითხარი! — სახე გაებადრა, — მაგისთვის გახვედი?

— მაყვალას საავადმყოფოდან რომ გამოწერენ, მაღარიჩი არ დაგავიწყდეს.

გაიოზი დგანზე ამოდიოდა და, როგორც ყოველთვის, ბლოკნოტში რაღაცას იწერდა. ჩვენი ბრიგადა საპირველმაისო შრომითს ვახტზე იდგა და გაიოზს ერთი სული ჰქონდა, თავი არ შეგვერცხვინა.

ცოტა ხნის შემდეგ პირველი ბრიგადის ოსტატი გამოჩნდა. გაიოზი და მამია გადასასვლელ ხიდზე ავიდნენ და საუბარი გააბეს.

— პირდაპირ საავადმყოფოში წახვალ? — შოთას ვეკითხები.

— ჯერ შინ, ბიჭებს სკოლაში გავისტუმრებ და მერე.

მეც წამოვალ-მეთქი. ხელის ზურგით ნიკაპიდან ოფლი მოიწმინდა და გამიღიმა.

რვა ხდება, კარგა გათენებულია. მზე საცაა სამქროშიც შემოგორდება. პირველი ბრიგადის ბიჭები დგანზე ამოდიან. ცვლას ვაბარებთ. ერთი შავტუხა იკრიჭება, გუშინ გეგმის ზევით ასორმოცდაათი მილი გავგლინეთ. თქვენ რა ღმერთი გიწყრებათო. გამხურებელი დგანიდან ცალტვინამ გადმოსძახა. ჩვენ რომ გუშინწინ ორასი გავგლინეთ, ის როგორღაო. დგანან და დავობენ. პირველი მაისი კარზეა მომდგარი, ვნახოთ, ვინ მსუბუქი და ვინ მძიმეო.

— ჯურხა, ბიჭო! — ზოია მეძახის.

— რა იყო?

— წამო, კომიტეტში გეძახიან.

— ვინ მეძახის?

— გაიოზ ბიძიამ თქვა, ცირამ დარეკაო.

— ახლა აქ არ იყო გაიოზი, რატომ არ მითხრა?

— წავიდეთ.

— ტანზე გამოვიცვლი და ამოვალ.

აბანოსკენ რომ მივდიოდი, ცირა პარტბიუროს მდივნის კაბინეტიდან გამოვიდა და დერეფანში შემეფეთა.

— ზოიამ გითხრა?

— ჰო. რა მოხდა?

— კომიტეტის წევრები ოთართან ვიკრიბებით.

ახლავე მოვალ-მეთქი. გავიქეცი და წყალი გადავივლე. თან მეჩქარებოდა, იქნება შოთას მივუსწრო და საავადმყოფოში გავყვე-მეთქი.

პარტბიუროში რომ შევედი, ოთარმა შემომხედა და თვალი ჩამიკრა (ბოლო დროს ძალიან გამიშინაურდა). აქეთ მოდი, ჩემთან ახლოს დაჯექიო. გრძელ მაგიდას დგანის უფროსი ოსტატი, საამქროს უფროსის მოადგილე და გაიოზი მიუსხდნენ. კომკავშირის კომიტეტის წევრებიც მოიპატიჟეს. ეხლაო, იმისთვის დაგიძახეთ, რომ კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ჩამოყალიბებას ვაპირებთ და, ერთად გადავწყვიტოთ, რა ვქნათო. დგანის უფროსი ოსტატი ეგნატე დაგვიბერდა, პენსიაზე უნდა გავაცილოთ და იმის ადგილი გაიოზს მოუწევს, მეოთხე ბრიგადა კი ახალგაზრდულად უნდა გადავაკეთოთო.

გამიკვირდა, გაიოზს რატომ არაფერი წამოსცდა-მეთქი. ქვეშ-ქვეშ გავხედე და იმის მზერა დავიჭირე. გაიოზი შუბლშეკრული მიყურებდა, მერე თვალი ჩამიკრა.

— ახლა მთავარია სიები მოვამზადოთ. — თქვა ოთარმა — ბრიგადა ისე უნდა დაკომპლექტდეს, თითოეული წევრი მართლაც კომკავშირული ასაკისა იყოს. — ოთარი ცირას მიუბრუნდა, — სხვა ბრიგადებიც უნდა გადავსინჯოთ. ზოგიერთი კომკავშირული ასაკიდან კარ-

გა ხანია გამოვიდა, ჩვენ კი გავიძახით კომკავშირულ-ახალგაზრდულით. ეს ფორმალიზმია და მეტი არაფერი!

— მაგაში ადმინისტრაცია უნდა დაგვეხმაროს, — გაწითლდა ცირა, — ხალხს ჩვენ ხომ არ გადავიყვანთ და გადმოვიყვანთ?

— მერე და ვინ გითხრათ უარი? — ჩაერია საამქროს უფროსის მოადგილე აბესალომ თაბაგარი და ჯიბიდან ავტოკალამი ამოიღო, — მოამზადეთ სია და შეძლებისდაგვარად გავაკეთოთ. ყოველთვის არ ხერხდება კაცის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა საამქროდან მუშათა დენადობა ნაკლებია, შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს.

— თუ არა ვცდები, კომკავშირული ბრიგადების დაშლის შემთხვევაც გვქონდა, — თქვა ოთარმა, — ეს აღარ უნდა დავუშვათ.

— თქვენ თუ ახალი ბრიგადის დაკომპლექტებაში დაგვეხმარებით, დანარჩენი ჩვენზე იყოს, — თქვა ცირამ.

— ბრიგადის ხელმძღვანელად ვის აპირებთ? — იკითხა ეგნატემ და ულვაში ჩამოისწორა.

ყველამ ოთარს შევხედეთ.

— ჯურხა ბეთანელზე რას იტყვით?

იმ ყველამ ახლა მე შემომხედა. ერთი წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. არც ვაცივე, არც ვაცხელე, წამოვხტი.

— ბატონო ოთარ...

ვინ გაცალა. დაჯექით მანიშნა პარტბიუროს მდივანმა. აბესალომმა ცერად გადმომხედა. გაიოზმა მიყურა, მიყურა და თქვა, ამაზე კარგი კანდიდატურა არ არისო. ცალტვინა დაძაგრული იჯდა და ვატყობდი, მზად იყო დაეძახა, მართალიაო. ცირა მაგიდის ზედაპირს ხელს უსვამდა.

— ჩემის აზრით, ურიგო ბიჭი არ უნდა იყოს, — წამოიწყო ოთარმა, — კომკავშირის მდივნის მოადგილეა, ყოჩაღია, ერთი სიტყვით, გამოდგება.

— თვითონ რას იტყვის? — იკითხა აბესალომმა.

მე ჯერ გაიოზს გადავხედე, მერე — აბესალომს. კაი გვარიანად ვიყავი აჭარხლებული

— აბა, ჯურხა, რას იტყვი? — გამაქეზა გაიოზმა.

იმდღევანდელი კრებისა არ იყოს, ენა გადავყლაპე. წამოვიზლაზნე, კარგა ხანს ვიდექი და იატაკს დავცქეროდი. ფიქრის ღარში პიანჭველა მიცოცავდა.

— რა უნდა ვთქვა, ვერ შევძლებ.

— რამდენი ხანია მვალცავის თანაშემწე ხარ?

— მეორე წელია.

— რას იტყვი, გაიოზ, შესძლებს? — ოთარი ეკითხება.

— შესძლებს,

— ყოჩაღი ბიჭია, — დაამატა ეგნატემ.

— აბა შენ რაღას ჯიუტობ? — კოლოფი-დან სიგარეტი გამოაძრო ოთარმა.

— მე თქვენზე კარგად ვიცი, გამიჭირდება. გამიჭირდება კი არა, ვერ შევძლებ.

— დაგეხმარებით. — შემომეშველა [illegible]

— სიძნელეს თუ გაექცევი, რა ბიჭობაა? — მომიტრიალდა საამქროს უფროსის მოადგილე, — შენ მონდომება თქვი. ახალგაზრდა ხარ, რატომ უნდა გაგიჭირდეს?

— განა თქვენ უკეთესად არ იცით? აქ ჩემზე გამოცდილებიც არიან. ოშხერელი აიღეთ, გინდა სხვა, რომელი ერთი დავასახელო!

— ოშხერელი ოშხერელია, შენ შენა ხარ. სალაპარაკო აღარაფერია, — წამოდგა ოთარი. — ცირა, ამხანაგ თაბაგართან ერთად მოამზადეთ სია და კრებაზე დაამტკიცეთ. ვადა ერთი კვირა გეძლევათ.

წელი ძლივს ავითრიე. მაშინვე კიბეზე დაეშვი და სუფთა ჰაერზე გამოვედი. საამქროს სამმართველოს წინ გაშლილი ტევრი გადავჭერი და გაზონებში მივიმალე. ნეტა რას გადამეკიდნენ-მეთქი, ვფიქრობდი. ზოგი იტყვის, შე მამაცხონებულო, პატივი გცეს, დაგაფასეს, სათვალავში ჩაგაგდეს, ოსტატად გაქციეს და რაღა გინდაო. არა, შვილოსან, ოსტატს რომ დაგარქმევენ, მართლა ოსტატი უნდა იყო. მოგეხმარებითო, კი ბატონო, მომეხმარებიან, მაგრამ...

— ჯურხა! — გაიოზის ხმა ვიცანი, გავჩერდი და დავუცადე. — რას გამოიქეცი, ფეთიანო, ძლივს დაგეწიეთ.

— ყველაფერი თქვენ გამიკეთეთ, — ვეუბნები.

— ერთ წელიწადში გამოიჩეკები.

— თუ ჩავფლავდი?..

— შენ ნუ იდარდებ. იმედი რომ არა გვქონდეს, ბატებს კი არ ვითვლით.

— სულ ეგრე იცის, ჩავფლავდებით, — ზოია მეკაპასება, — ნეტა არ გიცნობდეთ მაინც!

გაიოზმა ყურები გამომიჭედა, ერთ კვირაში ბრიგადას ჩაგაბარებენ და აბა შენ იცი, კარგი ბიჭები შეარჩიეო.

საერთო საცხოვრებელთან რომ მივედით, ორივეს დავემშვიდობე. კარი ბრახუნით შევაღე. ვარლამა დივანზე წამოსკუპებულიყო და გაზეთს კითხულობდა. ჩაიჩოჩა, ჩამოჯექიო. მივედი და მაგიდაზე ფოსტას დავუწყე თვალიერება, იქნებ ჩემს სახელზე წერილი იყოს-მეთქი. შენც არ მომიკვდე. ბოლო დროს ჩემი ძმა წერილებს აღარ იწერება, ალბათ, იმიტომ რომ პასუხს არ ვუგზავნი.

ვიფიქრე, მოდი საავადმყოფოში ჩავირბენ, მაყვალას ვნახავ-მეთქი, მაგრამ გვიან იყო, შოთაც შინ იქნებოდა წასული და მარტო მისვლა უხერხულად ჩავთვალე. ვარლამა მიყურებდა, მოვა და გვერდში მომიჯდებაო, მაგრამ ოთახში ასვლა ვარჩიე. კიბეზე ლოლა შემეფეთა, ქა-

ღამის დიდ ფურცელს მოაფრიალებდა. ხვალ ექვს საათზე ლექცია გვაქვს და დაგვესწარით.

ოთახში ავედი და გემრიელად გამოვიძინე. შუადღე გადასულიყო, რომ გამეღვიძა. ცალტვინა გულდაგულ ხვრინავდა. უხმოდ გამოვიხურე კარი. მორიგე ქალმა მომახარა, ვილაც გოგომ დაგირეკა, მაგრამ შემეცოდე და არ გაგაღვიძე, საღამოს გამოვივლიო.

ვარლამას ფეხის ხმაზე გაეღვიძა და თვალები მოიფშვნიტა.

— წამო, სუფთა ჰაერზე გავიდეთ, — მეუბნება.

ლოლას განცხადება გაეკრა და წასაკითხად მივტრიალდი. მახსოვდა, ჰყუტელა ასოები რომ დავინახე, გამეცინა, ხვალო, იუწყებოდა განცხადება, საღამოს ექვს საათზე, №8 საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში შედგება ლექცია თემაზე ალკოჰოლის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზეო. ლექტორი, ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ესა და ესაო.

— ე, შენი სიმამრი მოვა ხვალ და აბა შენ იცი, — წამიმუჯლუგუნა ვარლამამ.

სუფთა ჰაერმა ცოტათი გამომაფხიზლა.

— აჰა და, ხმამაღლა წაიკითხე, — ვარლამამ გაზეთი შემომაჩეჩა, — რაცხა თვალზე წერია და ნუ დამზარდები, სათვალე დამრჩენია.

მეზარებოდა, მაგრამ ვარლამას ამბავი რომ ვიცოდი, მეტი რა ჩარა იყო.

— დილას ხომ წაიკითხე, რაღა გინდა?

— ეს სხვაა, ბოშო. ლოლამ გამომართვა და ვერ მოვასწარი წაკითხვა. ჰე, სანამ დაბნელდებოდეს.

— „ერიდეთ ტრამვაის" — დავიწყე მე.

— თვალზე რომ სწერია, ის წაიკითხე.

— ამაზე ამბობ? — თითით ვუჩვენებ, — ჰოდა ამას ვკითხულობ: „თვალის სნეულებანის პრაქტიკაში გამოსაყენებელი ყველა მედიკამენტი სხვა წამლებისაგან განცალკევებით შეინახეთ. სანამ თვალში ჩაიწვეთებდეთ, ყურადღებით წაიკითხეთ წამლის ეტიკეტი და დარწმუნდით, რომ აიღეთ ის, რაც საჭიროა. ნიშადურის სპირტი, ძმარი, კაუსტიკის ხსნარი, ნავთი, ბენზინი, ალკოჰოლიანი სასმელი, ლიმონის წვენი. აცეტონი და სხვა ქიმიური ნივთიერებანი შეინახეთ ცალკე, დახურულ კარადაში, ხოლო თუ შინ არიან ბავშვები, ასეთი ხსნარები დაკეტილში იქონიეთ.

ეცადეთ, გულწასულს ნიშადურის სპირტი აჩქარებით ცხვირთან მიტანის ნაცვლად თვალში არ ჩააშხეფოთ.

ასევე მოერიდეთ ოთახის ან ბინის შეკეთების დროს კირწყლის წვეთებს.

ღვინის დასხმის დროს ნუ ჩააცქერდებით ჭიქას, განსაკუთრებით ადრიან შემოდგომაზე, გახურებულ მაჭრობაში, რადგან მაშინ მაჭარი ჯერ კიდევ დუღს და შხეფებს ისვრის.

გახსოვდეთ, რომ საკუთარი დაუდევრობა შეიძლება მხედველობის დაკარგვად დაგიჯდეთ". რავარია?

ვარლამამ გაზეთი წამართვა.

— მაჭრობა საიდანღა მოიტანე?

კარგა ხანს ვიხარხარე.

— კაი მამაძაღლი ხარ შენ — დაასკვნა ვარლამამ. — წნევაზე არაფერი სწერია?

— ამას წინათ „სოფლის ცხოვრებაში" ეწერა. რამდენი გაქვს?

— შენზე მაღალი. ა, — ხელები გაშალა.

— წნევა თუ გაქვს, თვალში ვერ იხედები და კაცად აღარ ვარგიხარ, რაღას აკვდები ჩაის ჭიქებს?

— მაგაში არ არის საქმე.

— მობრძანდი ხვალ ლექციაზე და გაიგებ.

— მაგათზე კარგი ლექცია მე ვიცი, მარა ვინაა პატრონი?

ჩვენ წინ მოხუცმა ცოლ-ქმარმა ჩაიარა. ცოლ-ქმარმა-მეთქი, თორემ საიდან ვიცოდი ვინ იყვნენ. ვარლამამ თვალით მანიშნა, უყურე, ამ ბებრეკებს, როგორ მოცუნცულობენო, წინ კაცი მიდიოდა, უკან — ქალი. ორთავეს ჭრელი ჯოხები ეჭირათ. პატარაობაში ჯოჯებს ნაჭერს შემოვახვევდით და ცეცხლზე ვაჭრელებდით — ძაან ლამაზი იყო!

საერთო საცხოვრებლის შესასვლელთან უცებ ჯულიას მოვკარი თვალი. ვუყურებ, ის არის თუ არა. თუ ის არის, რა ჯანდაბამ მოიყვანა-მეთქი. ის კი იყო, იდგა და მეძებდა.

— რამ დაგაფეთა? — ვარლამა მეკითხება.

— ვერა ხედავ, ჯულია გამომეცხადა.

— წახვალ ახლა და დაიკარგები!

— არსადაც არ წავალ, აქ მოვიყვან.

ჯულიამ დამინახა და წამოვიდა.

— წამო, სკამზე ჩამოვსხდეთ, უხერხულია, კაცს ხომ არ მივატოვებ.

— ვინ არის?

— ვარლამა ვერ იცანი?

— არ მინდა ეგ ვარლამა და გინდა მომკალი!

— სამაგიეროდ მე მინდა.

— კინოში წავიდეთ.

— კინოში არა და...

გამომყვა, ვარლამასთან რომ მივედით. სულ შეიცვალა, ისე დაუტკბა, ვიფიქრე. ხელში მოუკვდება-მეთქი.

— როგორა ხარ, ვარლამა ბიძია?

— მე კარგად, ჯულია ბიძია, მარა შენ რატომ ხარ ასე გამხდარი?

— რა მიჭირს, პატარა ხანში გავთხოვდები და გავსუქდები.

— ზაქსის ქალალდი თუ გაგასუქებს, არ ვიცი და ისე, რავარც გამიგონია, არც ახლა გაკლია დროსტარება! — ჩაიქირქილა ვარლამამ.

---

## თამაზ ჯიბლაშვილი
## ადამიანი მარტო არ არის

მეგონა ჯულია გააფრენდა, მაგრამ კრუჭაკრუჭით მიუჯდა გვერდში. ვარლამამ ზრდილობისთვის ჩაიჩოჩა, თორემ ისედაც საკმაო ადგილი იყო. ერთხანს ჩუმად ვისხედით. ვარლამა ხრუტუნებდა და გულს მიწვრილებდა. ჯულია გრძელ, წითლად გალაქულ ფრჩხილებს დასცქეროდა.

— გაწვიმდება ალბათ — თქვა ვარლამამ.

მოკრიალებულ ცას გავხედე, წასვლა უნდა და იმიტომ წამოაყრანტალა.

— ხომ არ გეშლება?

— გახედე რავაა ჩასუდრული.

— სად, ვარლამა?

— ა, — თითი გაიშვირა. — წავალ ახლა,

— ნამდვილად გეშლება.

— რა მეშლება, ბოშო. თვალდახუჭული გეტყვი გაწვიმდება თუ არა.

— რა გეჩქარება? — შეწუხდა ჯულია.

— ერთი სკამი მაბარია და ვნახავ, ხომ არავინ წაიღო.

— მინისტრი არ უფრთხილდება ისე თავის სავარძელს, როგორ შენ იმ სკამს ებღაუჭები. არავინ გამოგაცალოს.

— ნიკოლოზისთვის რომ სკამი არ წაერთმიათ, ისევ ნიკოლოზი იქნებოდა.

ვარლამა ყინჩად წამოდგა, სამჯერ მოიხადა ბოლიში და თავის ქნევით დაგვემშვიდობა. მერე ისევ მობრუნდა.

— იჭუკჭუკეთ, ბიძიებო. მეტი რა შეგრჩებათ. ისე ვთქვი, ენის მოსაქავებლად, თორემ მართლა კი არ გაწვიმდება.

ჯულიას ხელი გაუწოდა. ასე იცოდა, შინაურსა და გარეულს ყველას ხელს ართმევდა.

— ა, ნახავ თუ არ გავსუქდები. — დაჰპირდა ჯულია.

ვარლამამ თვალი ჩამიკრა, ქუდი მოიხადა და უკან-უკან წავიდა.

ბნელდებოდა. ვარსკვლავები ამოკიაფდნენ. ჯულიამ სიჩუმეს ველარ გაუძლო და იდაყვი წამკრა.

— სად დაიკარგე?

— არსად.

— ზოოპარკში დაგიწყია სიარული.

— რატომაც არა.

— კაი გოგო ჩაუგდია ხელშიო.

— რა უჭირს.

კარგა ხანს ვისხედით მუნჯებივით. ჩემკენ იყო შემოტრიალებული და გამომწვევად მიყურებდა. მერე რაღაცნაირად მოეშვა. თავი ჩაღუნა და ასლუკუნდა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ დამემშვიდებინა. ვუცდიდი. როდის დაჩუმდებოდა. შორს. ღამის წყვდიადში ვიცქირებოდი.

— აღარ დაწყნარდები? — ვკითხე ბოლოს და ხელი ზურგზე ჩამოვუცურე.

— დამანებე თავი. — მხარი ამკრა. — რა გინდა ჩემგან?

— რა მინდა და გაიგე, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს. შენ შენთვის, მე — ჩემთვის.

— მადლობა მომიხსენებია.

— მადლობა შენთვის შეინახე.

— კაცი მეგონე და ჩვარი კი ყოფილხარ.

— ნუ ილანძღები.

— მართალს გეუბნები.

— თუ წარამარა ბიჭების ატორლიალებას არ მოიშლი, უარესი მოგივა.

სილა გამაწნა. აზრზე რომ მოვიდა, ეტყობა, შეეშინდა, არ გამარტყასო, საცოდავად შემომხედა. ყური მეწვოდა და მოვიქექე.

მაპატიეო, კისერზე ჩამომეკიდა. მინდოდა ჩამომეშორებინა, მაგრამ ის უფრო მაგრად მხვევდა შიშველ, ხორკლიან მკლავებს და მთელი ტანით მეკვროდა, იმ წუთში ცირა გამახსენდა. ხელები დავუჭირე.

— მოიცა, რა დაგემართა?

— ჯურხა, რომ იცოდე...

— რაც იყო, იყო, გასწორდი და წესიერად დაჯექი.

— იცი, როგორ მიყვარხარ...

— არც შენი სიყვარული მინდა და არც შენი ხვევნა-კოცნა.

— კაცი კი არა, ქვა ხარ.

— ეცადე სხვას აეტორლიალო.

— კიდევ თუ დაგცდენია მაგისთანა სიტყვა...

— შაბათს რომ მანქანაში ჩაუჯექი იმას, ხომ გახსოვს?

— ვის?!

— ვის და იმას. სოფრომაძის ტყეში რომ ბრძანდებოდით, ისიც ხომ გახსოვს?

თავი ჩაქინდრა და თავისივე ფეხსაცმელების დაკუთხულ წვერებს ჩააშტერდა.

ხელები კალთაზე ეწყო და სლუკუნებდა. რატომღაც მეგონა, რომ ჯულია ზღვას ჰგავდა. ზღვას, რომელიც ქარიშხლის დროს მოქცევას განიცდის. ხოლო როცა გრიგალი გადაივლის, ზღვა ჩვეულებრივად მშვიდდება და მის მკერდზე უდარდელად დაცურავს უამრავი გემი..

— თუ გინდა, სხვებსაც გაგახსენებ.

— საკმარისია, ეტყობა ყველაფერი გათავდა.

— ეტყობა კი არა, ნამდვილად გათავდა. ნაღდია.

კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული. არც მე ვიღებდი ხმას. იმ წუთში ჩვენი პირველი შეხვედრა გამახსენდა. ბაღში ვისხედით და ერთმანეთს ვუყურებდით. რაღაცნაირი გრძნობა მქონდა, — გაუგებარი. თან მომწონდა, თან — არა. ალბათ იმის გამოც, რომ ძალიან გალეული იყო. მერე ლაპარაკი გავაბით. ენა, გიყვარდეს, კილომეტრიანი ჰქონდა. ხან რა ვთქვით, ხან რა. ცოტა ნიავმა წამოუბერა და აგრილდა. ჯულიას შეაყრუოლა, რაც იქნება, იქნება. ერთი ჩავეხვევი-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. რაც უნდა იყოს, პირველი საღამოა, სილა არ მაჭამოს-მეთქი. ხანდახან შევხედავდი ხოლმე,

მერე რაღაცნაირად მოხდა, კისერთან შეკრეჭილ თმებში თითები შევუცურე. ძალიან სასაცილო კი იყო, რომ დაფიქრდეს კაცი. ჩემი თითები ყურმილივით ყურსა და მხარს შუა მოიქცია და მაგრად მომიჭირა. წავიხარე და ცხვირი ცხვირზე მივადე. კანკალმა აიტანა. მოვიზიდე, დაღლამდე ვკოცნიდით ერთმანეთს...

— რა არი ნაღდი? — მეკითხება.

— ის, რაც რეალურია და არა აბსტრაქტული. შენ ჩვენი დამოკიდებულება ყოველთვის აბსტრაქტული გეგონა. აბსტრაქტული კი ტვინს ალაყებს.

— რა უკუღმართიც ხარ, ლაპარაკიც ისეთი იცი!

— გაუკუღმართებულს ყველაფერი უკუღმართად ეჩვენება. სადამდე უნდა ვისხდეთ?

— აქ რა დამრჩენია, წავიდეთ!

— კარგად დაიხსომე, რაც გითხარი!

— არ დამავიწყდება.

— გამოგადგება.

— შინ მივალ და ბლოკნოტში ჩავიწერ.

— ტვინში ჩაიწერე, უფრო დაგახსომდება.

— მამალივით რომ იბღინძები, იმიტომ გცემეს.

— სანახავად რატომ არ მოხვედი?

— შემეშინდა, მამაჩემმა არ გაიგოს-მეთქი.

— შენ თუ პატიოსანი ხარ, რატომ შეგეშინდა?

— გეყოფა. შევთანხმდით, რომ ჩამოგშორდები, მეტი რაღა გინდა?

— წავიდეთ.

წამოდგა.

— როგორ მინდა, თვალები ამოგკორტნო.

— ციხეში ჩაგსვამენ.

ხელი წამავლო და გამქაჩა. არ გავნძრეულვარ. მოვიდა და წინ ამეტუზა. მიყურებს, ვუყურებ.

— გაკოცებ და წავალ. — თვალები დამცინავად, მაგრამ ჟინიანად უციმციმებს.

— რაღა საჭიროა?

— გამოსათხოვარი იყოს.

— წავიდეთ.

— ერთი კოცნა გენანება?

თვალებში ჩავხედე და რატომღაც ჩემი თავი ძალიან პატარა ადამიანად მომეჩვენა. არ ვიცი, მე ვცდებოდი თუ ჯულია.

— ჩემს გამასხრებას თავი გაანებე და წამოდი.

— თუ ჩემი სიკვდილი გაიგო, იცოდე. შენი ბრალი იქნება.

—ანდერძი დატოვე, თორემ არავინ დაგიჯერებს.

— დავტოვებ, მაგრამ თუ გადავრჩი, გაიგებ, რომ ის არა ვარ, ვინც შენ გგონივარ.

— კარგი ერთი, ნუ გამაცინებ.

— მამას გეფიცები.

— ვიდრე ამ ნამცეცა ტვინის ოთხი უჯრედის შევსებისა და დაცლის თეორიაა ჩვენი ცხოვრება, მაშასადამე. მისი შეცვლაც შეიძლება.

მიყურებს, თან ხელებს კისერზე მხვევს.

— უკანასკნელად მაკოცე.

კოცნა კი არა, გაქცევა მინდოდა.

თვითონვე მაკოცა. ისეთი გემრიელი ტუჩები ჰქონდა, არასოდეს ასე არ მომწონებია. უფრო მაგრად მიმიკრა და კანკალით დამიწყო კოცნა. უკან-უკან ვიწევდი და ბოლოს სკამზე გავიშხლართე. მუხლებზე დამაჯდა. სული შემეხუთა, მერე ვაკოცე, მაგრად. გამეტებით. ერთ წუთში ყველაფერი დამთავრდა. ვიღაცამ ჩვენს ახლოს ჩაახველა. მოხუცი იყო. ჯოხიანი, უკანაც ჯოხიანი დედაბერი მოჰყვებოდა.

— წავიდეთ. — ვეუბნები.

— მოდი შევრიგდეთ.

— კარგი, გეყოფა. თავიდან ნუ დაიწყე.

გამოვბრუნდი და წამოვედი. მთვარე უკვე ამოსულიყო და ლამპიონებიც კარგა გვარიანად ჩახჩახებდა. ბაღიდან რომ გამოვედით, თორმეტი ხდებოდა. ხელი დავუქნიე და გავშორდი. ეგონა გავაცილებდი და გაკვირვებული დარჩა. უკან აღარ მიმიხედავს.

ცალტვინა მოსულიყო და მელოდებოდა. მაგიდაზე ძეხვი და ყველი დაეწყო.

— დიდი ხანია მოხვედი? — ვეკითხები.

— ერთი საათი იქნება. მოდი, არა გშია?

მოშიებული ვიყავი და შევუამხანაგდი. ფეხდგომელა ვილუკმებოდით. რა ცხენებივით ვდგავართ, დავსხდეთო, ცალტვინა მაგიდაზე ჩამოჯდა. უხმოდ ვჭამეთ. ერთიანად შევსანსლეთ ყველაფერი. ცალტვინამ ნამცეცები გადაწმინდა.

— ახლა სიგარეტი მომაწევინე, ოსტატო!

ჯიბიდან კოლოფი ამოვიღე და ბალიშზე დავდე. სიგარეტის ძებნაში ამოგვდიოდა სული.

— სად იყავი? — მეკითხება.

პასუხი არ გამიცია. ბოთლი მოვიყუდე — ბოთლით მიყვარს წყლის სმა. ცალტვინა ტანსაცმლიანად გაიშხლართა ლოგინზე.

— შენ სადღა იყავი?

— ზოიასთან, დღეს პირველი პაემანი გვქონდა.

— მომილოცავს

— გმადლობთ, ოსტატო.

— ნუ წაიღე ტვინი. სერიოზულად ამბობ?

— რას?

— რაც მითხარი?

— მაშ. შენა?

— მე და ვარლამა ბაღში ვისხედით, მერე ჯულია მოვიდა.

— იჩხუბეთ?

— მაგრად. — ისევ მოვიყუდე ბოთლი,

— რათ?

— სილა გამაწნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა შეატყე, გაიგო? — ბალიში ამოიდლიავა.

— ვერაფერიც ვერ გაიგო. ისე კი ძალიან მოვუხაზე, ჩემი სახელი არ ახსენო-მეთქი.

— კარგი გიქნია.

ფლოსტები მოვძებნე და ოთახში ტრუსის ამარა მოვყევი ბოდიალს. წიგნს ვეძებდი. ცალტვინას საწოლის უკან გადაეგდო. ძლივს ვიპოვე, კარგა ხანს ვფურცლავდი, მერე სიგარეტს მოვუკიდე. ძილის წინ ვიცი ხოლმე, სამი მაინც უნდა მოვწიო ზედიზედ, გული თუ არ მოვიოხე, არ დამეძინება. ამის გამო ცალტვინა ნარკომანს მეძახის. მართალია, იმასაც უყვარს ძილის წინ გაბოლება, მაგრამ ლოგინში არ ეწევა. ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ფილტვები კვამლისაგან ძნელად იწმინდება და ღამე გულს აწვებაო. ცალტვინას ყველაფერზე თავისი თეორიები აქვს. ამის თაობაზე ვარლამასაც გააჩნია საკუთარი მოსაზრება.

უცებ მასწავლებელი მიროტაძე გამახსენდა, ვინანე, რატომ არ დავურეკე-მეთქი. ხომ იტყოდა, ცემას გადავარჩინე და ისე, ნამუსის გულისთვის მაინც გადმოერეკაო. ავტოკალამი ამოვიღე და საჩვენებელ თითზე ჯვარი დავისვი.

დილით მე და ცალტვინამ თითქმის ერთდროულად გავიღვიძეთ. კითხვაში ჩაგვძინებოდა და სინათლე დაგვრჩენოდა. გავიზმორე და წამოვხტი. დერეფანში უკვე ყაყანებდნენ. თმააბურძგნილი, სახედასიებული ბიჭები პირსაბანისკენ მიდიოდნენ, ზოგი გზადაგზა ვარჯიშობდა; ზოგს პირსაწმენდი კისერზე ჰქონდა შემოხვეული, ზოგს — წელზე. დანარჩენები კედელს აკრულნი იდგნენ და ერთმანეთს ტყუილებით ბერავდნენ.

პირსაბანში რომ შევედი, წელზევით შიშველი ბიჭი წაზრილიყო და ტანს იზელდა. ზურგიდან ვერ ვიცანი. დავდექი და დავუცადე. როგორც იქნა, მოტრიალდა, ამბერკი იყო, აიწურაძე. იმის შემდეგ სათოფედ აღარ მეკარებოდა და არც მე გამომიდვია თავი.

გამარჯობათ, ჩაიბუტბუტა და წასვლა დააპირა.

— როგორა ხარ? — ვეკითხები.

რა მიჭირს, შენათ, თან თვალს მარიდებს, მე რაღა უნდა მიჭირდეს, ვეუბნები. გვერდზე მიდგა და ონკანთან მიმიშვა. საპონი ავაქაფე და პირი დავიბანე. თან ამბერკიზე ვფიქრობდი, იმ გაფუჭებული შიოს ბრალია, თორემ ურიგო ბიჭი არ უნდა იყოს-მეთქი. ჭინჭარაძეშ რომ ხალხი მომიგზავნა, იმან უფრო გამაცეცხლა, როდის იყო მე კაცს ვაჭერინებდი, თუ ზნო გაქვს, თავი დაიძვრინე და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. ერთი წელი მიუსაჯეს. ვარლამამ თქვა, მამამისს ბლომად ფული დაუჯდა, თორემ მეტ ხანს მოუწევდა გალიაში ყურყუტიო.

პირსაბანიდან რომ გამოვედი, ჩავიცვი და ცალტვინას დაველოდე. იმანაც კაი ზოზინი იცოდა, თუ კარგად არ გამოიპრანჭებოდა, გარეთ ცხვირს არ გამოჰყოფდა. საერთო საცხოვრებლის გვერდზე სასადილოში წავისაუზმეთ. როცა შინ ვიყავით, ყოველთვის იმ სასადილოში დავდიოდით, იქვე იყო, ყურის ძირში და შორს ტანტალი გვეზარებოდა. მთელი საერთო საცხოვრებელი იქ დადიოდა და ყოველთვის ერთი ზედახორა იყო. სასადილოს გამგე კარებში იდგა და სათითაოდ გვათვალიერებდა, ემანდ რომელიმე გადარეულმა ჩხუბი არ ატეხოსო.

სასადილოდან რომ გამოვედით, მიროტაძეს დავურეკე, ბატონი პარმენი გაკვეთილზეა და ათი წუთის შემდეგ იქნებაო. ვარლამას ველაპარაკებოდი და თან ცალი თვალი საათისკენ მქონდა;

— ბიძა მომიკვდა და სოფელში ვარ წასასვლელი. — ვარლამა მეუბნება.

— მართლა?

— ზეგ ასაფლავებენ.

— მისამართი დაგვიტოვე და დეპეშას გამოგიგზავნით.

— აბა შენ იცი, — თქვა ვარლამამ და კარადიდან ბოოჯომი გამოიღო.

ყურმილი ავიღე და პარმენას დავურეკე. ქალმა მიპასუხა, ეს არის წავიდაო.

ცალტვინა ბიბლიოთეკაში მელოდებოდა, ვიფიქრე, ცირას დავურეკავ და მერე წავალ-მეთქი. ჯიბეში ორკაპიკიანი მოვძებნე. არ აღმომაჩნდა. შევედი და ორკაპიკიანების გულისთვის სიროპიანი წყალი დავლიე. ტელეფონის ჯიხურში ვიღაც თმააბურძგნილი ქალი შემძვრალიყო და დიდხანს მაცდევინა. ჯიხურში ისეთი სუნამოს სუნი იდგა, კაცი ღია დავტოვე.

ნომერი ძლივს ავკრიფე, ერთი-ორჯერ სხვაგან მოვხვდი, ბოლოს, როგორც იქნა, ცირას ხმა გავიგონე.

— ახლა რას აკეთებ? — მკითხა ცირამ.

— შენ გელაპარაკები.

— ბრიგადას ვაკომპლექტებთ, არ გაინტერესებს?

— ჭკუას არ ვკარგავ მაინცდამაინც.

— მაგას რაზე ამბობ?

— ხომ იცი, რაზეც ვამბობ. ლექციებზე წახვალ?

— ჰო. თერთმეტზე მიმთავრდება.

— კართან დაგელოდები.

— ქვემოთ დამელოდე, წყლებთან.

— რისი გეშინია? ადრე მოვალ და იქ დავდგები. ბოლო ლექციას ვერ გააცდენ?

— ვერა. თერთმეტისთვის მოდი.

— თერთმეტამდე რა ვაკეთო?

— ბიბლიოთეკაში წადი და რამე წაიკითხე.

— სწორედ იქ მივდივარ. ცალტვინა მელოდება.

— ჰოდა, წადი.

— თუ გინდა, ბოლო ლექცია გააცდინე.

— ხომ გითხარი, ვერ გავაცდენ!

— მოიხედე, რაღაც უნდა მეთქვა.

— გაიხსენე.

— ვეღარ გამიხსენებია.

— ვარლამას კითხე და გაგახსენებს, მეჩქარება.

— სად მიდიხარ?

— აბესალომი მეძახის.

— მერე დაგირეკავ.

— ნახევარ საათში, გაიგე?

ყურმილი დაკიდა.

სამკითხველო დარბაზში მარტო ცალტვინა იჯდა. დიდი, სქელტანიანი წიგნი გადაეშალა და რაღაცას ინიშნავდა. ხანშიშესული ბიბლიოთეკარი მიყრილ-მოყრილ გაზეთებს ალაგებდა.

— დავიღუპე ერთ ადგილზე ჯდომით, — მითხრა ცალტვინამ.

— რა წიგნია?

— „ქართული სამართლის ძეგლები".

— რაში გეპიტნავება? — წიგნი ავაცალე და გადავფურცლე.

— ყმაწვილებო, — წვრილი, ბებრული ხმით დაგვიძახა ბიბლიოთეკარმა, — აქ ხმამაღლა არ ლაპარაკობენ!

ბოდიში მოვუხადეთ.

მთელი დღე მუნჯებივით ვისხედით. მოხაწევად რიგრიგობით გავდიოდით და კართან ვაბოლებდით. ერთ გასვლაზე ცირასაც დავურეკე, მომახარა, აბესალომმა სია დაამტკიცა და სიტყვა ჩვენზეაო.

ხუთ საათზე კაფეში წავედით სადილზე, იქიდან კი საერთო საცხოვრებლისაკენ გავწიეთ. ვარლამა კაი გუნებაზე დაგვხვდა.

— ლექტორი არ მოსულა? — ცალტვინა ეკითხება.

— ადით ახლა ზევით და მოვა, აბა, არ მოვა!

წითელ კუთხეში შაში გაეხურებინათ. კვამლის ბული იდგა. ლოლამ ფანჯრები გამოაღო და ცოტა სული მოვითქვით.

ლექტორი ზუსტად ექვს საათზე მოვიდა, — ხრუწეებით არ გავდა ჯულიას. მაღალი, ხმელხმელი კაცი იყო, სერიოზული. თუმცა. ვინც სათვალეს ხმარობს, მე ყველა სერიოზული მგონია.

ჯულიას მამა მოგვესალმა. სათვალე მოიხსნა, შუშები თეთრი. ქათქათა ცხვირსახოცით გაწმინდა, გადაგვათვალიერა და გვკითხა, ხომ იცით რა თემაზეც გვექნება საუბარიო.

— ვიცით. — ყველას მაგივრად ვარლამამ უპასუხა.

— განცხადება გვქონდა გამოკრული, — თქვა ლოლამ და ლექტორს წყლით სავსე ჭიქა დაუდგა.

— რვაზე ფეხბურთია ტელევიზორში და ნუღა დავაგვიანებთ. — შეეშველა ვილაცა.

— რაც ადრე დავიწყებთ, მით უკეთესი. — ვარლამამ ფეხი ფეხზე შემოიდო და მოსასმენად მოემზადა.

— მოდი კითხვა-პასუხის სახით წავმართოთ საუბარი და დროსაც მოვიგებთ. — სიტყვა მოიხსნა ლექტორმა.

— ნამდვილად აჯობებს!

— მაშ დავიწყოთ. ვის ექნება შეკითხვა? თამამად, თამამად, — გაგვაქეზა ჯულიას მამამ. — ალკოჰოლთან უმძრახი ხომ არავინ არის?

— აგერ ტაბატაძეა, ბატონო, — ცალტვინამ თვალებგადმოკარკლულ ვარლამაზე მიუთითა.

ვარლამამ ჯერ ვერაფერი გაიგო, მერე აქეთიქით გაიხედა და როცა დარწმუნდა, ეს ჩაბჟირებული ხალხი მე მიყურებსო, თვითონაც ჩაეღიმა.

— აბა, ვის ექნება პირველი შეკითხვა?

ივლიანემ ულვაში ჩამოისწორა და მეორეკლასელივით აიშვირა თითი.

— ერთი თუ შეიძლება?

ლექტორმა თავი დაუქნია.

— რევმატიზმი და ღვინო როგორ არიან ერთმანეთში?

ლექტორს, ეტყობა, მოეწონა კითხვა და ხალისიანად ჩაახველა.

— სამწუხაროდ, ბევრს გონია, თითქოს რევმატიზმი სახსრების დაავადება იყოს. სინამდვილეში სახსრებს კი არა, გულსა კბენს. გული კი, მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაშია ალკოჰოლის მიღების შემდეგ. ორგანიზმში არსებული ყველა სენი, პირველ რიგში, გულს ვნებს და აქედან გასაგებიც უნდა იყოს, ალკოჰოლის მავნე გავლენა მასზე.

— ესე იგი, წვეთიც არ უნდა ჩავუშვა პირში, ხომ? — იკითხა ივლიანემ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია! თუ თქვენ რევმატიზმითა ხართ დაავადებული, თავი უნდა შეიკავოთ ყოველგვარი სასმელისაგან.

— რა წამალია რევმატიზმის მოსარჩენად?

— რევმატიზმის თავიდან აცილებას პირველ რიგში უნდა შევეცადოთ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებით, მაგრამ მთავარი მაინც რეჟიმია. სწორად მოაწყე შენი დღე. შეარჩიე დასვენების დრო, საკმაოდ იძინე...

— მაგი არც ერთი აკლია ივლიანეს და არც მეორე, — თქვა ვარლამამ და თვითონვე გადაფიჩინდა.

— მაცალე, ვარლამა, თუ კაცი ხარ! — სთხოვა ივლიანემ.

— დიახ. — განაგრძო ლექტორმა. — ყოველდღე ერთი საათი მაინც უნდა გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

---

თამაზ ჯიბლაშვილი

ადამიანი მარტო არ არის

— სხვა რა საქმე აქვს, მთელი დღე ჰაერზე არ ზის?

ივლიანე ადგა და ლექტორის წინ გადასკუპდა.

— კვება უნდა იყოს რეგულარული, საჭმელი მრავალფეროვანი.

— აუჰ! — შეიცხადა ვიღაცამ.

ლექტორს გაეცინა.

— ძალიან სასარგებლოა ხორცისა და თევზის პროდუქტები. განსაკუთრებით მოხარშული ქათმის ხორცი.

— ეგ, ბატონო, ნამეტანი ძვირია. — გული მოუვიდა ივლიანეს, — ცეცხლი უკიდია ქათამს.

— რას იზამ? — თქვა ლექტორმა. — სასურველია აგრეთვე პარკოსნები.

— პარკოსნები რაღაა? — იკითხა ამბერკიმ.

— პარკი ლობიო, პარკის ჭია, ტოპრაკი და სხვა. — განმარტა ვარლამამ.

— კაი, თუ ძმა ხარ, აცალე პატარა ხანს!

— უარი უნდა ვთქვათ ტკბილეულობაზე, სითხეზე და, რაც მთავარია, ალკოჰოლზე.

— მერე უშველის მაგი საქმეს? — იკითხა ივლიანემ, — მე რომ მიყურებ, ბიძია, ქე ვარ სამოცდაათს გადაცილებული, შარშან კაპანაძე რომ მოკვდაყენ, სოცდაზღვევის ინსპექტორი, თქვენც იცნობდით ალბათ, იმის გასვენებაში დავლიე ცოტაოდენი, მას შემდეგ წვეთი აღარ ჩამიშვია პირში, მარა მკლავს მაინც.

— არც შარშან უნდა დაგელიათ, — გაუწყრა ექიმი, — თქვენს ასაკში თავის შეკავება გმართებთ.

— ვითომ შარშანდელი მომკითხავს მეე?!... — დაეჭვდა ივლიანე.

— არც ასეა საქმე, — დაიბნა ლექტორი, — თუმცა გაფრთხილება უნდა.

— აგაშენოს ღმერთმა! — დამშვიდდა ივლიანე.

— შემდეგი შეკითხვა?

ერთმანეთს ვათვალიერებდით, ვინ წამოდგებოდა.

— ლოლა რომ არ იყოს აქ, ქე მქონდა ერთი შეკითხვა, —წამოიწყო ვარლამამ.

— თქვი, შე კაცო

აქაოდა მთხოვესო, ვარლამამ თავი დაიფასა.

—გავალ გარეთ. — წამოდგა ლოლა. ლექტორმა ხელი ჩაავლო, ძალით დასვა.

— თუ ასეა, ვიტყვი, —ვარლამამ ხელი აიშვირა და წამოდგა, — დასამალავი არ არის, რომ ჩვენთან სულ ახალგაზრდობა ცხოვრობს, მართალია, ლოთი არც ერთი არ არის, მაგრამ მეტ-ნაკლებად ყველა ეტანება. ერთი თუ კაცი ხარ, თქვენ უთხარით, ალკოჰოლი უარყოფითად თუ მოქმედებს გამრავლებაზე?

— რა გამრავლებაზე? — ვერ გაიგო ლექტორმა.

— ადამიანები ხომ ვმრავლდებით, ბატონო, აბა რა ჰქვია ამას?

— გასაგებია, გასაგები, დაბრძანდით. ეჭვს გარეშეა, რომ ალკოჰოლი უარყოფითად მოქმედებს ადამიანის სქესობრივ ფუნქციაზე. იგი აძლიერებს სქესობრივ ლტოლვას, მაგრამ ანელებს სქესობრივ კავშირს, — ექიმმა ცარიელ სკამს გადახედა, ლოლა კარში გადიოდა, — მამაკაცზე ერთნაირად მოქმედებს სისტემატურად ალკოჰოლის მიღება. ალკოჰოლი ხსნის თავის ტვინის ქერქის შეკავებით ზეგავლენას და ახშობს მის მოქმედებას. დიდი რაოდენობით მიღებული ალკოჰოლი აქვეითებს თავის ტვინის ნახევარსფეროების ქერქის მოქმედებას და ასუსტებს პირობით რეფლექსებს.

— ეგ გასაგებია, მაგრამ სად თავის ტვინი და სად რაც მე გკითხეთ?

— მაშასადამე, ალკოჰოლი, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს შინაგან შეკავებაზე და, ამასთან ერთად, ასუსტებს გაღიზიანების პროცესს, შემდეგ კი მთლიანად სპობს. გასაგებია?

— ბაბუაჩემი ცნობილი თამადა იყო ზემო იმერეთში, ყოველდღე ფუთ ღვინოს სვამდა, მარა თორმეტი ქალ-ვაჟი მოაკვარახჭინა.

— მაშინ სხვა დრო იყო, ბიძია, — თქვა ივლიანემ.

— რას ამბობ, შე კაცო, მაგ ამბავს დრო რად უნდა? ღვინო მაშინაც საწამლავი იყო და დღესაც!

— გაკეთებული ღვინო და სუფთა ერთია?

— ღვინო ღვინოა, გინდა გააკეთე და გინდა გამოაკეთე, მოგსპობს კაცს!

— ალკოჰოლი მავნე გავლენას ახდენს აგრეთვე ღვიძლზე. ხშირი სმის დროს აღინიშნება ღვიძლის ფუნქციის მოშლა, რის გამოც ღვიძლი კარგავს ესტრიგონების დაშლის უნარს.

— ეს მარტო კაცის თუ ქალის ორგანიზმიც? — იკითხა ცალტვინამ.

— განსხვავება არ არის. ღვიძლის ციროზის დროს, როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სისხლში ესტრიგონები მატულობს, რაც იწვევს ღვიძლის ჰონადოტროპული ფუნქციის შესუსტებას. გასაგები ენით რომ ვთქვათ, ალკოჰოლი ამ მხრივ დამღუპველია და ვინც მომავალზე ფიქრობს, მას არ ეპატიება შთამომავლობითი გამრავლების მოსპობა.

— თქვენში რამდენჯერ უნდა დალიოს მაინც კაცმა და რა რაოდენობით?

— მაგ დოზის დადგენა ძნელია, მაგრამ ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ნებისყოფით უნდა იყოს აღჭურვილი. მაგალითად, მე წელიწადში ორჯერ-სამჯერ თუ დავლევ, — თორმეტგოჯაზე წყლული მაქვს და ღვიძლიც მტკივა.

— აქ ხალხია, დღეში სვამს მაგდენჯერ! — ვთქვი მე.

— ვინა გყავს მხედველობაში? — ვერ მოი-

სვენა ვარლამმა, — ჩვენს საერთო საცხოვრებელში ასეთი არავინ მეგულება.

— შენზე ამბობს ალბათ, — უთხრა ცალტვინამ.

— მაგას ტვინი აქვს შექანებული.

—ერთს კიდევ გეტყვით: ახალგაზრდობაში ალკოჰოლიანი სასმელების უზომოდ გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კიბოს გაჩენას ხანშიშესულ ასაკში. — დაამატა ლექტორმა.

ივლიანე აცმუკდა, თვალები დაკუსა და ლექტორს მიაშტერდა.

— ამიტომ მთავარია, გადაჭრით უარი ვთქვათ სპირტიან სასმელებზე, თამბაქოზე, ზედმეტ ჭამაზე.

— ე, მუცლის მოლოდება რომ გიყვართ! — ვარლამამ ქირქილით გადმოგვხედა.

— დიდი მნიშვნელობა აქვს პირის ღრუს მდგომარეობას, ვისაც ჩირქოვანი კბილები აქვს ან უკბილოა, ვინც ყოველდღე არ იწმენდს კბილებს...

— მაგისთანა ტაბატაძე გვყავს ერთი, — თქვა ცალტვინამ.

— დაუკრეფავში ნუ გადახვალთ ახლა, — გაწყრა ვარლამა.

— არა სჯობია კაცმა ცოტა დალიოს და დიდხანს იცოცხლოს? — თავი გამოიდო ივლიანემ.

— რასაკვირველია. კაცმა როგორ არ უნდა დალიოს, მაგრამ ზომაც უნდა იცოდე. ისიც ხდება, რომ ადამიანს სიცოცხლეში წყლის მეტი არაფერი დაულევია და ბოლოს ინფარქტით წასულა საიქიოს. მაგრამ ამგვარ ხალხს სხვა რამე ჰკლავს. საქმე იმაშია, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა განცდების მუდმივი ცვალებადობაა: თან გვახლავს სიხარული ან მწუხარება, კმაყოფილება ან იმედის გაცრუება, გაბრაზება, შიში, ნაღველი, დარდი და ვინ ჩამოთვლის, რამდენი დავიდარება. ავილოთ მწუხარება, იმედის გაცრუება, დარდი... ეგრეთ წოდებული უარყოფითი ემოციები, ხშირ შემთხვევაში ყოველივე ამას სპირტიანი სასმელი მოჰყვება ხოლმე. ადამიანი ცდილობს, ცხელ გულზე ნერვების დასამშვიდებლად გადაჰკრას. ეს კი თვითმკვლელობას უდრის.

— სად არის, ბატონო, დალაგებული ცხოვრება? — იკითხა ივლიანემ.

— ნერვებს უნდა გავუფრთხილდეთ. — თქვა ჯულიას მამამ, — და არამც და არამც ამ დროს სპირტიანი სასმელი არ მივიღოთ.

— გაბრაზდები და დალევ, აბა რა იქნება?

— გაზეთებში წერია, ინფარქტი რომ აიცილოთ, ირბინეთო, — წამოდგა ლოყებგამობერილი ბიჭი, — მართალია?

— მართალია.

— ჩემს ქვისლს ინფარქტი მოუვიდა, — თქვა ვარლამმა, — დარბოდა თუ არა, მართალი გითხრათ, არ ვიცი, მაგრამ ინფარქტს რომ ვერ გაექცა, ეს ნაღდია.

ბიჭებმა ხარხარი ატეხეს. ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონი ლოლა შემოვიდა და თავის ადგილზე დაჯდა. ლექტორი მიესალმა. ხალხი ახლა ამაზე ახარხარდა.

— არის კიდევ შეკითხვები? — იკითხა ლექტორმა.

— თუ შეიძლება, აგვიხსენით, — წამოდგა დათო ლომინაძე, საშუალო ტანის, გამხდარი ბიჭი, — რატომ არის, რომ ის ადამიანები, რომლებიც არც სვამენ და არც ეწევიან, ავადდებიან მიოკარდიის ინფარქტით, კიბოთი ან სხვა დაავადებით?

— ეს თვით ადამიანის ორგანიზმზეა დამოკიდებული. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ადამიანებს, ვინც ზომაზე მეტ ალკოჰოლს იღებს და გამუდმებით სწევს თამბაქოს, ამდაგვარი დაავადებები არ ეკარებათ, მაგრამ დავძენთ, რომ ალკოჰოლი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

დათო შეიშმუშნა და ცხვირი აბზიკა.

— მამაჩემი ყოველ დღე თითო დოქ ღვინოს წრუპავს, — თქვა დათომ, — კაი სამოცდაათისა გახლავთ, მაგრამ შესახედაობით ჩემზე ჯეელად გამოიყურება.

— რა ხელობის კაცია მამათქვენი? — ჰკითხა ლექტორმა.

— გლეხია, მეურნეობაში მუშაობს.

— სუფთა ჰაერზეა და იმიტომ.

— ზესტაფონიდან გახლავართ, სახლი ფეროს პირას გვიდგას და მთელი კვამლი ჩვენს ეზოში ჩამოდის. სად არის სუფთა ჰაერი?

— სოფლის მოსახლეობაში მცირეა ინფარქტის შემთხვევები, აგრეთვე სხვა დაავადებანი, რასაც მეცნიერები პირველ რიგში იმით ხსნიან, რომ სოფლელთა ფიზიკური აქტივობა ქალაქელებისაზე უფრო მაღალია, ამასთან მყუდროებაც მეტია, — ლექტორმა ჭიქა აიღო, არ დაულევია, კარგა ხანს ეჭირა და მერე ისევ დადგა. საათს დახედა, — საცაა ფეხბურთი დაიწყება. — თქვა მან.

— დავამთავროთ, — წამოიძახა ამბერკიმ.

— თუ შეკითხვები აღარ არის, დავამთავროთ.

ლოლამ ჩვენი სახელით მადლობა გადაუხადა ლექტორს და ხელი ჩამოართვა. იქაურობა ტაშით გავაყრუეთ. ვარლამა ლექტორს გაედევნა, ბიჭებმა სკამები შემოატრიალეს.

12.

ახლა, როცა წარსულს გავცქერი, როცა იმ დღეთა მოგონებები ისევ სასიამოვნო სურვილებს მიღვიძებს, თვალწინ მიდგას ის წუთი-

ბი. პაემანზე მივდიოდი. გავიარე პროსპექტი, რუსთაველის ქუჩა და ინსტიტუტის კართან დავდექი. კაცის ჭაჭანება არ იყო. თერთმეტს ხუთი წუთი აკლდა. მორიგე შვეიცარი შინ წასასვლელად ემზადებოდა. სიგარეტი მთხოვა და მოვაწევინე. ღია კარებში ნიავმა შემოუბერა. მორიგემ აფრიალებული გაზეთი დაკეცა და ამოიღლიავა. გარეთ გამოვედი. სიგარეტს მოვუკიდე და ტროტუარზე მოვყევი სიარულს. ცოტა ხნის შემდეგ სტუდენტებიც გამოიკრიფნენ. ცირა მარტო გამოვიდა, ხესთან ვიდექი და ვუცქეროდი. გულმა ისევ დამიწყო ცმუკვა. ღრმად ვსუნთქავ, რომ გადამიაროს. არადა უფრო მიმატებს.

— დიდი ხანია მელოდები? — მოვიდა და მეკითხება.

— არც ისე.

— წავიდეთ.

— აჯობე რომ იყოს, კინოში წაგიყვანდი.

— თორმეტზეა დაწყებული.

— კინოში ხვალ წავიდეთ.

— ლექციებს რა ვუყო, აუცილებელია კინოში წასვლა?

გამეცინა. მართლა რა წესი აქვთ შეყვარებულებს, აუცილებლად კინოში უნდა წავიდნენ. გული თანდათან საგულეში დგება, ნამწვი გადავაგდე და მეორე სიგარეტს მოვუკიდე.

— დღეს მირიტაძეს დავურეკე.

— ვის?

— არ გახსოვს, ჩხუბს რომ გადაგვარჩინა, ბატონი პარმენი?

— მახსოვს, მერე?

— ორჯერ დავურეკე, მაგრამ ვერ დაველაპარაკე.

უხმოდ მივუყვებოდით ქუჩას. გრილოდა. შორიდან ქარხნის გუგუნი ისმოდა. სადგურში ორთქლმავალმა იკივლა. რომელიღაც ფანჯრიდან ეგზოტიკური ტანგო ისმოდა. ერთი წუთით ცირას ხელი დავიჭირე და ისევ გავუშვი. მინდა რაღაცა ვუთხრა, მაგრამ არ ვიცი, რა. ვატყობ, ცირასაც უნდა რაღაცის თქმა. როცა მარტონი ვართ, ბევრს არ ვლაპარაკობთ. თვალებში ვუყურებთ ერთმანეთს, მე მესმის რაზეც ფიქრობს ის, იმანაც იცის ჩემი გულის წადილი.

ჩვენი სიყვარული ისე დაიწყო, ამაზე კრინტიც არ დაგვიძრავს. უნებლიეთ მოხდა ყველაფერი. მხოლოდ ერთხელ ვიყავით კინოში, ერთხელ ზოოპარკში და რამდენჯერმე ტელეფონით ვილაპარაკეთ. ეს იყო და ეს. მართალია, ეს ურთიერთობა სწრაფად და იოლად დამყარდა, მაგრამ ამით ერთმანეთის თვალში ფასი არ დაგვიკარგავს. ცირა დარცხვენილი, ჩუმი სიხარულით მაგრძნობინებდა თავის სიყვარულს, მეც გაგიჟებით მიყვარდა და ისიც გრძნობდა ამას. ხელიხელჩაკიდებულებს ან მხარზე ხელგადახვეულებს არ გვივლია, არც საქვეყნოდ მოვალერსებივართ ერთმანეთს, მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი.

— ბაღში შევიდეთ, — ვუთხარი და მხრებზე ხელი მოვკიდე. ცირა შეჩერდა.

— შინ წავიდეთ.

— სულ ცოტა ხნით შევიდეთ.

მოედნის უკან დიდ ბაღში შევედით. ცირა დაჯდა, მე სიგარეტს მოვუკიდე და გვერდში მივუჯექი. რამდენს ეწევი, მეუბნება. ძალიან ბევრს-მეთქი. ადგა და ჩემი ხელი კალთაზე დაიდო. თითებზე მოვუჭირე. ჩვენს ზემოთ კვიპაროსები ირწეოდა და აღარ მტანჯავდა მარტოობის გრძნობა, რომელიც ჭულიასთან ყოველთვის მეუფლებოდა. მაშინაც მარტოობამ დამახრჩო, სახტუმროში რომ ვიყავი გრეტასთან.

— ცირა.

— რა იყო?

— იცი რა უნდა გითხრა?

— ცოტათი ვხვდები.

თმები გადავუწიე. ბნელა, მაგრამ თვალები ისე უციმციმებს, ვხედავ. ერთმანეთს ვუყურებთ. თითები თითებზე გვაქვს გადაჭდობილი. მთელს სხეულში ჭიანჭველები დამცოცავენ, მერე ელექტროდენი მივლის და მაძაგძაგებს. ცირა აღარ მიყურებს, სადღაც შორს იხედება.

— შვებულებაში როდის მიდიხარ? — მკითხა და ხელი გამიშვა.

არ ვიცი-მეთქი რა მეშვებულებება, როცა ცირა წავა, ალბათ მეც მაშინ გადავიკარგები ქალაქიდან.

— შენ?

— გამოცდების შემდეგ.

— ზღვაზე?

— ალბათ.

— მარტო?

— მე ყოველთვის დედასთან ერთად დავდივარ.

— თეაც ზღვაზე დაგყავთ ხოლმე?

— ისეთი გადარეულია, ვერავისთან ვტოვებთ. შარშან ბებია გააგიჟა.

— ძალიან სულელია?

— ძალიან. შეკითხვებით გამოგათაყვანებს.

— ვარლამასავით ყოფილა. — გამეცინა. — მაგან რომ შეკითხვები იცის, თეა მონაგონია.

— ვარლამას როდის გამაცნობ?

— როცა გინდა. თვითონ სადღაც უნახიხარ და ძალიან გაქებს, თუ ბიჭი ხარ, ხელიდან არ გაუშვაო.

— ისემც რა გითხარი.

— დედას გეფიცები.

ჩვენს წინ წყვილმა ჩაიარა. გოგო ძალიან ახალგაზრდა ჩანდა და შემოპრუწული კაბა ეცვა. ოდნავ მსხვილი, მაგრამ ჩამოქნილი ფეხები ჰქონდა. ცირას თვალი არ გაუყოლე-

ბი, როგორც ეს გოგოებმა იციან ხოლმე. რამდენჯერ დამინახავს, ქალმა რომ ქალს თვალი არ გააყოლოს, მოკვდება. კაცები ერთმანეთს არ ათვალიერებენ, ესეც კაცობის ნიშანია ალბათ.

ბიჭი გაჩერდა და საათი მკითხა.

პირველს ათი წუთი აკლდა.

— როგორ გაპარულა დრო, წავიდეთ, — წამოდგა ცირა.

ჩაბნელებული ბაღიდან მოჩანდა გაჩირაღდნებული ქუჩები და კანტიკუნტად მოსიარულე ადამიანები.

პროსპექტზე გამოვედით. ჩავუარეთ გამოკეტილ მაღაზიებს, საცხოვრებელ სახლებს, საექსკურსიო ბიუროს შენობას, ვიხედებოდით დიდ, ფართო ვიტრინებში. ყველგან ჩვენ ვჩანდით.

— რა აწოწილი ხარ? — იცინის ცირა.

შემოვატრიალე და თვალებში ჩავხედე.

— თუ სიმართლე გინდა, შესაფერისები ვართ.

ხელზე ხელს აღარ ვუჭერ, ხელისგულებს ვუსვამ, ის დგას და მიყურებს.

— წავალ, — მეუბნება.

— მოიცა ცოტა ხანს.

— არავინ შემოგვესწროს.

— მთელ შენობას ძინავს.

— დედაჩემს არ ძინავს. ვერ დაინახე, სინათლე უნთია.

— დედა სად გაგექცევა?

— დედები არ გარბიან, შვილები გავრბივართ ხოლმე. კარგად იყავი.

— სულ ცოტა ხანი მოიცა.

მარჯვენა დამიჭირა და ხელისგული გადამისვა. თითებზე ვუკბინე. წავიდა. მესმოდა მისი ნაბიჯების ხმა, ვიდექი და თავაწეული შევცქეროდი წყვდიადში ჩაბნელებულ მიხვეულ-მოხვეულ კიბეს, რომელსაც ცირა მაღლა აჰყავდა. მარტოობის ისეთი გრძნობა დამეუფლა, სასაფლაოზე რომ იცის ხოლმე. გამოვბრუნდი და გარეთ გამოვედი. ქუჩა გადავჭერი, შადრევანზე წყალი დავლიე და ვიტრინაში ჩავიხედე. იქიდან ვიღაცის ნაცნობი სახე მიყურებდა. დავაკვირდი, ეს მე ვიყავი, ჯურხა ბეთანელი, მთელ ქვეყნიერებაზე შეყვარებული და მეოცნებე კაცი.

საერთო საცხოვრებლის კარებთან ვარლამა იდგა. უქუდოდ გამოსულიყო და აბოლებდა. მე რომ დამინახა, სკამზე ჩამოჯდა.

— ცალტვინა შინ არი? — ვეკითხები.

ხმა არ გაუცია.

— ვარლამა, არ გესმის?

— წადი, ბიძია, და შენი ტოლი ნახე.

— რა მოხდა, რამ გადაგრია?!.. — ისე ახლოს მივუჯექი, ზედ მივეტმასნე. ხელით გამწია და გადაჯდა. — თოფი ხომ არავის უსვრია?

— წელან რომ ლოთი და შტერი გამომიყვანეთ, დაგავიწყდა?

— ვიხუმრეთ, შე კაცო, რა მოგივიდა?

— კაი ხუმრობაა, მე და ჩემმა ღმერთმა!

— შევრიგდეთ და, თუ გინდა, მომკალი.

— ერთი კაცის ხათრით თორემ, ნამდვილად არ შეგირიგდებოდი.

— მაინც ვისი ხათრით?

ვარლამამ ჯიბიდან გახალებების აცმა ამოიღო და გამომიწოდა.

— მა, გამომართვი.

— ეს რაღად მინდა?

— მამაშენი ჩამოვიდა სოფლიდან და შინ წაიყვანე.

— მამაჩემი ჩამოვიდა?!. — სახტად დავრჩი.

— აგერაა გასული, ამ წუთში მოვა.

კარი ბრახუნით გაიღო და მამაჩემი ქამრის სწორებით გამოვიდა.

— გამარჯობა შენი! — ერთი ჩაახველა და გადამეხვია. რაც ჩვენ ერთმანეთს ვკოცნეთ.., მერე მამაჩემმა ცხვირსახოცი დააძრო და ცხვირი საშინელი ხმაურით მოიხოცა, — ნერვიულობის დროს იცის ხოლმე ასე.

— ხომ მშვიდობაა, მამაჩემო?

— ცოცხალი ყოფილხარ და რაღა გვიჭირს. შენ როგორა ხარ?

— კარგად ვარ.

— გამაბოლებინე ერთი თუ კაცი ხარ, — ვარლამას მიუბრუნდა, — სად ოხრობაში დამრჩა ნეტავი? — ჯიბეებს იქექავდა და თავის პაპიროსს ეძებდა.

— „პრიმას“ მოწევ?

— სულ ერთია, — პიჯაკი მუხლებზე გადაიფინა, — ხომ ხარ კაცურად? — სახეში არ მიყურებს. გეგონება სხვას ელაპარაკებაო, გვერდზე იხედება.

— კარგად ვარ, რამ დაგაფეთა?

— ბიჭო, ვერ წაჯდაბნი ორ სიტყვას?

— ვეღარ მოვიცალე.

— მშობლებს რომ შენი ამბავი გააგებინო, ამისთვის ვერ მოიცალე?! — პაპიროსიანი ხელი ისე უკანკალებდა, პირთან ძლივს მიიტანა.

— წადით ახლა და დეისვენეთ. — გვითხრა ვარლამამ.

— გვიან რომ არ იყოს, შინ წავიდოდი, — თქვა მამაჩემმა.

— სახლში წვიმა კი არ ჩამომდის, — გაწყრა ვარლამა, — ჩემს ზემოთ კიდევ რვა მოსახლეა. ამ ბაღანას აქვს გახალები და წადით ახლა. დათიკო, თუ კაცი ხარ, დილით არსად გახვიდე, რვაზე მოვალ.

— ავტობუსი რომელზე გადის?

— თორმეტზე.

— წავიდეთ, აბა.

— ჯურხა, ბოშო, — შემაჩერა ვარლამამ.—

სამზარეულოში შეხოხდი და შენ იცი, მშიერი არ დამიტოვო სტუმარი.

ყველაფერს მოვიფიქრებდი და მამაჩემის გამოცხადებას კი არა. ალბათ შინ ერთი ამბავი ჰქონდათ. რა იქნებოდა, ერთი წერილი რომ მიმეწერა, ჰა და ჰა, ათი წუთი მომენდომებინა. გახსნიდა დედაჩემი კონვერტს და ხმამაღლა წაიკითხავდა. მამაჩემი, ვითომც არ ვუსმენო, გვერდზე გაიხედავდა.

პროსპექტიდან რომ გადავუხვიეთ და ცირას სახლს ჩავუარეთ, მაღლა ავიხედე: მთელი შენობა ჩაებნელებინათ. პირველი სართულის ფანჯარაზე დიდი შავი კატა თვლემდა. ფეხის ხმაზე თავი ასწია, შემოგვხედა და ისევ მინაბა თვალები.

ჩვენს ქალაქში საცხოვრებელი სახლები ისე ჰგავს ერთმანეთს, კარგად თუ არა ხარ კაწაფული, ნამდვილად აგერევა. ერთ სახლს მივადექით, მგონი ეს უნდა იყოს-მეთქი. მართლა ის აღმოჩნდა. სადარბაზო მაინც შეგვეშალა, მეოთხის მაგივრად პირველში შევედით.

მამაჩემმა პირი დაიბანა, ოთახები დაათვალიერა, ვარლამას პატიოსნად უცხოვრია, ჩაილაპარაკა. საძინებელ ოთახში ლოგინს გადასაფარებელი ავაცალე. მანდაურობას ნუ აურევ, ბალიში და რამე წასაფარებელი ნახე, დივანზე დავწვებიო, დამიძახა. ლოგინში შეწექი, რა უჭირს-მეთქი. იუარა: სკამზე იჯდა, წახრილიყო და ფეხთ იხდიდა.

— მე შენ, შვილო, უჯიგროდ არ გამიზრდიხარ. მშობელი როგორ უნდა დაივიწყოს კაცმა. ჩემი თავი ჯანდაბას, ის დედაკაცი მაინც არ გეცოდება?

— როგორ არ მეცოდება. ყველანი მეცოდებით, მაგრამ რა ვქნა, ყელამდეა საქმე.

— უყურე ერთი ამას. რა კუკურა ჯიოშვილის ბიჭივით ლაპარაკობ. რა ვქნა, ისეთი საქმე გამომიჩნდა, მამაჩემის დასაფლავებაზე ვერ ჩამოვედიო. — ესაა, ბიჭო მამაშვილობა?! სოფელმა მივაყარეთ მიწა, კაი ქელეხიც გავუმართეთ და პატივიც რიგიანი ვეცით. მეორე დღეს გვესტუმრა, ერთი ვნახო, დაუსაფლავებელი ხომ არ დატოვეს მამაჩემიო. სოფელში აღარ მოესვლება მაგ სახეძაღლს. სდიოს ახლა იმ კახპა ცოლს. ხო იცი, სოფელი დიდია, სირცხვილ-ნამუსის რა ვთქვათ, თორემ სახლკარი გადავუწვავთო. ამას კი არავინ იზამს, მაგრამ იდგეს ის სახლი უთვისტომოდ. ეზოში აღარავინ ჩაუშვებს იმ გულღრძოს. მოდა, ვინძლო შენც ასე არ დაგემართოს.

— კაი კაცო, არც ეგრეა საქმე!

ზარმა დაიწკრიალა. კარი გავაღე. საფეთქელთან ორთითმიტანილი ვარლამა კრეჭვა-კრეჭვით შემოვიდა, დამიცაცხანა, ეს კაცი დასაძინებლად რომ მოწყობილა, რა გითხარი, მშიერი არ დააწვინოთ. გიყვარდეს, იმან დღეში ჩამაგდო.

ვარლამა სამზარეულოში გავარდა და თეფშებს ჩხაკაჩხუკი აუყენა.

— მოგვეშვი, თუ კაცი ხარ, რა დროს ვახშამია? — სთხოვა მამაჩემმა.

— შენც არ მომიკვდე, ისე არ დაგაძინო ამაღამ. მაცალე, ბიძია, პატარა ხანს, გაუჩინარს გავაჩენ! — ვარლამა კარში გავარდა.

— სარდაფში ჩავიდოდა, — თქვა მამაჩემმა და შარვალი ამოიცვა.

ვარლამა მართლა სარდაფში ჩამძვრალიყო, ხვნეშა-ხვნეშით ამოვიდა და ათლიტრიანი ბოცა ამოათრია.

— უდედაკაცო ოჯახია, მარა თავს არ შევირცხვენ. — ხმამაღლა ქაქანებდა ვარლამა, — ხორცი დამიჭერი და ტაფაზე დაყარე, მე ხაჭვს გავარჩევ. ღვინო ნაღდი ალადასტურია, შარშან ძმამ გამომიგზავნა, შენ სახელზეა დაყენებული და ბიჭბუჭებზე არ გააფუჭო. კი მინდოდა ამ ბალღებისა დამეძახა, მარა ვიფიქრე, ვინმე წესიერი კაცი მესტუმრება და თავს გამოვიჩენ-მეთქი. აგიხდა საწადელი. ესენი, ბიძია, წყალ-წყალა ღვინოსაც კარგად მიირთმევენ.

— რატომ წუხდები, ვარლამ ბატონო! — მამაჩემს პერანგი ჩაეცვა და ფეხშიშველა დააბოტებდა.

— ჰე, გადი მეორე ოთახში და ფლოსტები გამოუტანე. — მითხრა ვარლამამ.

ქონიანი ხელები მაქვს, ვერ შავალ-მეთქი. ვარლამა გაიქცა და თვითონ გამოურბენინა. ფანჯარა გამოვაღე. გრილმა ნიავმა დაუბერა. ამასობაში ხორციც აშიშხინდა. ვარლამამ დოქში ღვინო გადმოასხა, ჩვარი შემოუსვა და მაგიდის შუაგულში ჩადგა.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი!

მამაჩემი დივანზე ჩამოჯდა, ხელები მოიფშვნიტა და მაგიდა ზრიალით მიიცურა. დოქს ვეცი, დავასხამ-მეთქი. ვარლამამ არ გამიშვა, სასადილოში კი არა ვართ, ჩემს ოჯახში მე მაცალეო. ჭიქები შეავსო.

— თქვენს ჩამობრძანებას გაუმარჯოს, დათიკო ბატონო, იცოცხლე!

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი ამ პატიოსან ოჯახში! — დალოცა მამაჩემმა.

— ქუდს არ მოიხდი, ვარლამა? — ვკითხე მე.

ვარლამამ ქუდი დივანზე ისროლა და შემომიბღვირა, გვერდზე გაიხედე. მამაჩემს, ეტყობოდა, მოშიებული იყო. მეც მადიანად გავრიკე. ჭიქები მეორედ შევავსეთ. ვარლამამ მიკიბულ-მოკიბულად დაიწყო და, როგორც იქნა, დალია. ჭიქაში წვეთს ნუ დამიტოვებ, თუ კაცი ხარო, სთხოვა მამაჩემს, ცარიელი ჭიქა თეფშზე დაამხო. თან ღვინის ქება მოაყოლა. ჩემი სახლიკაცი განთქმული მეღვინეა და არამცდაარამც უხეირო ღვინოს არ გამო-

მიგზავნიდათ. მამაჩემმაც უქო, რაც მართალია, მართალია, წუნს ვერ დასდებო.

დოქი ავიღე და ჭიქები გავავსე. ვარლამმა საერთო სადღეგრძელო თქვა, ხან იქ ამოჰკრა, ხან — აქ, ცხოვრება რადაცნაირი გახდა, უწინ რომ იყო, იმას აღარ ჰგავს, ადამიანები გამამაძაღლდნენ, შურიანები გახდნენ, და, თუ ეგრე გაგრძელდა, ერთმანეთს დავჭამთო. მამაჩემმა უთხრა, ადრეც ეგრე იყო, ცხოვრებას თავისი ქირ-ვარამი ყოველთვის ჰქონდა და ნუ გაგიკვირდებაო. ვარლამმა თავი მოიკლა, არც ისეთი ჭეილი ვარ, ძველი დრო რომ არ მახსოვდეს, მაშინ სხვა ცხოვრება იყოო. ახლა რომ ერთი წამით სინათლე გამოირთოს, ისეთი ამბავი ატყდება, მთავარსანგელოზობაზე რომ იცოდა, ხოცვა-ჟლეტაო. მაშინ, ბატონო, არც სინათლე გვქონდა, არც ავტომანქანებით დავბრძანდებით, მაგრამ ვცხოვრობდითო. ბოდიში მოვუხადე, დილით ადრე ვარ ასადგომი და თვალს მოვატყუებ-მეთქი, კარი გავიხურე და ლოგინში შევწექი.

— შვიდზე მიდის ხოლმე, — გავიგონე ვარლამას ხმა, — მუყაითი ბიჭია. ქალაქში ბარე ორი არ დაიარება მაგისთანა ყმაწვილი. ახლა ქარხანაში არ იკითხავ? ხელის გულზე ატარებენ.

— ისემც დაუმშვენდება ცხვირი, — თქვა მამაჩემმა.

— შებრძანდი ქარხანაში და შენი თვალით ნახე. დასაქადნი შვილი გყავს. ოსტატად გადაიყვანეს.

— ოსტატად კი არა და...

— არ უთქვამს?

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ!

— დააწინაურეს, აბა რა გგონია?

— გაუმარჯოს! — თქვა მამაჩემმა, — შვილების გულისთვის რომ ვიკლავთ თავს, უნდა დაგვიფასონ კიდეც. — მამაჩემი გაჩუმდა. ვარლამაც სულგაკმენდილი იჯდა.

— თუ კაცი ხარ, ერთი ის მითხარი, — გავიგონე მამაჩემის ხმა, — გოგოებში ხომ არ დაბრძანდება?

— არც უმაგისობაა, ჩემო დათიკო, მარა ნამეტანი წესიერი ყმაწვილია. კაცურად რომ გითხრა, გაფუჭებულ ხალხთან, ნურას უკაცრავად, საქმეს არ იჭერს, მაგათთან მამაჩემმა ვერ იხეირა და მე რას გავაწყობო, — ვარლამა ხითხითებს, მამაჩემიც იცინის, — რაცხა ყური კი მოვკარი, საცოლე უნდა ჰყავდეს.

საცოლეო, — ხმა ჩაიბოხა მამაჩემმა, მერე კარგა ხანს იყო ჩუმად, ბოლოს ხმადაბლა ჰკითხა, შენ თუ იცნობო.

— ცნობით არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან აქებენ, მაგის საამქროში კომკავშირის მდივნად უმუშავია.

ნეტა დამანახა მამაჩემი. ვასუსულები იხსდნენ. მამა ყველაფერში გამოცდილი მყავდა, ვიცოდი, რაზე რას იტყოდა, თუ რამე არ მოეწონებოდა, როგორ ასწევდა მარჯვენა წარბს, როგორ მიაბრუნებდა გვერდზე თავს და [illegible] ხახით შემოგიბღვერდა. ეგეთ საქმეში [illegible] მყავდა დაცდილი.

— ვინ არიო, რას ამბობენ? — ჰკითხა მამაჩემმა.

— სიმართლე გითხრა, სწორედ არ ვიცი, პატიოსანი ოჯახიდან რომ არის, ამას წვეთი არ გაუვა. მე რომ მკითხო, დროც ქე აქვს უკვე. ცირა ჰქვიაო, იმ დღეს წამოცდა. კაი გოგო ჩანს.

— ამ ჩემს დაულაგებელს რა ეშველება?

— ნუ იცი, დათიკო, ამისთანა ლაპარაკი. შინ წადი და ქორწილისთვის მოემზადე. კაი ჩვენებური პურ-მარილი გავაჩაღოთ. ამ შემოდგომას ნუდა გადააცილებთ.

— როგორც ბიჭი იტყვის, ისე მოვიქცევი. მაგის ხმალი და ჩემი კისერი.

— მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ხვალვე მოვაყვანინებდი, — დაიქადნა ვარლამამ.

— ოღონდ თქვას და, აქ არა ვარ.

— შენ უნდა უთხრა.

— არ დაირცხვენოს-მეთქი, თორემ...

— დაირცხვენს კი არა. მე რომ მიყურებ, დათიკო, ქე გეტყვი ჩემს ამბავს. ბაზრობაზე ვნახე პირველად ჩემი ქალი, ჭუინტ ყველს ვყიდულობდი და იქ არ დამეხატა! ჰაი, დედასა. ეს თუ ხელში არ ჩავიგდე, რაღა კაცი ვარ, გათხოვილიც რომ იყოს, მოვიტაცებ-მეთქი. მეორე დღეს მაშვალი გავუგზავნე. ჰარიქა. ტაბატაძის ვაჟმა პირობა გთხოვა და თავი არ შეირცხვინო, უარი არ მითხრაო. ერთ კვირაში დავიწერეთ ჯვარი. ჭეილი კაცის ამბავი არ იცი, ოღონდ შენ უთხარი და...

არ ვიცი, რომელი საათი იყო, ვარლამამ ღილინი წამოიწყო.

დილით ლოგინიდან რომ გამოვძვერი, მამაჩემი ისევ დივანზე იჯდა, თავი უკან გადაეგდო და ხვრინავდა. მაგიდაზე გადაწოლილი ვარლამა ძილში კვნესოდა.

13.

სამი თვის გამომცხვარი ოსტატი ვარ. ბრიგადა მაბარია და ვარლამას თქმისა არ იყოს, კაცების სიაში ვწერივარ. პირველად რომ დამინახავდნენ, ბიჭები ქირქილებდნენ. მერე და მერე შემეჩვივნენ. ახლა აღარავის უკვირს ჩემი ოსტატობა. ბრიგადაში ჩემიანად ოცდაოთხნი ვართ, ყველანი ღინღლიანები. უწვეროულვაშონი, ერთი შოთა გვირევია ყოჩივით.

გაზეთებში გვწერენ — ბიჭები ამის გამო ყოყლოჩინობენ. სხვები გულზე სკდე-

ბიან, ერთი უყურეთ ამ გუშინდელ ბღარებს, ქვეყანა არ აიკლესო. მე უკვე ორჯერ გამომ-ჰიმეს ქარხნის გაზეთში, მოვა რამდენა ჩიტკო-რესპონდენტი და დამიწყებს გამოკითხვას, ხულ ზეპირად ვიცი, რაც უნდა მითხრას:

— გამარჯობა, ჯურხა

— რამდენს გაუმარჯოს!

— როგორ მიდის საქმე?

— ჯგიროდ!

— ხალხს შენი სიფათის ნახვა მოენატრა და სურათი უნდა გადაგიღო.

— სხვას გადაუღე.

— გეგმით შენა ხარ.

— სურათზეც გეგმა გაქვთ?

— ეგრეა.

— შოთას გადაუღე.

— შოთა იმ დღეს გამოვჰიმე, ეხლა ოსტა-ტიო, გაიგე!

— რა თავში იხლი? — ვითომ ვაბრაზებ. რამდენა ჩუმჩუმელაა. გული არ მოსდის. ქა-ღალდს მაწვდის.

— ამ კითხვებზე უპასუხე, ზეგ მოვალ და წავიღებ.

— უკულ:ართი ხომ არაფერია?

— გაიგე.

იმ ღამეს თეთრად ვათენებ. ესეც შენი ინ-ტერვიუ.

შაბათს გაზეთში ვიყავი გამოჯგიმული, გუ-ლისფანცქალით წავიკითხე ჩემი ინტერვიუ. აზ-რი ჩემი იყო, მაგრამ სხვა სიტყვებით გაეწ-ყოთ. შოთა მოვიდა და თავზე წამადგა, გაზე-თი გავუწოდე. წაიკითხა და მხარზე წამკრა.

პარასკევს ბრიგადის კრება გვქონდა. ამბერ-კი აიწურაძემ ორბაშათს სამუშაო გააცდინა, ოთხშაბათს დაიგვიანა, წინა დღეს კი გადაყლა-პულში იყო. კომკავშირის ჯგუფორგმა სახელ-დახელო კრება მოიწვია. გული შეთანაღრებო-და, მე დამაბრალებს-მეთქი, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო. ბიჭები ამიყირავდნენ, ერთიც ვნა-ხოთ, უარესი ჩაიდინოს, მერე რაღა ვქნათო. გაიოზმა კარგად შეახურა, მაგრამ, ეტყობა, არ ეყო. ბრიგადაში რომ გადმოგვყავდა, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამარ. ცალტვინა იძახდა, ეგ სიტყვის კაცი არ არის, გვიმტყუნებსო. არ დავუჯერე, ვცადოთ-მეთქი. გაიოზმაც მე დამი-ჰირა მხარი.

კრება დავიწყეთ. ამბერკი კუთხეში მიყუყუ-ლიყო და აბოლებდა. დათო ლომინაძემ მო-კლედ მოსჭრა: კომკავშირელი აიწურაძე დის-ციპლინას არღვევს და პირი ვუკითხოთო.

— ადე, ამბერკი და გვითხარი, რაშია საქ-მე? — ჰკითხა შოთამ.

— რაში უნდა იყოს?

— ჩვენ რას გვეკითხები, თქვი, ასე რატომ იქცევი? რატომ არცხვენ ბრიგადას?

— სამუშაოზე ეგეთი რამეები არ შეიძლება! — თქვა ცალტვინამ.

— აგიტაციას ნუ მიწევთ, ვიცი რა შეიძლე-ბა და რა — არა!

— კომკავშირულ-ახალგაზრდული [illegible] შევქმენით, გვაქებენ, ასეთი [illegible] შენ კი გვარცხვენ. — თქვა ზოიამ.

— შენ არავინ გეკითხება! — წამოწითლდა ამბერკი.

— სწორედაც რომ ეკითხება, — ვთქვი მე და გული ყელში მომებჯინა, — აქ ყველას ეკითხება, საერთო ოჯახია. თუ დააშავე, პა-სუხიც აგე!

— რა დავაშავე? ათი წუთით დავიგვიანე და ეს არის დანაშაული? აბა სხვა ბრიგადებში ნა-ხეთ, რა ამბავია?

— კაცო, შენ შენს თავზე აგე პასუხი. თუ არ გინდოდა, რატომ გადმოხვედი ჩვენ ბრიგადა-ში?

— ყელი არავისთვის გამომიწევია, გადმომი-ყვანეთ-მეთქი.

— თუ გადმოგიყვანეს და კაცად ჩაგთვა-ლეს, თავიც დაიფასე. ქარხანა შენი საკუთრე-ბა კი არ არის, როგორც მოგეპრიანება, ისე მოიქცე.

— დიდი ამბავია, თუ ათი წუთით დავიგვია-ნე.

— იმ დღეს რომ სულ არ მობრძანებულხარ, ის როგორღა იყო? ანდა გუშინ ძლივს რომ იდექი ფეხზე! — დაუცაცხანა შოთამ.

— არაფერიც. ფხიზელი ვიყავი.

— მართალი ხარ, — ვთქვი მე. — ექიმი უნ-და გამოგვეძახებინა და მაშინ გაირკვეოდა, იყავი თუ არა ფხიზელი.

— იცი რა გითხრა. თავში ნუ აგივარდა ოს-ტატობა.

— ენას კბილი დააჭირე, თორემ... — წამო-დგა შოთა.

— სხვის ხარჯზე თუ გინდა ბატონკაცურად ცხოვრება, — გაბრაზდა თენგო, — სხვა გზა მოძებნე. აქ ეგეთები არ გაგივა.

ამბერკიმ ზიზღით გახედა.

— რო იფხორები, რას იფხორები? ვის ედიდგულები, დამნაშავე ხარ და ჩვენ გვერ-ჩი? თუ ჩვენი ბრიგადის წევრი ხარ, იყავი კი-დეც, გვეძმაკაცე, დალევა იყოს და ერთად და-ვლიოთ, გაქცევითაც ერთად გავიქცეთ. აგიჩე-მებია, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, არა ხარ და ძალია?

— მე ჩემი ჭკუით მინდა ვიცხოვრო!

— შენს ცხოვრებაში არავინ იჭრება, — ზო-იას ლოყები აეტკიცა, — ჩვენი ცხოვრების და-წიხვლას კი არავინ შეგარჩენს!

ერთი წუთით აუტანელი სიჩუმე ჩამოვარ-და. ოცდასამი წყვილი თვალი ერთ კაცს მიაშ-ტერდა.

— თუ ჩვენთან ყოფნა ხელს არ გაძლევს, წადი, არავინ დაგიჭერს, — უთხრა დათომ.

— მართალია, უსაქმურები არ გვინდა. — თქვა ზოიამ.

— სწორია, უსაქმურებს ჩვენთან ადგილი არა აქვთ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

— მოიცათ, — წამოდგა შოთა, — ჯერ პასუხი გაგვცეს, რატომ არღვევს შრომის დისციპლინას. აბა, დაამღერე! შენ რომ დალევ, მაგდენს ყურში ჩავიხსამ, მაგრამ ის გვითხარი, სამუშაოზე რატომ მოდიხარ მთვრალი? რაო, ძველი ბიჭი ვარო. იმ ოთარ მაისურაძეს რომ გადაჰკიდებიხარ, სხვა ვერავინ ნახე? მაგან ბევრს გამოუყვანა წირვა და უფრთხილდი.

— ოთარი ჩემი მეგობარია, იმის ლოთობა არავის გაუგია.

— ვერა გცოდნია მეგობრის არჩევა, — ვუთხარი მე.

ამბერკიმ ამხედ-დამხედა და ღვარძლიანად მომიგო:

— ცხვირი ვერ მოგიხოცია და უფროსობა მომინდომე? ქვეყანა მაშინ დაიქცა, შენისთანა თავზე რომ წამომასვეს.

კრიჭა შემეკრა, ხმა ვეღარ ამოვიღე. ვიდექი და ვუყურებდი. ყველა გაისუსა. ამბერკიმაც ჩაღუნა თავი.

— თუ ენას კბილს არ დააჭერ, ცხვირ-პირს ამოგინაყავ! — წამოდგა შოთა, — უყურეთ ამას, თავზე არ დაგვაჯდა!

ამბერკი აიფხორა, მაგრამ მალე მოიკვანტა. ხალხი აყაყანდა, ლერიმ დამუშტული მარჯვენა მუხლზე დაირტყა, ზოია გაკაპასდა:

— ბრიგადიდან გავრიცხოთ! — დაიძახა.

— გავრიცხოთ! — მხარი აუბეს აქეთ-იქიდან.

— იმის გამო, რომ ამბერკი აიწურაძე სისტემატურად არღვევს შრომის დისციპლინას, უმიზეზოდ აცდენს სამუშაოს, ლოთობს, უხეშად იქცევა, წინადადებით შემოვდივარ, გაირიცხოს ბრიგადიდან! — წამოდგა დათო.

ამბერკი თავჩაქინდრული იდგა, მაგრამ ნირი არ შესცვლია. საფეთქელთან გამობერილი ძარღვი გამუდმებით უფეთქავდა. იგი უკანუკან წავიდა და უხმოდ დაჯდა. დიდი ხნით ჩამოვარდა სიჩუმე. ეს სიჩუმე ნაპრალის გაჩენას უფრო გავდა, ვიდრე ჩვეულებრივ მდუმარებას.

— ამხანაგებო, — დავიწყე მე, — მოდი ერთი ხელის მოსმით ნუ გადავწყვეტთ ადამიანის ბედს. ამბერკიმ ბევრჯერ დააშავა, დღესაც აშავებს, — ანგარიშს არ გვიწევს. ურიგო ბიჭი კი არ არის, შრომაც შეუძლია, ნუ ვკრავთ ხელს. მე ვენდობი, დარჩეს ჩვენთან.

ამბერკიმ მძიმედ ასწია თავი და ქვემოდან ამომხედა. ფართო შუბლზე მკაცრი ნაოჭები გაუჩნდა.

— ჯურხა, — წამოდგა თენგო, — მე ყველაზე ახალგაზრდა ვარ ბრიგადაში, შეიძლება უფლებაც არა მაქვს... მოდი, ნურც ამბერკის ეწყინება და ნურც სხვას. აქ ჩვენი ოჯახია და სათქმელიც უნდა ითქვას — მერე ამბერკისკენ მოტრიალდა, — შენს საქციელს უბრალო ახირებად ვთვლი. გატყობ, დანაშაულსაც გრძნობ და გულთანაც მიგაქვს, მაგრამ იხტიბარს არ იტეხ. ურიგოს რას გეუბნებით, დახმარება გვინდა, შენ კი ბავშვივით იქცევი. თქვი, იქნებ რამე გაწუხებს, მხარში ამოგიდგებით, აქ არა ვართ!

— რაში მჭირდება დაცვა!

— ერიშაა, — წამოდგა ნოდარი, — ამასაც თუ ვერ გაიგებ, აიკიდე გუდა-ნაბადი და წადი! თქმას არ ვაპირებდი, მაგრამ ყელში აღარ ჩადის... ერთხელ გაპატიეს, მეორედაც... განა არ ვიცით, ვინ დახვდა მაშინ ჯურხას, გაპატია, თვალი დახუჭა, ვითომც არაფერიო. მას შემდეგ მეგობრულად გექცევა, მაინც ვერ გაიგე, ფეხებზე გვიკიდებ. კაცი არა ხარ? ბევრი ნუ გაიჭირე, თორემ ძველ ცოდვებსაც ამოგიქექავთ!

თითქოს სილა გააწნესო, ამბერკი სახტად დარჩა. კვლავ კარგა ხნით ჩამოვარდა სიჩუმე. სიგარეტი ნერვიულად მოსრისა. ვიღაცამ ასანთი მიაწოდა. არავის დაუშლია, ნუ მოსწევო. კვამლი ჯერ ბოლქვა-ბოლქვად გაიკრიფა, მერე გაიშალა. ზოიას ხველა აუვარდა. ყველანი თავჩაქინდრულები ვისხედით. შორიდან საამქროს გუგუნი ისმოდა. არც კი გაგვიგია, როგორ შემოიპარა სიბნელე. დათომ სინათლე ჩართო. ამბერკი ფერდაკარგული იჯდა.

— მე კენჭს ვუყრი წელანდელ წინადადებას, — თქვა დათომ.

ხელი არავის აუწევია. ყველანი ამბერკის ვუყურებდით.

— გარიცხვაზე თავს ვიკავებ — ვთქვი მე.

ამბერკი ისეთი აღარ ჩანდა, კრების დასაწყისში რომ იყო. მაგრამ არც სიამაყე აძლევდა უფლებას, ეღიარებინა, დამნაშავე ვარო.

— მე... ვგრძნობ ჩემს დანაშაულს, — ჩაიბურტყუნა ბოლოს და ისევ ჩაქინდრა თავი.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი სახელები

გიორგი წიკლაური

ამ ლექსების ავტორი ხევსურია, დაიბადა სოფელ საჯურეში. დაუსწრებლად დაამთავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისთვის უცხო არ არის მიწასთან ბრძოლა თუ ცხვარ-ძროხაში გალეული ღამეები, უგზოობა თუ მეგობარ-ნათესავების მონატრება, როცა მთის მიტოვების უფლებას არ გაძლევს მოვალეობა, მოვალეობა და პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე.

ასაკის მიუხედავად ბევრი რამ უნახავს, განუცდია და გადაუტანია, ბუნებრივია, ყველაფერს ვერ მოაქცევდა ლექსებში, მაგრამ რაზედაც გვესაუბრება, გულწრფელია და დამაჯერებელი.

არ ვიცი ამ ლექსების შემდეგ რას დაწერს და რა ღირებულება ექნება, ჯერ-ჯერობით კი მთავარი სულ სხვაა — სათქმელი აქვს და ვალდებული ვართ მოვუსმინოთ.

წინ დიდი გზა უდევს და თუკი იბეჯითებს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საინტერესო შემოქმედთან გვექნება საქმე.

მეც ამ იმედმა დამაწერინა ეს ორიოდე სიტყვა.

კარლო კობერიძე

## ნუ მეტყვით

ნუ მეტყვით, მთებში მიწური სახლის
გაბზარულია კედელი თითქოს
და ქარაშოტი, ვითარ ძაღლი,
უყეფს და სახლი სახურავს ითხოვს.

ნუ, ნუ გამწირავთ, გაფიცებთ არაგვს,
არ მსურს მოსმენა ამ ამბის ახლის,
სხვა უწმინდესი ამქვეყნად რა მაქვს,
ვიდრე იქ მთებში მიწური სახლი.

●

უკვე დაღამდა,
მზემ მთის უბეში მიიძინა,
როგორც ჩვილმა დედის კალთაში...
ნახირი მოდის,
მაგრამ ჭიშკარს არავინ აღებს...
ვაი თუ მართლა სამუდამოდ დამაგვიანდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საჭურულას

მთას გამობმული ვერცხლის თოკივით,
შენთან მოვსულვარ მძებნელი შენი,
შემომაწვება დარდი ლოდივით,
დაგინახავ და რაღაცით მშველი.

გიგონებ,
გიმღერ,
განატრობ და გელტვი,
შორი ბავშვობის მიბრუნებ ხალისს,
არავინ იცის რაი ხარ ჩემთვის —
უცხო თვალისთვის უბრალო წყალი.

●

ნელი ტაატით მივყვები ქუჩას,
ფარავს მიმწუხრი გარშემო სერებს,
ცხოვრებას ახლა სხვა პირი უჩანს
და მე ავმაღლდი დიდი ხნის მერე.

მინდა გავექცე საკუთარ იღბალს,
მაქვს სხვა იმედი ხვალინდელ დილის,
და იქ კი ვიღაც, ფარდების მიღმა,
დგას, ჩემზე ფიქრობს და ისევ ტირის.

●

გადაიქროლეს წლებმა ქარებად,
მგზავრი დაღლილი შევჩერდი კართან,
მე ბევრი მახსოვს ამქუხარებაც
და დამუნჯებაც დათხრამდის თვალთა.

ჩემო სოფელო, დღითაც, ღამითაც
დავრჩები მარად შენი მგოსანი, —
რარიგ ტკბილია ეს დედამიწა,
ცა მაღალი და მზესხივოსანი.

## გუზუმბათი

სხვისთვის მწვერვალი არ გერქვას იქნებ,
ან დაგივიწყოს, ვინ იცის, დრომა...
გამოვექცევი აბეზარ ფიქრებს
რომ ისევ შევძლო შენს თხემზე დგომა.

გულს ჩარჩენილი ერთადერთ კვნესად
თავს დაგწოლია ნისლები თალხი, —
და შენს კალთებზე ვაძოვებ დღესაც
ჩემი ოცნების დამშეულ ნახირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე ბიბიტაშვილი

●

მამიდაჩემო, რით დაგაამო,
სიხარული გსურს — მოგდის
წერილი,
შენ შეგიყვარდა ჩემი სალამო,
სალამო — შენზე ჯვარდაწერილი.

შენი თვალები ტყუპი დებივით
გარს მევლებიან, როგორც მთიები,
გესმის: გალობენ გადიებივით
ძველი თბილისის ეკლესიები.

ისევ გალობენ და ჩემს ტკივილებს
აყუჩებს ქალი და სასთუმალი...
ნეტა ვინ სვამდა შენს ცისფერ
დილებს,
ნეტა ვინ იყო შენი უფალი!

### აგვისტო

ტუჩებს ვუკოცნი აგვისტოს ქარებს
და კეკლუცობენ მზეზე მტევნები.
შენ მოხვალ ჩემთან, გაგიღებ კარებს,
თუ ნანახ სიზმრებს აედევნები.

შეალებ ტკივილს და გაგაყუჩებს,
გაიპარები... მზის დარაბებიც
დახურულია... ჩემს გამშრალ ტუჩებს
დაუკოცნია შენი კაბები...

დამწვავს ნიავი გრილ სალამოსი,
ვით გემო ჩემი ბაგის წვენისა,
მახსოვს, გცვიოდა ყველა სამოსი,
როგორც ფოთლები ფოთოლცვენისას.

თუ მოხვალ, მოდი ბრმა ალუბლებით,
თუკი არ ძალგიძს მზის მოტანება,
რომ კვლავ დარწმუნდე, შენი მუხლებით
კვლავ შემიძლია აღფრთოვანება.

რომ კვლავ დარწმუნდე, ვებრძოდი ხარებს,
რადგან შენ გაჩნდა მათი ნატორი...
ოლე! — ტკივილო, მე გილებ კარებს,
შენი ერთგული ტორეადორი.

●

წვიმს, ვერ ვჩერდები მე უკვე გარეთ,
ჯიბეში მიდევს ძველშავი კვარტით,
თქვენ გამახსენდით და გამახარეთ,
ქალიშვილებო, ვისაც გიყვარდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ კი ვით კვიცი ტირიფის წკეპლით
ყაყაჩოებით ხარ განალახი,
აგკვროდა ნამი ბალახით, პეპლით
და მირონივით გვეცხო ტალახი.

როგორ გვიყვარდა, გახსოვს წვიმები,
მაგრამ წარსული შენ არ გეხება,
ვინც მზად არ არი, როს ილიმები,
შენს უფსკრულებში გადიჩეხება.

ალგაფრთოვანებს ძველი ვერანდა —
დარბაზობათა მწუხარე კვალი,
შემომეგებე, მიწამე, ანდა
აქ ჩემს მამულში სადმე მომკალი.

## ნაპირი

შორს ვილაც მღეროდა, ნორჩი და
ეული,
სიმღერით განთიადს ელოდა,
ნაპირთან მისული ოცნებად
ქცეული...
არ ჩანდა ვარსკვლავი, ბნელოდა.

უ, შენ კი გეძინა ღიმილით...
ჩემს გულში
ჟიბებოდნენ მთიები გვიანი...
და შემოდიოდა სოჭის ნავსადგურში
ხომალდი „სან-სებასტიანი“.

## თავდავიწყება

ეს ნერვებია ჩემი შიშველი
თამბაქოს ბოლი მეწამულ ფერით
მეუბნებოდა: — ველარ მიშველი
რომ ის სავსეა დღეს ბედისწერით.

კბილით მოვზიდე მე მისი ყური,
პატარა როგორც ზღვაში ნიჟარა
ამღერდა ხელზე ქვის სამაჯური,
მძივებიც ნოხზე გადაიყარა.

და თუკი შევძლებ მე მის მორჩენას,
სამაგიეროს ნუ გადამიხდი.
შუაღამისას მზის გამოჩენას
ჰგავს, როდესაც შენ ტანსაცმელს
იხდი.

და ვარსკვლავებით სავსე ველივით.
თმა ეწყო როგორც ვაზის ლერწები.
მიღიმის, იცის — დათვის ბელივით
მართალი ბიჭი გეალერსები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ჯავახიშვილი

# მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

1938 წელი ხიფათიანი გამოდგა მამასთვის. მას კიდევ ერთი ამბავი შეემთხვა მატარებლით მგზავრობის დროს. ეს ამბავი იმავე წლის მარტის თვეში მოხდა. მამა მოსკოვში იყო წასული, თავისი საქმეების გამო, იქიდან რომ ბრუნდებოდა, კუპეში ზემო თაროდან ჩემოდანი გადმოვარდა და თავზე დაეცა. ბედზე, ჩემოდანი მძიმე არ იყო და მამა მსუბუქად დაშავდა. სავსე რომ ყოფილიყო, ალბათ საბედისწერო იქნებოდა მისთვის ეს შემთხვევა.

1933 წელი მამას ცხოვრებაში იმით იყო აღსანიშნავი, რომ რამდენიმე ადგილას გაიმართა დისპუტი „არსენა მარაბდელის“ გარშემო. 24 აპრილს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში დისპუტზე შესავალი სიტყვით გამოვიდა მალაქია ტოროშელიძე. მომხსენებელი სიმონ ხუნდაძე იყო, 10 მაისს კი პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულმა ბიბლიოთეკამ მოაწყო დისპუტი. მომხსენებელი კვლავ სიმონ ხუნდაძე იყო. შესავალი სიტყვით კი მ. ტოროშელიძე გამოვიდა. 18 მაისს ქუთაისში, სახელმწიფო თეატრში გაიმართა საჯარო დისპუტი. მომხსენებელი იყო დია ჩიანელი, ამ დისპუტების მასალები გამოქვეყნდა პრესაში და მკითხველი მას იცნობს. ჩვენ მხოლოდ ქუთაისში გამართული დისპუტის შესახებ ერთ მოგონებას მოვიტანთ. ეს დისპუტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ხალხი მას დიდი ინტერესით შეხვდა. აი, რას იგონებს დოცენტი სამხარაძე: „არსენა მარაბდელის“ დისპუტის გამო ეწვია ქუთაისს დიდად პოპულარული მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. ქუთაისი განსაკუთრებული მონდომებითა და მოწონებით ემზადებოდა საჯარო განხილვისათვის. ამ საქმის თაოსნობა თავს იდო ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, ბელეტრისტმა და დრამატურგმა დია ჩიანელმა. გადაწყდა დისპუტის ჩატარების დღეც, შერჩეული იქნა თვრამეტი მაისი. გაიკრა აფიშები. ამოძრავდა ხალხი. ყველას პირზე ეკერა: „მიხეილ ჯავახიშვილი“, „არსენა მარაბდელი“, „დისპუტი“, „მოსაწვევი ბარათი“... მიხეილ ჯავახიშვილს თან ჩამოჰყვა პოეტი ტიციან ტაბიძე. საყვარელ სტუმრებს სადგურზე დახვდნენ დისპუტის ორგანიზატორები, მკითხველები, დიდძალი ახალგაზრდობა. მიართვეს ცოცხალი ყვავილების თაიგული... სახელმწიფო თეატრში ტევა არ იყო. ბევრი გარეთ იცდის, იქნებ მოსაწვევი ბარათი იშოვონ და დარბაზში მოხვდეს. დისპუტი გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ ივანე ძაძამიძემ. მან კარგად დაახასიათა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება და ხაზი გაუსვა „არსენა მარაბდელის“ უდიდეს მნიშვნელობას, მის მხატვრულ და ესთეტიკურ ღირსებას. დია ჩიანელმა ფართოდ და საინტერესოდ მიმოიხილა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრების გზა და „არსენა მარაბდელი“ მიიჩნია ქართული საბჭოთა პროზის უდიდეს მიღწევად.

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8, 9, 10.

ამავე დროს მოურიდებლად და მკაცრად გააკრიტიკა რომანი და მისი ავტორი. მოხსენებამ სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა აუდიტორიაზე. არ მოელოდა ხალხი, თუ მომხსენებელი ამდენ კრიტიკულ მოსაზრებას შეჰკადრებდა გამოჩენილ მწერალს. ახლა რომ ვუკვირდები, ჩვენი მომხსენებელი ზოგიერთ რამეს აზვიადებდა და იმ კრიტიკოსების გავლენას განიცდიდა, რომლებიც ტენდენციურად იყვნენ განწყობილნი მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა მიმართ.

მ. ჯავახიშვილი დინჯად, მშვიდად და გულისყურით უსმენდა დია ჩიაბელს, ხანდახან ოდნავ დაიხრებოდა მაგიდაზე და ფანქრით ინიშნავდა რაღაცებს მომცრო ბლოკნოტში. ეთანხმებოდა თუ არა ორატორს, ამის შეტყობა მისი სახის გამომეტყველების მიხედვით ყოვლად შეუძლებელი იყო. დაიწყო კამათი. პირველი სიტყვა ტიციან ტაბიძემ აიღო. მან ვრცლად და საინტერესოდ ილაპარაკა ნაწარმოებზე. კამათში მონაწილეობა მიიღო გიორგი ახვლედიანმა, ამ წერილის ავტორმა და სხვებმა. კამათი დამთავრდა. დარბაზი მოემზადა მიხეილ ჯავახიშვილის მოსასმენად. იგი წამოდგა. წყნარი ნაბიჯით გაემართა ტრიბუნისკენ, აუდიტორიას თვალი მოავლო, მერე პრეზიდიუმს გადმოხედა და თავისი სიტყვა დაიწყო. სიტყვის ბოლოს, ყველა მოკამათის საყურადღებოდ განაცხადა: ,,რომანის გამოსვლამდე და ნამეტან კი მისი დაბეჭდვის შემდეგ, მე უამრავი რჩევა-დარიგება მოვისმინე. აქა-იქ დახაჯერებელი მოვიპოვე, მაგრამ ბოდიშს ვიხდი ზოგიერთების წინაშე იმის გამო, რომ ყველაფერს მათ ნათქვამს არ დავუჯერებ და სადავო საკითხებს ბოლოს და ბოლოს ისევ ჩემი ჭკუითა და გემოვნების მიხედვით გადავჭრი".

საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა რა ნელ-ნელა დაიშალა. იმავე საღამოს რესტორან ,,ბორჯომის" ეზოში გაიმართა ნადიმი — აქ იყვნენ სტუმრები და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები. სუფრას თამადობდა რაიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი და დირექტორი ვალოდია ჯიქია. წარმოითქვა სადღეგრძელოები, იყო სიმღერა, მოსწრებული სიტყვები, ხუმრობა, გართობა. მიხეილ ჯავახიშვილმა ილაპარაკა გელათზე, ბაგრატის ტაძრის, გეგუთისეული სასახლის და საერთოდ იმერეთის წარსულის შესახებ. ხაზგასმით აღნიშნა გაჩაღებული მშენებლობის წარმატებანი, კულტურული ცხოვრების განვითარება და ფართოდ დაახასიათა მწერლის როლი და ადგილი სოციალისტური კულტურის აღორძინებაში".

მამას სიტყვა დისპუტზე წარმოთქმული, დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთში ,,საბჭოთა მწერალი".

1938 წელს აგვისტოს თვეში უეცრად გარდაიცვალა სიმონ ხუნდაძე. ამ ამბავმა ყველანი დაგვამწუხრა. ის შესანიშნავი ადამიანი იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, და მისი სიკვდილი ყველასათვის მოულოდნელი იყო. ჩვენ, იმ ზაფხულს ქვიშხეთში ვისვენებდით და სიმონ ხუნდაძის ოჯახიც აქვე ისვენებდა. [illegible] თბილისში იყო. ჩვენმა ოჯახმა, მის ოჯახთან ერთად, მწვავედ განიცადა ეს ამბავი. განსაკუთრებით დადგენილებით შედგა დამკრძალავი კომისია, რომელშიც მამაც შევიდა.

იმავე წელს, აკადემიკოს ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობის 45 წლისთავის შესრულებისა და აკადემიის წევრად ყოფნის 25 წლისთავის აღსანიშნავად, საქართველოს ცაკმა გამოყო საიუბილეო კომისია, რომლის შემადგენლობაში მამაც შევიდა.

ამავე წელს გამოვიდა ბენიტო ბუაჩიძის წიგნი ,,კვაჭიდან არსენა მარაბდელამდე". როგორც ამ წიგნში, აგრეთვე დისპუტის დროსაც, წამოიჭრა სადავო საკითხი პატონყმობის ირგვლივ. არასწორად იქნა გაგებული მამას განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით. ბუაჩიძის წიგნშიც მამას არ მოეწონა ზოგიერთი რამ, ამის გამო საპასუხო წერილი დაწერა, რომელიც ,,ლიტერატურულ გაზეთს" უნდა დაებეჭდა, მაგრამ წერილი იმ დროს არ დაბეჭდეს. წერილს მამამ მიაწერა: არ დამიბეჭდეს 25/XII 1938. მ. ჯავ". და თავის არქივში შეინახა.

,,არსენა მარაბდელის" გამოსვლის შემდეგ მამა წერილებს იღებდა მკითხველებისაგან. ხალხმა შეიყვარა ეს ნაწარმოები და თავიანთ შთაბეჭდილებებს ავტორს უზიარებდნენ. ერთი ასეთი წერილი გვინდა მკითხველს გავაცნოთ, შემოკლებული სახით. იგი თბილისელ ანდრო ჟვანიას ეკუთვნის: ,,ბ-ნო მიხეილ! დაკვირვებულ მკითხველს რომელიმე ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ, თუ იგი მოსწონს და მის სულს ესალბუნება ტკბილად, უსათუოდ მოსწყურდება ავტორის ნახვა, ან მასთან გაბაასება, ყოველთვის საინტერესოა შემქმნელი. დიდი ხანია ვემზადები თქვენთან გასაბაასებლად, მაგრამ, ვფიქრობდი: ,,მე არ მეყოფა ის, რაც დაწერა, უფლება არა აქვს, არ შეჰქმნას კიდევ რაღაცა. თუ არ შეჰქმნა არ შევიყვარებ. თქვენ შეჰქმენით ,,არსენა მარაბდელი..." ხომ არ გაიგონეთ ჩემი ფიქრი, ბ-ნო მიხეილ? როგორ მალე შემისრულეთ დიდი ნატვრა. რა მშვენიერი ადამიანი ყოფილხართ! მადლობელი!.. მიკვირს, როგორ შეიძლება ,,იმსჯელო" იმაზე, რაც ,,შექმნილა?" გაკრიტიკება შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც ,,იწერება". ვერასოდეს ვერ ჩაწვდება კრიტიკოსი მხატვრის შემოქმედებას. დიდი მხატვარი იგია მხოლოდ, ვინც თავდავიწყებამდე მიდის წერის დროს. წარმოდგენილი არა

ჰქონდა პუშკინს, რომ მისი ონეგინი ლენსკის მოკლავდა. პუშკინი იყო — ლირიკის მაკბეტი. შექსპირი — ტრაგედიის მაკბეტი. ღრმად ვარ დარწმუნებული და თქვენც პირადათ რომ უარყოთ ეს — არ დაგიჯერებთ, რომ „მარაბდელის" მე-876 გვ. დამთავრების შემდეგ არ გაგკვირვებოდეთ მისი დაწერა. არ მოელოდით, არ გეგონათ, რომ დასწერდით ამას და ასე. თქვენც მაკბეტი ხართ. და აი, როდესაც იმის წინააღმდეგ მიდის მეკდუფი — კრიტიკოსი, იცის თუ არა მისი შინაგანი წვა და ღონე? გაუგებს თუ არა იმას ოდესმე? ვერასოდეს. მეკდუფის შუბზე წამოგება მაკბეტის თავისა მარადიული ხვედრია ვერგაგებულთა. „არსენა მარაბდელი" ქართულ ლიტერატურის ისტორიაში დიდი ტრიუმფით შევიდა. და ისე შევიდა, რომ სამასი წლის შემდეგ თქვენ, ხელმეორედ გაჩენილს, არ შეგეძლებათ მისი იქიდან გამოყვანა. უძლური იქნებით ამისათვის. მოგილოცავთ ამ უძლურებას. „მარაბდელის" დაწყება ჩგავს უცაბედათ გაელვებას, მერე დაგრგვინვებას და სულ ბოლოს ღვარული წვიმის წამოსვლას. მოდის, მოდის ზეციდან ზღვა და თუნდაც გჯეროდეს დაღრჩობა — მაინც გინდა თავი შეუშვირო და მოირწყო. შეერიო, შეეთქვიფო... თითქმის ყოველი თქვენი წიგნი ასე იწყება. ამაში თქვენი მხატვრული ალღოსი და ტემპერამენტის კვანძი მდგომარეობს. გადაიკითხავ ათ ფურცელს და გინდა ოცდაათიც მიუმატო, ოცდაათს გადაიკითხავ და ოთხმოცდაათის წაკითხვა მოგინდება. ორასის წაკითხვამდე სული იწვის. მერე როცა დაასრულებ — მეტის წაკითხვა არ გსურს. ავსებული ხარ პირთამდე — მხატვრული სიტკბოებით, ისტორიული შხამით, ადამიანების ცრემლით, კვნესით და ავტორისადმი ულრმესი პატივისცემით. დახურავთ წიგნს და ჩაფიქრდებით, როგორც არასოდეს არც ერთი ქართული წიგნის წაკითხვის შემდეგ. სცენა ცხრა საფლავთან — ცხრა გამარჯვებაა. არსენას კივილი: „ვაი დედასა, მარაბდელო!" ისეთ მომზადებულ დროს არის ამოთქმული, რომ ამის შემდეგ სულით და გულით გინდა თითო რომელიმე ქართული უხეირო წიგნი დაუხრიწო. გაატანო ქარს... „მარაბდელი" დიდი მთაა ქართული ლიტერატურის და მე მოხარული ვარ, რომ ახლო მომავალში მომიხდება დანახვა იმ საბრალო კრიტიკოს-ალპინისტების, რომლებიც დაიწყებენ იმაზე აცოცვას. ჩემი ბრალი არ იქნება, ღმერთმანი, იმათი იქიდან თავქვე წამოსვლა! და არც თქვენი, გარწმუნებთ, ძვირფასო ავტორო! ყველა ენაზე უნდა გადაითარგმნოს ეს რომანი. დე, გაიგოს ქვეყნიერებამ, რა არის საქართველო და ქართველობა! თქვენ გვევლინებით როგორც საერთაშორისო მხატვარი და ამიერიდან არა გაქვთ უფლება, როგორც დიდ მწერალს, ამ გზას გადაუხვიოთ. არც ერთი მსოფლიო იუმორისტს არ მაგონებთ თქვენ. ფრანგების სახელგანთქმული რეალიზმი თითქოს მეტისმეტად გადაჭარბებულია თქვენს რეალიზმთან; „მარაბდელი" ისე შეიძლება „ომი და ზავის" გვერდით დააყენოთ, როგორც ილიას „ოთარაანთ ქვრივი" ჰენრიკ იბსენის „ბრანდთან". თქვენსა და ტოლსტოის შორის თვალთახედვაა. იყავით გზების გამნათებლად იმ მწერლებისათვის, რომლებიც იგრძნობენ რა თავიანთ უბედურებას — მწერლობას მიატოვებენ და კარგი მკითხველის სახელს დაიმსახურებენ. გართმევთ მაგრად, ღონივრად „არსენა მარაბდელის" დამწერ მარჯვენა ხელს".

მამამ წერილის ავტორს პასუხი გაუგზავნა. წერილი ჩვენ ხელთ არა გვაქვს, მაგრამ ყვანიას მეორე წერილიდან ჩანს, რომ მიუღია იგი.

ასეთი ხასიათის წერილები, მკითხველებისაგან მიღებული, ცხადია, სულიერად ამაგრებდნენ მას და რწმენასაც უნერგავდნენ. მით უმეტეს ისეთ დროს, როდესაც მეორე მხრიდან, მის ნაწარმოებებს გაშმაგებით უტევდნენ.

●

მამა მოკლე ულვაშსა და პატარა წვერს ატარებდა. სხვანაირი მე ის არც მახსოვს. ერთ დღეს, შინ რომ მოვიდა, ტუჩებზე ცხვირსახოცი ჰქონდა აფარებული და თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. შეგვეშინდა, რაიმე ხომ არ შეემთხვა ან კბილი ხომ არ ასტკივდაო, თუმცა, სახეზე არ ეტყობოდა. წუხილი. დედა მიუახლოვდა და ხელი ჩამოაღებინა. რა ვნახეთ: თურმე ულვაშები მოუპარსია და თვითონვე არ მოსწონებია საკუთარი თავი, ამიტომ მთელი გზა სახლამდის ცხვირსახოცაფარებული მოდიოდა. ჩვენ არ მოგვეწონა მისი სახე, და ვთხოვეთ მეორედ აღარ მოეპარსნა. თვითონაც დაგვეთანხმა და ეს ცდა ამით დამთავრდა.

●

ერთხელ, საღამოხანს, მამა სტუმრად იყო წასული და შინ ოდნავ ნასვამი დაბრუნდა. კარი რომ გავუღე, დავინახე, ხელში პარკი ეჭირა. გადმომცა ეს პარკი და მითხრა: ლობიო მოგიტანე; წაუღე ბაბოს სამზარეულოში და უთხარი ეხლავე მოხარშოს. დავხედე პარკს. მართლაც მსხვილი ლობიო ეყარა შიგ. სამზარეულოსკენ გავემართე და თან გავიფიქრე, ამ საღამოს სად იშოვა მამამ ლობიო, ან როდის იყო, სანოვაგე მოეტანოს სახლში-მეთქი. სანამ ბებიაჩემს ამას ვეუბნებოდი, უკან მამაც მომყვა და ბებიას გამომცდელად დააცქერდა. სახეზე ღიმილი უკრთოდა. [illegible] თუ არა ლობიოს, გაიცინა და [illegible] ქვაბში ჩავყარე და [illegible] ეს ხომ [illegible]. ყველას [illegible] ასეთი ჩვეულება ჰქონდა, [illegible] ხელცარიელი, მით უმეტეს, როცა ნასვამი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ მწერლები ფუნიკულიორის პლატოზე სადილობდნენ. ჩამოსული იყო სტუმარი და მის საპატივცემოდ ბანკეტი გაემართათ. შინ საღამოთი დაბრუნდა. ნასვამი იყო და კარი რომ გავაღე, საჩქაროდ ჭიქა მომაწოდა, რომელშიც ნაყინი იყო მითხრა: საყვედური არ მითხრათ, რომ ნასვამი ვარ და ჩქარა, სანამ არ დამდნარა, ეს ნაყინი მიირთვით ზემოდან ჩამოვიტანეო. შემდეგ ჯიბიდან პაწაწინა ტიკინა ამოიღო და მომცა — ესეც შენი იყოსო — მითხრა. ტიკინას გაშლილი ლამაზი კაბა ეცვა. მოცეკვავეებს რომ აცვიათ, ისეთი, ლამაზი იყო და დიდხანს მქონდა სახსოვრად შენახული, შემდეგ სადღაც დამეკარგა. მამას უყვარდა, ჩვენ რომ რაიმეთი გაგვახარებდა.

მოსკოვიდან რომ ჩამოდიოდა, აუცილებლად ყველასათვის საჩუქარი უნდა ჩამოეტანა. მოსამსახურე ქალსაც კი არ ივიწყებდა. თბილისში იმ დროს კარგი ხარისხის ტკბილეული არ იშოვებოდა და მოსკოვში რომ მიდიოდა, იქიდან ჩამოჰქონდა. ერთხელ ასეთი რამ მოხდა. მამა მოსკოვიდან უნდა ჩამოსულიყო. ჩვენ მას ველოდით, მაგრამ მატარებელს აგვიანდებოდა. დედა რამდენჯერმე გავიდა სადგურზე. ბოლოს დათქმულ დროზე, ერთხელ კიდევ მოუხდა გასვლა ბაქანზე. მატარებელი ის-ის იყო ჩამომდგარიყო და მამას უკვე მოესწრო კიდეც გადმოსვლა. მიიხედ-მოიხედა თურმე და დედა რომ ვერსად დაინახა, დაიქირავა ეტლი. ჩაჯდა შიგ, დიდი შეკვრა, სადაც ტკბილეული ჰქონდა, გვერდით დაიდო. თვითონ კი ეტლიდან გადაიხარა, რომ ერთხელ კიდევ თვალი მოევლო ბაქნისთვის. მართლაც, შორიდან თვალი მოჰკრა დედას, ხელი დაუქნია და მის შესახვედრად წამოიწია, ამასობაში კი ეტლიდან ტკბილეულის შეკვრა ააცალეს. მამამ რომ მოიხედა, სახტად დარჩა. გაუკვირდა, ისე უცბად როგორ მოახერხეს მოპარვაო. დარდობდა თურმე, ხელცარიელი როგორ მივიდე შინო. ამ მდგომარეობიდან დედამ გამოიყვანა. მან მოიფიქრა: მოდი ტორგსინში შევიდეთ, იქ ვიყიდოთ ტკბილეული და ქეთო მოვატყუოთ, ვითომ მოსკოვიდან ჩამოიტანეო. მამას ეს აზრი მოსწონებია და მათ მაღაზიისაკენ აუღიათ გეზი. ეს იმ დროს მოხდა, როცა პარიზში მამას ორი მოთხრობა დაიბეჭდა და კუთვნილი ჰონორარი ტორგსინის საშუალებით ეძლეოდა. ამიტომ არ გაძნელებიათ იქ ტკბილეულის ყიდვა. მათ მოსვლას მოუთმენლად ველოდი და მამას გახარებული შევეგებე. მან კი ღიმილით გადმომცა მოზრდილი შეკვრა და მითხრა: ნახე, მოსკოვიდან რა ჩამოგიტანე! მცირე ხნის შემდეგ კი ვერ მოითმინა და თვითონვე მიამბო თუ როგორ ააცალეს ცხვირწინ ტკბილეული.

მამა ყველას მიმართ ყურადღებიანი იყო. ვინმესთან სტუმრად რომ მიდიოდა, ხელცარიელი არასოდეს წავიდოდა. აუცილებლად ან ტკბილეულს, ან ყვავილების თაიგულს წაიღებდა ხოლმე.

●

გაზაფხულზე მამა წყალტუბოში იყო სამკურნალოდ წასული.

წყალტუბოდან რომ დაბრუნდა, ხუმრობდა, ათი წლით გავახალგაზრდავდი, აღარაფერი მტკივაო.

●

მამამ „არსენა მარაბდელი" რომ დაამთავრა, მომავლისათვის რამდენიმე თემა ჰქონდა არჩეული და ფიქრობდა რომელიმე მათგანისათვის მოეკიდა ხელი. ერთ-ერთი თემა იყო „შამილი". 1933 წლის 24 ივნისს „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე დაიბეჭდა ქართველი მწერლების ინტერვიუ, მომავალ შემოქმედებით გეგმებზე. მამამ აღნიშნა, რომ ჩაფიქრებული აქვს ისტორიული ხასიათის რომანის დაწერა და მასალას აგროვებს ტრილოგიისათვის „შამილი". ამ მიზნით ფიქრობს მოიაროს დაღესტანი, ჩეჩნეთი, ყაბარდო და ზაქათალა. მაგრამ შემდგომ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს თემა მომავლისათვის გადადო და „ქალის ტვირთზე" დაიწყო მუშაობა.

●

გვინდა მოვიტანოთ ჩვენი გამოჩენილი პოეტის სიმონ ჩიქოვანის მოგონება მამაზე: „გამოჩენილი ქართველი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწერებმა ჩვენი მკითხველი საზოგადოების ყურადღება და სიყვარული ადრე მოიპოვა. „არსენა მარაბდელის" მაღალმა ეპიკურმა და მიმზიდველმა თხრობის უნარმა მკითხველი საზოგადოება მაშინვე მოაჯადოვა და ხალხში დიდი პოპულარობა დაუმკვიდრა. იგი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე საყოველთაოდ მიღებული და საყვარელი მწერალი გახდა. 1928 წლიდან 1937 წლამდე, ამ ხნის განმავლობაში თითქოს წუთით არ მოუსვენია და მუდამ, დღე და ღამე სამუშაო მაგიდასთან იჯდა და სულმოუთქმელად წერდა. მაგრამ მის უმცროს თანამედროვე მწერლებს და პოეტებს ხომ გვახსოვს: იგი არც ერთ კრებას, არც ერთ ახალ წარმოდგენას არ დაკლებია, შეხვედრებში, წვეულებაში და მოგზაურობაში მუდამ ჩვენთან იყო, თითქმის ყველა ლიტერატურულ კამათში მონაწილეობდა და მრავალ მოგონებას, ლიტერატურულ წერილსა და შენიშვნას აქვეყნებდა. იგი დიდტანიანი რომანებისა და მოთხრობების წერასაც

ასწრებდა, სამწერლო ცხოვრებაშიც უშუალოდ მონაწილეობდა და გართობასაც ახერხებდა.

მიხეილ ჯავახიშვილს ძლიერ იზიდავდა პაექრობა, როგორც თავის თანატოლებთან, ისე ახალგაზრდებთან. იგი ხელჩაქნეული ადამიანი არ იყო. მწერლობა დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდა და ამიტომ ყოველ თაობასთან საკამათო და გამოსარკვევი საკითხები ჰქონდა. მწერლობაში ყოველ ახალ მოვლენას დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. საერთოდ, მებრძოლი ხასიათი ჰქონდა და ახალგაზრდებთან ლიტერატურული ჭიდილი და პაექრობა სრულიად არ ეთაკილებოდა, ესახელებოდა კიდეც. შესანიშნავი მოქალაქე იყო და ძლიერ უხაროდა, თუ ვინმე მწერლობაში ქართულ სიტყვას ოსტატურად ფლობდა. მაგონდება ერთხელ მწერალთა კავშირში დემნა შენგელაიას „ბათა ქექიას“ განხილვა გვქონდა. კამათში მიხეილ ჯავახიშვილიც გამოვიდა, დიდი ყურადღებით წაეკითხა დემნა შენგელაიას ეს რომანი, საოცრად მოსწონებოდა რომანის მხატვრული მართლწერა, სიტყვიერი ქსოვილი, მისი იდიომები, სხარტული თქმები, ლექსიკური სიმდიდრე და დაუფარავად გამოთქვა თავისი აღტაცება.

1933 წლის ზამთარში მოსკოვში ვიყავით რამდენიმე მწერალი. ჩვენს შორის მიხეილიც იმყოფებოდა. ერთ დღეს მიხეილმა მითხრა, სახელმწიფო გამომცემლობაში წავიდეთ და გავიგოთ, რაიმე ქართული ნაწარმოების გამოცემას თუ აპირებენო. მართლაც მეორე დღეს წავედით გამომცემლობაში, მოვძებნეთ ეროვნულ ლიტერატურათა განყოფილების ოთახი. ოთახში ხალხი ირეოდა. თითქმის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოსული მწერალი თავისი მწერლობის ანარეკლს ეძებდა საგამომცემლო გეგმაში. მიხეილი განყოფილების გამგესთან მივიდა და ქართულ მწერლობაზე დაუწყო საუბარი. ამ დროს მე შემაჩერა ვიღაც უცნობმა მწერალმა, რომელსაც აღმოსავლური იერი აღბეჭდოდა სახეზე და რუსულად, მუსულმანური კილოთი მკითხა, თქვენ ქართველები ხართო? მე დავუდასტურე. ჩემმა მოსაუბრემ სრულიად მოულოდნელად მკითხა, მიხეილ ჯავახიშვილი სად არის და ახლა რაზე მუშაობსო. იგი დიდი მწერალია, შესანიშნავი მწერალია და მისი გაცნობა მინდაო. ამ სიტყვების გაგონებაზე ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ჩემს მოსაუბრეს ვუთხარი, მიხეილ ჯავახიშვილი, ეს ჩემი თანამგზავრი არის, ახლავე გაგაცნობთ-მეთქი. წავიყვანე და მიხეილს წარვუდგინე უცნობი თაყვანისმცემელი. ჩემთან მოსაუბრე მწერალი გაოცებული დარჩა, სიხარულით და მოწიწებით ჩამოართვა ხელი და ეს სასწაულიაო, წამოიძახა. მოესიყვარულა მიხეილს და გაუმეორა წელანდელი ნათქვამი: თქვენ დიდი მწერალი ბრძანდებით, თქვენ შესანიშნავი ხელოვანი ბრძანდებითო. მიხეილმა ჰკითხა, ჩემი რომელი ნაწარმოები გაქვთ წაკითხულიო. უცნობმა უპასუხა: „ლამბალო და ყამა“, თქვენ ჩვენი ხალხის შთაგონებული მომღერალი გამხდარხართო. ლაპარაკობდა და მიხეილს ზურგზე ხელს უთათუნებდა, ეფერებოდა, ეალერსებოდა. როცა [illegible]ლიდ ქუჩაში გამოვედით, მიხეილმა მითხრა: „სასიამოვნოა ავტორისათვის, რომ მისი ჩანაფიქრი და გრძნობა ასე შორს და შორეულ მკითხველის გულს ჩასწვდომია. ერთი მარხილში ჩავჯდეთ და გავისეირნოთ“.

●

მამას სუსტი მხედველობა ჰქონდა. ახლომხედველი იყო და საღამოობით, როდესაც წერა უხდებოდა, კარგი განათება თუ არ ჰქონდა თვალები ეღლებოდა და სტკიოდა. იმ წლებში კი თბილისში სინათლის საქმე ძალზე ცუდად იყო. ელექტროენერგია ქალაქს არ ჰყოფნიდა და საღამო ჩამოწვებოდა თუ არა, ჩვენს ბინებში სიბნელე ისადგურებდა. ძნელი საშოვარი შეიქნა აგრეთვე ნავთის ლამპა, შუშები ხშირად ტყდებოდა და სიბნელეში რომ არ დავრჩენილიყავით. მათი მარაგი საკმარისად უნდა გვქონოდა. ყველაფერი ეს, ახლა რომ ვიხსენებ, თითქოს წვრილმანად მოჩანს, მაშინ კი ძალზე მნიშვნელოვანი რამ იყო და მამას ანერვიულებდა, მუშაობაში ხელს უშლიდა. დღისით უამრავი საქმე ჰქონდა და 3-4 საათს გარეთ ატარებდა, საღამო ჟამს კი, სინათლის უქონლობის გამო, ხალისი ეკარგებოდა, ლამფის შუქზე მუშაობა უჭირდა, კარგად ვერ ხედავდა და ამის გამო გაანჩხლებული ოთახიდან ოთახში დადიოდა.

სინათლის თაობაზე სად არ იყო, ვის არ მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ არა გამოდიოდა რა. „თელასის“ დირექტორთანაც კი მივიდა და სთხოვა, ხაზი ქუჩიდან გამოეყვანათ მისთვის, რითაც მხოლოდ წერის დროს ისარგებლებდა, დაბალ ინსტანციებში რომ ვერას გახდა, გადაწყვიტა, ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პეტრე აღნიაშვილისათვის ოფიციალურად მიემართა და დახმარება ეთხოვა.

აღნიაშვილის განკარგულებით, მაშინვე გამოგვიყვანეს ქუჩიდან სინათლე, რამაც მთელი ჩვენი ოჯახი დიდად გაახარა. ყველაზე მეტად მაინც მამა იყო კმაყოფილი, რადგან მუშაობის საშუალება მიეცა.

●

როგორც აღვნიშნე, მამას ჩაფიქრებული ჰქონდა „არსენას“ შემდეგ რამდენიმე ისტორიული ნაწარმოების შექმნა, ამისათვის კი საჭირო იყო დიდი დრო და უზრუნველი და მშვიდი ცხოვრება, ეს კი მას არ გააჩნდა. მწერლებს მცირე შემოსავალი ჰქონდათ, მამას საშუალება არ ეძლეოდა თავისი ჩანაფიქრი განეხორციე-

ლებინა, არ შეეძლო წლების მანძილზე მარტოს ეტვირთა ეს ტვირთი, ამიტომ დახმარებისათვის განათლების კომისარს ერმილე ბედიას მიმართა, საქმის ვითარებას აცნობდა და ხელისშეწყობას სთხოვდა. მოგვყავს მამას განცხადება:

„საქართველოს განათლების კომისარს ამხ. ე. ბედიას

პატივცემულო ამხ. ერმილე!

თანახმად ჩვენი პირადი საუბრისა, წერილობითაც ვიმეორებ შემდეგს: ერთ წელიწადზე მეტია, რაც „არსენა მარაბდელი" დავასრულე და მას შემდეგ არაფერი აღარ დამიწერია. მიზეზი ის არის, რომ შესაძლებლობა არა მაქვს მშვიდად მივუჯდე ჩემს მაგიდას. მთელი კვირაობით არ გავიდე ქალაქში და გულმოდგინედ ვიმუშაო. ამგვარი მუშაობა ოცნებად გადამექცა, ხოლო სათქმელი იმდენი დამიგროვდა, რომ მგონი ას წელიწადშიც ვერ გავათავებდი.

ისტორიულ-სოციალური რომანი („არსენა") პირველი ცდა იყო და, როგორც ამბობენ, იგი საკმაო გამარჯვებით დასრულდა. რაკი ამ ჟანრს მოვერიე, ბუნებრივია, რომ კიდევ გავყვე ამ გზას და დიდი ხნის ოცნება შევისრულო. „დიდი მოურავი", „ერეკლე მეფე" და „შამილი" დავწერო (რა თქმა უნდა, შიგადაშიგ თანადროული მოთხრობებიც დაიწერება. მაგალითად, „არსენას" წერის დროს მოთხრობების ერთი ტომი დავწერე) მაგრამ ასეთი დიდი ნაშრომი დიდ დროს და დიდ სულიერ სიმშვიდეს მოითხოვს.

თავდაპირველად „შამილის" დაწერას ვაპირებ. ამისთვის მე მჭირდება დავიარო დაღისტანი, კახეთი, დავიქირავო მეგზე, მდივანი, რომელიც მასალის შეგროვებას გამიადვილებს. მანქანაზე მბეჭდავი, ამასთან, უნდა შევიძინო შესაფერი ლიტერატურა „შამილის" დაწერას, სულ ცოტა, ორი წელიწადი დასჭირდება. ამ ხნის განმავლობაში მე თვითონ იმ ჰონორარით ვიცხოვრებ, რომელიც უკვე მერგება და შემდეგაც მერგება („არსენას" გადაკეთება კინოსურათისათვის და პიესისათვის).

მე მგონია, დროა საბჭოთა კავშირის საზღვრებს გავცდე. რუსი მწერლების ნაწარმოებები ევროპაში ათობით იბეჭდება, ქართველი მწერალი კი ჯერ უცხოეთში არ გასულა. რამდენიმე ჩემი მოთხრობა უკვე დაიბეჭდა და იბეჭდება ფრანგულად, ჩეხურად და ინგლისურად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, საჭიროა წიგნი, ამისათვის, მე ვფიქრობ, გადათარგმნილ მოთხრობებს კიდევ რამდენიმე მოთხრობა დავუმატო. „არსენა მარაბდელი" ვათარგმნინო (ჯერ ფრანგულად) და ორი წიგნის მასალა გავგზავნო პარიზში. ამასაც 10.000 მ. დასჭირდება, რომელსაც მე თვითონ ვერას გზით ვერ გავიღებ. თუ ხელისუფლება ამ ხარჯებს იკისრებს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხარჯი მას მოგებითაც კი დაუბრუნდება.

ვიმეორებ, დიდ ტილოს შესაქმნელად დიდი დრო და უზრუნველი ცხოვრება სჭირდება. თუ ეს თხოვნა შესაწყნარებელია, იმედია, ხელისუფლება შესაფერ დახმარებასაც აღმომიჩენს და არც თქვენ მომაკლებთ მფარველობას, რისთვისაც წინდაწინვე გითვლით გულითად მადლობას და სალამს.

20/IV 1928 წელი

მიხეილ ჯავახიშვილი"

მამას თხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა.

●

1928 წლის ზაფხული იყო. ჩვენ საგარაკოდ კვლავ ბაკურიანში წავედით. ჩვენთან ყოველდღიურად მოდიოდა ფოსტალიონი და ჟურნალ-გაზეთები და წერილები მოჰქონდა. ეს იყო ახალგაზრდა ვაჟი, ადგილობრივი მცხოვრები, მორიდებული და წესიერი ყმაწვილი. შევამჩნიე, გაზეთებს რომ გადმომცემდა, მცირე ხნით ჩვენ სახლთან შეჩერდებოდა, თითქოს ვიღაცას ელოდებოდა. ცოტა ხანს იდგა ასე, შემდეგ თავის გზას გაუყვებოდა ხოლმე. გაზეთები დილით ადრე მოჰქონდა და ამ დროს მამა ოთახში იჯდა და მუშაობდა.

ერთ დღეს ჩვენმა ფოსტალიონმა ვეღარ მოითმინა და მორიდებით მითხრა: „რამდენიმე დღეა მამათქვენის სახელზე წერილი დამაქვს, გამოგიტყდებით, ძალიან მიყვარს „არსენა მარაბდელი" და გულით მინდა მისი ავტორი ვნახო. რამდენჯერმე მოვედი და ვერ ვნახე. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ, მე თვითონ მივცემ წერილს და შევხედავ კიდეც. როცა გავიგე, რომ აქ ისვენებს, სიხარულით ცას დავეწიე და ვთქვი: რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა პირადად ვნახო-მეთქი. ახლა კარგი შემთხვევა მაქვს".

მაშინვე ოთახში შევბრუნდი. მამას ვთხოვე გამოსულიყო და ვაჟისათვის ორიოდე სიტყვა ეთქვა. მამა წამოდგა, სამუშაო მიატოვა, დინჯი ნაბიჯით გამოვიდა აივანზე, ფოსტალიონს მიუახლოვდა და მის წინ გაჩერდა. იგი კი გაოცებული, თვალებგაფართოებული, ენაჩავარდნილი იდგა და ხმას ვერ იღებდა, გაშტერებული მისჩერებოდა მხოლოდ შემდეგ, როგორც იქნა, ენა ამოიდგა, მე მომიბრუნდა, თითით მამაზე მიმანიშნა და ლუღლუღით მითხრა: „ეს არის „არსენა მარაბდელის" ავტორი? ამან დაწერა არსენა?". ამ გულუბრყვილო შეკითხვაზე მე და მამას გაგვეცინა. მამა ყველაფერს მიხვდა. მიუბრუნდა ფოსტალიონს და ღიმილით უთხრა: „მეგობარო, მესმის თუ რამ გაგაოცა. შენ ელოდი, რომ „არსენა მარაბდელის" ავტორი იმასავით ბრგე და მხარბეჭიანი იქნებოდა. არ გეგონა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი დაგხ-

ვდებოდა, საშუალო ტანისა, გამხდარი და ხათვალიანი, მესმის შენი გაოცების მიზეზი". შემდეგ მხარზე ხელი დაადო და გამოელაპარაკა. გამომკითხა სადაური იყო, რას აკეთებდა, სწავლობდა თუ არა. ახალგაზრდასაც უხერხულობამ გაუარა, თავისი თავი იპოვა და სულ მალე მათ შორის ტკბილი საუბარი გაიმართა.

მეორე დღეს ის ვაჟი რომ მოვიდა და გაზეთები მომაწოდა, დარცხვენილმა მითხრა: რა დამემართა, როგორ შევრცხვი, რატომღაც არ მოველოდი, რომ — „არსენას" დამწერი ასეთი იქნებოდა. მე მეგონა, ის განსაკუთრებული გარეგნობის უნდა ყოფილიყო, და ჩაიცინა.

მარტო ამ ფოსტალიონს კი არა, ბევრს ეგონა, რომ ამ წიგნის დამწერი თვითონაც არსენასავით რაინდული გარეგნობისა იქნებოდა. ამიტომ ავტორის დანახვაზე მოულოდნელობისაგან უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ. ასე რამდენჯერმე მოხდა.

●

1983 წლის შემოდგომაზე მამა მცირე ხნით ქობულეთში წავიდა. იქ გატარებულ დღეებზე საინტერესო მოგონება იქაური კურორტის დირექტორმა გამოაქვეყნა. აი, ეს მოგონებაც „მიხეილ ჯავახიშვილი მისი ნაწერებით გატაცებულ მკითხველებს სათაყვანებელ ადამიანად მიგვაჩნდა, ყურადღებასა და მზრუნველობას არ ვაკლებდით. ჟურნალ-გაზეთების ფარდულიდან მუდამ ხელდატვირთული ბრუნდებოდა. ბავშვებისათვის მრავალ წიგნს ყიდულობდა საჩუქრად. სანატორიუმის მეზობლად მცხოვრებ რამაზ ვერულიძესა და ჩემს ვაჟებს დღემდე აქვთ შენახული მისი ნაჩუქარი წიგნები. მიხეილი იყო მეტად თავმდაბალი, მოკრძალებული, კეთილშობილი ბუნების, ტკბილმოუბარი და აუჩქარებელი. იცვამდა უბრალოდ და ფაქიზაც. სხვა დამსვენებლებისაგან თავს არ განისხვავებდა. კურორტის მუშაკებს გვინდოდა პატივი გვეცა მისთვის. ერთ კვირა დღეს შევთავაზეთ: თუ რომელიმე სოფლის, ან ხაბჯოთა მეურნეობის ნახვას მოისურვებდა, ესარგებლა ჩვენი მსუბუქი მანქანით. ამ თავაზიანობამ ასიამოვნა და მთხოვა მეჩვენებინა რომელიმე სოფელი. იმავე კვირა დღეს ლელვაში წავიყვანე.

ერთხელ სადილად მიგვიწვია ჩემმა მეგობარმა ა. ხტამბოლიშვილმა. მის ოჯახში, მრავალთა შორის, მიხეილს მოვასმენინეთ ფართოდ გავრცელებული სიმღერა „მასანბეგურა". მიხეილს ძალზე მოეწონა მასანბეგურას ხვეული კრიმანჭული და სასიმღერო ხალხური ტექსტი, რომელიც უბის წიგნაკში ჩაიწერა. იმ დროს დიდი მწერალი მეტად დაინტერესებული იყო აჭარის წარსულით (ბათუმში რამდენიმე საარქივო მასალასაც გაეცნო). მგონი განზრახული ჰქონდა დაეწერა რომანი აჭარის წარსულ ავბედითობაზე. თავისუფალ დროს მიხეილს უყვარდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბარი, განსაკუთრებით მოხუცებთან. კუთხურ გამოთქმებს უბის წიგნაკში იწერდა. მახსოვს მისი ასეთი ჩანაწერი: „კარაპეტი — [illegible] იში — ქამარი, სარტყელი, ბადიში — შვილიშვილი, ქესქინი — ცქვიტი, მალხაზი, აპოხტი — ქათმის შაშხი, თოკალი — კოჭლი, ქორა — ცალთვალა და სხვა. მ. ჯავახიშვილი ენერგიულად იბრძოდა ენის სიწმინდისათვის. დამახინჯებულ ქართულ მეტყველებას არავის აპატიებდა და იქვე შენიშნავდა. შენიშვნა მეგობრული, სასარგებლო იყო და არა დამამცირებელი."

●

მამა ყოველთვის ხალისით ასრულებდა უკრაინელი და რუსი მეგობრების დავალებებს და ცდილობდა მათი ნაწარმოებების გამოცემებისათვის. ჩვენი ხალხების დაახლოებისათვის ხელი შეეწყო. არქივს ბევრი წიგნი შემორჩა უკრაინელი მწერლების მიერ საჩუქრად მიძღვნილი. ამ წიგნებზე გულთბილი წარწერებია აღბეჭდილი. ერთ-ერთმა მათგანმა კი, მწერალმა მ. ლებედმა, თავის წიგნთან ერთად, 1981 წელს მამას უსახსოვრა უკრაინის ისტორიის ილუსტრირებული წიგნი პეტერბურგში 1898 წელს გამოცემული.

1984 წლის 8 თებერვალს მამამ გუცა ნამორაძესაგან წერილი მიიღო, სადაც იგი ასეთი თხოვნით მიმართავდა: „გამარჯობა, ჩემო მიხეილ! ...მე მინდა „ლიმს" მაინც მივაღებინო ქართული მწერლები, ამიტომ, თუ შეგიძლიან ეს საქმე მოაწყე: მანდ მიაღებინე უკრაინელი სამი მწერალი, ან ფედერაციაში ან საბელგამში: კულიკი — 28 ფორმა ლექსები, მიკიტენკო 7-8 ფორმა — პიესები და კირილენკო — 6 ფ. ამათ სახელი ეინტერესებათ, თორემ ფული არა, რადგანაც ზოგიერთი 50-60. 00 აღწევს ჰონორარს წელიწადში, ბარონსაც ვწერ. შენ კი ფედერაციაში გაარკვიე, ხელშეკრულება მე გამომიგზავნეთ და დანარჩენი მე ვიცი. ტოროშელიძესაც უთხარი, რომ საჭიროთაქო. ეხლა, თუ ძმა ხარ, ეს ბარათი სანდრო ახმეტელს გადაეცი. თან შენც მოელაპარაკე. მიკიტენკომ დაწერა ახალი პიესა — „ღვთისმშობლის ბასტილია". პიესას აქ ერთბაშად ამზადებს ხუთი თეატრი. მე ვნახე. ახმეტელის თეატრისათვის კარგია, სამაგისო მასალაა, მასიური სცენები მშვენივრად გამოუვათ მაგათ. შენც ურჩიე. პიესას უკრაინულიდან გადავუთარგმნი მე თვითონ. ყველა ამაზე მოელაპარაკე სანდროს. შენც ვე მომწერე შთაბეჭდილება. აბა, ჩემო მიხეილ, ეს ორი საქმე გააკეთო იქნება. პიესის შინაარსი: სამოქალაქო ომის დროა, როცა დენიკინის არმია იხევს და წითლები იჭერენ უკრაინას.

სცენურად კარგად არის გაკეთებული. სალამიზენი გუცა".

მამა დიდი პატივისცემით სარგებლობდა საზოგადოებაში. ყველგან სასურველი სტუმარი იყო. სადაც უნდა ყოფილიყო, უმალ ყურადღების ცენტრში მოექცეოდა ხოლმე. ქალებიც არანაკლებ პატივით ექცეოდნენ. არ ვიცი, რომელი წელი იყო. ერთხელ, დედა და მამა ვინმე ფირუზოვმა მიიპატიჟა. წვეულება ჰქონდა გამართული. არ ვიცი, სად მუშაობდა, ეს ფირუზოვი, მაგრამ გავლენიანი პირი კი იყო. დაპატიჟებული ჰყავდა აგრეთვე რამდენიმე მწერალი მეუღლითურთ. სტუმართა შორის იმ საღამოს იყო ლისიციანის ქალი, აზიური ცეკვების ბრწყინვალე შემსრულებელი, დამსახურებული მოცეკვავე. ვახშამი ძალზე გაგრძელდა. საზოგადოებამ მოწყენილობა იგრძნო. მაშინ სთხოვეს მოცეკვავე ქალს, რომ თავისი ცეკვით გაემხიარულებინა იქ მყოფი საზოგადოება. იმან გაიღიმა და მამას მიმართა: „წამობრძანდით მეორე ოთახში, მე მინდა მარტო თქვენთვის ვიცეკვო". მამამ გაიღიმა და მეორე ოთახში გაჰყვა. მცირე ხნის შემდეგ იქიდან უზუნდარის ხმა მოისმა. დედამ ღიმილით მიმართა ლისიციანის მეუღლეს: „ჩვენც წავიდეთ და ვნახოთ, რას აკეთებს ჩემი ქმარი და თქვენი ცოლი". მეორე ოთახში რომ შევიდნენ, ნახეს, რომ მამა კარებთან სკამზე ჩამომჯდარიყო, აღტაცებული შესცქეროდა მოცეკვავე ქალს და ტკბებოდა მისი ცეკვით. ის კი ცეკვავდა გატაცებით, თავდავიწყებამდე. ნელ-ნელა ოთახი ხალხით აივსო და ცეკვა რომ დამთავრდა, სტუმრებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს შესანიშნავი მოცეკვავე. მამამ მას სიამოვნებისათვის მადლობა გადაუხადა.

●

ახლოვდებოდა შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე. მამას განზრახული ჰქონდა, დაეწერა ისტორიული რომანი, რომელიც შოთა რუსთაველის ცხოვრებას მიეძღვნებოდა. ამ თემაზე დიდხანს ფიქრობდა. აზრად მთელი რომანი თითქმის დაწერილიც კი ჰქონდა. სიუჟეტი ცხადად ესახებოდა. მაგრამ დამატებით კიდევ საჭირო იყო მასალების შეგროვება, არქივების გადასინჯვა და დიდი შრომატევადი სამუშაოს ჩატარება. არსენამ რომ მკითხველი საზოგადოების მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა, მამამ უფრო თამამად დაიწყო მეორე ისტორიულ რომანზე ფიქრი. ჩვენთან საუბრის დროს მან გვითხრა: დარწმუნებული ვარ, რომ „რუსთაველი", „არსენაზე" ნაკლები არ გამომივა. შეიძლება უკეთესიც იყოს. ეს არის რომ, ძნელი დასაწერია და ამ მცირე დროში ვერ მოვასწრებ. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ კარგი ნაწარმოები უნდა გამოვიდეს, „არსენას" უნდა აჯობოს".

მან განცხადებით მიმართა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს გერმანე მგალობლიშვილს. განცხადებაში აღნიშნული იყო მომავალი რომანის განვითარების მთავარი გეზი. მამა ითხოვდა დამატებით სესხს, რათა მოკლე დროში დაემუშავა ურთულესი და უდიდესი მოცულობის მასალა. მაგრამ მას სესხზე უარი ეთქვა და ამის გამო, რომანის წერა მომავალი დროისათვის გადაიდო. ეს ნაწარმოები, სამწუხაროდ, დაუწერელი დარჩა. ასევე დაუწერელი დარჩა ორი ჩაფიქრებული ისტორიული რომანი: „შამილი" და „გიორგი სააკაძე", რომელთა ირგვლივ მწერალი მასალებს აგროვებდა. ერთ-ერთ წერილში მამა შალვა სოსლანს სწერდა: „ეხლა მე „შამილს" შევუდექი. მასალას ვაგროვებ და შემოდგომაზე დავიწყებ. ამავე თემაზე აქ ტ. ტაბიძე სწერს, მანდ კი — პავლენკო — ორივეს მონოგრაფია გამოუვათ". შემდგომ მამამ გადაიფიქრა ისტორიულ თემაზე რომანის დაწერა, ვინაიდან გამოითქვა აზრი, ეხლა ისტორიული რომანების წერის დრო არ არის, საჭიროა თანამედროვე თემაზე ყურადღების გამახვილება. მამამაც ყურადღება თანამედროვე თემაზე შეაჩერა და „ქალის ტვირთის" წერას შეუდგა.

●

1984 წელს ივნისის თვეში მწერალთა კავშირში პლენუმი გაიმართა. პლენუმზე სიტყვით მამაც გამოვიდა. ის შეეხო მწერლის ოსტატობას, ენისა და ისტორიული თემების საკითხებს და ამის ირგვლივ ილაპარაკა: „მომხსენებელმა გვითხრა... ამ პლენუმს შემოქმედებითი ხასიათი უნდა მივცეთო. ეს სრული სიმართლეა. ბრძოლა ოსტატობისათვის პირველ რიგში არის ჩაყენებული, რომლისთვისაც ხელისუფლება ყოველგვარ პირობებს გვიქმნის. ბრძოლა ოსტატობისათვის, ეს ნიშნავს თავდაპირველად სწავლას და იმ კლასიკოსების ბეჭდვის გაძლიერებას, რომელნიც დაწყებულია. აგრეთვე მივლინებები, ჩვენი გარედ გასვლა, სხვა რესპუბლიკებში, და სხვა. უნდა თანდათან გავშაგრძელეთ ამ ფრონტზე და შევქმნათ მართლაც ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. პირადად ჩემზე თქვეს, რომ მას აღწერა ეზერხებაო. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ განზრახვა იყო. მე ამ თემას დიდი ხანია დავტრიალებდი (იგულისხმება რომანი გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან). ბევრი ქართველი მწერალი დასტრიალებდა მას. ეხლაც დასტრიალებს და მომავალშიც, რადგან ეს ეპოქა მართლაც დაუძ-

ლეველი არის მწერლისათვის. რაც შეეხება ზამილის ამბავს. ეს ამბავი ებლანდელია და მეტად საინტერესო. ამასთან, მოგახსენებთ, რომ ისტორიული თემა ჩვენს სინამდვილეში აკრძალული არ არის, მაგრამ მე მაინც ვარჩიე ამ თემას თავი დავანებო და აი რატომ: ისტორიული თემის ალებისათვის საჭიროა ისტორიას გაეცნო. რუსეთში და ევროპაშიც ეს საქმე ადვილია, რადგან სათანადოდ დამუშავებულია. საკმარისია, რომ მწერალი ერთი ორი თვე გაეცნოს მასალას. ჩვენში კი ამას არ ჰყოფნის ოთხი წელიწადიც. აი, ამ მოსაზრებამ ხელი ამალებინა ზემოაღნიშნულ თემაზე. ამას წინათ ჩვენ ლაშქრობა ჩავატარეთ ენის ირგვლივ. ამ დარბაზიდან ბევრი წავიდა გასისხლიანებული, არც მე დამაკლდა. ერთმანეთსაც გადავკარით, მე მგონია, ეს ლაშქრობა არ უნდა შენელდეს. ერთმანეთის გალაკიდება არ უნდა იყოს. რამდენიმე ანჩხლი სიტყვა წარმავალია, ეს საქმე კი სამუდამოა. ქართველი მწერალი განუწყვეტლივ, დღე და ღამ თავს უნდა დასტრიალებდეს ქართულ სიტყვას, თორემ, ვისაც კარგი გამართული ქართული არ აქვს, მითქვამს და ვიმეორებ, გენიოსიც რომ იყოს, მისი გენიალობა განახევრდება. არ უნდა შევანელოთ ეს ლაშქრობა-მეთქი. ოსი და აფხაზი მწერლების წარმომადგენლებმა ფრიად საგულისხმო მოხსენება გაგვიკეთეს გუშინ. სირცხვილია ჩვენთვის, რომ სოხუმიც და ცხინვალიც აქვე ხელმისაწვდომში არის, რამდენიმე საათის სავალი გზაა ცხინვალამდე და ქართველი მწერალი მხოლოდ გაკვრით, შეიხედავს, რამდენიმე დღეს დარჩება და წამოვა. ჩვენ უნდა ავირჩიოთ მტკიცედ ერთი გზა. ვისაც შეუძლიან წავიდეს დიდი ხნით, უნდა დასახლდეს იქ, თუ დიდი მოთმინება და დრო ექო, ენაც შეისწავლოს, ასე თუ ისე, ყოველნაირი ხერხებით ხელი უნდა შეეწყოს ერთმანეთის გაცნობას და დაახლოებას. ისინიც უნდა ჩამოვიდნენ ქალაქში, ჩვენც გაგვიცნონ, უნდა იყოს კულტურული ძალების ერთმანეთთან დაახლოება. ამ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ იმ დიდი როლის შესრულებას, რომელიც დღევანდელმა ეპოქამ დაგვაკისრა".

რამდენიმე ხნის შემდეგ, მწერალთა კავშირში მეორე პლენუმი გაიმართა, რომელიც სოციალისტური რეალიზმისა და მწერლის სტილის საკითხებს მიეძღვნა. მაშა სიტყვით აქაც გამოვიდა და ილაპარაკა მწერლის შემოქმედებითი მუშაობის საკითხებზე, სოციალისტური რეალიზმის მცნებებზე და სხვა. პლენუმი კვირანობამდის გაგრძელდა და მაშას ღამის პირველის ნახევარზე მოუწია გამოსვლა. ყველა დაღლილი იყო, მაგრამ მაინც ინტერესით უსმენდა, მოგვყავს ეს სიტყვა:

„ამხანაგებო! უკვე პირველის ნახევარია, ამიტომ ჩემს სიტყვას არ გავაგრძელებ. ყოველდღე პრესაში ვკითხულობთ ან საუბარში გვესმის სტილი, სტილი და სტილი? აგრეთვე სოციალისტური რეალიზმი, მაგრამ საბოლოოდ არც ერთი ეს მცნება გარკვეული არ არის. ეს იმიტომ, რომ კრიტიკა მათემატიკური ფორმულით არ გამოიხატება და რამდენიც არ უნდა ვარკვიოთ, ყოველთვის გაურკვეველი დარჩება. ეხლა არსებობს თუ არა საბჭოთა სტილი — „ლესტილ სოვეტიკ" — ასე ამბობენ ევროპაში ამ სტილის შესახებ, რომელიც საბჭოთა სტილის სახით არის გარკვეული და ძლიერ განსხვავდება ყველა კაპიტალისტური ქვეყნების სტილისაგან. როცა აქ გამოდიან და ლაპარაკობენ, ამ მხრივ კი არ გულისხმობენ სტილს, ისინი გულისხმობენ ფილოლოგიური მხრივ და ლაპარაკობენ, უნდა შევქმნათ ფილოლოგიური სტილიო. მთლიანი ფილოლოგიური სტილის შექმნა ყოვლად შეუძლებელია. სტილში, ამხანაგებო, იცნობთ ადამიანს, ვინც დაკვირვებულია, ადამიანშიც შეიძლება იცნოს სტილი, ამიტომ ერთფეროვანი სტილის შექმნა არ არის სასურველი და არც შეიძლება. როცა ამბობენ, ჯავახიშვილი სტილზე არ მუშაობსო, აი, ამაზე უნდა მოგახსენოთ ზოგი რამ. ზოგიერთი რაღაც უცნაურ აზრებს აიჩემებს და მოედება ეს აზრები მოარულივით. ჩვენ ხშირად გვქონია ლაპარაკი კილოკავის შესახებ, რომელიც მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ ლექსიკა და მორფოლოგიური ნორმები სხვადასხვანაირი გვაქვს, არამედ თვით ციტატის აშენებაც კი განსხვავდება — ამერული და იმერული. მაშასადამე უკვე სტილური განსხვავებაა. რამდენადაც მე დავკვირვებივარ და ხშირად მქონია მსჯელობა, შემიმჩნევია რომ ამ გარემოებას არ უწევენ ანგარიშს. არსებობს მოკვეცილი ლაპიდარული სტილი. თქვენ დააკანონეთ ან ერთი ან მეორე. მაგალითად, ავიღოთ ილიასი და აკაკის სტილი. ილიას სტილი უფრო სავსეა, ფერადოვანია, აკაკის სტილი კი უფრო მოკვეცილია და ამას ეძახიან დახვეწილიაო. ნუ ავურევთ ერთმანეთში განმეორებას და მძიმე, მოსაბეზრებელ სტილს. ამას წინათ ავიღე ილიას საუკეთესო მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი" და დავიწყე მისი შეკვეცა, ე. ი. ზედმეტი სიტყვების ამოშლა — აქ სინონიმებიც არის ბევრი. შევკვეცე და ველარ ვიცანი. ილია, ილია აღარ არის. მეორე მხრივ, მე ვეცადე შევსება აკაკის სტილისა და აკაკი, აკაკი აღარ არის. საერთოდ, იმის თქმა, რომ ოდნავ მაინც მოზრდილ მწერალს სტილი არა აქვსო — უდიდესი სისულელეა. ვისაც არ სჯერა, საჯაროდ ვიწვევ. ავიღოთ ერთი და იგივე სურათი, დავწეროთ, მივცეთ შემდეგ ჟიურის გასარჩევად და თუ გამოიცნობენ, მაშასადამე, ამ წერილს თავისი სტილი აქვს. სტენდალი ამბობს: „საუკეთესო სტილი ის არის რომელსაც კითხვის დროს არ არჩევთო". ეს მართალია. როდესაც წიგნს კითხულობთ და წარამარა ბორძიკობთ, რაღაც გეხა-

მუშებათ, როდესაც ხედავთ, რომ მწერალი ენას აწვალებს, — ეს სტილი არვარგა, ამ სტილით ჩვენ მშრომელ ხალხს ვერ დავუახლოვდებით. ამრიგად, მოკლედ მოვჭრი. ამას სტილი არა აქვს, იმას აქვსო, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ყველა მწერალს თავისი სტილი აქვს. თუ ამ გზას ასცდებით და დაიწყებთ სიტყვების ძებნას, მაშინ გრამატიკაზე გადავალთ. ეს კი სულ სხვა საკითხია. როდესაც სტილზე და ენაზე ლაპარაკობდნენ, ერთი რამ დაავიწყდათ — ლექსიკა. შექსპირს თხუთმეტი ათასი სიტყვა აქვს, ხოლო მის თანამედროვეებს — მაქსიმუმ ხუთი ათასი. ესეც გამოდგება სტილის შეფასების დროს. კიდევ ერთი სიტყვა სტილის შესახებ და ამით დავასრულებ. ვინც ამბობს ამა და ამ მწერალს სტილი არა აქვსო; ის მხოლოდ აშკარად ამჟღავნებს იმას, რომ თვითონ არ შეხძლებია სტილის გარჩევა. აბა მაჩვენეთ საზომი! როცა თქვენ მაგგვარი კლასიფიკაცია მოახდინეთ, უნდა საზომიც მოგვეცათ. გამოვიდა ბოლოს და ბოლოს ობივატელური გემოვნება. თქვენ მოგწონთ ივანე, მე მომწონს პეტრე. ამნაირი მსჯელობა არ შეიძლება ამ დარბაზში. მომხსენებელმა ჩამოთვალა ელემენტები დიდი პროზისა — უნდა იყოს ტიპაჟი, ფაბულა. რა თქმა უნდა, შესაფერისი ორნამენტი, სახეები, იდეა და სხვა. ჩვენ ამის შესახებ გაუთავებელი დავა გვქონდა და, მე მგონი, ამ დავას ბოლო უნდა მოეღოს. ეს ძველის გამეორება არის, — კვერცხმა წარმოშვა ქათამი, თუ ქათამმა კვერცხი. რა თქმა უნდა, თუ ყველაფერი: ტიპაჟი, ფაბულა, სიუჟეტი, განვითარებაც, ორნამენტიც იდეალურია, მაშინ ნაწარმოები სრულყოფილია. პრიმატს, ელემენტებს შორის ვერც ერთს ვერ მივაკუთვნებთ. მაგრამ ორი მაინც არსებობს —ტიპაჟი და ფაბულა. დაუვიწყარი დონ-კიხოტი გააქვს ორ ტიპს და ფაბულას, იგივე არის ბალზაკი, ფლობერი, ზოლაც, მოპასანიც და ყველა დიდი პროზაიკოსი. რა თქმა უნდა, პოეზიისათვის ეს სავალდებულო არ არის, ზოგჯერ არც ტიპია, აზრიც კი არ არის, თუნდაც ვერლენს აქვს მაგნაირი პოეზია, მაგრამ იმაზე საუკეთესო ლექსს ვერ იპოვით“.

●

როგორც უკვე ვთქვით, იმ დროს „არსენა მარაბდელიც“ მოხვდა კრიტიკის ქარცეცხლში და აღინიშნა, ამ რომანში ნაციონალისტური ელემენტები შეიმჩნევაო. რადგან ამის შესახებ ერთხელ ითქვა, შემდეგ ამ აზრს იმეორებდნენ და ეს ხმა მოსკოვშიც კი მიაწვდინეს, სადაც ეს წიგნი რუსულ ენაზე იბეჭდებოდა. ხარკოვშიც გაიმეორეს იგივე აზრი და ამიტომ მამა ძალზე განერვიულებული იყო. ყველაფერი ეს ცილისწამებად მიაჩნდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მოუხდა გამომცემლობებში საკმაოდ პრინციპული წერილების მიწერა და მწერალთა კავშირში პლენუმზე რომ გამოვიდა, თავის სიტყვაში სოციალისტური რეალიზმისა და სხვა საკითხებთან ერთად, ამ საკითხსაც შეეხო. მან თქვა: „კიდევ ხუთჯერ [illegible] დამჭირდა ჩემი ნაციონალიზმის შესახებ რამდენიმე სიტყვა ვთქვა. ჩვენს პირობებში ეს სიტყვა, ეს მცნება, ნაციონალიზმი ძალიან მჭრელ იარაღად გადაიქცა. მაგალითად, ერთმა ჩვენმა ამხანაგმა მოსკოვში ილაპარაკა ნაციონალისტური ნაკადები არის არსენაში და ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ „არსენა მარაბდელი“ უკრაინაში ისე გაცხრილეს, რომ მწერენ, თქვენ თვითონ ვერ იცნობთო. ჭერ მომწერეს, გადააკეთეთო, მე მივწერე, თქვენ გყავთ მთავლიტი და ეს მისი საქმეა-მეთქი .ამ საბაბმა არ გასჭრა. მოსკოვმა რომ სრული ვიზა მისცა, მაინც დაამახინჯეს. ახლა რაზეა ეს აშენებული? რამ მისცა საბაბი ზოგ კრიტიკოსს, თუნდაც მცირე ნაციონალიზმი აღმოეჩინათ ჩემს დამოკიდებულებაში იმ მებრძოლ ხალხისადმი, რომელსაც ნიკოლოზ პირველი იპყრობდა, შამილს, ჰაჯი მურატს და სხვა. მე მითქვამს და უნდა გავიმეორო, თუ როგორ ეპყრობოდა მარქსი ამ მომენტებს. ნუთუ ნიკოლოზ პირველის მომხრე იყო ამ საკითხებში? რასაკვირველია, არა. ის მიემხრობოდა ჰაჯი მურატს, შამილს და ალექსანდრე ბატონიშვილს, რომლებსაც იარაღით და მახვილით იპყრობდა ნიკოლოზ პირველი და იქით არის ჩემი სიმპატია. მარტო ის რად ღირს რომ ჩეჩნების ერთი მესამედი გაიჟლიტა იმ ომში, განა მათდამი სიმპატია არის ნაციონალიზმი? ანდა შეთქმულებისადმი სიმპატია? იქაც ისეთივე მდგომარეობა იყო.

უკანასკნელი საკითხი სოციალისტური რეალიზმის შესახებ. ამაზე ჩვენ გაუთავებლად ვლაპარაკობთ და ალბათ კიდევ დიდხანს ვილაპარაკებთ. თავდაპირველად უნდა გავიგოთ, რა არის რეალიზმი. ამაზე დავა ზედმეტია, უკვე იმიტომ, რომ ჩვენ ეს ყველას გვესმის და ცალკე მაგალითებს დავასახელებთ მაშინ, როდესაც საუბარი გვექნება, თუ რამდენი პროცენტი აქვს რეალიზმის პუშკინს თავის ნაწარმოებებში და რამდენი რომანტიზმი. განა ზოლას არა აქვს რომანტიზმის ნაკადი? რასაკვირველია, აქვს. დიდი კლასიკოსები. დაწყებული სერვანტესიდან, ყველანი რეალისტები არიან. აქ თქვეს შექსპირის და ლანდების შესახებ. ეს ლანდები დიდებულად აქვს ახსნილი მეცნიერულად—გალუცინაციაა. მაშასადამე, საკითხი ასე სდგას: აბსოლუტური სიზუსტით ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ, რა არის რეალიზმი, მაგრამ მაინც გვესმის მრავალი მაგალითების მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ის არსებობს. მაგრამ ასი პროცენტით რეალიზმი უკვე არ არსებობს. ასპროცენტიანი რეალიზმი უკვე ნატურალიზმია. ნატურ-მორტ-ფოტოგრაფიზმი. რა არის სოციალისტური რეალიზმი? ყველა ეძებს საექიმო რეცეპტს ამდენი გრამი სალოლი, ამდენი გრამი ეს და ეს და სხვა. რეალიზმი არის ფორმა. სოციალიზმი არის შინაარსი. არ ვიტყვი, რომ ეს არის ერთადერთი განმარტება, ვინაიდან თუ ავიღებთ ლექსიკონს, დავინახავთ, რა არის რეალიზმი, სხვადასხვა ფორმულას ნახავთ. მაგრამ ეს არ არის ძალიან ვიწრო კალაპოტი, სადაც ჩვენ უეჭველად დავიხრჩობოდით. იგი საკმაოდ განიერია, ერთის მხრივ, მას მიჯნად აქვს ნატურალიზმი, მეორეს მხრივ, — პირწავარდნილი რომანტიზმი. ეს ისეთი განიერი მდინარე არის, რომ ოკეანეს გემები შევლენ და ძველ ნავებს კი თავისუფლად შეუძლია იქ ნავარდი. აქ იყო ნახსენები გმირის ახახვა. რა თქმა უნდა, მარტოოდენ პირწავარდნილი ნატურალისტური ხერხით გმირის ახახვა არ შეიძლება. მეტისმეტად წვრილმანი და მეტისმეტად ჩვეულებრივი ადამიანი გამოვა. აი, აქ უნდა მივუშვათ ცოტა რომანტიული ნაკადი — რომანტიზმი. ერთ ზანდი ასე სწერდა ფლობერს — ის თავისთავს უწოდებდა რომანისტს, იმას კი რეალისტს — თქვენ, რეალისტები ისე ხედავთ ცხოვრებას, როგორიც არისო. ჩვენ კი, რომანტიკოსები, ისე ვხედავთ ცხოვრებას, როგორც ჩვენ გვინდაო. აი ეს აუცილებლად უნდა დაიცვათ, როცა თქვენ ახწერთ გმირს, ან თუნდაც გმირი არ არის, მაგრამ სწერთ საგმირო მშენებლობაზე, მაშასადამე, რევოლუციონური რომანტიზმი, ერთგვარი დოზა ამ რომანტიზმისა, აუცილებელი არის. სხვათა შორის, მეც ვცადე ეს ხერხი არსენაში. ბავშვობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ხავსებით ისეთი იყო არსენა ან ხევასტი, როგორც არის აწერილი“.

1984 წლის ივნისის თვეში ქართველი მწერლების ერთი ჯგუფი ეწვია ქარხანა „ნეფტებურმაშის“ მრავალეროვან კოლექტივს. ეს შეხვედრა მწერლებისა, ქარხნის მშრომელებთან, პარტიულ აქტივთან გაზეთ „ნა რუბეჟე ვოსტოკას“ რედაქციის თაოსნობით მოეწყო. შეხვედრას მამაც ესწრებოდა. მწერლებმა დაათვალიერეს ქარხანა, რომელიც იმ პერიოდში მშენებლობის პროცესში იყო და მუშების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ. მამამ თავის სიტყვაში თქვა: „მე ვიმოგზაურე და დავათვალიერე საბჭოთა კავშირის უდიდესი ქარხნები და დავრწმუნდი, რომ თქვენც, ამ ქარხნის მუშები, ისეთივე დიდ საქმეს აკეთებთ, როგორსაც იმ ქარხნების მუშები აკეთებენ. ჩვენ სურვილი გვაქვს ქარხნის ცხოვრებას გავეცნოთ, მაგრამ ამისათვის ერთხელ მოსვლა საკმარისი არ არის. ახალი ადამიანის ტიპის ახახვისათვის საჭიროა მისი სისტემატური შესწავლა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ლიტერატურამ უნდა ასახოს ოპტიმიზმი და სიხარული ახალი ცხოვრების მშენებლობისა, იცვლება ჩვენი ფსიქიკა, ჩვენი აზროვნება, დღევანდელმა ჩვენმა შეხვედრამ და საუბარმა გვაჩვენა, რომ ჩვენ ცხოვრებასთან ფეხდაფეხ მივდივართ“.

მეორე დღეს. ზემოხსენებულმა გაზეთმა დაბეჭდა ამ შეხვედრის ანგარიში, ექვსი ქართველი მწერლის ფოტოსურათი, აგრეთვე შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვები, მათ შორის მამას სიტყვაც დაიბეჭდა. ფოტოზე აღბეჭდილნი არიან: ნ. ლორთქიფანიძე, ნ. მიწიშვლი, ტ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, მამა და ი. აბაშიძე. ეს ფოტოსურათები ცუდი ხარისხისა გამოდგა, ბუნდოვანი და ლაქებით დაფარული იყო, მან სახე შეუცვალა ჩვენს მწერლებს და პატიმრებს დაამსგავსა. ამის გამო მამა გაბრაზდა და ფოტოებს მკაცრი ხასიათის წარწერა გაუკეთა: „ეს ტიპები —- კატორღელები და დეგენერატები — ლამბროზოს წიგნიდან და დოროშევიჩის „სახალინიდან“ ამოულიათ. მ. ჯ.“

●

1984 წელს ჟურნალ „სოვეტსკოე კინოს“ მთავარმა რედაქტორმა მოსკოვიდან ოფიციალური წერილი გამოუგზავნა მამას, სადაც თხოვდა გამოეთქვა თავისი აზრი კინოდრამატურგიაში მუშაობის თაობაზე. ამისათვის საჭირო იყო ეპასუხა კითხვებზე: რა დაწერეთ კინოსთვის, რის დაწერას ფიქრობთ კინოსთვის მომავალში, თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს განსხვავება ლიტერატურული კინოსცენარისა, ლიტერატურული ნაწარმოებების სხვა სახეობებთან შედარებით, და ბოლოს: რა მონაწილეობა უნდა მიიღოს მწერალმა ფილმის წარმოების პროცესში.

ამ კითხვებზე მამამ პასუხი გასცა: თავის წერილს ასეთი სათაური მისცა: „О защитниках скуки“. წერილი ჟურნალის მეათე ნომერში გამოქვეყნდა. იქვე მამას ფოტოსურათიც დაიბეჭდა.

წერილში მამა მოკლედ აცნობდა მკითხველს თავის მოსაზრებებს კინოდრამატურგიასა და, კერძოდ ხელოვნების ამ დარგისადმი თავის დამოკიდებულებაზე. მას მიაჩნდა, რომ ფილმზე მუშაობის პროცესში მწერალი-ავტორი მთავარი კონსულტანტი უნდა ყოფილიყო. მასალის დამუშავებისას აქტიური როლი უნდა ენიჭებოდეს სიუჟეტის განვითარებასა და ტიპების გახსნას, ეს მასალა კი ყველაზე უკეთ იცის თვითონ მწერალმა, მიუხედავად იმისა, მან დაწერა სცენარი, თუ სხვა ვინმემ ისარგებლა მწერლის მოთხრობით ან ნოველით, თავისი მუშაობის შესახებ კინოში მან აღნიშნა: „რაპის ბატონობის ხანაში მე ვეცადე კინოში მემუშავა, მაგრამ საკადრისი წინააღმდეგობა მივიღე და ამის შემდეგ გვერდზე გავდექი.“ კინოსცენარის ჟანრის თაობაზე კი წერდა: „მე ისე-

თივე გატაცებით წავიკითხე რამდენიმე კარგად დაწერილი სცენარი, როგორც კარგი პიესა ან ნოველა წამიკითხავს. მიუხედავად ამისა, გამიძნელდება დამოუკიდებელი ჟანრის ვუწოდო. ის ჯერ არ შესულა ლიტერატურის ისტორიაში და შევა თუ არა, კიდევ საეჭვოა. ჩვენ გვირჩევენ დავდგათ გასართობი ფილმები. ამის გამო მოსაწყენი და უფერული სურათების დამცველნი უკმაყოფილონი არიან. მათ ჰგონიათ, რომ გასართობი ფილმი გამორიცხავს იდეურობას. მე კი მგონია, რომ მათ ვერ ძალუძთ შექმნან მაღალმხატვრული ფილმი და ძალაუნებურად აგიტაციას ებღაუჭებიან. მწერალთა ყრილობამ ნათლად დაამტკიცა, რომ ლიტერატურა მიჰყვება სწორ გზას, რომელიც დაუსახა 28 აპრილს ცეკას დადგენილებამ. კინოს მუშაკები რამდენადმე ჩამოგვრჩებიან ჩვენ და საჭიროა დაგვეწიონ და ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ იარონ“.

●

იმ მწერლებს შორის, რომელსაც მამა მაღალ შეფასებას აძლევდა, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გორკის რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ახალგაზრდა მწერლის ადრეული პერიოდის შემოქმედებაზე. თავის ავტობიოგრაფიაში ამის თაობაზე მამას უწერია: „ჩემი სამწერლო მოღვაწეობის პირველ ხანაში (1903-1908 წ.) ერთგვარ გავლენას განვიცდიდი ფლობერის, მოპასანის და გორკისა.“ შემდგომ ის განთავისუფლდა ამ ზეგავლენისაგან და საკუთარი ხელწერა და სტილი გამოიმუშავა.

მამა გორკის დიდ მწერლად, უდიდეს მოქალაქედ და მრავალმხრივ საზოგადო მოღვაწედ თვლიდა. ის წერდა: „გორკი შეუდარებელი მთხრობელია, ის უდიდესი ოსტატია მხატვრული სიტყვისა. სანიმუშოა მისი დახვეწილი მანერა წერისა. მისი სიზუსტე, სინათლე,, სადა ენა, ტიპების ასახვის უნარი. ვაჟკაცური სიტყვა და ჯანსაღი სოციალისტური რეალიზმი“.

გორკის შემოქმედებიდან განსაკუთრებით მოსწონდა „ჩემი უნივერსიტეტები“ და ლევ ტოლსტოის პორტრეტი. მას მიაჩნდა, რომ მემუარულ და საპორტრეტო ლიტერატურიდან ამ ნაწარმოებებს სხვა ვერ შეედრებოდა. „ამ ჟანრის მწვერვალზე, — წერდა იგი, — გორკის გარდა, ჯერ ვერავინ ასულა“.

ადრეულ პერიოდში გორკიმ გავლენა მოახდინა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობაზე და პირადად მამაზე. „ზოგი მწერალი მკითხველს და სახელს ხანგრძლივი ბეჯითი შრომით შოულობს. გორკიმ იგი სამიოდე წელიწადში მოიპოვა, იმიტომ მოიპოვა ასე ადვილად, რომ მან, უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულმა, სრულებით ახალი სტილით ახალი სამყარო ათასნაირი მსოფლშეგრძნობით გვაჩვენა. მის მოთხრობებში აჯანყებული სული ხდუღდა ვულკანივით და ეს სული ჩვენი საკუთარი სული იყო, ვინაიდან ჩვენც — მაშინდელი ახალგაზრდობაც — იმგვარადვე ვდუღდით და ჩვენს თავი იმ გრიგალის წინამორბედად მიგვაჩნდა, რომელიც პირველად 1905 წელს და მერმე 1917 წლებში ამოვარდა“, წერს მამა.

თავისი ცხოვრების მანძილზე, სხვადასხვა დროს, მამა რამდენჯერმე შეხვედრია გორკის. პირველად იალტაში ნახა. მაშინ მამა ნიკიტის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოწაფე გახლდათ. აი როგორ იგონებს თვითონ ამ შეხვედრას: „...მე და ჩემი ამხანაგები ორჯერ შევხვდით გორკის იალტაში (1900 ან 1901 წწ.) თან გავყევით და კარგად შევათვალიერეთ. ახლაც თვალწინ მიდგა მაშინდელი გორკი. დაახლოებით 31-32 წლისა იქნებოდა, ძლიერ მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო. წვერი გაპარსული ჰქონდა. მეტად გრძელი პალტო ეცვა, ფეტრის განიერი შაპო ეხურა, დიდი, ჯოხი ეჭირა და მკაცრი სახე ჰქონდა. მხოლოდ ორიოდე წლის შემდეგ ვიგდე ხელთ გორკის მოთხრობები და ხარბად დავეწაფე. ყველაფერმა გამაოცა და გამიტაცა: მისმა წერის ძალამ, ახალმა თემამ, ახალმა სამყარომ, ახალნაირმა სახეებმა, წერის დახვეწილობამ, ენის სინათლემ, სისადავემ, გამჭვირვალებამ, ტიპების ასახვის მანერამ, მისმა ორიგინალობამ და ფილოსოფიამ. ამგვარი რამ ჯერ არ წამეკითხა“.

მეორედ გორკის გორის ციხეზე შეხვდა. ეს საინტერესო შეხვედრა იყო. მოვიყვანთ ადგილს ამ მოგონებიდან: „1902 ან 1903 წელს გორის ციხეზე ავდიოდი უკანა მხრიდან. ნაწვიმარი იყო. სველ ბალახს ფეხი ძლივს ეკიდებოდა — ავდიოდი და ზოგჯერ უკანვე ვცურდებოდი. უცებ ჩემ წინ ვიღაც კაცი მოსხლტა, წაიქცა და ჩემსკენ დაცურდა. რომ დამჯახებოდა, მეც ქვევით ჩამიტანდა. მე ცალი ხელი ბუჩქს ვტაცე, მეორე ხელი იმ კაცს ჩავავლე, შევაჩერე და გავშტერდი: დიდი მწერალი მაქსიმ გორკი ვიცანი. წამოდგა, მადლობა გადამიხადა.

— ალექსი მაქსიმოვიჩს ვახლავარ, — მივესალმე მე.

იმანაც გაოცებით გადმომხედა და ვინაობა გამომკითხა. მე მოკლე პასუხი გავეცი და დავუმატე: იალტაში მინახიხართ-მეთქი“.

გორკი დაინტერესდა მამას ვინაობით და გამომკითხა, თუ რა საქმიანობას ეწეოდა და მომავალში რა სურდა გაეკეთებინა. მამაჱ მოკლედ მოუთხრო თავისი ცხოვრების ამბავი და ბოლოს უთხრა, მწერლობას ვაპირებ. მამა იგონებს: „გორკიმ მომიწონა, მაგრამ გამაფრთხილა: — მწერლობა მეტად მძიმე ხელობაა,

ამ ასპარეზზე ათიათასობით გამოსულან და მხოლოდ ათეულები დარჩენილან. მითხრა, თუ ნიჭსა და შრომის უნარს გამოიჩენთ, დაგაფასებენო“.

მესამედ მათი შეხვედრა თბილისში მოხდა, 1928 წელს. ივლისის ბოლო რიცხვებში გორკი თბილისში ჩამოვიდა. იტალიიდან ახალი დაბრუნებული იყო და საბჭოთა კავშირის ქალაქებში მოგზაურობდა. ჯერი საქართველოზედაც მიდგა. 23 ივლისს, საღამოს 8 საათზე, თბილისის სადგურზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი. — მაქსიმ გორკის ხვდებოდნენ. მწერლებს შორის მამაც იმყოფებოდა. ჩვენი საზოგადოება საზეიმო განწყობილებით ხვდებოდა დიდ მწერალს. სადგურიდან ის მწერალთა სასახლეში მიიწვიეს, სადაც მის პატივსაცემად მწერლებს ბანკეტი გაემართათ. ქართველი მწერლების ფედერაციის სახელით იმ საღამოზე გორკის მიესალმა მამა და სიტყვა წარმოსთქვა. გორკიც საპასუხო სიტყვით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ესოდენ გულთბილი შეხვედრისათვის.

მეორე დღეს, 24 ივლისს, საღამო ჟამს, ხელოვნების სასახლეში კვლავ შეხვდნენ გორკის, აქაც პირველი სიტყვით მამამ მიმართა. დღისით კი მწერლებმა გორკისთან ერთად, მწერალთა კავშირის ბაღში სამახსოვრო სურათი გადაიღეს. ეს ცნობილი სურათია და რამდენჯერმე დაიბეჭდა პრესაში. ამ სურათზე გალაკტიონ ტაბიძე და მამა უკანა რიგში დგანან და გალაკტიონს ხელი აქვს მამასთვის გადახვეული... შემდეგ მწერლებმა გორკი ზაჰესში, ელექტროსადგურის დასათვალიერებლად მიიპატიჟეს. აქაც სამახსოვრო სურათი გადაიღეს. სურათზე აღბეჭდილია გორკი, მუშებთან და ტექნიკოსებთან ერთად. იქვე მამაც მოჩანს.

მამამ პირად საუბარში გორკის გაახსენა გორის ციხეზე მათი შეხვედრის ამბავი. საღამოზე გორკიმ სიტყვა წარმოთქვა. აი, რას წერს მამა ამაზე: „როცა მან ლიტერატურული გავლენის მაგალითები ჩამოთვალა, მე რეპლიკა მივაწოდე: სტენდალმა ტოლსტოიზე ძლიერი გავლენა მოახდინა-მეთქი. გორკის „ძლიერი“ ეუცხოვა. მე გავახსენე მას, რომ ტოლსტოიმ ისეთივე თვალით დაინახა ბოროდინოს ბრძოლა და პიერ ბეზუხოვი, როგორც სტენდალმა ასწერა ვატერლოო და თავისი გმირი, რომელსაც ძლიერ ჰგავს-მეთქი ბეზუხოვი. გორკი მაინც არ დამეთანხმა. სიტყვა „ძლიერი“ ეჩოთირებოდა“.

გორკის თბილისში ყოფნის დროს მამამ მას თავისი მოთხრობების კრებული აჩუქა. ეს იყო „ლამბალო და ყაშა“, რომელიც 1927 წელს რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა რუსულ ენაზე, მასში სამი მოთხრობა შედიოდა „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“ და „ჯაყოს ხიზნები“. წიგნზე ასეთი წარწერა გააკეთა: «Максиму Горькому — северному великану и лучшему гражданину новой России, вечному искателю правды борцу за человечность — от автора, который многому от вас научился. М. Джавахишвили. 23.VII—1928. Тифлис, Верийский спуск, № 21».

მამას მიერ ნაჩუქარი წიგნი დაიკარგა, ავტოგრაფი კი გადარჩა და ამჟამად გორკის არქივში ინახება.

1934 წელს მამა გორკის საკავშირო მწერალთა პირველ ყრილობაზე შეხვდა. ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. მამას ასე აქვს აღწერილი ეს შეხვედრა: „ყრილობის დროს გორკიმ სამოციოდე მწერალი მოგვიწვია თავის აგარაკზე. იმის თავმჯდომარეობით თათბირი გაიმართა შესახებ ეროვნულ უმცირესობათა კულტურის გაცნობისა. თათბირის შემდეგ ბაღში გავიარეთ. მან რამდენიმე კითხვა მომცა: რა ადგილი აქვს დათმობილი რუსულ ენას ქართულ სკოლებში, რომელი რუსი მწერალი ვთარგმნეთ ქართულად, ყველაზე მეტად ვინ უყვარს ქართველ მკითხველს“.

1936 წელს კი, გორკი რომ გარდაიცვალა, მამამ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი გამოაქვეყნა და გორკის „საბჭოთა მწერლობის მარშალი“ უწოდა. ეს ასე მოხდა: საქართველოში გორკის გარდაცვალების ცნობა მოვიდა თუ არა, პრესის მუშაკები სამზადისს შეუდგნენ, რომ ეს სამწუხარო ამბავი მეორე დღესვე ფართო საზოგადოებისათვის ეცნობებინათ. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ მწერლებთან თავისი კორესპონდენტები დაგზავნა თხოვნით, გორკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაეწერათ რამე. რედაქციის თანამშრომელი ბებუთოვი იგონებს, რომ პირადად შინ ეწვია მამას და სთხოვა წერილი დაეწერა. ეს მასალა მეორე დღისათვის მზადდებოდა და ამიტომ სასწრაფო იყო. მამას უთქვამს, მცირე ხანს მოიცადეთ, სანამ წერილს დავწერო, ბებუთოვი იქვე სკამზე ჩამომჯდარა, მამა კი მაგიდას მისჯდომოდა და მის თვალწინ წერილი დაუწერია. წერილი მეორე დღესვე გამოქვეყნდა გაზეთში. მამა წერდა: „გორკის სიკვდილმა საბჭოთა კავშირის მშრომელთ თავზარი დასცა და გულწრფელი კაეშანი მოჰგვარა... მეტად თავისებურია განსვენებული მწერლის ბიოგრაფიაც და სტილიც. ხალხის ქვემო ზოლს მრავალი დიდი მოღვაწე წარმოუშვია, მაგრამ ფსკერს ჯერ არც ერთი გორკის ტოლი არ მოუცია. განა გასაოცარი არ არის, რომ ადამიანმა მაწანწალობით დაეწყოს და მწერლობის მარშლობით დაასრულოს?.. შარშანწინ მწერალთა ყრილობაზე მან გვითხრა: „პუშკინი საბჭოთა კავშირის ყველა ერს ეკუთვნისო. ახლა ჩვენ ვამბობთ: გორკიც ყველა ერს ეკუთვნის, როგორც რუსთაველი და ყველა კლასიკოსი საბჭოთა ყველა ერისა“.

ახლოვდებოდა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა, ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მოვლენა მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში, მწერალთა სულიერ ცხოვრებაში. მწერლების მთელი ყურადღება ყრილობისაკენ იყო მიმართული. ამასთან დაკავშირებით, მწერალთა კავშირში დიდი მუშაობა გაჩაღდა, მამაც ყრილობის გახსნას მოუთმენლად ელოდა. საქართველოდან წარგზავნილ დელეგატთა შორის ისიც იმყოფებოდა და მაღალი ტრიბუნიდან სიტყვით უნდა გამოსულიყო. წერდა თავის სიტყვას და თან მწერალთა კავშირის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ყველას საზეიმო განწყობილება დაუფლებოდა, და, ამასთანავე, ელოდა, რომ ყრილობა ახალ ამოცანებს დაუსახავდა მწერლობას, შეაჯამებდა განვლილ გზას. ყველა ახლის მოლოდინში იყო. როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ამ ყრილობაზე უნდა გაუქმებულიყო სხვადასხვა დაჯგუფებანი, რომლებიც იმ დროს მწერლობაში არსებობდა და შექმნილიყო მწერალთა ერთიანი კავშირი, რაც მწერლებს, მათ რიცხვში მამასაც, შემოქმედებითი წინსვლის დიდ იმედებს უსახავდა.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მალაქია ტოროშელიძეს დავალებული ჰქონდა ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენება გაეკეთებინა. ამ საქმეში ჩაბმული იყო მწერალთა და ლიტერატორთა დიდი ჯგუფი და მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოხსენებაზე მუშაობა მოსკოვში მგზავრობის დროს, გზაშიც კი გრძელდებოდა. აი რას იგონებს ბესო ჟღენტი ამის თაობაზე: „ყრილობის გახსნამდე ერთი კვირაღა იყო დარჩენილი. მ. ტოროშელიძემ თან გაგვიყოლია მოსკოვს მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და მე. საგანგებო ვაგონი გამოგვიყვეს. ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყავით იმისათვის, რომ გზაშიც დაძაბული სარედაქციო მუშაობა გაგვეგრძელებინა მოხსენების ტექსტზე. მაშინ მატარებელი მოსკოვისაკენ ბაქოს გავლით მიდიოდა და თითქმის ოთხი დღე-ღამე უნდებოდა ამ გზას. მთელი ამ ხნის განმავლობაში, განთიადიდან შუაღამემდე მაგიდას ვუსხედით, თავიდან ბოლომდე ისევ და ისევ ვკითხულობდით მოხსენების ტექსტს, ვზომავდით და ვწონიდით ყოველ ფრაზას, ვაზუსტებდით ყოველ ფორმულას, ვხვეწდით ყოველ სიტყვას. ვღელავდით, ძლიერ ვღელავდით“.

მამას არქივში ინახება ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ წიგნად გამოცემული.

ყრილობა საზეიმოდ გაიხსნა 1934 წელს 17 აგვისტოს კავშირების სვეტებიან დარბაზში, ყრილობას მეთაურობდა და მის მუშაობას უძღვებოდა მაქსიმ გორკი. საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, არჩეული იქნა ყრილობის თავმჯდომარე და პრეზიდიუმის 52 წევრი, რომელთა შორის, საქართველოდან მალაქია ტოროშელიძე და მამა იქნენ დასახელებულნი. მამა წერდა: „ჩემზე და ყველაზე განუსაზღვრელი შთაბეჭდილება იმან მოახდინა, რომ ერთ დარბაზში 58 ეროვნებამ მოიყარა თავი და ეს 58 ენა ბოლოს და ბოლოს ერთ ენაზე მეტყველებდა. ამგვარი გამოფენა ჯერ არსად არ ყოფილა. ვისი სულიერი და ფიზიკური სახე არ იყო იქ! ქურთი და ჩუვაში, ებრაელი და ტაჯიკი, იტალიელი და უზბეკი, თბილისელი და ოსი, ფრანგი და ბურიატი, მონღოლი და ესპანელი — ყველას მოეტანა თავისი სული, თავისი აზრი, ძველი ტრადიცია და ახალი რწმენა. ამ გამოფენის შესწავლამ და ერთმანეთის გაცნობამ ყველა მწერალს მრავალი რამ შესძინა და მისი გონებრივი არე გააფართოვა. განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა ქართულმა მწერლობამ და, კერძოდ, ტოროშელიძის მოხსენებამ, რომელიც მოულოდნელი აღმოჩნდა ყრილობისათვის აღნაგობისა და გაშუქების მხრივ. გავიხსენოთ მახლობელი წარსული. ჩვენი კლასიკოსების შეფასებაში ძლიერ დავიგვიანეთ. მათი შემოქმედების ნიმუშები თითქმის სულ ამოვაგდეთ სახელმძღვანელოებიდან, ეხლა კი რუსთაველის სურათი სხვა კლასიკოსებთან ერთად, ყრილობის დარბაზს ამშვენებდა“.

1934 წელს 20 აგვისტოს დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს დელეგაციის მეთაური მ. ტოროშელიძე. ამ სხდომას მიხეილი თავმჯდომარეობდა.

ტოროშელიძემ თავის მოხსენებაში. მიხეილის შემოქმედებასაც გარკვეული ადგილი დაუთმო. 21 აგვისტოს კი, დილის სხდომაზე, კამათში სიტყვით მამაც გამოვიდა. მან ილაპარაკა 23 აპრილის დადგენილებაზე, მწერლის უფლებასა და მოვალეობაზე, საბჭოთა სტილზე და თარგმანის საკითხებზე. სომხეთის მწერალმა ბაკუნცმა, თავის გამოსვლაში მამაც დაასახელა, მან აღნიშნა, რომ ჩარენცისა და ჯავახიშვილის წიგნებით უნდა გამდიდრდეს საბჭოთა ლიტერატურა. ბოლო სხდომა ოცდამეექვსე იყო. იგი 1 სექტემბერს საღამოს გაიმართა. ამ სხდომაზე საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობა იქნა არჩეული. გამგეობის შემადგენლობაში 101 დელეგატი შევიდა. საქართველოდან გამგეობაში სამი კაცი დაასახელეს: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი და სანდრო ეული. 2 სექტემბერს გამგეობის პირველი პლენუმი შედგა. არჩეულ იქნა საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში, საქართველოდან, მ. ტოროშე-

ლიძე და მიხეილი იყვნენ დასახელებულნი. ამით მწერალთა საკავშირო პირველმა ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

ყრილობის მუშაობის შუალედში საბჭოთა კავშირის ცეკას მდივანმა, გამოჩენილმა პარტიულმა მუშაკმა აბელ ენუქიძემ, საქართველოს მთელი დელეგაცია თავისთან, კრემლში მიიწვია. ისაუბრეს ქართული ლიტერატურის საკითხებზე, შემდეგ დელეგატებმა კრემლის ღირსშესანიშნაობანი დაათვალიერეს და აბელ ენუქიძესთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღეს. დელეგაციის წევრებს გადაეცათ ფულადი ჯილდო.

„შემდეგ — იგონებს მამა, — ამას ზედ დაერთო ქართული პოეზიის საღამო, ქართული დრამატურგიის საღამო, წერილები, ანკეტები, გამოსვლა რადიოში, გამოსვლა ყრილობაზე ექვსი ქართველი მწერლისა. განხილვა რამდენიმე თარგმნილი ქართული წიგნისა. წიგნების გამოფენა და სხვა. მგონი გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი: საქართველოს დელეგაციას თავი არ შეურცხვენია".

მიხეილმა ყრილობაზე სხვა ჯილდოც მიიღო. ქ. ფოთის მშრომელებმა საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობას საჩუქრად გაუგზავნეს ადგილობრივი გაზეთი „ფოთის მუშა", რომელიც ყრილობის გახსნის წინა დღეს, 1934 წლის 15 აგვისტოს გამოვიდა. გაზეთი ჩვეულებრივ ქაღალდზე კი არა, თეთრ აბრეშუმის ნაჭერზეა დაბეჭდილი. ეს თავისებური მილოცვა იყო ყრილობისადმი. გაზეთის მხოლოდ რამდენიმე ცალი დაიბეჭდა აბრეშუმის ნაჭერზე და მოსკოვში გაიგზავნა. ერთი ცალი მამასაც უსახსოვრეს. ამ გაზეთთან დაკავშირებით თავისი ხელით ასეთი წარწერა აქვს ცალკე ქაღალდზე გაკეთებული: „მივიღე მოსკოვში, მწერალთა პირველ ყრილობაზე. მეორე ცალი მიიღო მაქსიმ გორკიმ, მესამე — მ. ტოროშელიძემ, მეოთხე — ანრი ბარბიუსმა". ეს საინტერესო რელიქვია მწერლის პირად არქივს შემორჩა და იქ ინახება.

კიდევ ერთი სამახსოვრო ჟურნალი ჩამოიტანა მოსკოვიდან მამამ. ეს არის ქ. როსტოვის ბიბლიოთეკების მკითხველთა მიერ შედგენილი განაწესი, რომელიც მწერალთა ყრილობის დელეგატებს მიეძღვნა. განაწესი წარმოადგენს მკითხველების მოთხოვნას, თუ რა თემაზე უნდა წერონ მწერლებმა თავიანთი ნაწარმოებები, რა უფრო აინტერესებს საბჭოთა მკითხველს. განაწესი შეიცავს ექვს გვერდს და დიდი ფორმატისაა. მამამ თქვა, ამ განაწესს პირველ რიგში ანგარიში უნდა გაუწიონ რუსმა მწერლებმა, ქართველ მწერლებს კი რამდენადმე განსხვავებული თემატიკა აქვთ, მაგრამ ის, რაც ამ განაწესში წერია, ქართველ მწერლებსაც შეეხებაო.

1934 წელს მოსკოვში გამოვიდა ჟურნალ „პროჟექტორის" მორიგი, მეექვსე ნომერი. ერთ-ერთ გვერდზე დაბეჭდილი იყო მ. ხრაპკოვსკის მეგობრული შარჟი, რომელიც მწერალთა ყრილობას მიეძღვნა. სურათზე გამოსახული იყო მწერლების ასვლა შემოქმედებით მწვერვალზე. ზევით მთაზე იდგა მაქსიმ გორკი, მას მოსდევდა მწერლების საკმაოდ დიდი არმია. ქართველი მწერლებიდან იქ მხოლოდ მამა იყო გამოყვანილი. იგი 28 ნომრით მიდიოდა, ზურგზე აკიდებული ზურგჩანთით. ქვემოთ ასეთი წარწერა ჰქონდა: «Джавахишвили (28) прирожденный горец, всегда готовый к дальнейшему подъему на высоты».

ამ სურათზე სულ 34 მწერალი არის. 27 აგვისტოს კი გაზეთმა „პრავდამ" მამას სურათი — კუკრინიქსების მეგობრული შარჟი — დაბეჭდა თავის ფურცლებზე.

მოსკოვიდან მამა შთაბეჭდილებებით დატვირთული დაბრუნდა. მას თითქოს ენერგიაც მოემატა. აღფრთოვანებული იყო ყრილობის ატმოსფეროთი და ჩამოსვლისას კიდევ დიდხანს იმ ატმოსფეროში ტრიალებდა. გვიამბობდა, ყოველ წვრილმანს იხსენებდა. რამდენი ახალი მეგობარი მწერალი გაიჩინა, რამდენი რამ ახალი ნახა და მოისმინა

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დელეგაციის წევრები ფართო საზოგადოების წინაშე წარსდგნენ და ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს მსმენელებს უზიარებდნენ. 18 სექტემბერს ტრამვაის მუშათა კლუბში შედგა რაიონული აქტივის გაერთიანებული კრება, სადაც სიტყვით მამაც გამოვიდა. 19 სექტემბერს შედგა საქართველოს მწერლების საბჭოს გაერთიანებული პლენუმი, პირველი საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ. პლენუმის მუშაობაში მამამაც მიიღო მონაწილეობა. პრესაშიც ბევრი წერილი დაიწერა ყრილობის გარშემო.

მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე მამას პრეზიდიუმის წევრად არჩევასთან დაკავშირებით, გუცა ნამორაძემ წერილი გამოუგზავნა, სადაც სწერდა: „...პრეზიდიუმის წევრად შენი არჩევა მესიამოვნა, თუმცა, მართალია, ბევრ დროს წაგართმევს. უნდა დაეჩვიო ვაგონში მუშაობას, რას იზამ. კარგად კი გააცანით თავი ქართველებმა მოსკოვში. აქ ამბავი ჩამოიტანეს. მალაქიას სოსომ გაუსწორა შოხსენება და წინდაწინვე მისცა გეზიო. ამას აწერდნენ თქვენი დელეგაციის გამარჯვებას".

(დასასრული იქნება)

# საქართველოს მწერალთა მეცხრე ყრილობაზე თქმული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ნოდია

საანგარიშო პერიოდი მრავალმხრივ ნაყოფიერი იყო ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის. თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო გაიზარდა მთარგმნელობითი შემოქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როგორც საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობის ერთ-ერთი ქმედითი ფაქტორისა.

შემოქმედების ამ სფეროში ჩვენი საზოგადოების სულიერი კულტურის განვითარების დიდი შესაძლებლობანი ვლინდება; თავს იჩენს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის მოღვაწეთა ღრმა რწმენა მოძმე ერების სასიცოცხლო ინტერესებისა და იდეალების ერთიანობაზე. ასე რომ არა, ძნელი იქნებოდა წარმოგვედგინა მთარგმნელობითი მოღვაწეობის ის მასშტაბი, ის გრანდიოზული პანორამა, რაც ჩვენს ქვეყანაში გვაქვს.

ცხადია, ჩვენი საზოგადოების ეს დიდი შესაძლებლობანი, მოძმე ერების ერთიანობა უმნიშვნელოვანესი პირობაა საბჭოეთის ხალხთა კულტურების ურთიერთგამდიდრების, მშრომელთა ინტერნაციონალისტური სულისკვეთებით აღზრდისა. ცხადია ისიც, რომ ყოველივე ეს თანამედროვე ცხოვრების თავისებურებებს, მის ხასიათსა და ბუნებას შეესაბამება, ჩვენი საზოგადოების განვითარების ტენდენციაზე მიგვანიშნებს.

ყოველი საინტერესო თარგმანი გარკვეულ როლს ასრულებს მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში. ამ მხრივ არც ჩვენი ლიტერატურაა გამონაკლისი. უკანასკნელი წლების მხატვრულმა თარგმანმა დადებითი ზემოქმედება მოახდინა ქართულ ორიგინალურ ლიტერატურულ პროდუქციაზე. აქ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრებისა და თანაზიარობის ის შემთხვევები იგულისხმება, ყოველი ჭეშმარიტი თარგმანის დაბადებას რომ მოჰყვება ხოლმე. ცხადია, ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზემოქმედების კვალი ჩვენს ორიგინალურ მწერლობაში სხვადასხვა ასპექტით იჩენს თავს, რომელთაგან ზოგი მაინც შეიძლება კონკრეტულად აღინიშნოს.

დღევანდელ ქართულ პოეზიასა და პროზაში შემოვიდა და დამკვიდრდა, შეიძლება ითქვას — გათავისდა ბევრი უცხო სიტყვა, გამოთქმა და ცნება; გამოყენებული იქნა ქართული ენისათვის უცხო კონსტრუქცია თუ წყობა, რამაც კარგი მთარგმნელების ხელში თავისებური მნიშვნელობა შეიძინა და გაამდიდრა მშობლიური ენის გამომსახველობითი შესაძლებლობები.

ამჟამად ქართულ პოეზიაში თვალნათლივ იგრძნობა ე.წ. „თავისუფალი ლექსის" დამკვიდრებისა და ლეგალიზაციის პროცესი; ბოლო ხანებში შეიქმნა ქართული ვერლიბრის საუკეთესო ნიმუშებიც. ამჟამინდელი ქართული ვერლიბრი, ალბათ, ევროპულ ლიტერატურულ ძეგლებთან გაცნობისა და თანაზიარობის შედეგი უფროა, ვიდრე ტრადიციული ქართული ჰიმნოგრაფიული ნაკადის ორგანული განვითარება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უიტმენისა, და თაგორის, ეზრა პაუნდის, თომას ელიოტის და თანამედროვე ფრანგი და ინგლისელი პოეტების ლექსთა თარგმანები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სიახლით აღბეჭდეს ქართული პოეზიის სადღეისო განვითარების გზა. აქვე უნდა აღინიშნოს კლასიკური ჩინური თუ იაპონური პოეზიის ნიმუშები, თავისებური პოეტური ფორმებითა და მსოფლშეგრძნებით რომ გამოირჩევიან და განსხვავებულ პოეტურ ამინდს ქმნიან ქართული პოეზიის ტრადიციულ სულისკვეთებასთან მიმართებაში. ამ საკითხებზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ ფაქტი ერთია: თანამედროვე ქართული ლექსის ნოვაციებში, მისი დადგენა-ჩამოყალიბების პროცესში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ბოლოდროინდელი თარგმანები, თარგმნილი პროდუქცია.

აგრეთვე, გარკვეულ წილად თარგმანებს უნდა ვუმადლოდეთ იმ ელასტიურობას, სიმსუბუქეს, სიმახვილეს, შინაგანი რიტმების მრავალფე-

როვნებას, ინტონაციათა მოდიფიკაციას, რაც დღევანდელ ქართულ პოეზიას ახასიათებს. ასევე, რუსული, ევროპული და ამერიკული პროზის სიავკარგეში რამაც თავის მხრივ, არაერთი სიახლე შეიტანა ჩვენი პროზის საერთო მდინარებაში და სხვაგვარი პერსპექტივები დაუსახა მის შემდგომ განვითარებას. დღევანდელ ქართულ პროზაში არაერთი საყურადღებო ნაწარმოებია შექმნილი. ამაში მთარგმნელობით ლიტერატურასაც აქვს თუმცა გადამწყვეტი არა, მაგრამ მაინც საგრძნობი წილი.

ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ქართველი მკითხველის თაროს შეემატა მნიშვნელოვანი პოეტური თუ პროზაული თარგმანები.

განვლილ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აფხაზური და ოსური ლიტერატურების ნიმუშთა თარგმნას. მაღალმხატვრულად ითარგმნა აფხაზური რჩეული პოეზიის კრებული „აფხიარცა;" ნართების ეპოსი (მთარგმნელები ჯ. აჯიაშვილი და გ. ბაქანიძე); ალ. გოგუას მოთხრობები (მთარგმნელი ჯ. თითმერია); აგრეთვე ოსური პოეზიის კრებული „მთების სიმღერა" და სხვა.

მეგობრებო! დროის სიმცირის გამო, ნება მიბოძეთ, რამდენადმე მაინც შევამცირო იმ მთარგმნელთა საკმაოდ გრძელი სია, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ ამ წლების განმავლობაში და გარკვეული ღირსეული წვლილიც შეიტანეს ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. მე მხოლოდ, ვიმეორებ — დროის სიმცირის გამო, რამდენიმე მათგანს დავასახელებ.

საერთო აღიარება ხვდა წილად ვ. ჭელიძის მიერ თარგმნილ თანამედროვე ამერიკული პროზის ნიმუშებს; ბ. ბრეგვაძისეულ თარგმანებს; ფრანსუა რაბლეს „გარგანტუას" გ. გოგიაშვილისეულ თარგმანს; დ. წერედიანისა და გ. გეგეჭკორის ფრანგული პოეზიის თარგმანებს; რ. თვარაძის მიერ თარგმნილ სხვადასხვა პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებებს; ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერიული მოთხრობების" გ. ნიშნიანიძისეულ თარგმანს' ჯ. აჯიაშვილის მიერ თარგმნილ „შუა საუკუნეების ებრაულ პოეზიას"; გ. სარიშვილის მიერ თარგმნილ ესქილეს ტრაგედიებს; თომას მანის დ. ფანჯიკიძისეულ თარგმანებს, თანამედროვე სომხური პოეზიისა და პროზის რჩეულ ნიმუშებს, რომლებიც თარგმნეს გ. შაჰნაზარმა და ზ. მედულაშვილმა და სხვა.

გამოჩნდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მთარგმნელები; პირველ რიგში დავასახელებთ თ. პატარაიას, ნ. გავაშელს, ნ. ტონიას, დ. სანიკიძეს, გ. ჭუმბურიძეს, ა. ლეკიაშვილს, თ. ბაქალუას და სხვა.

ამ წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა უნივერსიტეტის კლასიკური ბერძნული და რომაული ლიტერატურის მთარგმნელთა ჯგუფიც, რომელმაც არაერთი კარგი თარგმანი შეხძინა ჩვენს მკითხველებს.

ზემოთ აღნიშნული თარგმანების გამოქვეყნებით ცხადი გახდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში თარგმანი აღმავალ გზაზე დგას, რომ გვყავს კარგი მთარგმნელები და მათგან უფრო კარგ თარგმანებსაც უნდა ველოდოთ მომავალში.

რესპუბლიკაში ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის აღმავლობის [illegible] გამოძახილის გარეშე არ დარჩენილა აფხაზურ და ოსურ ლიტერატურაში. გაძლიერდა და განმტკიცდა ლიტერატურული კონტაქტები ამ ლიტერატურებს შორის. დიდი, ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული ამ მხრივ საქართველოს მწერალთა კავშირის, რესპუბლიკის ლიტერატურული ჟურნალებისა და გამომცემლობათა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ. კოლეგიის მონაწილეობით უკვე განხორციელდა ან მომზადდა არაერთი მეტად საინტერესო თარგმნითი გამოცემა ქართულ, აფხაზურ, ოსურ და რუსულ ენებზე. აფხაზურ ლიტერატურაში აფხაზეთის მწერალთა კავშირისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის თაოსნობით დაიწყო დიდი კულტურულ-მთარგმნელობითი მოძრაობა, საფუძველი ჩაეყარა მსოფლიო ლიტერატურის მრავალტომეული ბიბლიოთეკის გამოცემის საქმეს აფხაზურ ენაზე.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, მთარგმნელობით ლიტერატურას მრავალი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი. თითქოს ცოტა რამ არ გაკეთდა სათარგმნი ლიტერატურის შერჩევისა და დაგეგმვის თვალსაზრისით. შესაძლოა, სხვა მოძმე რესპუბლიკებთან შედარებით, ცუდად არ გამოვიყურებით. დღეს ჩვენს მთარგმნელებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ სათარგმნი მასალა და უფრო ინდივიდუალურად მიუდგნენ ამ საქმეს. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაგვარებელი. ასე, მაგალითად, 1980 წელს დაგეგმილი 114 დასახელების თარგმნითი ნაწარმოებიდან 82 მეორადი გამოცემაა. მათ შორის არის ისეთი წიგნებ. რომელთა ხელმეორედ გამოცემა (ყოველგვარი რედაქტირების მიუხედავად), ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მიზანშეწონილი. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ საბჭოთა და საზღვარგარეთის ლიტერატურათა ჯერ კიდევ უთარგმნელი მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გამოცემის საჭიროებას.

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას უფრო მეტი აქტიური მუშაობა მართებს მხატვრული თარგმანის კოორდინაციის სფეროში. მე ვგულისხმობ საინფორმაციო-სარეკომენდაციო მასალების დროულ და სისტემატურ მოწოდებას, პერსპექტიული საგამომცემლო გეგმების განხილვაში უფრო აქტიურ მონაწილეობას, მეტი ქმედითი დახმარების გაწევას გამომცემლობებისა და მთარგმნელებისადმი. ამ საქმეში მთავარი სარედაქციო კოლეგია მეტ მორალურ მხარდაჭერას საჭიროებს რესპუბლიკის ლიტერატურულ-საგამომცემლო დაწესებულებებისაგან.

ჩვენ ყოველთვის ჯეროვნად ვერ ვაფასებთ სხვა ხალხთა ლიტერატურებთან ურთიერთობის პრაქტიკულ ასპექტებს, ვერ ვპოულობთ მათთან ურთიერთობაში რეალურ საყრდენ წერტილებს. თუ ჩვენ შევძლებთ კრიტიკულად, „გარედან“ შევხედოთ ჩვენს მოღვაწეობას ამ სფეროში, მრავალ ნაკლს შევნიშნავთ ჩვენს საქმიანობაში. ისიც აღმოჩნდება, რომ მრავალი საერთო საკითხი, საერთო მოქალაქეობრივი პრობლემაა ჩვენს შორის, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია და, შესაძლებელია სწორედ ჩვენს სინამდვილეში. აქ მთავარია საერთო ლიტერატურული ინტერესებით და არა პირადი, ზერელე თუ პარადული ჩანაფიქრებით მოქმედება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია თარგმანის სფეროში: პიროვნეული ინტერესები საერთოსა და საზოგადოებრივს მაშინ ემსახურება, როცა მაღალია მოთხოვნილება საკუთარი შემოქმედებისადმი, როცა მწერალს პირველ რიგში უნდა, რომ იყოს მწერალი. მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ არის შემთხვევები, როცა მხოლოდ მწერლის სახელი უნდათ, მწერლობა კი არა. ცხადია, კერძო ინტერესებს მიმყოლი პირები დაბრკოლებას უქმნიან საერთო ლიტერატურულ ინტერესებს.

მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ ბოლო პერიოდში გარკვეული პროგრამა შეიმუშავა შუა აზიის რესპუბლიკებთან საქმიანი ლიტერატურული კონტაქტების განსამტკიცებლად. მთელი ეს რეგიონი წლების მანძილზე არსებითად ჩვენი ლიტერატურული ინტერესების მიღმა რჩებოდა. კოლეგიის თანამშრომლებს უკვე საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ ყირგიზეთის მწერლებთან. შეხვედრა მიეძღვნა მანასის ეპოსის ქართულ ენაზე თარგმნისა და ახალგაზრდა მთარგმნელთა მომზადების საკითხებს. ურთიერთთარგმანის პრობლემებზე ანალოგიური შეხვედრა გვქონდა უკრაინელ მწერლებთან, შევხვდით უკრაინელ ქართველოლოგებს — ათამდე ნიჭიერი ქართველოლოგი დიდი სიმდიდრეა ჩვენთვის და, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მათი უყურადღებოდ დატოვება.

კოლეგიამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ლიტერატურულ-შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებას. უკვე შეირჩა, ითარგმნა, დაერთო შესავალი სტატიები და, არსებითად, ქართულ და რუსულ ენებზე გამოსაცემად მზადაა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოლკლორის მრავალტომეული ანთოლოგიები — 180 საგამომცემლო თაბახის ოდენობით. პირველი წიგნის გამოცემა დაგეგმილია 1988 წლისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობის ცალკეულ საკითხებს საანგარიშო პერიოდში მე არ შევეხები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის 8 ივლისის დადგენილებამ სარედაქციო კოლეგიას მასშტაბური, ფართო მუშაობაზე გადასვლის მეტად მნიშვნელოვანი პროგრამა დაუსახა. ამ დადგენილებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სერიოზული მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას მოითხოვდა. ვფიქრობ, რომ კოლექტივის სახელით შემიძლია განვაცხადო, რომ ეს მუშაობა ძირითადად ჩატარებულია. ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება კოლეგიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რაც მთავარი სარედაქციო კოლეგიის კოლექტივს რეალურ საფუძველს უქმნის პირნათლად ემსახუროს ქართულ მწერლობას. წარმატებით შეასრულოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯანსუღ ჩარკვიანი ორმოცდაათი წლისაა

ჯანსუღ ჩარკვიანის, პოეტისა და მოქალაქის, ცხოვრება და შემოქმედება განუყოფლადაა დაკავშირებული ჟურნალ „ცისკართან“. აქ დაიწყო მან მუშაობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. აქ დაიბეჭდა მისი პირველი პოემები; „ცისკრის“ გვერდებზე ნათლადაა აღბეჭდილი პოეტის შემოქმედებითი ზრდის ვრცელი და მრავალმხრივი გზა.

თერთმეტი წელი იყო ჯანსუღ ჩარკვიანი ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, მისი მეურვეობითა და დალოცვით არა ერთ ახალგაზრდას შეუდგამს ფეხი ლიტერატურულ სარბიელზე. მისი აქტიური მხარდაჭერით იხილა დღის სინათლე არა ერთმა, დღეს სახელგანთქმულმა ნაწარმოებმა. იგი იყო პრინციპული, მკაცრი და მომთხოვნი, იმავე დროს უაღრესად გულისხმიერი, ნიჭიერი კაცისთვის დაუზარელი და თავდადებული რედაქტორი და მეგობარი.

ჯანსუღ ჩარკვიანს თავისი პოეზიის თვისება — მგზნებარება, მოქალაქეობრივი პათოსი, ცხოველმყოფელი კაცთმოყვარეობა და ლირიზმი ყოველდღიურ საქმიანობაშიც გადმოჰქონდა, ერთიანი იყო მისი შემოქმედება და მოღვაწეობა და ასევე ერთიანია დღესაც. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა, მაღალი ჯილდოთი აღნიშნული მხატვრული ქმნილება, პოპულარული და მნიშვნელოვანი ნაწარმოები „ცისკარში“ დაიბეჭდა, თაობის თითქმის ყველა გამოჩენილი მწერალი „ცისკრის“ კარიბჭით შევიდა ლიტერატურაში. რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი თითქოს გუმანითაც კი გრძნობდა, ვის ამოდგომოდა მხარში, რომელი ნაწარმოები იყო ყურადღების ღირსი. იგი თამამად უჭერდა მხარს ყველაფერს ახალსა და მნიშვნელოვანს. იბრძოდა მის დასამკვიდრებლად, იფარავდა ხელყოფისგან და ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ მას ჰყავს ერთგული და საიმედო მეგობარი — პოეტი, მაღალი ზნეობრივი და მოქალაქეობრივი პრინციპების რედაქტორი.

დიდია ჯანსუღ ჩარკვიანის ღვაწლი და ჭეშმარიტად დამსახურებულია ის სიყვარული და პატივისცემა, რაც მას, ორმოცდაათი წლის პოეტს, საიუბილეო დღეებში მიეგო.

ჟურნალი „ცისკარი“, მისი რედაქცია და სარედაქციო კოლეგია, მრავალათასიანი მკითხველის სახელით გულითადად ულოცავს გამოჩენილ ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს ორმოცდაათი წლის იუბილეს და გამოთქვამს რწმენას, რომ იგი კვლავაც არაერთგზის გაახარებს მკითხველს თავისი მაღალმხატვრული და მაღალიდეური შემოქმედებით, ისევ და ისევ იქნება ახალგაზრდა შემოქმედთა გზის გამკვლევი და მეურვე, ყოველთვის იქნება ჟურნალ „ცისკრის“ უპირველესი მესვეური, ავტორი და თანამდგომი.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეექვსე დღე

„და იყო მწუხრი და იქმნა განთიად".

(დაბადება)

მოგონებათა პოემა — მოქმედება,
მოქმედება ხდება ჩემს სახლში,
ღამის ოთხისნახევრიდან დილის ცხრა საათამდე.
პოემა პათეტიურია.

მოქმედი პირნი:

**მე** — ოჯახის უფროსი (საქმეში გადის მეუღლეც).
**ოლია** — პოეტი.
**ზორითზათარეკა** — ხალხური მთქმელი.
**ჩაჩხო** — ფიზიკოსი.
**ის** — უზესთაესი.

## შესავალი, რომელიც ბოლოს დაიწერა

ბიჭს გოგონა უყვარდა შორით, მაგრამ ღაღადით,
რა მსოფლიო რუკა და რა კედელზე ნახატი,
გოგო ჩანგზე უკრავდა იმ ბიჭუნას ნახვამდი,
რა მსოფლიო რუკა და რა კედელზე ნახატი,
მიწა, მიწა გვწყურია, ცეკვით გადაჯეგილი,
საცა სიყვარულია, იქ ბევრია ჯეჯილი,
მიწას მიწა სწყურია, ბრუნავს დროის ბორბალი,
საცა ბევრი შურია, იქ ცოტაა ხორბალი.
ღვინოს ვუქებთ მოყვასებს, გემოს ვუქებთ მწვანილის,
ჭიქა გვიდგას ჩოხასებრ წელში გამოყვანილი.
ქუხს მსოფლიო, ელვარებს, ლამის მთვარე დამოძღვროს,
ფრაუ პეტრა გერმანელს ჩვენი სუფრა არ მოსწონს.
ხოლო სარაევოში, ჯურევიჩი მიროსლავ
ტრადიციას ვერ მოშლის, მხოლოდ ქართულ ღვინოს სვამს.
ათასცხრაას სამოცდა იწურება ცხრამეტი,
ობლის კვერი გამოცხვა ცეცხლის სიმწუხარეთი.
ვიღაც შვილის საფლავზე მარმარილოს თავს ახლის,
ვიღაც, სადღაც, აფასებს აზრებს მხოლოდ სასახლის.
ვიღაც იბრძვის საკუთარ წინააღმდეგ გონების,
პიროვნება ჩახუთა ძალამ ჰეგემონების.
ან ხორცი სულს გავყარეთ, ან ველტვით დიდმპყრობლობას,
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?

სული გავისაპყარეთ, შევეჩვიეთ ობლობას.
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?
ბორბლის ღერძი გავხარეთ, მზეს დავარქვით ობობა,
საით რეკავს, რა მხარეს, შური და უნდობლობა?
იქნებ ვინმე გვახარებს, ქვაბთა პირველყოფობას,
საით რეკავს, რა მხარეს, ეჭვი და უნდობლობა?
დადექ, დადექ მსოფლიო, დატვირთული ცოდვებით,
გზებზე ისეც ცოფია, სულმთლად ნუ გავცოფდებით.
დედო-ზარმა შემოჰკრა, გაჩნდა თანასუფრელი,
სტუმრის მოსვლას მზე მოჰყვა, წასვლას შავი ღრუბელი.
უფრო, უფრო იმატებს, მოდგმის კაცთა ბუნება,
გაუმარჯოს, სინათლის სულში დასადგურებას!

მე:

ისმის ზარის ხმა,
ოფლში ვიღვრები, ამ შუაღამით ვინ ოხერია...
გამომეღვიძა ჩონჩხებიდან, ობობებიდან,
შავი წიგნი მეჭირა ხელში.
არა, ვერაა კარგად საქმე,
ოფლში ვიღვრები,
ამ შუაღამით ვინ ოხერია? დავხედე საათს —
ოთხს უკლია თხუთმეტი წუთი.
დედა? ფუი ეშმაკს,
ღმერთო, შემინდე და დამიფარე...
დამირეკავდნენ...
შემამზადებდნენ...
ფუ, რაზე ვფიქრობ...
ბავშვი აქ არის,
აბა, რა მოხდა ამ შუაღამით?
ვინ ოხერია, ოფლში ვიღვრები...
წყალი ჩაუვიდა ალბათ მეზობელს,
კი, ცხელი წყალი...
რა ვქნა, პირველად ხომ არ ჩასვლიათ,
თავს შევუძახე, ძალა მოვიკრიბე...
მიველ კარებთან და ვიკითხე — ვინა ბრძანდებით?
ქალის ხმას ველი, მორიდებულს, მშვენიერ ხმას, —
„იცით რა, მე ვარ, მანანა ვარ, წყალი ჩამოდის".
ჯანდაბა ჩემს თავს, ჩადის და ჩადის,
პირველად ხომ არ ჩასვლიათ წყალი.
სდუმს კარებს იქეთ ჩემი სტუმარი,
კვლავ ვეკითხები: ვინა ბრძანდებით?
მესმის გარედან —
მოვედინ, სუფევად შენი, იყავნ ნება შენი,
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს,
ცოტაოდენი ხორცეულიც მიუმატევი,
ნუ განრისხდები უძლებსა და ცოდვილსა ზედა.
— ოლია ვარ, მესმის პასუხი.

მე:

ვაი შენს პატრონს, —
გავიფიქრე და კარი გავაღე.
მთვრალი ოლია,
ლ-ს ამბობს კარგად.
მე გამიხარდა...
ესე იგი ყველაფერი რიგზე ყოფილა, იქაც და აქაც,
მორჩა, გათავდა... მკოცნის ოლია.

ის, უზესთაესი:

რამ შეგაშინა? რამ დაგაფრთხო?
თუ ცხოვრობ ქვეყნად, უნდა იტანჯო...
მხოლოდ სიმშვიდე და ნეტარება
სიკვდილს უდრის, უაზრო სიკვდილს.

ოლია:

შენ გენაცვალე, პირველო კაცო,
ლომო და ვეფხვო, მშვიდობისა ძილი და უშფოთველობა
ვერ მოგანიჭეთ...
გახსოვს? (იგი ირწევა)
ჩვენ რომ ოცდაათი წლის წინათ ხევსურეთში ვიყავით?
რა კარგი იყო;
ჯინა ხომ გახსოვს?
კალატოზოვის ცოლია ახლა, მოსკოვში ცხოვრობს...
გურამი აღარაა ახლა ცოცხალი,
მე და შენ დავრჩით და კიდევ ორი, ის და ის...
ის ერთი სუფთა ახვარი არის, მეორე ფანტასტიურად
კარგი კაცია.
პირველიც ფანტასტიურად კარგი კაცი იყო,
მაგრამ გაფუჭდა.
გახსოვს? სინათლე პურივით რომ დავჭერით დანით
და ნაჭერ-ნაჭერ შევჭამეთ გუდანის ჯვარში?
არ გახსოვს?

მე:

არა...

ოლია:

შენ არაფერი არ გახსოვს... ძილი გინდოდა...
იქნებ შორით ბათარეკას ლექსიც არ გახსოვს
ბატონ კურდღელზე?

ოჰ, ბატონ კურდღელს გაუმარჯოს
ამ სააპრილოდ,
გამოხვალთ გარეთ
თუ მოგართვათ ჩირგვში სტაფილო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდად ხარ? შენს თავს დააბრალე,
სხვას რად აბრალებ?
გადი, გაბრძანდი,
გამთაველდი, გაიმთაბარე.

აღმოსავლიდან დასავლამდე
ასრეთ გაშლილა,
ნახე ქვეყანა, შე ცანცარა,
რამ შეგაშინა.

გახსოვს? მწუხარება, რომელსაც ნუგეში ერქვა?
ცხენების რემა, ელვარე წყარო — „სავსე
ქართული პატიოსნებით".
როგორ გუგუნებდა ყრუდ, გაუგებრად,
მიტოვებული შატილის ციხე.
ტანჯული ხმლებით დაჩეხილი ნისლები გახსოვს?
ფანტასტიური იყო ის ღამე, ფანტასტიური...
„ყოფნა ასეთი... ო, არა კმარა...
ყოფნისთვის თასი,
მზე ზღვაზე ჩადის:
ეს აშკარა დეკადანსია".
გახსოვს?
მოკლედ ლომო, გააწყვე ახლა პურმარილი,
ქვევით ბიჭები მელოდებიან,
ამოვიყვან და სინათლემდე შემაბერვინე.

მე:

რისი ბიჭები, ვინ არიან, გიჟი ხომ არ ხარ,
თავი მისკდება, ასოთხმოცი ასოცდაათზე...
არცა მაქვს რამე...

ოლია:

რაცა გაქვს, ის გაქვს,
გამოიტანე და დილამდე შემაბერვინე, ფანტასტიური
სადღეგრძელო ვიცი, ცინცხალი.

„ყოფნა ასეთი... ო, არა კმარა...
ყოფნისთვის თასი,
მზე ზღვაზე ჩადის;
ეს აშკარა დეკადანსია."

ერთი ახალი ლექსიც ვიცი ბათარეკასი, იმასაც გეტყვი...

მე:

ვინ ბიჭებია, ამ შუაღამით,
შე კაი კაცო, სტუდქალაქში ხომ არ მიგყავდა?
არცა მაქვს რამე, რა ნამუსია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲡ — ᲣᲖᲔᲡᲗᲐᲔᲡᲘ:

ნუ იტყვი, არ შემიძლია აღსრულებაო,
არამედ, ადვილად და გულმოდგინედ
აღასრულე რაც კი მოგმადლეს.
ჩვენივ ცოდვა და ბოროტება
გვემუქრება წუთისოფელში.

ᲝᲚᲘᲐ:

ნამუსს შევეშვათ,
უნამუსოს სახელს არ ვიტყვი.
. . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . .
სიგარეტი არა გაქვს? მიდი ლომო, გააწყვე სუფრა.

ᲛᲔ:

ღვინო არა მაქვს, შე იდიოტო.

ᲘᲡ — ᲣᲖᲔᲡᲗᲐᲔᲡᲘ:

გაიმტყუნე თავი წინაშე ძმისა, ფრიად შეწუხდი,
ნუ იქნები ამპარტავანი.

ᲝᲚᲘᲐ:

ღვინოს არა ვსვამთ,
კონიაკსა ვსვამთ.
ეს გაუმარჯოს იმ სინათლეს, ჩვენ რომ პურივით
დავჭერით ხევსურეთში და ნაჭერ-ნაჭერ
მივირთვით, სინათლეს გაუმარჯოს.
ნუ, ნუ იქნები ბედნიერი, უხერხულია.
უხერხულია ბედნიერება ბულვარებზე გათენებული...
ბლოკი იცნობდა ალბათ რასპუტინს, რა იცი, იქნებ
იცნობდა,
რასპუტინი იყო პეტროგრადის იდუმალება.
წავედი ახლა და ამოვიყვანე ჩიჩხო და გია.
შენ კონიაკი შემოდგი სუფრაზე,
ყავა და ლიმონი.
ნახევარმთვარესავით დასჭერი ლიმონი,
თურქს რომ შეშურდეს, ისე დასჭერი.
დადგი ბორჯომიც, რა გენაღვლება.
ხენდრო არა გაქვს?

ᲛᲔ:

არა მაქვს.

ოლია:

შენ რა იცი, ის გაალვიძე, ვაი, რომ ქალი,
მხოლოდ ქალი მართავს მსოფლიოს,
ისტორიკოსები კაცის სახელებს იმახსოვრებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის — უზესთაესი:

სახელი მისი, დიდებული, თვისი კეთილი
ზნეობითა და სიმშვიდითა.

მე:

წავიდა ოლია...
ღმერთმა დალახვროს მყუდროება, ცარიელ თავს ჰგავს,
ერთხელ, ვიღაცამ უდროო დროს ხომ უნდა შეგძრას
და საშინელი სიზმრებიდან გამოგაღვიძოს?
და გაგრძნობინოს, რომ კარგადაა დედაშენი,
ყველა სახლშია, არც ცხელი წყალი არ ჩასვლია
ქვევით მეზობელს.
მე როგორც გლეხმა, სათოხარში მიმავალმა ჩემს ქალს
გავძახე:
ადექი ქალო, რა ხანია იყივლა მამალმა,
ოლია არის, თუ რამე გაქვს, გააწყვე სუფრა.

მეუღლე:

ხომ მშვიდობაა?

მე:

კი, მშვიდობაა.

მეუღლე:

რა დროა ახლა?

მე:

ოთხია უკვე, ოთხს გადასცილდა.
ოცი წუთი ვებრძოლე ოლიას, დაბოღმილი,
ნამძინარევი, შიშველ-ტიტველი, ჩონჩხებიდან
და ობობებიდან ოფლიანი გამოვარდნილი...
წყალი შევისხი, აზრზე მოვედი, შევიმშრალე
და ტანთ ჩავიცვი.
გავაღე კარი სტუმრებისათვის...
მობარბაცებდა ორი ქართველი, გულნაკლული,
უკმაყოფილო და ბედნიერი, მე შევეგებე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩაჩხო:

ამის ბრალია, მე არასოდეს არ მიკისრია
ამ დროს ოჯახში... ამის ბრალია,
დამიჯერე, ამის ბრალია, რა შეუჩნდა, აზრზე არა ვარ...
ვერ გიყურებთ ვერცერთს თვალებში...
გია წავიდა, ჩვენზე მეტი ინტილიგენტი
კაცი აღმოჩნდა.
სუყველაფერი ამის ბრალია, ოლიასი, დათვრება და
გასაღებს კარგავს.

მე, (ცალყბად):

შე კაი კაცო, არა გრცხვენია? უცხო ხომ არ ხარ,
მე არ ვიცოდი, ვინ მოჰყავდა,
თქვენზე უკეთესი ვინ შემოვა,
სხვისი მრცხვენოდა, ჩვენი რამ გაყო?

მეუღლე:

მობრძანდით, რაც გვაქვს ესაა, თქვენ კი გეყოფათ...

ოლია:

ფანტასტიური კაცი ხარ ძამა, ფანტასტიური,
ოცი წუთისწინ როგორ მღეროდი?! სულ სხვანაირად:
წნევა აქვს, ასოთხმოცი ასოცდაათზე,
შეფარდება თუმცა კარგია,
ქვეითა მაინც გულისა არის.
დავსხდეთ, თამადად მე ვარ! ბათარეკას ლექსი შეგპირდი,
ლექსს „შური“ ჰქვია.

მდინარე მტკვრიდან
ოქროს თევზი ამოჰყვა ბადეს,
მეთევზე გეო
სიხარულით აღზევდა ცამდე.

ოქროს თევზმა კი
მოიქნია კუდი ლამაზად --
აგისრულებო:
სამი რამე მთხოვე ანაზდად.

მეთევზე გეოს
ზედ დაასხდნენ თვალები შუბლზე,
ისე, ვით ცხენზე მშვენიერზე —
შემოჯდა შურზე...

და სთქვა: პირველი
ძმის ვენახი ამიჩეხეო,
მეორე: მოჰკალ
ჭაჭულაანთ ღამის მეხრეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე: მომეც
ჯანი ვით ვირს —
თვალებსაცრიანს...
ეს სთქვა და თევზმა
გეო ვირად გადააქცია.
როგორი არი?

მე:

მაგარი, მართლა მაგარი.

ოლია:

ფანტასტიური სადღეგრძელო უნდა ვსთქვა ერთი:
გახსოვს? სინათლე პურივით რომ დავჭერით
დანით და ნაჭერ-ნაჭერ შევჭამეთ გუდანის ჯვარში?
ჰო, და სინათლეს გაუმარჯოს, სადარბაზოებში
და ლუდხანებში დალეწილ სინათლეს.
რევოლვერიდან ნათქვამ სინათლეს, უძლეველს,
მიუკვლეველს, მისაკვლევ სინათლეს გაუმარჯოს,
ფანტასტიურს, ტრანშეებში და ლაბირინთებში,
ქვათა სამტეხლოებში შეღწეულ სინათლეს, ქვები, ქვები...
გააგრძელე.

მე:

არ მახსოვს...

ოლია:

რიცოსს რომ ჰკითხო არ შეიძლება
სინათლის დახვრეტა,
პეტროპულას კარგად ესროლეს?! და კიდევ რამდენს,
რომელთაც ესროლეს და უბრალოდ, დააცილეს.
სუყველაფერი შეიძლება ამ ეპოქაში,
თვითონ სინათლის დახვრეტაც, მე შენ გეტყვი,
აცდება...
უყურადღებოდ არ დავტოვოთ წუთით ერთმანეთი.

ჩაჩხო:

სად წავიკითხე, აღარც კი მახსოვს —
იქნებ რიცოსთან, იქნებ ტუვიმთან:
„რესპუბლიკა ღრმა მწუხარებით იუწყება,
რომ გარდაიცვალა სიმართლე,
დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს".
მე, რა თქმა უნდა, გულთან არც კი მიმიტანია,
დიდ პოეტებს უყვართ ხუმრობა.
იქვე, მეორე განცხადება:
„გუშინ, ცხრა ივნისს, მთავრობის სახლთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ კანცლერის წინ ესროლეს ცინიზმს,
ვერ მოჰკლეს, დასჭრეს,
საკუთარ სისხლში ამოთხვარა თვისი ღიმილი
და ხალხს მოჰფინა“.
აი, ეს მჯერა...

მე:

სადაც ბევრი ცინიზმია, იქ პურია ცოტა.
ადამიანები როცა ცინიზმს დაივიწყებენ,
გონება შეჰქმნის უშფოთველ სიმშვიდეს.

ჩარხო:

ამერიკაში დანადგარი შეჰქმნეს ლაზერის,
დაარქვეს „შივა“ — ღმერთის სახელი...
პარადოქსია თუ პოეზია?
თუ „შივა“, რომელიც მზისკენ იწვდის
უამრავ ხელებს,
თხოულობს შველას —
რათა მსოფლიო საფრთხისაგან გადაარჩინოს?

ოლია:

გახსოვს? ბათარეკას ორი ბაყაყი?
    ორი ბაყაყი,
    ორივე ბრიყვი,
    გავიდნენ ნაპირს,
    მზის სხივი წრუპეს,
    გაიძღეს ჩიყვი,
    დასძახეს ყი-ყი
    და მიაშურეს
    ისევე წუმპეს.

მწყემსიც არ გახსოვს?
    შვილივით გაზრდის პატარა ბატკანს,
    არასდროს კარგავს თავის ნაჯაფარს,
    ჯერ მატყლს წაართმევს, მერე კი დაკლავს
    და ტარხუნასთან ერთად ჩაკაფავს.

წითელქუდაზე? ეს ნაღდად გახსოვს...
    რის მჩაგვრელი,
    რა მჩაგვრელი,
    ტყეში გოგო
    თავის იღბალს უცდიდა,
    მონადირემ
    გაჭრა მგელი
    წითელქუდა
    არ გამოდის მუცლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორია?

კარგი ვინმე იყო ბათარეკა: ბათარეკა ცინიკოსი...

შეხე, თენდება, ხუთია უკვე, რიბი-რაბოში გენაცვალეთ
ცეცხლის ვარდებო, გვირილებო ლაჟვარდებისა.
ტანძიიდან მოეფინება სინათლე მზისა...
სინათლეს გაუმარჯოს, გახსოვს? სინათლე
პურივით რომ დავჭრით დანით და
ნაჭერ-ნაჭერ გეახელით გუდანის ჯვარში, გახსოვს?
მოდის სინათლე მეგობრებო, სინათლე მოდის,
გადამრჩენი ჩვენი სიცოცხლის,
მოდის და მობალახობს სიცოცხლის მოლზე.
რაც ყველაზე შორია, ეს, სინათლეა,
რაც ყველაზე ახლოა, ეს, სინათლეა.
წიგნსაცავებიდან მოსულ სინათლეს გაუმარჯოს,
უსხეულოს, მუსიკასავით უსხეულოს...
ყველაზე ლამაზი შვილიშვილი შენა გყავს,
შენ და მე...
რა ელვარეა ნიჭი,
რა ძნელია და იდუმალი სივრცე, რომელსაც
მსოფლიო ბორბალი აბრუნებს...
დიოსკურია, დიოსკურია, —
კივის სინათლე მშობიარე დედაკაცივით...
სინათლეს გაუმარჯოს ლომებო, სინათლეს,
ყველაზე ლამაზი შვილიშვილი შენა გყავს,
შენ და მე...

მე:

ჩაჩხო, თქვი რამე სინათლეზე.

ჩაჩხო:

მე რა უნდა ვთქვა? სინათლის სხივთა
მიმართულებას, გეომეტრიულ ოპტიკაში
იკვლევენ მხოლოდ, თქვენი სინათლე სხვა სინათლეა.
თქვენ გეჩვენებათ, თითქოს სინათლეს
დროც არ სჭირდება, ჩართვის შემდგომ თუნდ ამ
კედლამდე მოსაღწევათ, მაგრამ ამაოდ,
სინათლის სიჩქარე განსაზღვრულია.
დიდება მანძილს მზის სისტემის პლანეტებს შორის,
სულ ერთი წამის განმავლობაში
სინათლე გადის დედამიწის
ეკვატორზე შვიდნახევარჯერ მეტ მანძილს.
ნუ ჩქარობთ, ძმებო, ვაკუუმში ხართ,
ვაკუუმში კი
არცერთ სხეულს არ შეიძლება
ჰქონდეს სინათლის
სიჩქარეზე მეტი სიჩქარე.

ამ თვალთა მიერ უშუალოდ შეფასებულ
გამოსხივებას მივესალმები,
სინათლის ნაკადს, გამოსხივების ნამდვილ სიმძლავრეს,
სხვა დანარჩენი არის ლირიკა —
მკაცრი კანონის მიღმა სინათლე.

მე:

გათენდა, უკვე, მართლა გათენდა...
ყველაზე უფრო უბრალოდ და უფრო მარტივად
სახლში შემოდის სინათლის ძალის ცნება.
ვისთვის ვარსკვლავი წყარო არის წერტილოვანი
ვისთვის ვარსკვლავი ოცნებაა
განწირულ გენის.
ვარსკვლავი ბედის, ვარსკვლავი იღბლის —
მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი,
ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
მადლობა ღმერთს რომ ასე არ ვამბობ —
„სინათლე განივი ტალღაა".
სინათლეს გაუმარჯოს, სინათლის წელიწადს,
სასწაულობა და ჭაღარა ვუდღეგრძელოთ,
დაკოდილ გულებს რომ ჩაუჯდება ბუდეში.
სინათლეს გაუმარჯოს, პასტორალივით
უმანკოს და უბრალოს, ბრძენს და მდუმარეს.
სინათლეს ბროლის თითები აქვს, ფარშევანგივით
გაშლილი კუდი,
სინათლე ხნავს და სინათლე თესავს.
ვიღაცა მიდის სინათლისაკენ,
ვიღაცა მოდის სინათლიდან...
ბრძენი კაცი იყო ის ქილიკა ბათარეკა,
ეს ლექსი თუ გახსოვს?

> იარე ნელა,
> სვენებ-სვენებით,
> გწამდეს თან დაგდევს
> ბედისმწერალი,
> როცა მიაღწევ
> ჟამს შეჩვენების
> ე სწორედ იმას
> ჰქვია მწვერვალი.
>
> მიწაც დასკდება,
> წყაროც დაშრება,
> ზეით რო ახვალ,
> მერე თავქვეა...
> ეს გაუმარჯოს
> მთიდან დაშვებას,
> დაშვება უფრო
> ძნელი საქმეა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლია:

ფანტასტიური გოგო იყო, გახსოვს მანანა,
„თვალები ფეთქდა ვით სავსე თასი".
ჩვენ ვიყავით ექვსნი, მე და შენ დავრჩით —
და კიდევ ორი, ის და ის...
ის ერთი, ნაღდი ახვარი არის, მეორე
ფანტასტიურად კარგი კაცია.
მანანას ჯოხი ეჭირა ხელში და ჩამოვარდნილ
ჩიტის ძველ ბუდეს
წეწავდა ქარში...
ფანტასტიური სუნი ჰქონდა თმებზე მანანას...
როგორი მკერდი...
გახსოვს? ბათირა, ცხვირწითელი კაცი ბეხლეწი,
როგორ უმზერდა? დამპყრობელივით.
„თვალები ფეთქდა ვით სავსე თასი,"

მშვენიერება სუყოველთვის უბიწოა და უსუსური,
მშვენიერებას
ელტვის მუდამ თვალი დამპყრობის.
მე იმ ბათირას გუნებაში ორჯერ ვესროლე —
შიგ საფეთქელთან... ვითომც არაფერი, ისე აიცდინა.
გათენდა, ძმებო, ახლა სადგურზე
ფანტასტიური ხროვა ხრიალებს,
ვალე-თბილისი...
შეავსეთ ჭიქა,
სულმთლად ახალი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, ლომო.

როგორ იყო რო არ გვიშვებდი?!
სტუდქალაქი ხომ არ გეგონაო,
იქნებ რა მაქვსო,
კიდევ კარგი, არ დაგიჯერე.
„ყოფნა ასეთი... ო, არა კმარა,
ყოფნისთვის თასი,
მზე ზღვაზე ჩადის:
ეს აშკარა დეკადანსია.
გტყორცნო კაფია?!

მე:

მიდი, მოვდივარ...

ოლია:

ღმერთმა დასწყევლოს ჯაბანი —
ვინც ვერ დაადგა შარასა,
კაცებ უხდების კაბანი,
დიაცი ცვეთავს შარვალსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე:

მწყერმა დაჯაბნა მიმინო,
ჭკუა სჭრის ბალღებისაო,
ყვავმა აჯობა სირინოზს,
ღაღან დგა ძაღლებისაო.

ოლია:

იმედით ვცოცხლობთ ლაშარის,
ცხვრის კვალს მივსდიეთ ლეკეთსა,
ძუ მგელი ძუძუდამშრალი,
ცხვრის ძუძუს აჭმევს ლეკვებსა.

მე:

ცხვარს ატყავებენ ბიჭები —
ერბოში ხარშვენ დუმასა,
რამდენჯერ გაიკრიჭები,
იმდენჯერ მოგცემ თუმანსა.

ოლია:

იგრე ნუ ეტყვი სტუმარსა,
თორო ხალხს შამაიყრიდი...
მაგრა დააჯექ თუმანსა —
ერთ წიწილას ვერ იყიდი.

მე:

რის ღირსიცა ხარ, იმას იმკიდე,
უფლისა ლოცვაკურთხევით,
შენაც სტაფილო იყიდე
ვითომ ჩირგვში ხარ კურდღელი.

ოლია:

ფრე, სამით სამი...

ჩაჩხო:

გული იჯერეთ ბედნიერებო?
ლაშარით ცოცხლობთ,
თქვენ ცოცხლობთ
უფლის ლოცვაკურთხევით.
თქვენ არც მზეს იცნობთ,
არც მთვარეს იცნობთ
ცთომილებსა და მათს თანამგზავრებს —
წარმოდგენაც არა გაქვთ მათზე.
თქვენი ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავია,
მეტეორული სხეულებით არ იღლით ტვინებს.

უნდა იცნობდეთ მნათობთა კანონს,
„ასტრონ“ და „ნომოს“
თქვენ არა გაქვთ პრაქტიკული მოთხოვნილება.
საცოდავებო, თუ მნათობებს არ დააკვირდით,
თოვლის მაგივრად შეიძლება გვალვა მობრძანდეს.
თუ გინდა გქონდეს უსწორესი მსოფლმხედველობა
მთავარი გახლავთ ფიზიკა და ასტრონომია.
როცა გაიცნობთ მზესა და მთვარეს,
ზებუნებრივი ძალისადმი რწმენაც ნელდება.
შეხეთ, გათენდა, მოსარკულ ცაზე
მზე იცინის, როგორც თქვენ ამბობთ,
მზე მშვენიერი, თინათინი რომ სწუნობდა
მზე კიდე თინათინობდა.
მზე — ცის მნათობი,
გავარვარებულ გაზის სფერო უზარმაზარი
მზის ზედაპირზე 6000 გრადუსი გახლავთ.
ხოლო წიაღში ოც მილიონ
გრადუსსაც აღწევს.
ატომბირთვული ენერგია,
წყარო მზისავე გამოსხივების,
მზე, მზის ოჯახი,
ჩვენს პლანეტურ სისტემას იგი ჰქმნის მხოლოდ.
მასაც თავისი ცთომილები ჰყავსო,
მეტეორები და კომეტები,
როგორც ჩვენს ირგვლივ.
ისე არაა თქვენ რომ გაჰყვირით,
ცხრამთა, ცხრა წყარო
ცხრა ზღვა, ცხრა შვილი,
მზის სისტემაში ცხრა პლანეტაა.
მიდით და სატრფოს შეადარეთ
მზის სიდიადე.
დღეს რომ შაბათი არ არის და პარასკევია,
ეს მნათობებზე დაკვირვებით —
მხოლოდ და მხოლოდ.

მე:

გათენდა, პარასკევი დილა გათენდა,
ზეიმობს სახლში სინამდვილე, თანასწორი პოეტის,
მხატვრის და ფიზიკოსის, სხვების და სხვების...
რა გახდა, ერთი მაღვიძარა, ერთი საათი,
ისეც რას ცოცხლობ, მთელ სიცოცხლეს ატარებ ძილში...
როდესაც გძინავს, მაშინ ხომ გძინავს,
როდესაც ფხიზლობ, გამოვტყდეთ, ხშირად
მაშინაც გვძინავს. რა გახდა ერთი მაღვიძარა,
ერთი საათი, ერთი მამალი, რომელსაც ჰქვია ვთქვათ —
ვერონიკა და ყოველ დილით, დილით კი არა, უფრო
დილისკენ, სამ საათსა და

ოცდაათწუთზე, გაგაღვიძებს, როგორც ოლია,
სიყრმის ძმაკაცი.
პარასკევი რომ გათენდა, შაბათი არაფერია,
გახსოვს? ველკეთილზე საღამო უსამანო, შველივით
შემკრთალი,
აყვავებული ჩვენი კოცონი,
ფარული სევდა
ერთ დედოფალზე,
ლამზირა ერქვა იმ დედოფალს,
არაგვისპირის დედოფალი დავარქვით მაშინ...
ლამაზი იყო, ძალიან ლამაზი, ულვთოდ ლამაზი...
როგორ მინდოდა შენთან დუელი —
მაგრამ ჩაშალა ზაქარიაძემ...
აყვავებული კოცონის წინ დადგა მზეჭაბუკივით,
თვალი მოავლო ახლომახლო გარეშემოსა,
თავი მოდრიკა, თვალი დაბღვირა,
შეისუნთქა, ნესტოები მაგრა დაბერა და შეუბერა —
„ქალო გნახე ფეხშიშველი გამაიგოგდი ეზოშია..."
უხ, არაფერი არ მინდოდა, ცეკვა მცოდნოდა...
მეცეკვა დიდხანს,
მერე მიწა გამსკდარიყო და ჩავეტანე.
ბატონი სერგო ბათარეკამ შესცვალა უცებ
და ლექსი სტყორცნა გაორებულ-გაღორებულებს:

ჩემი სალამი ახვრებს, მატრაბაზებს,
ვინც რომ მასხარადზე
მუცელს ადარბაზებს.

ჩემი სალამი იმ კაცის საჭეს,
ვინც სწორ გზას აძლევს
კუჭისკენ საჭმელს.

ჩემი სალამი გაორებულებს,
ჩემი სალამი გაღორებულებს,
მუცელფუნთუშებს
და თავგასულებს,
ერთხელაც, მწვადი შეიკუნტრუშებს
და მიაშურებს სასულეს.

ოლია:

დავთვერით... კიდევ ბევრი რამე მახსოვს, ბევრი არ
მახსოვს...
სტუმრისა მოსვლას მზე მოჰყვა, წასვლასა შავი ღრუბელი.
დაჟანგული ტყვიის ფერია გული სოფლისა.
გახსოვს? გუდანში —
ვით ჩადიოდა მზე...
რთხმელებთან ეგდო მშვენიერი
ბებერი ცხენი, ზერდაგი, კბილებდაკრეჭილი
და მაინც მშვენიერი, მისი წითელი სამოსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცის დასავალს ზედ დასდიოდა.
გახსოვს? ვინატრეთ ჭუთვისტომო ნიკალას ფუნჯი...
სანამ ვადექით, ვერ გაბედა
ყორანმა მოსვლა. ჩვენ შევავედრეთ
ციურ სხეულებს ბებერი ცხენი, მერე,
იქუხა და დაუშვა კოკისპირულად.
ბათარეკამ
ჯუნგლებზე რომ სთქვა, ცხენს უთხრა გახსოვს?

> არ დაელია დიდმპყრობელი
> ქვეყანას ამას,
> ვეფხვი ჭამს ირემს,
> მგელი — ბატკანს,
> მელია — მამალს.
>
> კანონით ჯუნგლის —
> სისხლს ღვრიან და
> არბევენ ჭალებს,
> ბოლოს ვეფხვები რჩებიან და
> ერთმანეთს ჭამენ.

კარგი ვინმე იყო ბათარეკა, ბათარეკა ცინიკოსი.

ვაშა, სინათლეს, მოუკვლეველს და აწი მისაკვლევს...
— გახსოვს? სინათლე პურივით რომ დავჭერით
დანით და ნაჭერ-ნაჭერ შევჭამეთ გუდანის ჯვარში.
სინათლეს გაუმარჯოს!
სინათლის დახვრეტა არ შეიძლება!

მე, (ჩემთვის):

ჭინჭია იგი, უბრალო ჭინჭი, სანამ ჩაუთქვამ
და დროშად აქცევ...

ის — უზესთაესი:

იყავ მლვიძარე, ფრთხილ და მღვიძარე,
შენზე მონდობილი ერთი ცხოვარიც
არ წარწყმდეს ქვეყნად შენი ბრალითა.
არ მოისვენო არც დღე, არც ღამე,
თავს არა, სამწყსოს გაუფრთხილდი
და აღასრულე ვალი შენი წინაშე ერის.
აქ ასე ხდება, კაცი კაცს ჯობნის...
კაცმა კაცს არა,
უნდა აჯობოს სამართალმა უსამართლობას.
განაღე კარი მადლითა და სათნოებითა,
გამოაფინე შინაგანი სიწმინდე შენი,
ცხოვრება კაცის უნდა იყოს მსგავსი რჯულისა,
სიკვდილის შემდეგ რომ კვლავ დარჩეს დედამიწაზე.

1979 წელი, მაისი—ივნისი.

## ბავშვობის მეგობარს ვესალმები

ჯანსუღ ჩარკვიანი საოცრად კინემატოგრაფიული პიროვნებაა. არავის, ვინც თვალს ადევნებს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არ დასჭირდება იმის ახსნა, თუ რას ვგულისხმობ ამ კინემატოგრაფიულობაში. რეჟისორი-დოკუმენტალისტი მის შესახებ ფილმის გადაღებას თუ გადაწყვეტდა, საფიქრალის წინაშე აღმოჩნდებოდა: ჯანსუღ ჩარკვიანზე ფილმის გადაღება ძალიან იოლიცაა და ძალიან ძნელიც! იოლია იმდენად, რამდენადაც რეჟისორს ხელთ ექნებოდა უამრავი მასალა, დაწყებული რადიოსა თუ ტელევიზიის ვიდეოჩანაწერებით და გათავებული მისი მოძრავი და პლასტიკური ნატურით, მისი, ასე ვთქვათ, ფოტოგენური პიროვნებით და ძნელია იმდენად, რამდენადაც რეჟისორს ევალება გამოარჩიოს, სად არის, რომელია ნამდვილი ჯანსუღი, რა არის, თუნდაც მისსავე მოღვაწეობაში, ყველაზე ბუნებრივი და ლოგიკური მისთვის, და რა არის ის ფერმენტი, ჯანსუღ ჩარკვიანის განუმეორებელ პიროვნებას რომ ქმნის!

სიმონ ჩიქოვანის ლექსი მაგონდება ნიკოლოზ შენგელაიასადმი მიძღვნილი. ამ ლექსში ჩანს, თუ რა ლამაზია ის უხილავი ძაფები, ქართველ პოეტსა და ქართველ რეჟისორს რომ აკავშირებდა ერთმანეთთან. მეც მყავს პოეტები, რომლებთანაც ამგვარივე ძაფები მაკავშირებს, და ჯანსუღი, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ერთი უპირველესია მათ შორის. იმის ბოლომდე გააზრება, რომ ჯანსუღი ნახევარი საუკუნისა მოყრილა, ისევე ძნელია ჩემთვის, როგორც საკუთარისა, მაგრამ, როგორც ჩანს, უნდა დავიჯერო, ამიტომ ჯანსუღ ჩარკვიანს, ჩემი ბავშვობის მეგობარს, ვესალმები უბრალოდ, როგორც ბავშვობაში ვაკეთებდით ამას — ხელის აწევით, ან, თუ ახლოსაა, მხარზე ხელის წათათუნებით!

მე სიამოვნებით ვადევნებ თვალს მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, როგორც გრძელ, რთულ და საინტერესო ფილმს!

ამ ფილმის ჩვენებას დასრულება არ უწერია!

ელდარ შენგელაია

## მზეს ვთხოვ

ამ სტრიქონებს ივრის ხეობის ერთ გორაკზე ვწერ. ჩემს წინ გადაშლილია ლამით ნაწვიმარი ვეება სივრცე, მწვანედ ლაღლადებენ ტყეები და ველები, მიხმაურობენ წყლები, მთების უბეებში თეთრი ნისლები წვანან, ლურჯ ცაში ტრიალებენ ქორები, აქედან მინდა დაგლოცო, ძმაო ჯანსუღ!

შენ ჩემთვის ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის მიერ წამოღებული პოეტური გზის გამგრძელებელი ხარ. ლადოც და მირზაც მთებიდან იყვნენ მოსულნი, მთის ლაღი სუნთქვა და მკვიდრად დგომის უნარი ჰქონდათ მოყოლილი, უმძაფრესად გრძნობდნენ კაცურობის არსს. შენ იქნებ თბილისშიც ხარ დაბადებული, ქალაქელად ხარ გაზრდილი, მაგრამ შენი ლექსები, შენი პოეტური ცხოვრება მაღალი მთების სიჯანსაღით არის სავსე, შენი სახელიც კი მთათა შორის გადასაძახებლად ჟღერს — ჯაან-სუუღლ! თუ რამე უცხოა მთებისა შენთვის, ეს მათი განკერძოებულობა და მიუკარებლობაა. შენ ხომ მუდამ საძმოდ, საამბოროდ გაქვს გაშლილი გრძელი და ძლიერი მკლავები, ეგრევე მოდიხარ და მღერი, ჩაიმუხლებ და ცას შევედრებული ხარ. შენ ერთი

დიდი, უწყვეტი სამღერალი და სავედრებელი გაქვს — ეს არის ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის კეთილდღეობა, ეს არის კაცურობის რწმენის შენარჩუნება ჩვენში. ამ სამღერალს და სავედრებელს მაოცარის (მეფოკუსეს) მოქნილი თითები არ სჭირდება. მას სჭირდება მხურვალე გული და გაუბზარავი ხმა. შენ ერთიც მოგმადლა ღმერთმა და მეორეც. ამიტომ არის, რომ შენ ლექსს არასოდეს არ აწვალებ, არ აცოდვილებ, არ ამკობ თვალისმომჭრელი ზიზილ-პიპილებით და ღვარჭნილებით, გემღერება და მღერი, გეტირება და უბრალოდ ტირი.

ორმოცდაათი წელი რა არის, ძმაო! შენ დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლო, უნდა იცოცხლო და იჯანსაღო (აქ მავანნი და მავანნი იტყოდნენ, — იჯანსულოო, და მართალნიც იქნებიან). შენი სიჯანსაღე მჭირდება მე, სჭირდება იმ სტამბის მუშას, რომელსაც ჩემთვის უთქვამს, ჯანსულმა რომ გვთხოვოს, სამ დღეს არ გამოვალთ სტამბიდანო, სჭირდება ბევრ ჩემს მეგობარს, შენს ხალხს. საცა კაცური გაჭირვებაა, შენ იქ დიდი იმედი ხარ, საცა ლხინია და იქაც დიდი ლაზათი და მშვენება ხარ. შენი მოყვასისთვის თავგამოდების უნარი და ამას თანმიდევნებული კეთილი ღიმილი ნუ მოუშალოს ჩვენი ლიტერატურის საძმოს.

შენ იმდენ ხანს უნდა იცოცხლო, ბევრმა და ბევრმა გნახოს ბერმუხურად მდგარიც, ეს დიდად მოგიხდება, პატრიარქის ხმით რომ დალოცავ შენს ხალხს, შენს მოდგმასა და ჯიშს.

ბრდღვრიალა მზე ადგას გომბორსა და ცივს. სხვა რა შემიძლია, ძმაო, ამ დილის მზესა ვთხოვ, — შეაწიე, მზეო, შენი ულეველი მადლი ერის კაცს, კაცურ კაცს, ჩვენს კეთილ ძმას — ჯანსულს!

**რევაზ ინანიშვილი**

●

**მწყურვალისათვის**
**მიმატანინე წყალი...**

ეს არც პოზაა, არც ყალბი თავმოწონება, როცა ხასიათი, ბუნება პიროვნებისა და ლექსის იდეა, სტრიქონებით გადმოცემული კეთილშობილური სურვილი აცდენილი ისრებივით სხვადასხვა მხარეს მიზუზუნებს.

მორალური პასუხისმგებლობის გრძნობა ფხიზლად არის.

გულის გულში მოყვასის სიყვარული გიდუღს.

არა ერთი და ორი დარწმუნებულა, ამ სიყვარულს როგორ უანგაროდ, გულუხვად (ეგებ განურჩევლადაც) გასცემ.

ქვეყნად „მწყურვალს" რა დალევს და ღმერთმა და კაცმა ხელი მოგიმართოს, საზღაურად ისევ სიყვარულით გიპასუხოს.

ერთი ყლუპი თუ ერთი თასი მეც მერგო, სწორედ მაშინ, როცა არჩევანი უნდა მიმეღო — ღირდა თუ არა, პირველი სტრიქონები ბავშვურ გატაცებად ჩამეთვალა თუ „ტკბილი სატანჯველისთვის" გამეწირა თავი.

მახსოვს, როგორი კეთილგანწყობით ეჭიდებოდი აქა-იქა გაბნეულ ოდნავ მაინც ნათელ სტრიქონებს: არასდროს არ გითქვამს, გინდა თუ არა ასე წერეო, უბრალოდ, ხმამაღლა, რამდენჯერმე წარმოთქვამდი რაც მოგწონდა, მანიშნებდი, გეზი საითკენ უნდა მჭეროდა და ოსტატის მოთმინებით ელოდი, როდის „გავრანდავდი" „ცისკარში" გამოქვეყნების შესაფერს.

მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ „ცისკარში" პირველი პუბლიკაციის სიხარულის დავიწყება არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ვინც შესძლო, ვინც თანდგომას უმადურობით უპასუხა, თავისი ერთგულების, გატანის უნარი დააყენა ეჭვქვეშ. „ყველაფერში გაყიდული ამხანაგი №-ი“ სამწუხაროდ მრავლად დაიარება, მაგრამ იმედად მეორე მხარეც არსებობს...

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი —

თურმე როგორ შეიძლება გამარტივდეს ძალით გართულებული ურთიერთობები, გაიხსნას ფრჩხილები, გასაგები გახდეს მრავალუცნობიანი ხლართები და უმოკლესი და უნაღდესი გზით მივიდეს ადამიანი თავის უმთავრეს მოწოდებასთან...

ორმოცდაათი წელი გასულა. „სავსე სიმწუხარეთი, მაგრამ არა ღალატით“. ერთი კაცისთვის საკმარისი სიხარულიც დაგროვებულა და ტკივილიც, დასანანიც ბევრია და მოსანატრებელიც. ეკალიც შეგხვედრია და ჩატეხილი კიბეც, მაგრამ სიცოცხლის მოქმედების რიტმი არსად დარღვეულა, საკუთარ ჯავრთან მარტოს გიბრძოლია, მეგობრებთან თუ საკრებულოს წინაშე კი ლამის უდარდელი კაცის მოსასხამით წარმდგარხარ. თორემ:

კაცმა არ იცის
რით ვარსებობთ,
რას ვეჭიდებით —

რა ტრიალებს შიგნით, რა მდუღარეზე გეწვის ხელები, რას გეუბნება საკუთარი თავი, როცა პირისპირ რჩებით —

რადგან სიცოცხლე ერთი ბეწოა,
სიცოცხლეს უნდა სული უბერო.

დიახ, „სული უნდა ვუბეროთ,“ მხოლოდ საკუთარს კი არა — ახლობლის, მეგობრის, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლეს, თუკი გვინდა რომ ჩვენი არსებობის გამართლებას აზრი ჰქონდეს, თორემ დრო ყველაფრის მკურნალად ვერ გამოდგება — დიდ შეცდომებთან და ღრმა ჭრილობებთან ისიც უძლურია.

ეს ყველას კარგად მოეხსენება, თუმცა აღსრულება მხოლოდ მცირეოდენს უტვირთია და მჯერა, რომ, როგორც დღემდე, მომავალშიც იმ „მცირეოდენში“ ფეხმოუცვლელად იდგები, ისე, როგორც ამ სტრიქონების ავტორს ეკადრება:

ჩემი არა,
მტკივა შენი გული,
შენი ცრემლი,
შენი სევდა მტკივა.
ჩემი მკერდის პაწაწინა წყლული
გზას უნათებს საქართველოს დილას.

ვანო ჩხიკვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილები

კარლო პეგელაშვილი
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

# სასწაულები და სასწაულმოქმედნი

## ზოგიერთი მოსაზრება ადამიანთა სამკურნალოდ „ბიოველის“ გამოყენების შესახებ

### 4. საექიმო პროფესიის ზოგიერთი პრინციპი, ექიმობა სასწაულების გარეშე და ხალხური მედიცინის საგანძური

მეცნიერულმა მედიცინამ თავისი ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საექიმო საქმიანობის არაერთი ფუძემდებელი პრინციპი შეიმუშავა. ეს პრინციპები გამომდინარეობს ადამიანთმცოდნეობის ამ უძნელესი დარგის იმ შინაგანი კანონზომიერებებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ბუნების ურთულესი ქმნილების — ადამიანის ორგანიზმის გამოკვლევისა და მკურნალობის თავისებურებებთან.

თუ თვალს გადავავლებთ მედიცინის ისტორიას, მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში, დაწყებული უძველესი ხანიდან ვიდრე დღემდე, მოქმედებდა საექიმო დარგის სპეციალისტთა საქმიანობის განმსაზღვრელი კოდექსები. უძველეს საბერძნეთში ეს იყო ასკლეპიადთა სკოლის კურსდამთავრებულთა ალთქმა-ფიცი, ამას მოჰყვა ჰიპოკრატეს ფიცი, რომელშიც ყველაზე უფრო სრულად აისახა ექიმის მოვალეობანი და უფლებანი და რომელმაც თავისი მარეგულირებელი გავლენა საექიმო საქმიანობაზე, ახალ და უახლეს ისტორიულ პერიოდებშიც შეინარჩუნა. მე-18-19 საუკუნეების უნივერსიტეტთა კოლეჯების მიერ გამოშვებული ექიმების მიერ მიღებული ე. წ. საფაკულტეტო ალთქმა ჰიპოკრატეს ფიცის ერთგვარ მსუბუქ მოდიფიკაციას წარმოადგენდა, ხოლო საბჭოთა ექიმის ფიცში, რომლის მიღების აუცილებლობა რეგლამენტირებულია საბჭოთა კანონმდებლობით, თავისი ასახვა ჰპოვა მედიცინის ყველაზე უფრო ჰუმანურმა პრინციპებმა და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანის მორალური კოდექსის მოთხოვნებმა.

საბჭოთა ექიმის ფიცის მიღებით, რაც სავალდებულოა ყველა ახალკურსდამთავრებული ექიმისათვის, ამავე დროს ნებაყოფლობის საფუძველზე არის გაცნობიერებული ის განსაკუთრებული ეთიკურ-მორალური ვალდებულებანი, რომელთაც იგი იღებს საზოგადოების, მისი მომავალი პაციენტების წინაშე და უნდა გადაიზარდოს მედიცინის მუშაკის შესაბამის სამართალშეგნებაში.

ამავე დროს მთელი ეს ვითარება ცხადჰყოფს, რომ ექიმობის უფლება ეს სრულიად განსაკუთრებული ფუნდამენტური იურიდიული ცნებაა, რადგან იგი ექიმს, მის მიერ მიღებული სპეციალური ცოდნისა და მრავალმხრივი განათლების საფუძველზე საკმაოდ დიდ ძალაუფლებას ანიჭებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. ამავე გარემოებებით არის გაპირობებული, რომ საბჭოთა კანონი (სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მე-12 მუხლი) კატეგორიულად უკრძალავს საექიმო საქმიანობას ყველას, ვინც არ უნდა იყოს იგი, ვისაც ოფიციალური სამედიცინო განათლება არ გააჩნია. უფრო მეტიც, უკანონო საექიმო საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 250-ე მუხლი).

ექიმობის უფლების განსაკუთრებულობა იქიდანაც ჩანს, რომ კანონი ამგვარ რეგლამენტირებას პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში არ უწესებს თითქმის არც ერთ სხვა ისეთ პრესტიჟულ პროფესიებში მომუშავეებს (მათ შორის შესაბამისი განათლების არმქონეთ),

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10.

როგორებიც არის საინჟინრო, აგრონომიული ან თუნდაც პედაგოგიური სპეციალობები.

ცხადია, ეს დიდი უფლებები თვით ექიმების მიერ როდია უზურპირებული. არსებითად ეს არის ის დიდი პატივი და ნდობა, რომელსაც მიაგებს საზოგადოება ამ უაღრესად ჰუმანიურ პროფესიას. ისიც ნათელია, რომ უფლებათა ამგვარი განსაკუთრებულობა ექიმისაგან მოითხოვს დიდ წინდახედულობით და ფაქიზად გამოიყენოს ისინი. შემთხვევითი არ არის, რომ საექიმო საქმიანობის კოდექსს. მათ შორის ე. წ. ჰიპოკრატეს ფიცს, როგორი მოდიფიკაციაც არ უნდა განეცადა მას, წითელ ხაზად, ლეიტმოტივად მიჰყვება პრინციპი — „არ ვავნო ავადმყოფს!“.

ამავე დროს თვით საექიმო საქმიანობის სპეციფიკა, რომელიც უდიდეს ნდობაზეა დაფუძნებული, საზოგადოებისაგანვე მოითხოვს სრული პატივისცემით მოეპყრას ექიმობისათვის მინიჭებულ ამ წმინდა უფლებებს.

ეს დებულება რომ უფრო ნათელი იყოს, მთელი პირდაპირობით საჭიროა ითქვას შემდეგი: შეუძლებელია საექიმო საქმიანობის წარმატებით განხორციელება, თუ დაირღვა ის ელემენტარული პირობები, რომლებიც უნდა არსებობდეს ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში. ამგვარი დამოკიდებულება ამ ორ მხარეს შორის ისევ და ისევ ექიმის უფლება-მოვალეობისა და ავადმყოფის წარმატებითი გამოკვლევა-მკურნალობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს.

პირველი მოთხოვნა, რომელიც ამ ურთიერთობას წაეყენება, ეს არის ექიმის უსაზღვრო ავტორიტეტი პაციენტის თვალში, რომელიც მოიცავს ნდობას ექიმის მორალურ-ეთიკური სფეროსადმი, რაც პაციენტს საშუალებას აძლევს თამამად და უკანდაუხევლად გაანდოს ექიმს ყოველგვარი ინტიმური საიდუმლოება საკუთარი ცხოვრებიდან. არადა ამ მხრივ თავის შეკავებამ პაციენტის მხრივ ზოგჯერ ექიმის ანალიტიკური მსჯელობა დიაგნოზის დასასმელად შეიძლება წარმართოს არა იმ მიმართულებით, რომელიც განაპირობებს სწორი დასკვნების გამოტანას ავადმყოფის ნამდვილ მდგომარეობაზე, ექიმის მაღალი ავტორიტეტი მოიცავს აგრეთვე რწმენას მისი ცოდნისა და გამოცდილებისადმი, რაც პაციენტის წარმოდგენით მისი წარმატებითი მკურნალობის უპირველესი საწინდარია.

თუ როგორ დადებით შედეგებს იძლევა პაციენტსა და ექიმს შორის ჩამოყალიბებული ეს ურთიერთობა, ამის მაგალითებს ჩვენ მრავლად ვხვდებით არა მარტო წერილობით და ზეპირ გადმოცემებში წარსულის ცნობილი მკურნალების ნ. პიროგოვის, ს. ბოტკინის, ვ. ბეხტერევის, ვ. მანასეინის, ივ. გომართელისა და სხვათა საექიმო პრაქტიკიდან, არამედ ჩვენი დღევანდელობიდან. ეს კარგად იცის ყოველმა დღევანდელმა პაციენტმაც.

ცხადია, ამგვარი ურთიერთობა თავისთავად არ ყალიბდება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ მარტოოდენ ექიმის სახელი პაციენტთა მნიშვნელოვან ნაწილს წინასწარვე განაწყობს მისდამი პატივისცემით. მაგრამ არც ეს არის საკმარისი.

მაინც პაციენტსა და ექიმს შორის ამგვარი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში ან მის რღვევაში ორ ძირითად გარემოებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. უპირველესი აქ არის თვით ექიმის საქმიანი, ინტელექტუალური, მორალურ-ეთიკური და თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი თვისებები. სწორედ მათი მაღალი დონე უქმნის მას ავტორიტეტს და ეს განსაკუთრებით საჭიროა ექიმის პროფესიული საქმიანობის განსაკუთრებულობის გამო, რადგან სხვაგვარად ის სასურველი კონტაქტი, რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდით, ექიმსა და პაციენტს შორის ვერ დამყარდება. უფრო მეტიც, ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობათა საზომით დანახული ხინჯი ექიმის პიროვნულ თვისებებში არაიშვიათად, სახელს უტეხს არა მარტო პირადად მას, არამედ მედიცინის ყველა მსახურს, განსაკუთრებით თუ ეს ხინჯი საყოველთაო განხილვისა და მსჯელობის საგანი გახდა. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც სრულიად არაკომპეტენტური პირები ხელს ჰკიდებენ ნამდვილი, მაგრამ უნებლიე სამედიცინო შეცდომების განხილვას საჯარო გამოსვლებში, პრესის ფურცლებზე თუ მხატვრულ ნაწარმოებებში და უფრო მეტიც, მათ დაპირისპირებას „ექსტრასენსების“ და სხვა მისთანების „სამკურნალო“ მიღწევებთან. ეს არის მეორე ძირითადი გარემოება, რომელიც სრულ ეფექტურობას უკარგავს საექიმო საქმიანობის იმ დიდმნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მკურნალებისადმი დადებითი დამოკიდებულების შთამაგონებელ ძალაში გამოიხატება.

საექიმო საქმიანობის ამგვარი დევალვაცია, ცხადია, დიდად საზარალოა მთელი სამკურნალო საქმისა და მათ მსახურთათვის.

რა თქმა უნდა, აქ საქმე მარტო „ექსტრასენსებს“, მათ მეხოტბეებსა და წმინდა წყლის სამედიცინო შეცდომების უადგილო მანიფესტაციებში როდია. სამწუხაროდ, მედიცინის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ გვყავნან ისეთები, რომელთათვისაც პროფესიული თავმოყვარეობა კი არა, ელემენტარული ადამიანური წესიერების ცნებებიც კი უცხო ხილს წარმოადგენს, მაგრამ სამედიცინო საზოგადოებრიობამ თვითვე უნდა შესძლოს სათანადო მიაგოს თავის უღირს წევრებს. ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ მედიცინის მუშაკთა ამგვარ პრინციპულ პოზიციას არაერთგზის მოუცია უაღრესად დადებითი შედეგი. მაგრამ ამ მხრივ, განსაკუთრებით ექიმთა სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოებებს ჯერ კი-

დევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. ეჭვი არ არის, რომ სამედიცინო საზოგადოებრიობას შესწევს ძალა და უნარი, რომ მოუაროს ამ საქმეს, მაგრამ ამგვარი სიტუაცია, პირველ ყოვლისა, პაციენტისათვის არის საზარალო, რომელსაც რწმენა ეკარგება თავისი მკურნალი ექიმისადმი. იგი საზარალოა, ცხადია, მთელი საზოგადოებრიობისთვისაც, რომლის წარმოდგენაში სრულ გაუფასურებას განიცდის მის მიერვე ნდობით აღჭურვილი და მისივე ჯანმრთელობის დაცვისათვის განკუთვნილი სამსახური, ურომლისოდაც მას, სასწაულმოქმედ „ექსტრასენსების“ როგორ მოზღვავებასაც არ უნდა ექნეს ადგილი, არსებობა არ შეუძლია.

დიახ, ადამიანები, როცა მათ ჯანმრთელობის მდგომარეობის შერყევის გამო მართლაც გაუჭირდებოდათ, ყოველთვის ექიმს აკითხავდნენ და მომავალშიც მიაკითხავენ, სულ სხვა საკითხია, როგორი განწყობით წავლენ მასთან — იმედმიცემულნი თუ მედიცინის ძალებში საბედისწეროდ დაეჭვებულნი.

ამავე დროს ჭეშმარიტ მედიცინას თავისი ავტორიტეტის ასამაღლებლად არც არასოდეს მიუმართავს და არც მომავალში მიმართავს „სასწაულების სამყაროს“. სხვა საკითხია, რომ ადამიანთა ლექსიკიდან ჯერ კიდევ არ გამქრალა (და ალბათ არც გაქრება) ცნება სასწაულის შესახებ. მართლაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ადამიანის გონებამ და ხელმა იმდენ რაიმეს მიაღწია, იმდენი რამ შექმნა, რომ გაკვირვებისა და აღფრთოვანების გამოსახატავად ძალზე ხშირად თვითვე ხმარობს გამოთქმას „სასწაული“. ამ სასწაულის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ეს ყოველივე კარგად იცის თანამედროვე განათლებულმა ადამიანმა, მაგრამ იმავე ადამიანმა, რომელმაც სპეციალური მომზადება გაიარა რომელიმე ტექნიკურ თუ ჰუმანიტარულ დარგში და თავისი ზოგადი ნაკითხობის გამო ყურმოკვრით იცის ამა თუ იმ ბიოლოგიური თუ სამედიცინო ფენომენის არსებობის შესახებ, მის წარმოდგენებში, ზოგჯერ ურყევ ჭეშმარიტებასთან არის გათანაბრებული მეცნიერული ტერმინოლოგიის სამოსელში გახვეული აშკარა მისტიფიკაცია.

მედიცინას კი არ სჭირდება მისტიფიკაციები. მართალია, მან ბევრი რამ იცის ადამიანის ორგანიზმის, მისი ცხოველმყოფელობის შესახებ, მაგრამ მან ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იცის. ეს გასაგებიცაა. სამყაროს შეცნობადობის გრძელ გზაზე ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეს ახალს გავიგებთ, რაც მედიცინას დიდად დაეხმარება ადამიანის ორგანიზმისა და მისი დაავადებების შეცნობასა და წარმატებით მკურნალობაში, მაგრამ ყოველი ფაქტი თუ საშუალება, რომელიც ამავე მიზანს ემსახურება, ზუსტი მეცნიერული ექსპერიმენტით უნდა იქნას შემოწმებული და დადასტურებული, ექვემდებარებოდეს ბუნების ურყევ ზოგად კანონზომიერებებს და, როცა ვრწმუნდებით, რომ ახალი სამკურნალო მეთოდი ან საშუალება ვნებასაც არ მოიტანს, მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია იგი გამოვიყენოთ სამედიცინო პრაქტიკაში.

მეცნიერული ტერმინოლოგიის სამოსელში გახვეულ ამგვარ მისტიფიკაციად იქცა უკვე უბადლებული „ბიოველი“, რომელსაც ამ ცნების ავტორები უკავშირებდნენ ადამიანის ორგანიზმის გარშემო არსებულ რაღაც მისტიკურ შარავანდედს, რომელსაც, რატომღაც მაინცდამაინც ყოველგვარი წინაღმდეგჩვენების არმქონე სამკურნალო თვისებები უნდა ჰქონოდა და ამასთან ყოველგვარი დაავადება უნდა განეკურნა.

არარსებული ორგანიზმის ბიოველის ფენომენოლოგია ამ საკითხში გაუთვითცნობიერებელ პირებში გაიგივდა უჯრედებისა და ქსოვილების ნამდვილად არსებულ ფიზიკური ხასიათის ველებთან, ზოგიერთი მათგანის ძალზე სუსტ ბიოელექტრულ აქტივობასთან, ამ აქტივობის დროს წარმოქმნილ იმ ბიოდენებთან, რომელთა გაძლიერებისა და შემდგომში ჩაწერის გზით ხერხდება გულის (ელექტროკარდიოგრაფია), ტვინის (ელექტროენცეფალოგრაფია) და კუნთების (ელექტრომიოგრაფია) ფუნქციური მდგომარეობის უნატიფესი ცვლილებების დადგენა. მაგრამ აქ, როგორც ვხედავთ, არაფერია სასწაულებრივი, გარდა იმისა, რომ ეს ფენომენები ზოგიერთებმა სპეკულატურად გამოიყენეს არარსებული ბიოველის „სასწაულებრივი“ თვისებების დასასაბუთებლად.

მედიცინისათვის არავითარ სასწავლებრივს არ წარმოადგენს სათანადო ავტორიტეტით და ცოდნით აღჭურვილი ექიმის სიტყვის ძალა, რომლის ზემოქმედებით და იმის მიხედვით, თუ როგორი სახის ფსიქოთერაპიის გამოყენებაა საჭირო (ამას კი ისევ და ისევ ექიმი განსაზღვრავს), ავადმყოფი მკურნალობის ამ მეთოდის დროს ან ფხიზელ ანდა ჰიპნოზური ძილის მდგომარეობაში ექცევა. ამავე დროს მედიცინისათვის ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ფსიქოთერაპიის ამ მეთოდების გამოყენებისას შეიძლება მივაღწიოთ ისეთ „სასწაულებს“, როგორიცაა აგზნებული ავადმყოფის დამშვიდება, მტკივნეულ შეგრძნებათა თვალსაჩინო შემცირება, ავადმყოფობის მიმართ ემოციური რეაგირების მნიშვნელოვანი შენელება, რაც განსაკუთრებით აუმჯობესებს ავადმყოფის გუნებაგანწყობას.

ფსიქოთერაპიითვე მიიღწევა მაქსიმალურებელი ზემოქმედება, რომელიც მიმართულია ორგანიზმის კომპენსატორული ძალების მობილიზაციისაკენ. სხვათა შორის „ექსტრასენსები“ სწორედ მსგავს ეფექტებს აღწევენ ფსიქო-ფიზიკურად ლაბილურ პირებში და ამ უკანასკნელთა, მათი მოწმეების და თვით „ექსტრასენს-

ბის" ლოცვა-კურთხევით ისინი ახლადაღმოჩენილ სასწაულებრივ ფენომენებად ინათლებიან. „სასწაულების" რიგში იმყოფება ისტერიული წარმოშობის სიბრმავის, მუნჯობის თუ სრული დამბლების ზოგჯერ ერთ ფსიქო-თერაპიულ სეანსში მორჩენის შემთხვევები, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" 1980 წ. №4-ში. ნეტავ რას იტყოდნენ ყოველი ჯურის „ექსტრასენსები" და მათი თაყვანისმცემლები თუ მათ ვუჩვენებდით როგორ ხდება მშობიარობის თვალსაჩინო გაუტკივარება ე. წ. ფსიქოპროფილაქტიკური სეანსებით, რომლებიც ჯერ კიდევ ორსულობის, ადრეულ პერიოდში ტარდება. ანდა, როგორ მოახერხა ჯერ კიდევ 30-იან წლებში ერთმა გამოჩენილმა ქართველმა ფსიქონევროლოგმა რამდენიმე ფსიქოთერაპიული სეანსის ჩატარებით უზრუნველეყო მშობიარობის სრული გაუტკივარება.

აქ არ არის და არც შეიძლება იყოს არავითარი ყურითმოთრეული ბიოველი და, ცხადია, არც „ექსტრასენსური" ენერგიის გამოვლინება, ყველაფერი დიდი ხნიდან ცნობილი წმინდა ადამიანური ფენომენის — სიტყვის, ან როგორც აკად. ი. პ. პავლოვი იტყოდა, მეორე სასიგნალო სისტემის ზემოქმედების შედეგია შესაბამისი კონტიგენტის ადამიანთა ფსიქიკაზე. ამის შესახებ საკმაოდ მკაფიოდ უთხრა მკითხველებს ჩვენმა სახელოვანმა და მხცოვანმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ა. ზურაბაშვილმა ა. წ. 28 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში" დასტამბულ ინტერვიუში. ჩვენ ამ საკითხზე მეტად აღარ გავაგრძელებთ საუბარს, მით უფრო, რომ თითქმის მთელი ყურადღება, დრო და ადგილი ჩვენ „ექსტრასენსებს" შევალიეთ, თუმცა მედიცინის მიღმა მოვლენებში დღესაც საერიოზულ საფრთხეს ავადმყოფობით შეწუხებული ადამიანების ჯანმრთელობისა და უბრალოდ სოციალური კეთილდღეობისათვის წარმოადგენს ექიმბაშობა სხვადასხვა ბალახ-ბულახით, „თვითმოქმედებით" შექმნილი ნარევებით, ვითომცდა მალამოებით, ზოგჯერ საეჭვო და აშკარად სახიფათო მანიპულაციებით. ექიმბაშობა სერიოზული პრობლემაა, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ საკითხის განხილვას საგანგებო „მრგვალი მაგიდა" მიუძღვნა ჟურნალმა „საბჭოთა მედიცინამ". უკანასკნელ წლებში ამ საკითხზე გამოიცა საკმაოდ ღრმად გააზრებული და კარგად დაწერილი ბროშურები და წიგნიც კი. მათში დამაჯერებლად არის ნაჩვენები ექიმბაშობის მავნეობა, მისი მკვებავი ფესვები და მასთან წარმატებითი ბრძოლის გზები.

მაგრამ ამ წერილში საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას — თანამედროვე ექიმბაშობა ის აღარ არის, რაც წინათ იყო, როცა მისი გავრცელების ძირითად საფუძველს მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი კულტურა, უმეცრება და რაც მთავარია, მოსახლეობის მძიმე სოციალური მდგომარეობა, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების უკმარობა და მიუწვდომლობა ექიმბაშის ხელში აგდებდა. მაშ ახლა, როცა ეს მიზეზები ჩვენს ქვეყანაში ძირმოფხვრილია, ექიმბაშობამ ფერიცვალება განიცადა, როგორც იტყვიან, კანი გამოიცვალა. დღევანდელი ექიმბაშის ლექსიკა გამდიდრებულია სამედიცინო ტერმინოლოგიით, რითაც ადამიანის წარმოდგენაში იგი სამკურნალო საქმეში ღრმად ჩახედული სპეციალისტის სახელს იმკვიდრებს. იგი ახე პირდაპირ არ იწყებს ავადმყოფთა „მკურნალობას" — სთხოვს მათ ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების წარმოდგენას, რენტგენის სურათებსაც კი, საკმაოდ ფართოდ იყენებს თავის ნარევებს, ფხვნილებსა თუ გარედან წასასმელ წამლებში თანამედროვე ფარმაკოლოგიურ საშუალებებს. მაგრამ მთელი მისი მოქმედება, რა თქმა უნდა, შიშველ ემპირიზმზეა დამყარებული და მას, არც დაავადებას დიაგნოსტიკაში, არც მკურნალობაში არაფერი არ გაეგება. მისი პაციენტები ისევ და ისევ ის ავადმყოფებია, რომლებმაც როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. ზოგიერთი მედიკოსის არასაკმარისი ყურადღებისა და იმის გამო, რომ მედიცინას ჯერჯერობით არ ძალუძს სწრაფად და მთლიანად განკურნოს ისინი, შველისათვის მიმართავს ოფიციალური მედიცინის მიღმა მყოფ ამ „სასწაულმოქმედებს".

საგულისხმოა ისიც, რომ თანამედროვე ექიმბაში არაიშვიათად ეფარება სახალხო მკურნალის, ხალხური მედიცინის წარმომადგენლის ნიღაბს. ეს ნიღაბი მას იმიტომ ესაჭიროება, რომ ოფიციალური მედიცინისათვის ხალხური მედიცინა იყო და რჩება მკურნალობის ძველი და თანამედროვე არაერთი ეფექტური მეთოდისა და საშუალების წყარო და, რაც მთავარია, მისი საგანძური ჯერაც არ დაშრეტილა. ამავე დროს ხალხური მედიცინის მიერ გამოყენებულ მკურნალობის იმ მეთოდებში, რომელთაც დღეს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა თუ აქვთ (მხედველობაში მაქვს კიდურების ტრავმების, თავის ქალას მძიმე დაზიანებების, ზოგიერთი სახის ჭრილობის მკურნალობა), მკაფიოდ ვლინდება ხალხის გენია, მისი წიაღიდან გამოსული სახალხო მკურნალების გასაოცარი ნიჭი და უნარი, რომლის მეშვეობითაც მათ საშუალება ეძლეოდათ ეწარმოებინათ იმ დროისათვის ისეთი რთული ოპერაციები, როგორც მაგალითად თავის ქალას ტრეპანაციაა.

ამას წინათ პროფ. ვ. ქავთარაძემ საინტერესო და დამახასიათებელი მაგალითი მოიყვანა იმისა, თუ როგორ ურთიერთობაში იმყოფება თანამედროვე მედიცინის მონაპოვარი ხალხუ-

რი მედიცინის საგანძურთან. იგი შეეხებოდა დღეისათვის საკმაოდ ცნობილი საგულე საშუალების — სათითურას პრეპარატის დანერგვის ისტორიას. ხალხური მედიცინა სათითურას წარმატებით გამოიყენებდა ე. წ. წყალმანკის სამკურნალოდ. შემდგომში, როცა მედიცინამ მეცნიერულად შეისწავლა სათითურას ფარმაკოლოგიური თვისებები, დადგინდა, რომ იგი აუმჯობესებს გულის შეკუმშვად ფუნქციას და ამიტომ ერთობ ეფექტური აღმოჩნდა გულის უკმარისობის მკურნალობისათვის. სათითურას პრეპარატებით მკურნალობა გულის მუშაობის გაუმჯობესების კვალობაზე აძლიერებს ორგანიზმიდან სითხეების გამოყოფას და ამრიგად ავადმყოფს ათავისუფლებს გულის უკმარისობის თანმხლები უსიამოვნო სიმპტომისაგან — წყალმანკისაგან.

ამ მაგალითში, ვფიქრობთ, მკაფიოდ ჩანს, რომ ხალხურმა მედიცინამ ემპირიულად მიაგნო მცენარეული წამლის სამკურნალო თვისებებს, იყენებდა მას შესაბამისად, მაგრამ, გასაგებია, არ იცოდა მისი მოქმედების მექანიზმი. საკითხის მხოლოდ მეცნიერულმა შესწავლამ, რომლის დროს ზუსტად იქნა დადგენილი თუ კონკრეტულად რას უხდება ხალხური მედიცინის მიერ მოწოდებული წამალი, რა შემთხვევებში და როგორი წესით უნდა ვიხმაროთ იგი, ამ შესანიშნავ პრეპარატს გზა მისცა ფართო სამედიცინო პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ჩვენ ვიცით, რომ ხალხში დღესაც მოიპოვება თაობიდან თაობაზე გადმოცემული ხალხური მკურნალობის არაერთი მეთოდი და საშუალება. თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმ ტენდენციებს, რომლებიც ახლა ისახება ახალ, ეფექტურ სამკურნალწამლო საშუალებათა ძიებაში, როცა სამკურნალო პრეპარატების ქიმიური სინთეზის გვერდით, სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს ბუნებრივი რესურსებიდან (მცენარეული, ცხოველური, მინერალური ნედლეული) დამზადებული სამკურნალწამლო საშუალებანი, რომელთა ეფექტურობა, როგორც ამას წინათ „პრავდის“ ფურცლებზე (14. XI. 80) აღნიშნავდა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი ი. გურინი, არაიშვიათად უფრო მაღალია სინთეზური პრეპარატების სამკურნალო თვისებებზე, აღარაფერი რომ არ ვთქვათ მათ არატოქსიურობაზე.

ამავე დროს ამგვარ სამკურნალო საშუალებათა გამოვლინების მნიშვნელოვან და ჯერ კიდევ გამოუყენებელ რეზერვს სწორედ ხალხური მედიცინა წარმოადგენს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე დააგროვა მნიშვნელოვანი ემპირიული მასალა. მასში თავმოყრილია დიდი რაოდენობით სასარგებლო ცნობები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის მეცნიერებისაგან შემოწმებული და მედიცინის მიერ ათვისებული.

ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მკითხველთა გარკვეულ ნაწილს ამ საკითხზე არასწორი, ცალმხრივი ინფორმაციაც გააჩნია. მათი აზრით, წამლები და მკურნალობის მეთოდები ხალხური მედიცინიდან რამდენიც გნებავთ იმდენია, მაგრამ არავინ და კერძოდ მედიკოსები მათი პროფესიული ქედმაღლობისა თუ კონსერვატიზმის გამო, არაფრად არ აგდებენ მათ, არ იჩენენ ინტერესს მათი შესწავლისადმი და სხვ. ქვემოთ მოყვანილი ფაქტებით მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ე. წ. ოფიციალური მედიცინა სისხლხორცეულ, ნამდვილ პროფესიულ დაინტერესებას იჩენს ხალხური მედიცინის საგანძურით, მაგრამ ამჯერად მინდა ხაზგასმით, მივუთითო ერთ, ტიპიურ გარემოებაზე: ექიმბაშები, რომლებიც სახალხო მკურნალების ნიღაბს არიან ამოფარებულნი, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ადამიანთა მკურნალობისათვის, როგორც ჩანს, იყენებენ ხალხური მედიცინის ზოგიერთ საშუალებას (ე. წ. „საყმაწვილოს“ წამალი, ჭრილობების, დამწვრობის, ზოგიერთი სახის კანის დაავადების სამკურნალო მალამოები და გარეგანად სახმარი საშუალებანი და სხვ.), როდესაც მათ მიმართავენ წინადადებით ოფიციალური აპრობაციისათვის წარმოადგინონ მათ მიერ სამკურნალოდ ხმარებული საშუალებანი (როგორც ამას საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს), ისინი ათასგვარ ხერხს მიმართავენ, რათა თავიდან აიცილონ ამგვარი პროცედურა. ეს გასაგებიცაა!

ზოგიერთისათვის (როგორც ეს „ექსტრასენსებს“ დაემართათ) ეს იქნება მათი ყალბი სამკურნალო ამბიციების მხილება, რაც მათთვის იოლად ფულის შოვნის შეწყვეტას მოასწავებს, სხვათათვის, რომელთა სამკურნალო საშუალებებში მართლაც შეიძლება არსებობდეს რაციონალური მარცვალი, ეს იქნება ამ საშუალებაზე მონოპოლიის და მაშასადამე, შემოსავლის მუდმივი წყაროს დაკარგვის საფრთხე.

ამიტომ ბევრ მათგანს — აშკარა ექიმბაშსაც და ე. წ. სახალხო მკურნალსაც გამოუმუშავდათ დემაგოგიის ერთი და იგივე სტერეოტიპი, რომელიც რამდენიმე ელემენტს შეიცავს: ეს არის პირველ ყოვლისა, მედიკოსთა თითქოსდა მტრული, აგდებული დამოკიდებულება მათი პიროვნებისა და მათი მეთოდების მიმართ, თითქოსდა იმის სურვილი, რომ მათ წაართვან წამლის ავტორობის უფლება და სხვა. ზოგიერთი ამგვარი „მკურნალი“ აშკარა პროვოკაციასაც არ ერიდება. საკმარისია მას, იმის შემდეგ რაც არა ერთხელ და უშედეგოდ შესთავაზეს მის მიერ სამკურნალოდ ხმარებული საშუალებების აპრობაციაზე წარმოდგენა და ამის გამო ადმინისტრაციულმა ორგანოებმა აუკრძალეს უკანონო მკურნალობა, ისინი არა-

სწორად ინფორმირებულ თავიანთ პაციენტებს მიუსევენ ოფიციალურ ორგანოებს, რომლებიც მათივე ინტერპრეტაციით ასე უმადურად ეპყრობიან ხალხის „ჯანმრთელობისათვის" (წაიკითხე — საკუთარი ჯიბის გასქელებისათვის) ვითომცდა თავდადებულ ადამიანებს.

სამწუხარო, და სავალალო ასეთ შემთხვევებში ის არის, რომ ბევრი მათგანი ამ გზით ახერხებს მათ გამოესარჩლოს საზოგადოების, ზოგჯერ საკმაოდ გავლენიანი ნაწილი და ყველაფერი ძველებურად რჩება.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს სიყალბის მხილებისაგან თავდაცვის, ანდა შემოხავლიანი მონოპოლიის შენარჩუნებისათვის გამოგონილი ხერხებია და მას იმ რეალობასთან არაფერი საერთო არა აქვს, რომელიც ითვალისწინებს ახალ სამკურნალწამლო საშუალებათა ძიებას ხალხური მედიცინის საგანძურში და მათ ჩაყენებას სახალხო ჯანმრთელობის სამსახურში.

მართლაც, საქართველოში ამ მხრივ საკმაოდ კარგი ტრადიციები გაგვაჩნია. ქართული მეცნიერული ფარმაციის ფუძემდებლის აკადემიკოს ი. ქუთათელაძის, მისი თანაშემწეების შრომით და რუდუნებით ჩვენს მიწაწყალზე გამოვლინებული, მეცნიერულად შესწავლილი იქნა და სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგა არაერთი უაღრესად ეფექტური სამკურნალო საშუალება, რომელთა დიდი უმრავლესობა სწორედ მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის გამოყენებას ეფუძნებოდა.

ორმოციანი წლების ბოლოს ჩვენში კიდევ ერთი კარგი საქმე იქნა წამოწყებული ქართული ხალხური მედიცინის სისტემატური მეცნიერული შესწავლის მიზნით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ს. ჯანაშიას დიდი ხელშეწყობით, მაშინდელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა ქართული ხალხური მედიცინის ისტორიის განყოფილება. განყოფილებამ არსებობის შედარებით მცირე ხნის მანძილზე საკმაოდ სოლიდური სამუშაო ჩაატარა, რომელიც ემყარებოდა არა მარტო შესაბამისი ისტორიული, არქეოლოგიური მასალების შესწავლას, არამედ თვით ხალხის წიაღში შემორჩენილი ხალხური მედიცინის ნიმუშების შეგროვებას და მეცნიერულ დამუშავებას, რომელშიც მონაწილეობდნენ მედიცინისა და ფარმაციის სხვადასხვა დარგების წარმომადგენლები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქეოლოგები, ბოტანიკოსები და სხვ. ამ მიზნით მოეწყო ექსპედიციები არაგვისა და მცირე ლიახვის ხეობებში, ხევსა და ფშავ-ხევსურეთში. სამწუხაროდ ეს კარგად წამოწყებული საქმე მომდევნო წლებში მოიშალა, განყოფილება გაუქმდა. გაუქმდა მედიცინის ისტორიის კათედრაც კი.

მხოლოდ უკანასკნელი 6-7 წლის მანძილზე, იმის შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში აღსდგა მედიცინის ისტორიის კათედრა, იმავე ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიასთან ჩამოყალიბდა შესაბამისი კვლევითი დანაყოფი. ხოლო მანამდე შექმნილი ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი რესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებად იქცა. შეიქმნა შესაძლებლობა ეს კარგი საქმე კვლავ მაღალ დონეზე იქნას დაყენებული. ამ მხრივ უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ ისინი, ცხადია, საკმარისი არ არის. გარდა ამისა, რესპუბლიკაში ჩვენ გაგვაჩნია მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აგრეთვე თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის შესაბამისი ლაბორატორიების სახით, რომლებიც დიდ და საიმედო საფუძველს ქმნიან ხალხური მედიცინის საგანძურის გულდასმით და წარმატებით შესწავლისათვის და მისი საუკეთესო ნიმუშების ჩასაყენებლად ხალხის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში.

ამრიგად, ჩვენს თანამედროვე მედიცინას ყველა პირობა, და რაც განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ხალხური მედიცინის საგანძურის რაციონალური გამოყენებისა. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. სათითაოდ სამკურნალოდ გამოყენების ზემოთ მოყვანილი მაგალითი იმასაც გვეუბნება, რომ გარეგნულად როგორი ეფექტურადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს ხალხური მედიცინის საშუალებათა სამკურნალო მოქმედება, მათი დანერგვა პრაქტიკაში უცილობლად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, უნდა მოხდეს დაავადებათა მკურნალობის მეთოდებისა და საშუალებების შემოწმების შემდეგ. ჩვენში მოქმედებს ასეთი სისტემა, რომელიც საბჭოთა კანონმდებლობით არის დაწესებული. ამ სისტემას სათავეში უდგას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ფარმაკოლოგიური კომიტეტი, რომელიც იხილავს ყველა წინადადებას ახალი წამლების შესახებ, აწარმოებს მის კლინიკურ გამოკვლევას გულდასმითი ექსპერიმენტული შემოწმების საფუძველზე.

საბჭოთა კანონი ითვალისწინებს, რომ სამკურნალოდ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ის საშუალება, რომელმაც მიიღო ფარმაკოლოგიური კომიტეტის შესაბამისი ნებარ-

თვა. ასეთია წესები და მათი იგნორირების უფლება არავის არა აქვს.

ეს წესები ვინმეს კაპრიზით, ან დაუსაბუთებელი სურვილით კი არ არის შექმნილი. იგი მეცნიერულად ყოველმხრივ დასაბუთებული, პრაქტიკით არაერთგზის შემოწმებული და მაშასადამე მართებულია. იგი პირველ ყოვლისა, გზას ულობავს ყოველგვარ ანარქიას უფაქიზეს საქმეში — ადამიანის მკურნალობაში და ქმნის ერთადერთ საიმედო ჯებირს, რომელიც ალკვეთავს ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეში არამეცნიერული, ზოგჯერ ადამიანის ჯანმრთელობისათვის აშკარად საშიში, ექიმბაშური მეთოდების გავრცელებას.

მაგრამ, როგორც ძველი ლათინები იტყოდნენ — „საჭიროა კანონებს ვიცავდეთ“.

სამწუხაროდ, ჩვენს შორის ჯერ კიდევ მოიძებნება არაერთი, რბილად რომ ვთქვათ, საქმეში ჩაუხედავი პირი, რომლის მსჯელობა ამ საკითხზე დაახლოებით ასეთია:

ესა თუ ის წამალი ან მკურნალობის მეთოდი თუკი მართლაც შველის ავადმყოფს, თუნდაც იგი ოფიციალურად არ იყოს ნებადართული, რაღად მივსდევთ ამ ფორმალობებს. ბოლოს და ბოლოს ადამიანი თავისი ნება-სურვილით მიდის არაოფიციალურ მკურნალთან და თავისივე სურვილით, ყოველგვარი ძალდატანების ან ზეგავლენის გარეშე იღებს მისგან წამალს, რომლის სამკურნალო მოქმედებით ავადმყოფი კმაყოფილია.

ვიწრო პრაგმატულად მოაზროვნე ობივატელის თვალში ამგვარი მსჯელობა რკინისებრ ლოგიკას უთანაბრდება და მისი დარღვევა შეუძლებელია.

მაგრამ იგივე სამედიცინო პრაქტიკა, საბჭოთა მოქალაქის უწმინდესი უფლება-მოვალეობანი საზოგადოების წინაშე სრულიად საწინააღმდეგოს გვეუბნება და ამ ვითომცდა ლოგიკური მსჯელობისაგან აღარაფერს არ სტოვებს.

## 5. კონცეფციები „სულთა სამყაროს“ შესახებ წინათ და ახლა

სასწაულები და სასწაულმოქმედებანი კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში ყოველთვის იპყრობდა ადამიანების ყურადღებას. ამის შესახებ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს რელიგიის ისტორია. მაგრამ უკანასკნელი ორი-ორნახევარი საუკუნის მანძილზე სასწაულმოქმედებმა და სასწაულებმა ერთგვარად ფორმა იცვალეს — ყველა ისინი მეცნიერების სამოსელში გაეხვივნენ, ე. წ. განათლებულ პირთა მფარველობის ქვეშ აღმოჩნდნენ და საზოგადოებრიობის წინაშე წარმოდგნენ როგორც ზებუნებრივ ძალთა უნიკალური მხილველნი და მატარებელნი.

„სასწაულმოქმედთა“ ამგვარი ფერისცვალება გასაგებია — მეცნიერებისა და ტექნიკის არაჩვეულებრივად სწრაფი განვითარების პერიოდში, რომელიც სწორედ ახალი და უახლესი ისტორიის მონაკვეთებს მოიცავს, მარტო ძველი და ახალი აღთქმის წარმოდგენებზე, ანდა ამგვარ უმეცრებასა და ცრუმორწმუნეობაზე „სასწაულმოქმედებათა“ აგება, ცხადია, მათ შემოქმედთ დიდ დივიდენდებს ვერ მოუპოვებდათ მეხოტბეებისა და მფარველების თვალში. მაგრამ ნიადაგი მათ ამ თვითმოქმედებას საკმაოდ ნაყოფიერი აღმოაჩნდა სწორედ მაღალ საზოგადოებაში.

სამეფო კარზე თუ მთავრობის უმაღლეს მოხელეთა სამსახურებრივ აპარტამენტებში, მდიდრულ სასახლეებში თუ ფეშენებელურ კურორტებზე ცხოვრების უშინაარსო მდინარების ერთფეროვნებით თავმობეზრებული, მატერიალურ სიკეთეთა სიუხვით და უსაქმურობით გულმოყირჭებული ეს „ელიტა“ ნებით თუ უნებლიეთ გამუდმებით ეძიებდა რაღაც ისეთს, რაც გამოიყვანდა მას ამ მდგომარეობიდან. ამავე დროს ეს „რაღაც“ არ უნდა ყოფილიყო ისეთი რამ, რაც ოდნავ მაინც დაემუქრებოდა საზოგადოების „რჩეულთა“ მაღალ მდგომარეობას სოციალური კიბის საფეხურებზე.

რა ან ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი რამ?

რა თქმა უნდა, რაღაც სასწაულებრივი მოვლენა, ვინმე სასწაულმოქმედი, რომელიც შეძრავდა მათ მთვლემარე გრძნობას და გონებას. სწორედ ასეთ ვითარებაში მართლდებოდა გამოთქმა „ეძიებდე და ჰპოვებდე“ — მართლაც, საზოგადოებას მოევლინებოდა კარგად შენიღბული. შარლატანი, რომლის მიერ მოხდენილი „სასწაულები“, აღაგზნებდა არისტოკრატიის გაზულუქებულ წარმომადგენლებს, ასევე სასწაულებრივად მოუხსნიდა მათ „სპლინს“ მუდმივ ნევრასთენიულ მოჟენთილობასა და თავის ტკივილს.

ასე, ამგვარად არისტოკრატთა და შარლატანი სასწაულმოქმედები ექებდნენ და ნახულობდნენ ერთმანეთს, წლების მანძილზე შეხმატკბილებულად თანაარსებობდნენ — პირველი წყალობით და დოვლათით ავსებდა მეორეს, მეორე კი ერზაც-საზრდოს აწვდიდა პირველის გალატაკებულ სულს. მაგრამ იდუმალებით მოცულმა და ვითომცდა საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით აღჭურვილმა რამდენიმე ამგვარმა „ფენომენმა“ ძალზე სასკანდალოდ დააზარალა საზოგადოების ეს პრივილეგირებული ნაწილი: ხალხის თვალში სერიოზული და დასაბუთებული ეჭვის ქვეშ მოექცა არისტოკრატების გონებრივ შესაძლებლობათა პრესტიჟი.

ჯერ ერთი იმის გამო, რომ, როგორც წესი, „სასწაულმოქმედთა“ შარლატანობა ბოლოს და ბოლოს ნათელი ხდებოდა თვით მათი მეხოტბეებისათვის, მეორეც, მათი შარლატანობის დამაჯერებელ მხილებას აწარმოებდნენ ჭეშ-

მარიტი მეცნიერები და ის გონიერი ადამიანები, რომლებიც ასე მრავლად მოეპოვებოდა განათლების არც თუ ისე მაღალი ცენზის მქონე ე. წ. დაბალ საზოგადოებას. დამახასიათებელია, რომ არისტოკრატიის წიაღში არ მოიძებნებოდა არავითარი სალი ძალა, რომელიც გაუმკლავდებოდა ამგვარ ობსკურანტიზმს. გამონაკლისად შესაძლოა გრიშკა რასპუტინის ისტორია მივიჩნიოთ და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან მისი შარლატანობის მხილებაც და ფიზიკურ მოსპობასაც სწორედ არისტოკრატიის მიერ თავის სოციალურ და პოლიტიკურ პრივილეგიათა შენარჩუნების სამკვდრო-სასიცოცხლო დილემა ედო საფუძვლად.

ყველა ზემოთჩამოთვლილი დებულების მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს მხოლოდ ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც ქვემოთ მოგვყავს.

ამგვარ შარლატანებს შორის, თუ ქრონოლოგიას მივყვებით, პირველობის პალმა ალბათ უნდა მიეკუთვნოს საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XVI-ის კარზე, მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში აღზევებულ „სასწაულმოქმედს“, რომელიც გაქნილ და შენიღბულ დამნაშავეთა ჩვეულებისამებრ, საზოგადოებას ევლინებოდა ხან გრაფ კალიოსტროს, ხან მარკიზ დე პელეგრინის, ხან ექიმ ბალზამოს, ხან კიდევ მელისას თუ ბელმონტეს სახელით. იგი წლების განმავლობაში დათარეშობდა მთელ საფრანგეთში და ზოგჯერ მის მეზობელ ქვეყნებში. მაგრამ მისი სეანსები ყველაზე უფრო დიდი წარმატებით სარგებლობდა უშუალოდ ლუდოვიკო XVI-ის სამეფო კარზე, დედოფალ მარი-ანტუანეტას ან მისი რომელიმე ფრეილინის ბუდუარში. კალიოსტროს პასები და სეანსები ირგვლივმყოფთათვის იდუმალებით მოცულ ტრანსში აგდებდა მაღალი საზოგადოების გაზულუქებულ ქალბატონებსა და ბატონებს, ხოლო მისი „წინასწარმეტყველებანი“ მოახლოებული რევოლუციით გულგახეთქილ ლუდოვიკო XVI-ის და მის კარისკაცებს იმედის ნათლად ეფინებოდა.

გრაფი კალიოსტრო უბრალო ხალხშიც ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას, მაგრამ სწორედ ამ წრეში იგი რამდენჯერმე ამხილეს თაღლითობაში, ამის გამო არაერთხელ აღმოჩნდა საპატიმროს კედლებს მიღმა. ყველა ასეთ შემთხვევაში კალიოსტროს მისი უდიდებულესობის ძალაუფლება გადაარჩენდა სამართლიან სასჯელს, ბოლოს და ბოლოს სკანდალური ისტორიებიდან კალიოსტროს მრავალგზის დახსნით თავგაბეზრებულმა მეფემ თავის პირად მტრად გამოაცხადა ყველა ის პირი, ვინც გაბედავდა ხელი ეხლო შარლატან კალიოსტროსათვის.

მაგრამ ლუდოვიკო XVI-ის მიერ ყოველგვარი შესაძლო დანაშაულის ზღვევისაგან წინასწარ ამნისტირებულ კალიოსტროს ხარაში ბოლო მოუღო იმ ახალმა ვითარებამ, რომელიც საფრანგეთში შეიქმნა 1789 წლის რევოლუციური ამბების შემდეგ. სწორედ ამ წელს კალიოსტრომ წმინდა ლეონეს ციხეში ამოჰყო თავი, მეფეს კი მისთვის აღარ ეცალა — მას ტახტის გარდუვალი დაკარგვა და ბოლოს გილიოტინით თავის მოკვეთა ელოდა. თუმცა კალიოსტრომ მეტხანს იცოცხლა, ვიდრე მისმა მფარველმა პატრონმა, მაგრამ მან რევოლუციური საფრანგეთის მართლმსაჯულების ტყვეობაში — წმ. ლეონეს ციხეში დალია სული 1795 წელს. კალიოსტრო ისე უსახელოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ არც მის სასწაულმოქმედებებს ეწერა აღიარება, არც მის წინასწარმეტყველებებს — ახდენა.

ისტორია გვასწავლის და ეს არაერთხელ დადასტურდა შემდგომშიც — ძლიერნი ამა ქვეყნისანი უძლურნი არიან ბოლომდე გაუწიონ მფარველობა შარლატანობას.

ამავე პერიოდში გაიშალა ფრანც ანტონ მესმერის მაგიური შარავანდედით მოსილი მოღვაწეობა. ჯერ კიდევ 1784 წელს დაცული დისერტაციით იგი ცდილობდა აელორძინებია პარაცელსის კონცეფცია ციური მნათობებიდან ადამიანზე მაგნიტური თვისებების გადაცემის შესაძლებლობის შესახებ. ამ შეხედულების ფანტასტიკურობის მიუხედავად, რაც იმთავითვე ცხადი იყო მაშინდელი მეცნიერებისათვისაც, მესმერის გამოცხადება რიგით შარლატანად არ შეიძლებოდა.

თუნდაც იმიტომ, რომ ექიმის დიპლომი და მეცნიერული ხარისხი მისი დიდი მფარველი და ამასთან ძალზე ქმედითი იარაღი იყო არა მარტო მისტიციზმით შეპყრობილი მაღალი საზოგადოების თვალში, არამედ პაციენტთა ძალზე ფართო მასაში უებრო მკურნალის სახელისა და დიდების მოსახვეჭად. ამავე დროს ამგვარი დიდი ავტორიტეტი განაპირობებდა ავადმყოფთა, განსაკუთრებით ფუნქციური ნერვული დაავადებებით შეპყრობილთა მკურნალობის უაღრესად მაღალეფექტურობას. თითქოსდა ჯადოსნური წრე შეიკრა — მესმერის მიერ გაკეთებული მსუბუქი მასაჟი სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მრავალ ასეთ ავადმყოფს თავისი თავი განკურნებულად ჩაეთვალა.

მესმერის ამგვარ სამკურნალო სეანსებს ერთი მხრივ იდუმალების და მეორე მხრივ მეცნიერულობის შარავანდედით მოსავდა შესაბამისი ანტურაჟი — დარბაზში, სადაც მესმერის სეანსი უნდა ჩატარებულიყო, იდგმებოდა სხვადასხვაგვარი მოწყობილობა, რომელიც ვითომცდა ხელს უწყობდა მაგნიტური ძალის გამოვლინებას, ხოლო სეანსებს წინ უძღოდა

მესმერის „ღრმად მეცნიერული“ ლექცია „ცხოველური მაგნეტიზმის“ შესახებ. თავის ლექციებში მსმენელს იგი არწმუნებდა, რომ პირადად ფლობს ჭარბ მაგნიტურ ძალას, რომელსაც ხნეულის ზედაპირზე ხელის მსუბუქი მოძრაობით გადასცემს ადამიანს და ამრიგად განკურნავს მას.

გასაგებია, რომ მესმერის — ექიმის, მეცნიერების დოქტორის — საზოგადოებრივი და მეცნიერული პრესტიჟი, ახალი თეორიის შემქმნელის ამბიციები იმდროინდელ სამეცნიერო საზოგადოებას ვერ დასტოვებდა ინერტულ მდგომარეობაში. მესმერიზმს ან საყოველთაო მეცნიერული აღიარება უნდა მოეპოვებია, ანდა უარყოფილი ყოფილიყო ასევე მეცნიერული, სარწმუნო დასაბუთების საფუძველზე.

ასეთი ალტერნატივის ვითარებაში წარსდგა მესმერი და მისი „ცხოველური მაგნეტიზმის“ თეორია პარიზის მეცნიერებათა აკადემიის ავტორიტეტული კომისიის წინაშე 1784 წელს და სრული დამაჯერებლობით, ისე, რომ თვით მესმერსაც აღარ დარჩა საფუძველი დაჟინებით ებრძოლა საკუთარი შეხედულებების მეცნიერული აღიარებისათვის, „ცხოველური მაგნეტიზმის“ თეორია მთლიანად და სავსებით იქნა უარყოფილი, როგორც ყალბი, რეალური საფუძვლებს მოკლებული, წმინდა ემპირიულ წარმოდგენებზე დამყარებული.

პარიზის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის წევრები იმხანად იყვნენ მეცნიერული აზროვნების გიგანტები და ბრწყინვალე ექსპერიმენტატორები, — ა. ლავუაზიე, ბ. ფრანკლინი და სხვ., გვერდი არ აუვლია ანტონ მესმერის მეთოდის სამკურნალო ეფექტურობის მექანიზმისთვის. მკითხველი ზემოთ ნათქვამის საფუძველზე ადვილად მიხვდება, რომ მოქმედი ხაწყისი ა. მესმერის პასებში იყო არა ყურით მოთრეული „ცხოველური მაგნეტიზმი“, არამედ პაციენტზე მკურნალის ფსიქიკური ზემოქმედება — შთაგონება, ანუ როგორც ახლა ვიტყვით, ფსიქოთერაპია ავადმყოფის ფხიზელ და ჰიპნოზურ მდგომარეობაში. ასეც მიიჩნია პარიზის აკადემიამ ა. მესმერის სამკურნალო ეფექტები.

მესმერიზმის ზოგიერთ მეცნიერულ კომენტატორს მიაჩნია, რომ თვით ანტონ მესმერს ურყევად და გულწრფელად სჯეროდა თავისი თეორიის მართებულების და თუ ეს უკანასკნელი მეცნიერული ფაქტების ულმობელობით ბოლოს და ბოლოს მაინც ყალბი აღმოჩნდა, ეს ტრაგედია უფრო იყო, ვიდრე მისი თითქოსდა შარლატანური ზრახვების და მოქმედების მხილება. ასეა თუ ისე, მეცნიერული ჭეშმარიტების წინაშე, რაც პირველ ყოვლისა, ექსპერიმენტის საფუძველს ემყარება, სრულიად უსუსური აღმოჩნდა და ხუხულასავით დაინგრა მესმერის „ცხოველური მაგნეტიზმის“ თეორია, ხოლო აქედან გამომდინარე მისი სამკურნალო კონცეფცია ქვიშაზე აგებული აღმოჩნდა.

ყოველივე ამას რეალურად ის მოჰყვა, რომ მესმერს პარიზში აუკრძალეს საექიმო საქმიანობა, რაც დრო გადიოდა „ცხოველური მაგნეტიზმის“ სეანსების განმაცვიფრებელი შედეგები დავიწყებას ეძლეოდა, ხოლო თვით ა. მესმერი — ასევე ყველასაგან დავიწყებული, 1815 წელს გარდაიცვალა ემიგრაციაში.

სულთა სამყაროს მოციქულების „სასწაულმოქმედებათა“ ახალი და უახლესი ისტორიის კიდევ ერთ კოლორიტულ პერსონაჟად უდავოდ ელენა პეტრეს ასული ბლავატსკაია უნდა მივიჩნიოთ. მან მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, ე. ი. თითქმის ასი წლის შემდეგ დოქტორ ბალზამოს და დოქტორ მესმერის კრახით დამთავრებული მოღვაწეობის შემდეგ, თავისი „ზებუნებრივი ძალები“ პირველ ხანებში სანქტ-პეტერბურგის არისტოკრატიაზე გამოსცადა და დიდი წარმატებითაც.*

ეს წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ამგვარი სასწაულების ოკეანესგაღმელ თაყვანისმცემლებს და ბლავატსკაია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს. 1878 წ. იგი ამერიკაში ჩავიდა და აქვე, ნიუ-იორკში დასახლდა, მაგრამ მისი მოქმედების არეალმა თითქმის მთელი ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი მოიცვა. „სასწაულებით“ აღსავსე მისი სეანსები, რომლებიც ილუზიონისტთა წარმოდგენებს უფრო წააგავდნენ, ამერიკის ბურჟუაზიული წრეებისა და იქაური პრესის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ გამოჩნდნენ ცრუმეცნიერი-თეოსოფები, რომლებმაც დაიწყეს ე. ბლავატსკაიას „სასწაულების“ მეცნიერული საფუძვლების ძიება, თუმცა საძიებელიც არაფერი იყო — ამ დროს აურაცხელი სიმდიდრით და სოციალური უპერსპექტივობით შეცბუნებულ ამერიკულ ბურჟუაზიას გადაედო ევროპული არისტოკრატიის მძიმე სენი — სულიერი ძალების დაოსების მდგომარეობიდან გამოსაყვანად სასწაულებისა და სასწაულმოქმედთა ძიება. სწორედ ამ ხანებში ამერიკის შეერთებული შტატები გახდა სპირიტიზმისა და მისი ერთ-ერთი განშტოების — მედიუმიზმის ბუდე, რომელიც თავის „მეცნიერულ“ კონცეფციებს სულების სამყაროზე გულუხვად უნაწილებდა ევროპის ქვეყნებს და მათ შორის რუსეთსაც. ასეთ ნაყოფიერ ნიადაგზე ე. ბლავატსკაიასა და მის თანამოაზრეთ, თუმცა დროებით, მაგრამ მაინც მოახერხეს თავიანთი „სასწაულებრივი“ საქმიანობის ვაშლა ამერიკელთათვის დამახასიათებელი მასშტაბურობით.

---

* ამავე საკითხებზე იხ. В. Е. Ротнов; Пророки и чудотворцы, М., 1977.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ 1875 წ. 17 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა ბლავატსკაიას სახელობის თეოსოფიური საზოგადოება, რომელსაც ვითომცდა თავს იდო მხოლოდ ე. ბლავატსკაიას „იდეების“ გავრცელება და პრაქტიკული განხორციელება, სინამდვილეში კი საზოგადოება მხოლოდ მერკანტილურ მიზნებს ისახავდა: სასწაულების მოყვარული მდიდარი „თეოსოფების“ გულუხვ შემოწირულებებს თუ ჭკუაზბნეული რიგითი ამერიკელების მოკრძალებული შენატანებით დაგროვებულ თანხებს მატერიალურად უნდა უზრუნველეყო თვით ბლავატსკაია და მისი თაღლითი თაყვანისმცემლები.

მაგრამ გავიდა სულ რამდენიმე წელი და როგორც მოსალოდნელი იყო ყველაფერს ნათელი მოეფინა — სასწაულმოქმედის „სასწაულები“ არავისზე ახდენდა შთაბეჭდილებას, თეოსოფიური საზოგადოება უსახელოდ დაიშალა, ხოლო თვით ე. ბლავატსკაიამ 1891 წელს დაასრულა დღენი თავისი სიცოცხლისა სამშობლოდან შორს და ყველასაგან დავიწყებულმა. ამ მხრივ მან ზუსტად გაიზიარა თავის „სასწაულმოქმედ“ წინამორბედთა ბედი.

ეს რაც შეეხება ცალკეულ „სასწაულმოქმედებსა“ და მათზე მიტმასნებულ თაყვანისმცემლებს. აქ მოვიყვანეთ სამი, ყველაზე ოდიოზური ფიგურის მაგალითი. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვქონდა ცალკე ინდივიდუმებთან, რომელთაგან ერთი წმინდა წყლის შარლატანი იყო (გრაფი კალიოსტრო) და რომ არა ყოვლისშემძლე მფარველი თვით საფრანგეთის მეფის სახით, მას ადრევე მოეღებოდა ბოლო; მეორე (ა. მესმერი) შარლატანობასაც ეწეოდა და თვითვე ქმნიდა „თეორიას“, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა მეცნიერულად აეხსნა თავისივე ხელთქმნილი სასწაულები; მესამეს (ე. ბლავატსკაიას), თუმცა გარს ცრუმეცნიერები ეხვივნენ და მას სამეცნიერო საზოგადოებაც კი შეუქმნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ გახდა შარლატანის ის ფარი, რომელიც მეცნიერულ სამოსელში ახვევს აშკარა უმეცრებას, ახანგრძლივებს საზოგადოებისათვის საზარალო, პარპაშს შარლატანებისას. ამრიგად, ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. მარტოხელა კუსტარებთან, რომლებიც, მართალია, გარკვეული დროით სარგებლობენ მაღალი საზოგადოების ძალზე ვიწრო წრის მხარდაჭერით და მფარველობით, მაგრამ თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ გაბატონებულ საზოგადოებრივ შეგნებაზე. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს „სულთა სამყაროს“ დასახელებულ მოციქულთა ერთ დროს გახმაურებული „სასწაულების“ სრული მივიწყება ფართო საზოგადოების მიერ.

მაგრამ ის, რაც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ე. წ. სპირიტისტულ „ბუმს“ მოჰყვა ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ხოლო შემდეგ რუსეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, არ მოსწრებია მოაზროვნე ადამიანს იმ დროიდან მოყოლებული, როცა მას ბუნების ყოველგვარი შეუცნობი მოვლენა კეთილი თუ ავი სულების ნახელავი ეგონა. გამოჩნდა მთელი წყება მოპროფესიონ და მომეცნიერო ინტელიგენტებისა, რომლებიც მთელი სერიოზულობით პროპაგანდას უწევდნენ და აანალიზებდნენ მედიუმიზმის გამოვლინების სხვადასხვა ასპექტს, მეცნიერული ტერმინოლოგიის ბურუსში ახვევდნენ ვითომცდა მედიუმიზმისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს.

ამ ვაი თეორეტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ეგრეთწოდებული მედიუმების მეშვეობით მიცვალებულთა სულებს შეეძლოთ პასუხები გაეცათ მათთვის დასმულ კითხვებზე. სპირიტისტული სეანსის დროს მიცვალებულთა თუ წმინდანთა სულების პასუხების ექვივალენტებად მიჩნეული იყო მაგიდის ბრუნვა ან დაკაკუნება მასზე. ყოველივე ეს ამავე დროს ითვლებოდა მედიუმური ენერგიის გამოხატულებად.

ამრიგად, სპირიტისტების წარმოდგენით მედიუმი იყო ის შუამავალი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა მიცვალებულთა სულებს თუ წმინდანთა სამყაროს ადამიანთა საზოგადოებასთან.

მედიუმიზმი იმითაც გამოირჩეოდა ადრინდელ „სასწაულმოქმედთა“ საქმიანობისაგან, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა მარტოხელა კუსტარებს, არამედ მთელ ჯგუფს მკვლევარებისა, რომელიც ცდილობდა სოლიდური „მეცნიერული ბაზისი“ შეექმნა უკიდურესი მისტიციზმის ამ გამოვლინებისათვის. ყოველივე ამას საზოგადოების ყურადღება რეალური ქვეყნის მწვავე სოციალური და პოლიტიკური პრობლემებიდან გადაჰქონდა სულების მისტიკურ სამყაროში და მაშასადამე, არა მარტო მეცნიერების, არამედ იდეოლოგიურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც იგი წარმოადგენდა უაღრესად რეაქციულ მიმდინარეობას იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამავე დროს ეს იყო ნამდვილად მკვეთრი დევიაცია საზოგადოების გარკვეული ნაწილის, სახელდობრ ბურჟუაზიის მაღალი წრეების აზროვნებაში და მან, ბუნებრივია, გამოიწვია სპირიტისტთა და მათი „სწავლული“ ინტერპრეტატორების შეხედულებათა — ე. წ. მედიუმიზმის მკაცრი კრიტიკა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრივ მოღვაწეთა და მეცნიერთა მხრივ.

ფრიდრიხ ენგელსმა თავის ცნობილ სტატიაში — „ბუნების კვლევა სულთა ქვეყანაში“

გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ბურჟუაზიულ მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა შეხედულებებს — „ყველაზე ველურს ცრურწმენათა შორის“, როგორც მათ უწოდა ფრ. ენგელსმა.

ლევ ტოლსტოიმ თავის ცნობილ პიესაში „განათლების ნაყოფი“ სასაცილოდ აიგდო და სარკასტულ ფერებში დახატა მედიუმიზმის აპოლოგეტები. თუმცა პიესის ცენტრალური კონფლიქტი აგებულია მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში მემამულეთა და გლეხებს შორის არსებულ არანორმალურ ურთიერთობაზე, დიდმა მწერალმა მედიუმიზმით გატაცების მაგალითზე და მწვავე სატირის საშუალებებით ამხილა „პრივილეგირებული“ კლასების ცრუ განათლებულობა, აჩვენა მათი ზნეობრივი მარაზმი და სულიერი არარაობა.

ყოველივე ზემოთქმული, რომელშიც მოყვანილია სულების სამყაროს მოციქულობის მაგალითები, მარტოოდენ საკითხის ისტორიის გაშუქების მიზნით როდი წარმოვადგინეთ. საქმე იმაშია, რომ ჩვენს ეპოქაშიც მოწმენი ვხდებით თუ როგორი ფართო გასაქანი მოიპოვა ყოველივე მისტიკურმა ე. წ. მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. გ. გეგეშიძეს თავის წიგნში „წერილები ესკულაპის ფოსტიდან“* მოჰყავს ასეთი საგულისხმო ცნობები: ინგლისში ოფიციალურად რეგისტრირებულია 8 400 ჯადოქარი და მისანი, რომლებიც სრულიად დაუბრკოლებლად ეწევიან „სამკურნალო პრაქტიკას“. საფრანგეთში სადღეისოდ 50 ათასამდე „ჯადოქარია“, რომლებიც ავადმყოფებს ყოველგვარი სენისაგან მხოლოდ ხელის შეხებით „კურნავენ“, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში 5 ათასამდე „პროფესიული“ ვარსკვლავთმისანია.

თუ ამას დავუმატებთ ყველა ამგვარი ვარსკვლავთმისანის თუ ჯადოქრის ისეთ არგუმენტებს, როგორიცაა მათი მისნობის აღსრულება (ამდენი ჯადოქარისა და მისნის არსებობის პირობებში მათი „წინასწარმეტყველების“ ახდენის ალბათობა, ცხადია, საკმაოდ მაღალია), ხელის შეხებით სასწაულებრივი განკურნება (მისი არსის შესახებ უკვე ვისაუბრეთ), „სასწაულებრივი“ მოვლენები ბუნებაში, რომლებიც მითების სამყაროს ან ისეთ საკითხებს განეკუთვნებიან, რომლებზეც ჯერ კიდევ გრძელდება კამათი (მაგალითად, მითიური მფრინავი თეფშები, „თოვლის ადამიანი“, ნეს-ლოხის ტბის სასწაულებრივი ცხოველი, ანდა ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა ნაჩვენები ცნობილ კინოფილმში — „მოგონებანი მომავალზე“ და ა. შ.), გასაგებია როგორ „მეცნიერულ“ ბაზისს ეყრდნობიან სულთა სამყაროს ეს მოციქულები, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ბაზისი ფართო საზოგადოებრიობის არცთუ მცირე ყურადღებას იმსახურებს.

ერთი სიტყვით დასავლეთში მოდად იქცა გატაცება მისნობით, ასტროლოგიით, ჯადოქრობით, სასწაულებით და სასწაულმოქმედებით. თანაც ყოველივე ამას ოფიციალური ან ნახევრადოფიციალური სტატუტი აქვს მინიჭებული, — გამოდის შესაბამისი პროფილის ჟურნალები, შექმნილია „მეცნიერული“ საზოგადოებები და ასოციაციები. ყოველივე ეს, ცხადია, გაპირობებულია სრულიად გარკვეული პოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალური ვითარებით, რომელიც შექმნილია კაპიტალისტურ სამყაროში, მის პრივილეგირებულ წრეებში.

ისტორია შეუცდომლად გვიჩვენებს, რომ გატაცება სახელმწიფოებრივი მართვის ანდა „მეცნიერების“ რანგში აყვანილი ჯადოქრობით და მისნობით, დამახასიათებელია გარდატეხის ისეთი პერიოდებისათვის, როცა დგება ისტორიულად განწირული კლასების პოლიტიკური სცენიდან წასვლის აუცილებლობა, ამასთან მათ უკვე ძალა არ შესწევთ შეაჩერონ ახალი, პროგრესული მოვლენები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამიტომაც მათი სწრაფვა მისტიკისაკენ განსაკუთრებით ძლიერია. მათთვის ეს არის მწარე სინამდვილიდან გაქცევის ერთ-ერთი საიმედო გზა. ამავე დროს ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ასეთ ვითარებაში მისტიკურ შეხედულებათა საკმაოდ ძლიერი გავლენის ქვეშ ექცევა მოსახლეობის პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მოუმზადებელი ნაწილი.

თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით საკითხს, ბუნებრივად დაგვებადება კითხვა: როდის გაიშალა თვითმარქვია გრაფი კალიოსტროსა და დოქტორ მესმერის „სასწაულებრივი“ საქმიანობა?, როდის მიაღწიეს მათ თავიანთი პოპულარობის ზენიტს?

მე-18 საუკუნის ოთხმოციან წლებში, ე. ი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის კვირაძალში.

ვინ მოუღო მათ ბოლო? ისევ გამარჯვებულმა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ!

რა ვითარებასა და რა პერიოდში გაიშალა რუსეთში „სულთა სამყაროს“ ისეთ მოციქულთა საქმიანობა, როგორებიც იყვნენ იოანე კრონშტადტელი, ბერ-მონაზვანი ილიოდორი ან გრიშკა რასპუტინი?

მე-20 საუკუნის ათიან წლებში, როცა დღის წესრიგში დადგა ჯერ რომანოვების აბსოლუტისტური მონარქიის გარდუვალი დამხობა, ხოლო შემდეგ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, რამაც საერთოდ მოუღო ბოლო და სოციალურ-პოლიტიკური საფუძველი გამოაცალა ყოველივე მისტიკურს ახალი ქვეყნის მშენებელი ხალხის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაში.

ასეა ჩვენში დღესაც — მისტიკური კონ-

* გ. გეგეშიძე, წერილები ესკულაპის ფოსტიდან, თბილისი, 1978.

**ცეფციების გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში არ გააჩნია არავითარი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ იდეოლოგიური საფუძველი.**

მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, ასე არ არის კაპიტალისტურ სამყაროში, რომლის მმართველ წრეებს შიშის ზარს სცემს დიდი ოქტომბრის იდეების ტრიუმფალური სვლა მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით ახლა, როცა სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეები სულ უფრო და უფრო ეუფლება მასებს, როცა სოციალისტური ქვეყნების ბანაკის, მისი მებაირახტრის — ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ძალა და ძლიერება, მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად განსაზღვრავს მსოფლიოს შემდგომი განვითარების ტენდენციებს, კაპიტალისტური სამყაროს მესვეურთა და მათი ადეპტების აზრსა და გონებას ღრღნის მარტოობის, განწირულების, უპერსპექტივობის განწყობილება და იდეოლოგია.

ამგვარი პოლიტიკური და მისგან გამომდინარე მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების გენიალური დახასიათება მოგვცა ვ. ი. ლენინმა: „პესიმიზმი, წინააღმდეგობის გაუწევლობა, აპელაცია „სულისადმი" — ეს არის იდეოლოგია, რომელიც გარდუვალად ჩნდება ისეთ ეპოქაში, როცა მთელი ძველი წყობა „გადატრიალდა" და როცა ამ ძველ წყობაში აღზრდილმა მასამ დედის რძესთან ერთად თავისში შეიწოვა ამ წყობის საწყისები, ჩვევები, ტრადიციები, რწმენები, იგი ვერ ხედავს და არც შეუძლია დაინახოს, **როგორია** „დამკვიდრებადი" ახალი წყობა, **რომელი** საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ „ამკვიდრებენ" მას, რომელ საზოგადოებრივ ძალებს „ძალუძს" მოუტანოს მას ხსნა იმ აურაცხელი, განსაკუთრებით მწვავე უბედურებათაგან, რომლებიც დამახასიათებელია „გარდატეხათა" ეპოქისათვის".*

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჩვენი საბჭოთა საზოგადოება სრულიადაც არ არის აბსოლუტურად დაზღვეული მის წიაღში ზოგიერთი მიუღებელი, მათ შორის მისტიკური ხასიათის, შეხედულებების შემოღწევისაგან. მით უმეტეს, როდესაც ჩვენს შორის ჯერ კიდევ მოიძებნებიან ისეთნიც, რომლებიც იდეურ-პოლიტიკური მოუმზადებლობის, ხოლო ზოგჯერ მერყევი იდეოლოგიური პოზიციის გამო დიდი ხალისით და უკრიტიკოდ ეწაფებიან ყოველივე დასავლურს. ზოგიერთისათვის ეს არის წმინდა წყლის სნობიზმის გამოვლინება, დასავლური მოდის აყოლა, ან იმის სურვილი, რომ ამით შეიძინოს ორიგინალური ნოვატორი მოაზროვნის სახელი. სხვებისათვის კი — ეს არის ფუჟე პოპულარობის, ყოვლისშემძლე თვითმხილველის და სასწაულმოქმედი მკურნალის სახელის მოპოვების და ამის საფუძველზე წმინდა მერკანტილური მიზნების დაკმაყოფილების იოლი გზის ძიება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ვიმეორებ, ჩვენი საზოგადოების ცალკეულ წარმომადგენელთა ამგვარმა განწყობილებებმა შესაძლოა გარკვეული ნიადაგი შეუქმნას ჩვენთვის მიუღებელ კონცეფციებს ადამიანის რაობის, მისი ფსიქიკური თუ სხვა სასიცოცხლო სფეროების „სასწაულებრივი" შესაძლებლობების შესახებ. მაგრამ ყოველგვარ ასეთ იდეოლოგიურ დივერსიას, ოპერატიულად უნდა დავუპირისპიროთ ურყევი მეცნიერული არგუმენტებით და ბუნების განვითარების შესახებ მარქსისტული დიალექტიკის კანონებით განმტკიცებული ჩვენი მტკიცე, მატერიალისტური პოზიცია.

ასეთი წინათქმისა და თვით წერილის მიზანდასახულობის მიხედვით ადვილი მისახვედრია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მიზნად დავისახეთ გარკვეული კუთხით გაგვეხილა კონცეფცია ე. წ. ბიოველისა და „ექსტრასენსების" შესახებ, რომელმაც უკვე რამდენიმე წელიწადია შემოაღწია ჩვენს ქვეყანაში და განსაკუთრებით ხმაურიანი რეზონანსი სწორედ უკანასკნელ ხანებში მიიღო.

ზემოთქმულიდანვე გამომდინარე, აშკარად ჩვენს ინტერესთა სფეროში სრულიადაც არ შედიან თვით „ექტრასენსები". მათი რეალური შესაძლებლობების, მათში ბუნებრივისა და „ზებუნებრივის" შესახებ მეცნიერებას სრულიად დამაჯერებელი მონაცემები მოეპოვება და ამის გამო საკმაოდ ვრცელი და საგნობრივი საუბარი უკვე გვქონდა ზემოთ.

არ შეიძლება ამავე დროს არ აღვნიშნოთ, რომ „ექსტრასენსების" მხილებამ ბიოველის თეორიას ერთგვარად გამოაცალა საფუძველი, მაგრამ წარმოდგენები ამ „სასწაულებრივი" ველის შესახებ, როგორც ქვემოთ დავინახავთ მარტოოდენ მიწიერ „ექსტრასენსებს" როდი ეხება. თურმე ბიოველი, მისი ადეპტების მტკიცებით გლობალურად მოიცავს მთელ გარესამყაროს და მისი მოარული „ენერგია" ხან ერთ ადამიანს ეწვევა, ხან მეორეს. ამ საკითხისადმი მიძღვნილი შეხედულებების არც თუ ისე მწყობრი სისტემა წარმოადგინა ა. სპირკინმა და ამიტომ, როცა „ბიოველის" თეორიაზე გვექნება საუბარი, ძირითადად ისევ მის დებულებებს მოვიშველიებთ.

შეიძლება დაისვას ასეთი ბუნებრივი კითხვა: ა. სპირკინის რედაქციით წარმოდგენილი კონცეფცია, რომელსაც დასავლეთში გაცილებით მეტი თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი ჰყავს, ახალი სიტყვაა „მეცნიერებაში ბიოველის" შესახებ თუ მას გააჩნია გნოსეო-

* ვ. ი. ლენინი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 20, გვ. 102, (რუს. გამოცემა).

ლოგიური და ისტორიული ფესვები და წინამორბედები?

ალბათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთ-ერთ საშუალებად უნდა მივიჩნიოთ „სულთა სამყაროს“ აღიარებულ მოციქულთა შეხედულებების ურთიერთშეჯერება და გაანალიზება.

ამ მიზნით საჭიროდ ვცნობთ ერთმანეთს შევუპირისპიროთ „ცხოველური მაგნეტიზმის“ თეორიის ავტორის, დოქტორ ანტონ მესმერის, „მედიუმიზმის“ ადეპტის პროფესორ ა. კრუგოსვეტლოვის* და „ბიოველის“ თეორიის აპოლოგეტის ა. სპირკინის ზოგიერთი კარდინალური შეხედულება მათ მიერ ნაქადაგები თეორიების წყაროებისა და შემადგენელი კომპონენტების შესახებ.

ამრიგად, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ამ სამი თეორიისა და მათგან გამომდინარე „პრაქტიკის“ დამახასიათებელი კარდინალური ნიშნების შეპირისპირება-შეჯერების სურათი?

სამივე თეორია, როგორც წესი, მოქმედ ძალად ან ენერგიად წარმოგვიჩენს მანამდე სრულიად უცნობ მათ სახეს, მაშასადამე ისინი ემთხვევიან ერთმანეთს.

ა. მესმერი ასეთ ძალად მიიჩნევდა მაგნეტიზმს, მაგრამ ჩვეულებრივს, მეცნიერებისათვის ცნობილს კი არა, არამედ სრულიად უცნობს, განსაკუთრებულ სახეს მოქმედი ძალისა — „ცხოველურ მაგნეტიზმს“.

ა. კრუგოსვეტლოვისათვის — ეს არის მედიუმის ენერგია. ესეც სრულიად განსაკუთრებული სახეა ენერგიისა. აი, მისი დახასიათება: „ჩვენთვის ცნობილია ენერგიები: დინამიკური, თერმიული, ელექტრული და ქიმიური... ენერგიის ოთხი სახე სრულიადაც ვერ ამოწურავს მის გამოვლინებებს“... „ერთ-ერთი ასეთი ნაკლებ ცნობილი სახე ენერგიისა — ეს არის „მედიუმიზმის ენერგია“.

ა. სპირკინისათვის — ამგვარ განსაკუთრებულ ახალ სახეს ძალისა და ენერგიისას წარმოადგენს ე. წ. ბიოველი. აი, რას წარმოადგენს ბიოველი მისი ადეპტის აღწერით: „...ეს

---

* ა. კრუგოსვეტლოვი, თუმცა ლ. ტოლსტოის პიესის „განათლების ნაყოფის“ ერთ-ერთი პერსონაჟია, მაგრამ ცნობილია, რომ იგი წარმოადგენს კრებით ტიპს 80-იანი წლების რუსეთში მედიუმიზმის მქადაგებელი რუსი და უცხოელი ვაი-პროფესორებისა. ისიც ცნობილია, რომ მათი შეხედულებების გადმოცემისას ლ. ტოლსტოის, მიუხედავად მისი სარკასტული დამოკიდებულებისა მედიუმიზმისადმი, ოდნავადაც არ გადაუხვევია სიზუსტისაგან, თუმცა რად სჭირდებოდა ეს — თვით ზუსტი სინამდვილე იყო სარკაზმის საგანი.

აქედან გამომდინარე, უფლებას ვიტოვებთ ა. კრუგოსვეტლოვი მივიჩნიოთ მედიუმიზმის თეორიის ერთ-ერთ რეალურ ადეპტად.

არის განსაკუთრებული ველი, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ცნობილ ფიზიკურ ველებთან — ელექტრულთან, ელექტრომაგნიტურთან, მაგნიტურთან, გრავიტაციულთან, ბგერითთან და ა. შ.“

ამჯერად შევეხოთ ამ ახალი ძალის თუ ენერგიის ზოგიერთ, მაგრამ კარდინალურ თავისებურებას, როგორც მათ გადმოგვცემენ მათი თეორეტიკოსები.

ა. მესმერი დარწმუნებული იყო, რომ „ცხოველურ მაგნეტიზმს“ შეეძლო მაგნეტიზმის მფლობელის ხელით, რომლითაც მსუბუქი მასაჟი კეთდებოდა, პაციენტში გადასულიყო მაგნიტური ძალის იმპულსი, რომელიც მოქმედებდა როგორც სამკურნალო საშუალება.

ა. კრუგოსვეტლოვის აზრით, მედიუმურ ენერგიას აქვს თვისება გამოვლინდეს „წინასწარმეტყველების, წინასწარგრძნობის, თვითხილვის და ბევრი სხვა რამის“ სახით. კრუგოსვეტლოვის ზოგიერთ თანამოაზრეს (ლ. ზვეზდინცევი) მიაჩნია, რომ მედიუმურ ენერგიას შეუძლია გადაადგილოს ზოგიერთი საგანი, მათ შორის მაგიდაც, რომელზეც მედიუმური სეანსი ტარდება და ამ მოქმედებით დაადასტუროს კავშირი სეანსის მონაწილეებსა და მიცვალებულთა სულებს შორის.

ა. სპირკინს მიაჩნია, რომ სხვა ფიზიკური ველებისაგან განსხვავებით „...ბიოველმა არ იცის რა არის დაბრკოლება, ვრცელდება დიდ მანძილზე და თან მიაქვს უნიკალური ინფორმაცია ადამიანის ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობის შესახებ“..., ბიოველის დახმარებით შეიძლება „დაავადებათა დიაგნოსცირება ავადმყოფიდან ახლო და ძალზე შორი მანძილიდანაც“. აქაც უნდა დავძინოთ, რომ ა. სპირკინისა და ზოგიერთი მისი თანამოაზრის (ი. კობზარევი, ლ. კოლოდნი) ბიოველის მეშვეობით, რაიმე ფიზიკური ძალის გამოუყენებლად, შეიძლება ამოძრავდეს ზოგიერთი საგანი.

გარემო, სადაც წარმოიშვება ყველა ეს იდუმალი ძალა თუ ენერგია. ა. მესმერისათვის იყო ციური მნათობები (თუმცა ისიც საჭიროა ითქვას, რომ როცა მან თავის „ცხოველური მაგნეტიზმის“ თეორიას, მისი აზრით, დასრულებული სახე მისცა, „მაგნეტიზმის“ წყაროდ ციურ მნათობებს აღარ იხსენიებდა).

ა. კრუგოსვეტლოვი ასეთ გარემოდ მიიჩნევს ნივთიერებას, რომელიც „ავსებს სამყაროს და შეიძლება მას ვუწოდოთ სულიერი ეთერი, — რომ სწორედ ამ გარემოს „რხევები წარმოშობენ მედიუმურ მოვლენებს“.

ა. სპირკინი თვლის, რომ ბიოველისათვის ასეთ გარემოს წარმოადგენს უშუალოდ ადამიანების ირგვლივ და მათ გარეთ არსებული უსაზღვრო სივრცე.

ამრიგად სამივე ავტორი აბსოლუტურად სოლიდარულნი არიან იმაში, რომ ყველა მათ მიერ აღწერილი ძალის თუ ენერგიის სამოქმე-

დო არეალი მოიცავს — ადამიანს — რეციპიენტს და ამავე დროს ჩვენს ირგვლივ არსებულ გარემოს თვით კოსმოსურ სივრცეებამდეც კი. ისინი ახევე ერთიანნი არიან ამ იდუმალი ძალების და ენერგიის მტარებელი სუბიექტის განსაზღვრაში. ეს ყველა მათგანის აზრით არის ადამიანი, მაგრამ იგი სრულიად განსაკუთრებული თვისებების მქონე პერსონაა.

ასეთ ადამიანად ა. მესმერს მიაჩნდა საკუთარი თავი, რომელიც აღჭურვილი იყო სრულიად განსაკუთრებული თვისებით — იგი ფლობდა „ცხოველური მაგნეტიზმის" სასწაულებრივი მოქმედების გამოვლინების უნარს.

ა. კრუგოსვეტლოვისათვის ასეთი თვისებების მტარებელია მედიუმი, რომელშიც განსაკუთრებით ძლიერად არის წარმოდგენილი მედიუმური ენერგია და ეს მას საშუალებას აძლევს იყოს შუამავალი ამ ენერგიის გადაცემისა „სულიერი ეთერიდან" ადამიანებზე და საგნებზე.

ა. სპირკინი ასეთ სუბიექტად მიიჩნევს ექსტრასენსს, ანუ განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანს, რომელსაც ეს თვისება მიანიჭა ძლიერმა ბიოველმა. მას უნარი აქვს ბიოველის ენერგია, ან როგორც მას სხვაგვარად ა. სპირკინი ბიოენერგიასაც უწოდებს, საკუთარი სურვილის თანახმად გააძლიეროს, შეასუსტოს და გადასცეს სხვა ინდივიდუუმს და საგანსაც კი.

სამივე ავტორი ამ განსაკუთრებული ენერგიის გადაცემის საშუალების განსაზღვრაშიც სრულიად იდენტურ პოზიციებზე დგანან. ეს საშუალებაა — ცხოველური მაგნეტიზმის მფლობელის, მედიუმის და ექსტრასენსის ხელი. მისი შეხება ან მიახლოება სხეულზე ან საგანზე, რომელსაც უნდა გადასცეს ენერგია. ამავე დროს ამ საკითხში საოცარ დამთხვევას წავაწყდით მედიუმიზმისა და ექსტრასენსიზმის თაყვანისმცემელთა ტერმინოლოგიაშიც კი. მედიუმიზმის წარმომადგენელთათვის ეს არის ენერგიის გამოდინების შეგრძნება („чувство истечения..."), ა. სპირკინისათვის კი — ექსტრასენსის ხელებიდან ენერგიის გამოდინება («энергия истекает из... рук»).

ბოლო საკითხი, რომელსაც გვინდა შევეხოთ, ვფიქრობთ ყველაზე მეტად აღელვებდა და აღელვებს ამ კონცეფციების წარმომადგენლებს. ეს არის აღწერილ მოვლენათა ობიექტივაცია, მათი მეცნიერული დოკუმენტირება ობიექტური მეთოდებით.

ყველასათვის ნათელია, რომ არ კმარა მარტოოდენ ემპირიული მსჯელობა რომელიღაც უჩვეულო, მასთან „სასწაულმოქმედი" მოვლენების შესახებ და არ გაგაჩნდეს მისი სარწმუნო დოკუმენტირების შესაძლებლობა. აქ მარტოოდენ ცოცხალი მოწმეები, მით უმეტეს პაციენტთა რიცხვიდნ, რომლებიც თავგზააბნეულები არიან განცდილი „სასწაულმოქმედებით", ერთობ არასაიმედო დასაყრდენს წარმოადგენს მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენის მკაცრი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ა. მესმერს ამ მხრივ მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ გააჩნდა, ამიტომ თავისი ცდების ობიექტივაცია დიდად არ უცდია. სულ სხვა მდგომარეობა იყო მედიუმისტთა აღზევების ეპოქაში. და აი, ისინი ჩაეჭიდნენ ფოტოგრაფიის იმ დროისათვის ძალზე პოპულარულ და თვით მაღალი საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ერთობ იდუმალი თვისებების მქონე მეთოდს. გამოჩნდა მედიუმური სეანსების დროს გამოძახებულ სულთა „ფოტოსურათები", არაიშვიათად „გადაღებული" მედიუმებთან ან მედიუმური სეანსის რიგით მონაწილეებთან ერთად. ამგვარი „დოკუმენტირება" მედიუმიზმს რეალობად აქცევდა უბირი ადამიანის თვალში, მაგრამ ან უკანასკნელმა ჯერ კიდევ არ იცოდა თუ რა უკადრისი მიზნებისათვის გამოიყენეს შარლატანებმა ფოტოსაქმის ისეთი ხერხი, როგორიც ფოტომონტაჟია. ბოლოს და ბოლოს ეს სიყალბე იმავე მე-18 საუკუნეში იქნა მხილებული.

ოდნავ სახეცვლილ ასეთივე ტიპის „დოკუმენტს" იშველიებს ექსტრასენსების ერთ-ერთი მეხოტბე, როდესაც მას სურს დაგვარწმუნოს, რომ ფოტოფირზე დაფიქსირებულია „ექსტრასენსის" მიერ გამოყოფილი ბიოენერგია. „შთაბეჭდილება ისეთია, — უამბობს ამგვარი სენსაციით გაოგნებულ მკითხველს იგი — თითქოს ხელებიდნ („ექსტრასენსის" — კ. გ.) გამოდის ჩრდილოეთის ციალი".

ამგვარი პრიმიტიული და ამავე დროს სრულიად არასარწმუნო არგუმენტით* წარმოგვიდგება მითიური „ბიოველის" ადეპტი დღეს, მე-20 საუკუნის მიწურულში, როცა შექმნილია და მეცნიერების სამსახურში დგას უმგრძნობიარესი ელექტრონული აპარატურა, რომლის მეშვეობით რეგისტრირდება ადამიანის გონებისათვის თითქოსდა ძნელად წარმოსადგენი უნატიფესი ბიოლოგიური და ბიოფიზიკური პროცესები ცალკეული უჯრედის ან მოლეკულურ დონეზეც კი.

მეცნიერული აზრის ამგვარ დევალვაციაზე შესანიშნავად ათქმევინა ლევ ტოლსტოიმ „განათლების ნაყოფის" ერთ-ერთ არც თუ ისე დიდი განათლების, მაგრამ საღი აზრის მქონე პერსონაჟს — ზვეზდინცევის კამერდინერს ფეოდორ ივანიჩს: „ნასწავლი, ნასწავლი ხალხია.. აი, თუნდაც ალექსეი ვლადიმეროვიჩი ხომ პროფესორია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან დიდ ეჭვს იწ-

* ა. სპირკინის მიერ გამოყენებული მეცნიერული არგუმენტების შესახებ იხ. „Литературная газета". № 35. 27. VIII. 1980 წ.

ვევს. ხალხის ცრუმორწმუნეობას კუდიანებზე, ალქაჯებზე, ჯადოქრებზე თითქოს ბოლო ელება... არადა კარგად რომ ჩავუკვირდეთ, ესეც ხომ ცრუმორწმუნეობაა... ...ამათ ან ვიღაც ასულელებს, ან თვითონვე ისულელებენ თავს... აბა განა შეიძლება ასეთი საქმე, რომ სულის ფოტოგრაფია გადაიღო?... ადამიანის საკვირველი სისუსტეა ყოველივე ეს!".*

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, ვფიქრობთ დადგა დრო და საშუალებაც მოგვეცა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები. პირველ ყოვლისა, ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს მიერვე დასმულ კითხვას (იხ. გვ. 187) იმის შესახებ, რომ „ბიოველის" თეორეტიკოსთა, კერძოდ ა. სპირკინის კონცეფცია სიახლეა „სულთა ქვეყნის ბუნების კვლევაში", თუ იგი რაიმე ორიგინალობით გამოირჩევა?

ვფიქრობთ, მკითხველი ვერ დაგვწამებს დაუსაბუთებელ მიკერძოებას თუ ვიტყვით, რომ თითო საუკუნით ერთმანეთისაგან დაცილებული კონცეფციები ა. მესმერისა (მე-18 საუკუნის ოთხმოციანი წლები), ა. კრუგოსვეტლოვისა (მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლები) და ა. სპირკინისა (მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლები) თავის ყველა ძირითად ნაწილში სავსებით ემთხვევა ერთმანეთს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მასალიდან ჩანს, ამის ობიექტურ საფუძველს ჩვენ გვაძლევს ამ კონცეფციათა შემადგენელი ნაწილების ურთიერთშეჯერება. მართლაც ასეთ დამთხვევებს ადგილი ჰქონდა ყველა საკითხში — იქნებოდა ეს „ცხოველური მაგნეტიზმის", „მედიუმიზმის" ან „ბიოველის" საწყისი ძალა თუ ენერგია, მათი სპეციფიკური თვისებები და დამოკიდებულება ენერგიის დღემდე ცნობილ სახეებთან; გარემო, სადაც თითქოსდა წარმოიქმნებოდა ეს ძალა და ენერგია, მათი გამოვლინების და გადაცემის თავისებურებანი, როგორც ეს გადმოცემულია სამივე კონცეფციის ავტორების თუ პროპაგანდისტების მიერ.

ამგვარი დამთხვევები მიგვანიშნებს, რომ სამივე შემთხვევაში თითოეული თეორიის გამოსავალ იდეას წარმოადგენს ვითომცდა მეცნიერული ახსნა მისცენ ადამიანის გონებისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელ იდუმალ მოვლენებს თვით ადამიანის ორგანიზმში, კერძოდ მის ფსიქო-ფიზიოლოგიურ სამყაროში.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ასეთი მდგომარეობა მაშინ იქმნება, როცა საქმე გვაქვს რომელიმე დიდ აღმოჩენასთან. მაგრამ მეცნიერებას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ამისათვის ჰქონდა და აქვს უტყუარი საზომი და კრიტერიუმი. ეს არის ექსპერიმენტი. სწორედ ექსპერიმენტის წყალობით ან დადასტურდებოდა ესა თუ ის თეორია თუ

* Толстой Л. Н. — Собр. соч. т. 10, 1958, стр. 451.

ჰიპოთეზა, ანდა მეცნიერება ამავე გზით და საშუალებით უკუაგდებდა მათ. ასე მოუვიდა „ცხოველურ მაგნეტიზმს", ასე იქნა მხილებული მედიუმიზმის სიყალბე და ასეთივე [illegible]-რებაა ამჟამად შექმნილი ე. წ. ბიოველის თეორიის გარშემო. სხვაგვარად არც შეიძლება თუ მეცნიერს არ სურს პირველყოფილი ემპირიზმის ტყვეობაში აღმოჩნდეს.

მაგრამ ეს რაც შეეხება მეცნიერებას.

ამჯერად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი დამთხვევა, რომელსაც მედიუმიზმისა და ექსტრასენსიზმის შეჯერება გვიჩვენებს: არავითარი ეჭვს არ იწვევს, რომ მედიუმიზმის სულთა სამყარომ თავისი მოდერნული ანალოგი ბიოველის „სასწაულებში" ჰპოვა. ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ა. სპირკინის რედაქციით წარმოდგენილ კონცეფციაში ბიოველებისა და მათი მტარებელი „ექსტრასენსების" შესახებ ვერავითარ „სიახლეს" ვერ ვხედავთ. იგი სხვა არა არის რა თუ არა „ცხოველური მაგნეტიზმისა" და მედიუმიზმის მისტიკური თეორიების ახალ ყაიდაზე გადამღერება.

ამრიგად, ვფიქრობთ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს „ბიოველის" თეორიის არამეცნიერული, მისტიკური ხასიათი. ეს ყველაფერი კარგია, რადგან „კეისარს კეისრისა მიეგო...", მაგრამ ცუდია ის, რომ ყოველივე ამას ერთობ დიდი დრო მოვანდომეთ.

ალბათ, საჭიროა აქ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ფრ. ენგელსის მითითება* იმ მიზეზებზე, რომლებმაც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ზოგიერთი მოღვაწის მეცნიერული აზროვნება სულთა სამყაროს ტყვეობაში მოაქცია. ეს იყო მეცნიერთა გარკვეულ წრეებში იდეალისტური მსოფლმხედველობის და კერძოდ ე. წ. „მცოცავი" ემპირიზმის გავრცელების, თეორიული აზროვნების უგულებელყოფის, მეცნიერული, მატერიალისტური ფილოსოფიის იგნორირების შედეგი.

როგორც ჩანს, მეცნიერულ მსჯელობებში, მეცნიერული თუ ცრუმეცნიერული დებულებების განხილვისას ჩვენ ყოველთვის არ მივდევთ ამ ბრძნულ შეგონებას და სწორედ ამიტომ სრულიად მკაფიოდ იხატება ჩვენი საზოგადოების მტრული იდეოლოგიისადმი გულარხეინული დამოკიდებულების საფრთხე.

აქედან გამომდინარე, დღევანდელობის აქტუალურ ამოცანად მიგვაჩნია აქტიური, მებრძოლური პოზიციის გაძლიერება იმ ცდების წინააღმდეგ, რომლებიც ობიექტურად ხელს უწყობენ საბჭოთა საზოგადოების სულიერ საგა-

* ფ. ენგელსი, ბუნების კვლევა სულთა ქვეყანაში, „ბუნების დიალექტიკა". 1954, გვ. 49-50.

ნძურში მისთვის უცხო და მიუღებელი იდეოლოგიური კონცეფციების შემოპარებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ამავე დროს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ცნობიერის თუ არაცნობიერის სფეროები ჩვენთვის ყოველმხრივ ცნობილია.

რა თქმა უნდა არა!

პირიქით, ამ სფეროში იმდენი რამ არის გაურკვეველი და გაუგებარი, სადისკუსიო და შესასწავლი, რომ ამ დიდი პრობლემის გადაწყვეტაზე ამჟამად მთელს მსოფლიოში მუშაობს ფსიქოლოგთა, ფსიქონევროლოგთა, ნეიროფიზიოლოგთა მთელი არმია.

და რაოდენ საამაყო და საგულისხმოა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან მეცნიერულ კვლევაში, რომელიც ადამიანის ფსიქიკურ და ფსიქონერვულ გამოვლინებათა ყველა მხარის, მათ შორის არაცნობიერის შესწავლასაც ითვალისწინებს, უდიდეს როლს ასრულებს გამოჩენილი ქართველი ფსიქოლოგის აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიური სკოლა* და დღეს მსოფლიოს მეცნიერულ წრეებში ესოდენ აღიარებული მისი განწყობის თეორია. ვფიქრობთ, არავისთვის არ უნდა იყოს უცნობი, რომ არაცნობიერის შესწავლის სფეროში ქართველ ფსიქოლოგთა სკოლის დიდი მეცნიერული წვლილის აღიარება იყო ის, რომ სწორედ ჩვენში, ქ. თბილისში 1979 წელს გაიმართა დიდად წარმომადგენლობითი საერთაშორისო სიმპოზიუმი არაცნობიერის პრობლემაზე.

ამ კონგრესზე დიახაც იყო ძალზე მაღალი მეცნიერული დონის მოხსენებები და დემონსტრაციები, წარმოდგენილი იყო ჩვენი მსოფლმხედველობისათვის მიუღებელი კონცეფციებიც, გაიმართა შემოქმედებითი, ზოგჯერ საკმაოდ ცხარე დისკუსია დასმული საკითხების გამო, მაგრამ სიმპოზიუმის მეცნიერული დონე არც ერთ შემთხვევაში არ დაცემულა იმდენად დაბლა, რომ ამ მეცნიერულ ფორუმს ან მის ოფიციალურ მონაწილეებს ტრიბუნა ან თუნდაც განსაკუთრებული ყურადღებაც კი დაეთმოთ ახლადმოვლენილი „ექსტრასენსებისათვის".

ყოველივე ზემოთქმული კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს რწმენას, რომ შარლატანთა და მათ ნებსით თუ უნებლიე, ამასთან არაკომპეტენტურ დამცველთა სააშკარაოზე გამოყვანა, მათი არამეცნიერული კონცეფციების მხილება მატერიალისტური მეცნიერების პოზიციებიდან სწორედ იმიტომაც არის საჭირო, რომ ხელი არ შეეშალოს კვლევის იმ მაგისტრალურ მიმართულებას, რომელსაც მივყევართ ადამიანის ფსიქონერვული მოქმედების ჯერ კიდევ შეუსწავლელი საკითხების ჭეშმარიტად მეცნიერული შეცნობისაკენ. ამავე დროს ეს დაიცავს ჩვენს მეცნიერებას, მთელ ჩვენს მსოფლმხედველობას იდეალისტურ-მისტიკური კონცეფციების ადეპტთა ხელყოფისაგან.

* თუ როგორ დამოკიდებულებაშია ეს სკოლა ყოველგვარი ჯადოქრობასა და „სულთა სამყაროს" მოციქულთა სასწაულმოქმედებათა მიმართ, ამაზე საკმაოდ მკაფიო პასუხს იძლევა „პარტიული სიტყვის" № 15-ში გამოქვეყნებული სტატია «Hic Rodus, hic salta».

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ბენაშვილი

# მხატვრული ხედვის თვალსაწიერი

რევაზ მიშველაძის ნოველათა ახალი კრებული — ორიგინალურ მხატვრულ-სტილისტიკური პრინციპითაა შესრულებული. ზომიერი იუმორის მიღმა ადვილი სახილველია ავტორის რომანტიკული ირონიის ცრემლნარევი ტკივილი, ხოლო ზოგჯერ, მძაფრი და დაუნდობელი სატირული ჟესტი, რომელშიაც მშვენივრად ვლინდება ფსიქოლოგიური „პეიზაჟების“ შინაგანი ბუნება, მათში მფეთქავ მანკიერებათა მექანიზმი. განწყობილებათა მონაცვლეობა ადამიანში შეფარული ნათელითა და ბინდითაა განპირობებული. მწერლის მოქალაქეობრივი პოზიციისა და შინაგანი ლირიზმით აღბეჭდილი პასაჟების ხელშესახები „ილუსტრაციები“ ადამიანური ბუნების მრავალმხრივობის ნათელი დასტურია. იგი კიდევ ერთხელ განგვაცდევინებს დღევანდელი ქართული ნოველისტიკის საინტერესო ძიებათა ხასიათს. მკითხველი იგრძნობს რაოდენ საჭიროა დღეს მწერლის ანალიტიკური თვალთახედვით ამოკითხული, ცხოვრების დაღუმებული ფორმულების სწორი გაცნობიერება, სტერეოტიპულ შეხედულებათა წიაღის ღრმა „განჩხრეკა“ და ბოლოს ამ ერთი შეხედვით შიშველი ფსიქოლოგიური „რევიზიების“ მხატვრული წარმოსახვა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს რთული ამოცანა მწერალმა კარგად დაძლია. ჩვენს წინაშეა შედარებით ახალი ტიპის ნოველისა, რომელიც დროთა განმავლობაში ალბათ კიდევ უფრო შეიკრებს საკუთარ ღირსებათა ამჟამად ბოლომდე განუჭვრეტელ მასშტაბებს და სრულუფლებიანი აუცილებლობით დაიმკვიდრებს ადგილს უახლეს ქართულ ნოველისტიკაში.

მწერლის პერსონაჟთა ვრცელი გალერეა, მრავალფეროვან ფსიქოლოგიურ „აღმოჩენათა“ თავისებური ცოცხალი საკრებულოა რომელთა თვალშისაცემი სიხალავე ჩანაფიქრის ზუსტ, უპრეტენზიო განსახიერების საფუძვლად გვევლინება. თხრობის სატირული ტექნიკა ირონიული ხნივით წარმოსახავს ნოველის გმირთა ცხოვრების ეპიზოდებს, მწერალი შინაგანი სითბოთი და სიყვარულით მიაცილებს მათ აწ უკვე მივიწყების ბინდისაკენ, მტკივნეული თრთოლვით ემშვიდობება წარმოსახვაში გაცოცხლებულ ნიღბებს.

ლირიკული განწყობილებების მხატვრული ვარიაციები არა ერთი და ორი ნოველისათვისაა დამახასიათებელი. მათში ცხოვრებისეული ეპიზოდების თუ ფანტაზიაში ამოზრდილი ფორმაქმნილი სახეების მონტაჟი ორიგინალური შედეგებით წარმოსდგება მკითხველის წინაშე. არის რაღაც მომხიბლავი და დაუვიწყარი მიმწუხრის ჟამს მიტანებული ძველმანებით მოვაჭრე მოხუცის სახეში („ჟინი“), რომლის შინაგან გატაცებად და სამყაროსთან ურთიერთობის ერთადერთ ფორმად, ყველასაგან მივიწყებული „საქონლით“ ვაჭრობა ქცეულა. ზაფხულის ხვატში, მზის გულზე მოთმინებით დაყუდებული ელოდება იგი მყიდველს, თუმც თვითონვე კარგად იცის, რომ ხალხმრავალი ბაზრობის მარაქაში გარევა, მხოლოდ თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ საკუთარი უსუსური სავაჭრო მეურნეობის მიღმა, ადამიანებთან ურთიერთობას მონატრებული სიბერე დამდგარა, მავედრებლისა და შენდობას დალოდინებულის პოზაში. ნოველის ხაზგასმული პროზაული ფაქტურა შინაგანი დრამატიზმით სუნთქავს და მოჩვენებითი უბრალოების წიაღში ჩაძირულ ტკივილებს საცნაურსა ხდის.

ლირიკულ-დრამატული ინტონაციებითაა ალ-

ბექდილი მწერლის ნოველა — „სიკვდილი“. აქ წარმოსახული სიტუაციები კიდევ ერთხელ გვაგრძნობინებენ იმ ჭეშმარიტების ძალას — რასაც მშობლიური მიწისადმი სიყვარული და ერთგულება ჰქვია. შეუძლებელია ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა იმ თავსატეხ კითხვაზე, რამდენად ლოგიკურია ნოველაში წარმოსახულ პერსონაჟთა ქცევის იმპულსები, რა შინაგანი ფსიქიკური მექანიზმი წარმართავს მათ ვნებათაღელვას (მწერალი არც ცდილა მიზეზთ-მიზეზის ძიებას). მაგრამ ერთი ცხადზე უცხადესია, რომ ქართველ ებრაელთ მიგრაციის და ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან გასვლის წინააღმდეგობად უაღრესად ადამიანური ტკივილებია ნოველაში აღმართული. პასუხისმგებლობა და ერთგულება მათდამი სიყვარულით განწყობილი ადამიანებისა და წინაპართა საფლავების მიმართ, ის ორი უძლიერესი არგუმენტია, რომლის გადალახვის პროცესი სულიერი ტრაგიზმით ავსებს აქ დარჩენილთა გულებს. ამ მიზეზთა სისხლ-ხორცეული გაშინაგნება იქცევა მოხუცი მოსე ზონენაშვილისა და მისი ძმისშვილის — თეატრალ ეზეკია ზონენაშვილის უმყარეს ზნეობრივეთიკურ საფუძვლად. ნოველის გმირთა ბუნებრივი, ყალბ პატეთიკას განრიდებული დიალოგები დამაჯერებლობას მატებენ მწერლის საინტერესო ჩანაფიქრს.

განსაკუთრებული კოლორიტითა და ორიგინალური ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა ნიშნეული მწერლის ნოველა — „პანდური“. მთავარი გმირის იუმორით გამოძერწილი სახე ბუნებრივი უშუალობით და შინაგანი მომხიბვლელობით იქცევს ჩვენს ყურადღებას. საოცარი და იმავე დროს ცხოვრებისეულია მისი ქმედებათა განვითარება. სტუმრისადმი პატივისცემა მასში საკრალურ გრძნობად ქცეულა და ისიც თავგამოდებული ერთგულებით ცდილობს მის მშობლიურ ქალაქში საქმიან ვიზიტად ჩამოსულ „მეგობარს“ თავბრუ დაახვიოს კულინარული „ფეიერვერკებით“. მისი ხასიათის მაქსიმალიზმი საყრდენგამოცლილია, რამეთუ არც ფინანსური შესაძლებლობები და არც კოლორიტული „ნავთსაყუდლები“ (სასაუზმეები და რესტორნები დილით გამოცარიელებული ხვდებათ) არ იძლევა საშუალებას პატივისცემის ჟესტის კონკრეტული განხორციელებისა. შინაგანად უსუსური, თუმცა სტუმარმასპინძლობის გრძნობით ანთებული დაძრწის იგი ქალაქის ქუჩებში, და ბოლოს საკუთარ უმწეობას შერიგებული, „უსულგულო“ მილიციელზე იყრის ჯავრს — იგი პანდურით უმასპინძლდება წესრიგის დამცველს. ასეთია ამ ნოველის ზოგადი კონტურები. უმთავრესი რაც გმირის ხასიათში იკვეთება, სიკეთე და მოყვასისადმი ფანატიკური პატივისცემა წარმოადგენს. გასათვალისწინებელია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. ამგვარი ხასიათები მშობლიური ქალაქის ტრადიციულ ეთიკურ პოზიციებსაც ეფუძნებიან. ისინი ცდილობენ დამკვიდრებული ცხოვრების წესების შეურყეველ დაცვას, რადგან სწორედ ამ წესებში ხედავენ წინაპართა დამსახურებისა და სიცოცხლის აზრის უწმინდეს საწყისს. ეთიკური ატავიზმი სისხლ-ხორცეულად გამჯდარა ამ ხასიათთა შინაგან ბუნებაში.

მწერლის ლირიკულ განწყობილებათა მხატვრულ განსახიერებას წარმოადგენს ნოველა — „გზა“. მასში უნაზესი გრძნობითაა წარმოსახული ჰუმანისტურიძალისხმევის აუცილებლობა, ადამიანისადმი სიყვარულისა თუ სიბრალულის უმაღლესი პრინციპი. ნოველა მნიშვნელოვანი მიღწევაა მწერლისა, კეთილშობილურ საწყისთა გამოვლენის იდეა ორიგინალური ფორმით ავლენს სათქმელს. მატარებლის მონოტონური სვლა და მის წიაღში გათამაშებული დრამატული სცენა ფრიად ორიგინალური ფინალით მთავრდება. ღრმა შთაბეჭდილებას სწორედ უკანასკნელი აკორდი სტოვებს. მატარებლის კუპეში ნოველის გმირს დაემგზავრება ხანში შესული რუსი ქალი. მგზავრი ჰყვება საკუთარ, განსაცდელით აღსავსე ბიოგრაფიულ მომენტებს. ომიანობის უმძიმეს დღეთა სიმწარე მას საკუთარ თავზე უგრძვნია და ბუნებრივია მისი თხრობის უმთავრეს მასალას სწორედ იმ შემაძრწუნებელ დღეთა გახსენება წარმოადგენს. ვრცელ საუბარს წერტილს დაუსვამს ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა. სიტყვამრავალი რუსი ქალი ცუდად ხდება. კატასტროფის მომასწავებელი ატმოსფერო ბუნებრივია საშველად განაწყობს ნოველის გმირს. იგი გააფთრებული ენერგიით ცდილობს როგორმე დაეხმაროს მისთვის უცნობ, მაგრამ განსაცდელის პირას მისულს. საოცარია ირგვლივმყოფთა ინდიფერენტიზმი და რაღაც არაამქვეყნიური სიმშვიდე. მომაკვდავ ქალს ერთ-ერთ სადგურზე, საკაცეზე უიმედოდ მისვენებულს ჩაიყვანენ. შინაგანად შეძრულ გმირს, განცვიფრებული გამცილებელი, ცნობისწადილის დასაკმაყოფილებლად ეკითხება მიზეზს ამგვარი ტრაგიკული განცდისა: « — Что ж вы выступаете, кто вам она такая?..

— Мать! უკანმოუხედავად მივუგე და თვალის ფსკერზე მოწოლილი ცრემლი რომ შემეკავებინა, ტუჩზე ვიკბინე — „აი ის ყველაფრის გადამლახავი ძალა, რომელმაც უცნობი ქალის სახე საოცარი ინტიმითა და მშობლიური სიყვარულის ნათელით გააბრწყინა, რამაც წმინდანის დიადემით შემოსა მომაკვდავ მოხუც ქალში დაუნჯებული მარადიული საწყისი ქალი — დედისა. მწერლის მიერ შესანიშნავად მიგნებულმა ერთმა სიტყვამ, უღრმე-

სი განცდით აღბეჭდა თითქოს არაფრით მნიშვნელოვანი ნოველის მთლიანი სიუჟეტური ფაქტურა და სულ სხვა სხივით წარმოსახა იგი მკითხველის წინაშე. საინტერესოა, რომ მწერლის მხატვრულ ხელწერაში დათრგუნულია მაღალფარდოვანება, საკუთარი აღმოჩენებით თავის მოწონების განცდა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი რიტორიკული ბუნდოვანების სივრცეებში ფარფატი. მკითხველზე ინტელექტუალური „შეტევის" ეს ხერხი (არაჩვეულებრივად პოპულარულია დღეს) ძალზე ხშირად მწერლის საკუთარ თავთან (და მხოლოდ ამის შემდეგ მკითხველთან) თავმოწონებას უფრო წააგავს, ვიდრე სერიოზულ და უპრეტენზიო შინაგან სააზროვნო პროცესს. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ სარეცენზიო ნოველათა უმრავლესობა (თუ ყველა არა) მწერლის მხატვრულ შესაძლებლობათა და ფსიქოლოგიურ წვდომათა სადა გაცხადების დემონსტრირებაა და მათში ამოზრდილი ხიბლიც სწორედ აქედან იღებს სათავეს. აქვე ისიც მინდა გულწრფელად განვაცხადო, რომ არაერთმნიშვნელოვანია ნოველათა აზრობრივი და მხატვრული ღირსება. პოზიტიურისა და ნეგატიურის აღმნიშვნელი შკალა გარკვეულ რხევას განიცდის. ზოგჯერ შემსუბუქებულ სიუჟეტებს ენაცვლება მწერლის გრძნობადემოციური სამყაროს მშვენიერი მხატვრული შედეგები დრამატიზმით, ზოგჯერ კი ტრაგიკული სიმძიმილით აღბეჭდილი ნიმუშები, რომლებიც მშვენივრად ავლენენ მწერლის პოტენციას, კიდევ უფრო უკეთეს „დღეთა" მოლოდინის აუცილებლობას. ამ თვალსაზრისის კარგ საფუძვლად მე დავასახელებდი ნოველას, რომლის მთავარი გმირის პროზაული არსებობის თვალშისაცემი შრეები, ნაზ და ლირიკულ გრძნობათა მთრთოლვარე სხივსაც ითავსებს (ნოველა „ურჩი"). პროფესიით ინსპექტორი, ბუნებით კი მიმტევებელი და გულჩვილი მოქალაქე, მკაცრისა და ოფიციალურის ცუდად მორიგებული ნიღბისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, როდესაც მის ინფანტილურ ბუნებას უწმინდეს ხატებივით ეცხადებიან ოთხი, მასთან შეჩვეული და მის ჩვეულებრივობას ნაზიარები მცირეწლოვანი ბიჭი. მათი ბავშვური გუმანი ყველაზე უკეთ კითხულობს ინსპექტორის „ტოგაში" ჩასახლებული სულის იეროგლიფებს, სხვისათვის გაუცნობიერებელსა და ბუნდოვანს. ქალაქის დათქმულ ადგილზე მშვიდი გულმოდგინებით დალოდინებულები დარწმუნებულნი არიან, რომ მათგან თავგაბეზრებული ინსპექტორი კვლავ მოვა მოტოციკლეტით და კვლავ გაასეირნებს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ქალაქში. არის არაჩვეულებრიობის ელემენტი ან „განდობილთა" ქმედებაში, მაგრამ პირობის დარღვევა არც ერთ მხარეს აღარ ძალუძს, რამეთუ დიდია ცდუნება ნაზ, ადამიანურ საწყისებთან მიახლოებისა და ლირიკულის ერთად განცდისა. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მოქმედების განვითარებათა მარტივ ხაზებში, დიალოგების ხაზგასმულ უბრალოებაში, იხილება ქალაქის ფსიქოლოგიურ-ლექსიკური კოლორიტი, მწერლის სათქმელის ირონიულ თვალსაწიერს შეფარული ადამიანური სითბო და სიმპათია ღონ კიხოტური ლამაზი ილუზიების მიმართ.

მწერლის თვალთახედვის მხატვრული სისტემა ზოგჯერ კონკრეტულ საგნობრიობას გარიდებულა, და პირობითობის სფეროებში შეჭრით, ზოგადისა თუ სიმბოლურის წარმოსახვით ცდილობს დაადგინოს მისთვის ახლობელი ჭეშმარიტებანი. ამ ტიპის ნოველებში იგი არ ღალატობს ჩვეულ პრინციპს — სათქმელის და საერთო საზრისის ნათელ გაცხადებას, მკითხველთან საუბრის დაუშიფრავ ფორმებს. სიმბოლიკა ამ შემთხვევაში გულისხმობს არა სიუჟეტურ სქემათა რთულ, არაერთმნიშვნელოვან სტრუქტურებს, რომელთა წიაღში მითოლოგიურ-ფოლკლორული ან უბრალოდ მოარულ ჭეშმარიტებათა მკრთალი ანარეკლები აისახება თუ გარდაისახება, არამედ შედარებით მარტივ (უფრო სწორედ სადა) მხატვრულ რეალიზაციას ეთიკური და ზნეობრივი პრინციპებისა, როდესაც რეალური ყოფიერებიდან ამოკითხული „სურათები" გროტესკულის ელემენტებსაც შეიცავს. საილუსტრაციოდ დავასახელებდი ნოველას „ვინ დამეძებს...". მხოლოდ საკუთარი ილუზიებით მთვლემარე სოფლის მკვიდრთ განმაცოცხლებელ სტიქიონად მოევლინება ყველასათვის უცნობი კაცი, რომელიც წერტილს დაუსვამს მათ უინტერესო და უზრუნველ ცხოვრებას. გეოლოგიური პარტიის უფროსად წარუდგება იგი სოფლის ცნობისმოყვარე ადამიანებს. მანქანა-იარაღების ჩამოსვლამდე და ნავთის საძიებო სამუშაოების დაწყებამდე იგი წინასწარი თადარიგით არის გართული. გზის გაყვანა და მოწესრიგება, ხიდის მშენებლობა, სოფლის აბანოს აგება და სხვა საზრუნავი რეალურ სახეს იღებს და ეს სასარგებლო საქმე თვით სოფლელების ხელით კეთდება, რამეთუ იგი მათ დროთა ვითარებაში შრომის ანაზღაურებასაც ჰპირდება. ერთ დღეს გეოლოგიურ პარტიის უფროსად სახელდებული კაცი უჩინარდება. იგი თვითმარქვია, სიყალბეთა მქმნელ „თაღლითად" გაცხადდება სოფლელთა ცნობიერებაში. თუმცა შინაგანად ყველა გრძნობს, რომ მათ წინაშე სულიერ კვიეტიზმს განრიდებულმა, აქტივობითა და ალტრუისტული ვნებით ანთებულმა პიროვნებამ „ჩაიარა", რომელმაც უნდა გამოაცოცხლოს უმიზნო მყუდროებას მიჩვეული მათი სულები; საერთო საქმისათვის განაწყოს მათივე დაჩლუნგებული მოქალაქეობრივი პოზიცია. ნოველის მეტაფორის აზრი, ამგვარი სახით ხდება მკითხველისათვის ნათელი.

ის სამყარო, რომელსაც მწერალი აქ წარმოსახავს, არც რეალური სამყაროს „ნამსხვრევია“ და არც დიდი ნიჭით ალბეჭდილი ფოტოგრაფია — იგი მეორე სინამდვილე, მწერლის წარმოსახვით შექმნილი რეალობაა, რომელიც სასურველის მხატვრულ რეალიზაციას წარმოადგენს და სიმბოლური სახით წარმოიდგინება.

ზოგჯერ, მწერლის მხატვრული ხედვის ცენტრში ექცევა არა რაიმე განსაკუთრებული პრობლემა, არა ზოგადი მნიშვნელოვანი საზრისი, არამედ ადამიანი. ადამიანი თავისი განსაკუთრებული კონკრეტიზმით, ყოფითი თუ ფსიქოლოგიური დეტალებით, რომლის ინდივიდუალური სახე რაღაცა ნიშნით, ან მთლიანი პიროვნებით ხდება მკითხველის ინტერესის ობიექტი. ეს ადამიანები, უცნაური, „შერეკილი“ ბუნებისანი არიან. საკმარისია უმცირესი „სიო“, რომ მათი ხასიათები ავლენენ მოულოდნელ ექსცესებს. ექსტრავაგანტობა მათი პიროვნული გამხელის ყველაზე არსებითი თვისებაა. ამგვარ პიროვნებათა მიმართ, ავტორის პოზიცია არ არის ერთნაირი. მის ინტონაციებში ზოგჯერ დაცინვა მოისმის, ზოგჯერ კი უჩუმარი სიყვარული გამჟღავნდება ხოლმე. გაწყობილებათა განსხვავებული ვარიაციები ნოველის გმირის შინაგანი ბუნებიდან, მოქმედებათა ხასიათიდან იღებს სათავეს და ლოგიკურის შთაბეჭდილებას სტოვებს. საილუსტრაციოდ მრავალთა შორის დავასახელებდი ნოველას „დარდი“. გმირის ფსიქოლოგიური სახე საინტერესო შთაბეჭდილებას სტოვებს. უპირველეს ყოვლისა ჩვეულებრიობაში დაფარული არაჩვეულებრიობით, უცაბედი პიროვნულ-ემოციური გარდასახვით მშვიდი განწყობიდან მოულოდნელ აფექტაციამდე. ამ ცვლილებათა გამომწვევი მიზეზი გამხდარა არც თუ განსაკუთრებული შემთხვევა. საბალეტო სკოლის მისაღებ გამოცდას, ბავშვთა მშობლებიც ესწრებიან. ნოველის გმირიც ამ „დრამატული კოლიზიის“ მონაწილეა. როდესაც მან საკუთარი თვალით იხილა მისი ექვსი წლის ბიჭის შემოქმედებითი ფიასკო, ველარ გაუძლო ვნებათა ღელვას, გამომცდელს დოლი ჩამოაცვა თავზე, ხოლო თვითონ „გულადუღებულმა კარლო კილურაძემ კი ყველას თვალწინ, თითქოს უჩვეულო არაფერი ჩაედინოს, აუჩქარებლად ჩააცვა თავის შვილს და უკანა გასასვლელით ქუჩაში გაიყვანა. მისთვის ახლა სულ ერთი იყო, რა ელოდა ამ ხულიგნური საქციელისათვის. გოჩასათვის (შვილისათვის) ხელი მაგრად ჩაევლო და ფერწასულ ბავშვს თითქმის ძალით მიათრევდა. გოჩას ხელი სტკიოდა, მაგრამ თავის აზირებულ მამას შიშით ვერაფერს ეუბნებოდა. კარლო კილურაძეს ბოლომისაგან გულ-მუცელი ეწვოდა“. ანალოგიური პიროვნული ორიგინალობით, ექსცესური ფსიქოლოგიური ვარიაციებითაა აღბეჭდილი ნოველა „პანაშვიდი“. მთავარი გმირი, მიუხედავად შინაგანი სულიერი მოუწესრიგებლობისა, რაღაც მნიშვნელოვანისა და არაწარმავალი ადამიანური თვისების მატარებელია და არააბსტრაჰირებული ნიღბის შთაბეჭდილებას სტოვებს. გარდაცვლილი მეუღლის [illegible] მდგარი იგი საოცარ ფიქრთა მოზღვავებას განიცდის, კალეიდოსკოპური ფერისცვალებით ჩაივლიან ახალ-ახალი, და რაც მთავარია ურთიერთგამომრიცხავი ასოციაციური ხილვები, კომიკურისა და ტრაგიკულის სივრცეში ირწევა პირისუფლის სიმძიმილით დათრგუნული სული. ბოლოს, როდესაც სამგლოვიარო მომღერალთა ერთ ხმას ნახევარი ტონით სიყალბეს შეამჩნევს, პანაშვიდის მიმდინარეობის პროცესშივე მომღერალთა გუნდისაკენ გადაინაცვლებს და სამგლოვიარო სიმღერას შეხიდება. ამგვარ „უცნაურობათა“ მხატვრული რეალიზაცია რთული ამოცანის წინაშე აყენებდა ავტორს. სულ ადვილი შესაძლებელი იყო იგი ანეკდოტურ სიტუაციად, მხუბუქ და არაფრისმთქმელ სურათად დაკონკრეტებულიყო მკითხველის ცნობიერებაში. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნოველის ფსიქოლოგიურმა მოულოდნელობამ არ დაკარგა ლიტერატურული ღირებულება, რადგან გმირს მინიჭებული აქვს ინდივიდუალური სახის დამოუკიდებელი ფუნქციები. აღსანიშნავია, რომ ექსტრავაგანტურ ხასიათთა წარმოსახვა ავტორის შემოქმედებითი პოზიციის უმთავრეს აზრს შეადგენს. ალბათ ამიტომაა ნოველათა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი გმირის გამოვლენათა ვარიაციები. აღსანიშნავია, რომ მწერლის ამგვარი მიდრეკილება თვითმიზნურ ხასიათს თითქმის არასოდეს ატარებს. ავტორი „შერეკილთა“ კოლექციონერის როლში არ გვევლინება და არ ცდილობს მკითხველის ხელოვნური ეფექტებით მოხიბლვას. აქ სხვა, შედარებით იდუმალი და არაერთმნიშვნელოვანი შინაგანი კონცეფცია „იშმუშნება“, კერძოდ კი მწერლის სულიერი კონსტიტუციის ერთი ფრიად არსებითი საზრისი. „მშვენიერის“ კონკრეტული ხატი და არა უფორმო ცნებითი რეალობა, რომლის გარეშემოწერილობას მხოლოდ წარმოსახვით გაიაზრებ — აი ის ძირითადი, რაც მისთვისაა მთავარი. უსაგნო აბსტრაქციათა მერყევი პლანი არ იძლევა მისთვის საკუთარ ესთეტიკურ ძიებათა საიმედო საფუძველს. იგი გულმოდგინედ ცდილობს მყარისა და საგნობრიობამდე კონკრეტულის განცდას და მის მხოლოდ მცირე „დეფორმირებას“. სინამდვილის ფერისცვალების ფორმად მას ირონია მიაჩნია. მწერალი მხატვრულ სახეთა გალერეას ირონიული პლანით წარმოსახავს და ამით ცდილობს ჩვეულებრიობის „ბურუსში“ გაფერმკრთალებული ადამიანების

არაერთმნიშვნელოვანი ბუნების წარმოსახვას, სტერეოტიპში უჩვეულო შინაგანი პულსაციის აღმოჩენას.

მე უკვე ვახსენე მწერლის ნოველათა ერთი ციკლის გაბედული მოქალაქეობრივი პათოსი. ამ ტიპს განეკუთვნება ფრიად ორიგინალური სიუჟეტური სტრუქტურის ნოველა — „ილაჯი“. ირონიული ხედვის ობიექტად ნოველაში განსხვავებული ცხოვრებისეული მოვლენაა მონიშნული. სიუჟეტური განვითარების კრიმინალური ხასიათი, დრამატიზმთან ერთად იუმორის მსუბუქი შტრიხებითაა „აფერადებული“. მთავარი გმირის ცხოვრების ერთი არასასიამოვნო ეპიზოდი მკითხველისათვის გაორებული ემოციური აღქმით ხდება საცნაური და სერიოზულსა და ღიმილის მომგვრელი განწყობილებებს ბადებს. მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა ნოველის მთავარი გმირი, ხანში შესული ვანო კიკილაშვილი, ვიდრე ერთ დღეს მასთან საკმაოდ „ელეგანტური“ ხერხით ბინის ქურდებმა არ შეაღწიეს. „დამშვიდობების“ ჟამს შეთანხმდნენ, როდის სწვეოდნენ კვლავ ფულით ხელდამშვენებულ „მასპინძელს“. ლოგიკური იყო ნაბიჯი დაზარალებულისა — მან მილიციას შეატყობინა ყოველივე. დაზარალებულის სიმშვიდის დასაცავად დაუყოვნებლივ გამოძყვეს ორგანოს რამოდენიმე თანამშრომელი და გაქურდული ბინის ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს. მათი ღრმა რწმენით, მხოლო ამ ტაქტიკური ხერხით შეიძლებოდა დამნაშავეთა დაკავება. ობიექტურად ალბათ ქურდების პოზიციაც ლოგიკური აღმოჩნდა, რამეთუ მათ გამოჩენას დალოდინებულ ოპერატიულ ჯგუფს ისინი ახლოს არ გაეკარნენ. ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ტაქტიკური დუელი კარგახანს გაგრძელდა. ერთადერთი ვინც ამ ჩანაფიქრის ხანგრძლივი შეუსრულებლობით იტანჯებოდა თვით დაზარალებული იყო. მის ოჯახურ სიმყუდროვეს მასთან ჩასახლებულ მილიციის მუშაკთა მომაბეზრებული ქმედება შეენაცვლა. მათგან თავგაბეზრებული სახლის პატრონი მილიციის უფროსს ეახლა და სთხოვა წარგზავნილ თანამშრომელთა უკან გაწვევა. შესრულდა მისი თხოვნა, მაგრამ საოცრება იმაშია, რომ იმავე ღამეს მოხუცმა — „ის იყო ფეხი შედგა თავის ბინაში და კარის მიგდებას აპირებდა, რომ უკან ვიღაცა ამოუდგა და კარს ფეხი დაუხვედრა. — მე ვარ ვანო ბიძია, ბონდო ვარ! — გიცანი — ამოიოხრა ვანომ. — თუ შემომიშვებ შენთან, დავჯდეთ, ცოტა ვილაპარაკოთ, თუ გცალია, რა თქმა უნდა. — მობრძანდი — დამარცხებული, ფარხმალ დაყრილი კაცის იერით უპასუხა ვანომ... და შევიდნენ“. ადვილი წარმოსადგენია მოულოდნელობით შეძრული პიროვნების გარეგნობის დონე, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასთან ხუმლობიანად მოსაუბრე ბონდო... მისი ბინის ერთ-ერთი ქურდია, რომელმაც „რაღაცა მანქანებით“ რამოდენიმე საათშივე მშვენივრად შეიტყო (ალბათ ბოროტმოქმედის ინტუიციით?!) მილიციელთა ბინიდან წასვლის ამბავი. როდესაც მოქალაქეობრივ უკომპრომისობაზე ვლაპარაკობდი მწერლის სწორედ ამ ნოველაზე იყო ჩემი ყურადღება მიპყრობილი. მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მე მასში დავინახე მხატვრული პროზის პრინციპული ძალმოსილება. ადვილი შესაძლებელია სერიოზულსა და ხაზგასმული დრამატული ინტონაციებით აღწერილ ვითარებას არ გამოეწვია იმგვარი ემოციები, რაც ამ ირონიულმა და იუმორით შეზავებულმა თხრობის მანერამ აღძრა ჩემში. ნოველა არ წარმოადგენს პასკვილს ზოგიერთთა მუშაობის სტილსა, თუ მორალური სახეზე. სამწუხაროდ კონკრეტული მაგალითები ლაღადებენ მათ წინააღმდეგ. მწერლის ეთიკური პოზიცია ამ შემთხვევაში ბრალმდებლისა და მოქალაქის პოზიციაა, რომელიც ჯანსაღი იუმორით (და არა დამამცირებელი ცინიკური ქირქილით) ცდილობს „ბუნდოვან“ სიტუაციებში გარკვევას.

ალბათ არ ვიქნები გულწრფელი, თუ არ ვიტყვი ზოგიერთი ნაკლოვანების შესახებ. პირდაპირ ვიტყვი, რომ ნოველები: „ზარი“, „ფხიზელი“ და „სტუმარი“ ვერ დგანან სხვა ნოველათა მხატვრულ დონეზე.

„ყოველივე რაც შენ გიყვარს, ხელოვნებაში სილამაზედ გარდაისახება. სილამაზე — სხვა არაფერია, თუ არა წარმოსახვა იმისა, რომ შენ რაღაცა გიყვარდა. მხოლოდ ასე შეიძლება განისაზღვროს იგი. და სწორედ ამიტომ სატირული განწყობის ზრდა (რამოდენიმე ნოველაში ამ განწყობის მაქსიმალიზმი შევნიშნე) ძალზედ სახიფათოა, რამეთუ სილამაზე სხვა მდგომარეობასთანაა წინაყარი“ — დაახლოებით ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია ერთ დროს ავსტრიელ მწერალს რობერტ მუზილს.

თუმც ესეც მისივე ჩანაწერია, რომ „ხელოვნებაში ყოველი წესის გვერდით შესაძლებელია მისივე პირდაპირი წინააღმდეგობრიობა. ვრც ერთ კანონს ხელოვნებაში არ ძალუძს დაიჩემოს აბსოლუტური ჭეშმარიტება“.

კანონზომიერად ვთვლი ვიწამო აპრიორი და აღარ გავაგრძელო სურვილებისა და პრეტენზიების გამჟღავნება მწერლის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კუტალეიშვილი

# ნაოსნობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში ნაოსნობის ისტორია ათასწლეულებს ითვლის. ამ მხარეში ისტორიულად დამოწმებულია და ეთნოგრაფიული მონაცემებით დადასტურებულია კონსტრუქციისა და ფუნქციის მხრივ განსხვავებული ნავები, რომელთაგან აღსანიშნავია ერთ ხეში ამოღებული დაუჭედავი სამდინარო ნავი (ცალფა, მორა, ნიში), დაჭედილი ბრტყელძირა და გვერდებგაშლილი ლაზური ნავი — „ფელუკა", სათევზაოდ განკუთვნილი მცირე ზომის ნავები — „ფათალია", „ხეჭეპა", დიდი ზომის საზღვაო სატრანსპორტო ხომალდები „სანდალი", „ოლეჭკანდერი" და სხვ., დადგენილია ცალკეული სახეობის ხომალდის გავრცელების არეალი, მოცემულია მათი ტიპოლოგია, გამოვლენილია ნაოსნობასთან დაკავშირებული მდიდარი და მრავალფეროვანი ტერმინოლოგია, რომლის საკმაო ნაწილი ქართულია (მაგ., ნიში, ორჩხომელი, ლუზა, აფრა, ორცა, ოლეჭკანდერი, მესეფი და ა. შ.)[1] ამიტომაა, რომ წყალს — ზღვას და წყლის ბინადართ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქართველი ხალხის რწმენებსა და შესაბამისად მითოლოგიაში. წყლის კულტი ჩვენში ძველთაგანვე არსებობდა და მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურის ამსახველმა რწმენა-წარმოდგენებმა ქართველთა რელიგიურ ყოფაშიც შემოინახა თავი.

ქართველთა წინაპრების მითოლოგიისა და რელიგიური წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა არა მარტო შავი ზღვის თვალუწვდენელმა სივრცეებმა, არამედ შავი ზღვის წყლის დამახასიათებელმა ფერმა და გემომ, რომელსაც, ხალხის განმარტებით, გააჩნდა თვისება განეწმინდა ადამიანი დაავადებისაგან და ცოდვებისაგანაც კი, რისთვისაც აგვისტოს შუა რიცხვებში ეწყობოდა დღესასწაული „ლიტროფიშენი". ამ დღეს ყველას უნდა გადაევლო ზღვის წყალი, რაც განკურნების კარგ საშუალებად ითვლებოდა.

საინტერესოა, რომ ძველად წესად იყო ყველაფერი უვარგისის წყალში ჩაყრა. მაგრამ არა ზღვაში, რადგან „ზღვა ღმერთების სამყოფელი ადგილია", და ამიტომ მისდამი უპატივცემლობას ღმერთები არავის აპატიებენ. ზღვის წყალი გამოიყენებოდა მეთევზეთა მფარველის ზებერდეს გამოძახების დროსაც. მაგ. სამეგრელოში ზებერდეს საპატივცემულოდ კვერების დაცხობისას, ჩვეულებრივ წყალს შეურევდნენ ცოტაოდენ ზღვის წყალსაც, რაც, ხალხის წარმოდგენით, მეთევზეებსა და მეთე-

ვზეთა მფარველს შორის მტკიცე კავშირის გარანტია იყო.

ზღვა ლაზებში, როგორც ჩანს, ძველი აღმოსავლური ორდალიების მსგავსად მსაჯულის ფუნქციასაც ასრულებდა, რადგან დანაშაულისა და სიმართლის გარკვევისას ეჭვმიტანილს ბნელ ღამეში ნავით გაიყვანდნენ საკმაოდ შორს და წყალში ჩააგდებდნენ თუ იგი, ვისაც რაიმე ბრალი ედებოდა, მშვიდობიანად მოაღწევდა ნაპირს, მართლდებოდა, ხოლო თუ დაიხრჩობოდა, რაც უფრო მეტად იყო მოსალოდნელი, ყველა დარწმუნდებოდა, რომ ზღვამ მას სამართლიანად მიუზღო.

წყალში (ზღვაში) დაღუპულთა სულები, მეგრელების რწმენით, მოჩვენების სახით ევლინებიან ადამიანებს. ამიტომაც, ღამით მდინარის, ტბის, ზღვის ახლოს ყოფნას ერიდებოდნენ, ხოლო დამხრჩვალთა სულების საპატივცემლოდ, მათი რისხვის დასაოკებლად ეწყობოდა შეჯიბრებები ნავებით, რომლის დროსაც იჭრიდნენ თმებს, ფრჩხილებს კი ჩაყრიდნენ წყალში, ვითომდა ზღვის მფარველის გულის მოსანადირებლად, რასაც სხვა შემთხვევაში (ჩვეულებრივი თევზაობის დროს და სხვ.) არ უნდა ჰქონოდა ადგილი, თორემ ამისათვის, პირიქით, ზღვის მფარველი უფრო განრისხდებოდა და ნაოსნებს ქარიშხალს დაატეხდა თავს და დაღუპავდა. ამას გარდა, მოსავლის აღების შემდეგ მცირე ზომის ნავებით ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები, თითქოსდა წყალში დამხრჩვალთა პატივსაცემად — მათი გვამების მოძებნის მიზნით, რაც შეიძლება უფრო ძველი მოვლენის ანარეკლიც იყოს და გამომდინარეობდეს აკრძალული წარმოდგენებიდან: უკვე მომკილი (მკვდარი) და მოსამკელი (მომავალში აღმოსაცენები) მოსავლის აღებასთან. ასეთ შეჯიბრებაზე ყოველი ოჯახი თითო ნავით გამოდიოდა და შეჯიბრების დაწყების წინ ძალზე გულმოდგინე მზადება იყო გაჩაღებული: თავს ანებებდნენ ყოველგვარ სხვა საქმეს და მთელი დღეები ნავის გარშემო ტრიალებდნენ, რომელსაც გულდასმით შეაკეთებდნენ, დაკლავდნენ შესაწირს, შესთხოვდნენ ზღვის მფარველს „მზოღაშ კულანს“ (თეთრი ქალწული) გამარჯვება მოეტანა მისთვის, თუ ვიღაცის მიერ ნავის გალალვის (დაწყევლის) აცილება სურდათ, მაშინ ანძაზე ჩამოჰკიდებდნენ შავ ქვას, რომ „უჩა ქვა ემუს გიატას მითხანიქა ჩქუნი ფელუკას პატი თოლიშენ მედოცქერს“2. ამგვარი შეჯიბრებების დროს ყოფილა შემთხვევებიც, რომ ქორწილიც კი გადაუდიათ, რადგან ასეთ დროს ღვინის დალევა, მართალია, აკრძალული არ ყოფილა, მაგრამ როგორც წესი, მას არავინ მიეკარებოდა. ამასთან, ყოვლად დაუშვებელი იყო ერთმანეთის წყენინება, უფრო მეტიც, ძიდიხნის მომდურავთ შეარიგებდნენ, რადგან ხალხში გავრცელებული ცრურწმენის თანახმად, დამხრჩვალთა სულები, რომელთა [illegible] და ახლობლები იქნებოდნენ მომდურავნი, ამით განაწყენდებოდნენ და შეიძლება ზიანიც კი მოეტანათ სოფლისათვის.

ლაზ-მეგრელების რწმენით, დიდ მდინარეებში, ტბებში და ზღვაში ბინადრობს მეზღვაურთა (მეთევზეთა) მფარველი ოქროსფერთმიანი ზღვის ქალწული — მზოღამ კულანი, რომელიც მართავს წყლის მდინარებას, თვალყურს ადევნებს შიგ თევზების გამრავლებას. მას გამოჩენა უყვარს, განსაკუთრებით, მთვარიან ღამეს, როცა ხდება ნავებით თევზის ჭერა. ის მებადური, ვისაც რაიმე ცოდვა აქვს ადრე ჩადენილი (მაგ, ქვირითობის დროს თევზის ჭერა ან მისი უზომოდ ხოცვა და ა. შ.) თევზის მფარველი ახრჩობს, ეხვევა რა მის ბადეში და ითრევს წყალში. ყოველთვის, როცა იგი მებადურს დაახრჩობს, კოკისპირულად წვიმს და ქარიშხალიც მანამდეა, სანამ თევზის მფარველი მკერდიდან არ მოიშორებს დამხრჩვალს და ნაპირზე არ გამორიყავს. ამიტომაა, რომ ზღვაზე მომხდარ ყოველგვარ უბედურებას ქართველი ნაოსნები „ზღვის წესის“ დარღვევის შედეგად განრისხებულ წყლის დედას მიაწერენ. დაახლოებით იმავე ფუნქციის მატარებელია ფონიკიელ მეზღვაურთა მფარველი დაგონი (დაგ||დოგ — თევზი), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დაგონი სულის სახით არის ჩასახლებული ზღვაში და მისი დანახვა მიწიერთაგან არავის ძალუძს. ლაზებში გავრცელებული რწმენის თანახმად, წყლის დედა ხშირად იმ ნაოსანთა მფარველებად გვევლინება, რომლებსაც „ზღვის წესი“ არასდროს დაურღვევიათ და მკაცრად იცავენ ამ „წესს“.

საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული ჩანს გრიგოლ ზღვის მფარველის კულტი, სადაც ის მიჩნეულია ზღვისა და მდინარის მცველად, აქედან თევზის მწყემსად (სოფ. ჰამამლუში მე-12-13 სს-ის ეკლესიის ერთ-ერთი კედლის წარწერაში მოხსენებულია გრიგოლ ზღვის მცველი, რომლის ანალოგიურია სვანური ბასილ-ი და გრიგოლ-ი). ამასთან, საფიქრებელია, რომ ადრე მათ გააჩნდათ წარმართული სახელიც, რომელიც მოგვიანებით ქრისტიანულით შეიცვალა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გრიგოლ ზღვის კულტი საქართველოში დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

წყლის კულტი ფართოდაა შემონახული ჩვენი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში, რაც მის (წყლის კულტის) ძველთაძველობაზე მეტყველებს. ამასთან, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული

ზღაპარი „ოსურ ტოფუ (წყლის||„ტბის ქალი“, ||ქალ-თევზი), რომლის მსგავსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ზღაპრების პერსონაჟი „ქალ-თევზის“ სახით, მასვე უნდა უახლოვდებოდეს სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული გადმოცემები ე. წ. წყლის (ტბის) ცხოველების შესახებ (წყლის ხარი, ცხენი, კამეჩი). მსგავსი გადმოცემები ცნობილია აჭარაში, შავშეთში, ანატოლიაში (ზღვის ხარი). ხანდაზმულთა გადმოცემით, პალიასტომის ტბის წყალი წმინდა წყლად ყოფილა მიჩნეული, რომელსაც თეთრი ფერის წმინდა ხარი მფარველობდა. ტბის სული წარმოდგენილი ჰყავდათ მამაკაცის, ქალის, ცხენის, ხარის (ყველაზე მეტად) სახით. ჩვენი წინაპრები ასევე თაყვანს სცემდნენ მდინარესაც, სადაც ნავით შესვლის წინ შიგ სხვადასხვა შესაწირის ჩაგდებაც სცოდნიათ...

აფხაზეთში კი, კაცთმოძულე ბოროტ სულად ჰყავდათ წარმოდგენილი ზღვის ღვთაება — ხაიტი, რომელსაც მსხვერპლად, გადმოცემით, ბავშვები ეწირებოდა. აფხაზები მსხვერპლს სწირავდნენ ზღვის სხვა ღმერთსაც, მაგალითად, აგ-ნის-ეტ-ნიხს, რომელიც წარმოიდგინებოდა თეთრი ხარისა და ნისლის სახით. ეს ღმერთი თუმც, თვით არ ნადირობდა ადამიანებზე, მაგრამ ხაიტს სისასტიკით არ ჩამოუვარდებოდა. ოდნავ უპატივცემლობა აგნიხ-ეტ-ნისისადმი სიკვდილით მთავრდებოდა. აფხაზებს ისე ეშინოდათ ამ ღმერთისა, რომ ბავშვები ზღვაში კენჭის სროლასაც ვერ ბედავდნენ[3].

წყლის და წყლის ბინადართა ორმაგი ბუნება რომ, ერთი მხრივ, გვევლინება, როგორც წყალი ღვთაებათა შემოქმედი და ცხოვრების საწყისი, მეორეს მხრივ კი, მისივე შობილ ღმერთებთან მებრძოლი კაცობრიობის მტერი, კარგად ჩანს ქართული ეთნოგრაფიული მასალებიდანაც. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ თევზი (წყლის ბინადარი) ქართველთა რელიგიურ რწმენაში ხშირად ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოდ ჩანს. ზოგიერთი, განსაკუთრებით მესაქონლე ტომები, კი ერთგვარ გულგრილობას, ზოგჯერ ზიზღსაც გრძნობენ თევზისადმი და მას ავადმყოფობის გამომწვევად თვლიან.

კავკასიელ ტომებში დამოწმებულია თევზის ტაბუაციის არა ერთი შემთხვევა. წყალწითელას ხეობაში, ქსნისა და ლიახვის ზედა წელში თევზაობა ციების ერთადერთ მიზეზად ითვლებოდა[4]. სვანები, ხევსურები, აფხაზები მეტად უხალისოდ თევზაობენ და სხვა. თევზი ტაბუირებული ყოფილა მცირე აზიაშიც. (

მეთევზეობა ძველი ქვის ხანის დასასრულიდან განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა მეურნეობაში. წყლის პირი ბინადარი ცხოვრების პირობას ქმნიდა თევზის იმ დროისათვის ულევი მარაგით. ეს გარემოება არ შეიძლებოდა ადამიანთა რელიგიურ წარმოდგენებში არ ასახულიყო და წყალი და თევზი კულტის ობიექტები ხდებიან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წარმოებით მეურნეობას სწორედ წყლის პირებზე მეტნაკლებად ბინადარნი ცხოვრების პირობებში ეყრება საფუძველი. ამიტომ არის თევზი აგრარული ღვთაების სიმბოლო. ლაზურ ორნამენტში, მაგალითად, როგორც ეს დამაჯერებლად აჩვენა გ. ჩიტაიამ ხშირად თევზით იცვლება სიცოცხლის ხე, რომელშიც ნაყოფიერების ძალა ივარაუდება, რადგან თევზს ქართველთა სარწმუნოებაში დიდი ადგილი ეჭირა, როგორც ნაყოფიერების მიმნიჭებელ ძალას[5].

ქართველებში თევზი, როგორც ნაყოფიერების ძალა, მრავალი ეთნოგრაფიული ფაქტითაა დადასტურებული: ლოცვა-ვედრება თევზისადმი, რომელსაც შვილიერებას შესთხოვდნენ (სოფ. ჰოლიანქი), ცოცხალი თევზის („ალაბალუხი“) გამოიყენებოდა ქალების მიერ განაყოფიერების მიზნით (თრიალეთი), გურიაში კალმახის დაკვლა საკალანდო ქვევრის თავზე მოსავლიანი წელიწადის დადგომის მიზნით, თევზის ღვთაების არსებობა იმერეთში, რომელიც სვანური ნადირთ პატრონის აფხაზათისა და დალის თანატოლი ჩანს. კალმახი, როგორც საკურთხის აუცილებელი ატრიბუტი სამეგრელოში, საქორწინო თარფი თევზით, თევზის ორნამენტი შეიდიშებსა და სვანურ ლეკვერთხებზე, თევზის გამოსახულება საფლავის ქვებზე ჯავახეთში, თევზ-ვეშაპების ქანდაკებები საქართველოში, თევზის ღვთაება ლარსა იმერეთში, მეთევზეებისა და მეზღვაურეების მფარველი ღვთაება ზებერდე გურია-სამეგრელოში და სხვა.

თევზს და საერთოდ წყალს, როგორც ნაყოფიერების მომნიჭებელ ძალას, დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე ქართულ მითებსა და ზღაპრებში, რაც არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს... ლაზებში არსებობს ასეთი ჩვეულება: ახალდაბადებულ ბავშვს მოათავსებენ ერთგვარ სასწორზე, ხოლო მეორე მხარეს ახალდაჭერილ თევზს, ისე რომ ბავშვისა და თევზის წონა თანაბარი უნდა იყოს, ამის შემდეგ თევზს ჩამარხავდნენ მიწაში, რაც, ხალხის თქმით, ახალშობილისათვის ხანგრძლივი სიცოცხლისა და ბედნიერი მომავლის გარანტია იყო[6]. სამეგრელოშიც, ავადმყოფობის განსაკურნავად ადრე კარგ საშუალებად მიაჩნდათ მეთევზის

ბადე, რომელსაც შემოახვევდნენ დაავადებულის ლოგინს ან აკვანს, ხოლო მშობიარობის შემსუბუქების მიზნით ქალს მუცელზე ჩამოკიდებდნენ თევზის წებოს ან თევზის ფხას და ა. შ.

კოლხეთმა, როგორც წყლით მდიდარმა ქვეყანამ, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა აქაურთა შემეცნებაზედაც, რაც გამოიხატა წყლის კულტის ფართოდ გავრცელებაში (მაგ. წყლის ღვთაება მესეფისადმი მიძღვნილი დღესასწაული „მესეფობა" — სამეგრელოში, რომლის ანალოგიურია „კონჭოლოზი" ლაზეთში ძგზლან ძაჭკუაჲ" („წყლის მფლობელი" — აფხაზეთში), „წყლის დედა — გურია-სამეგრელოში და სხვ.), რასაც მიუთითებენ აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემები და ანტიკური ავტორებიც (მაგ. ფილოსტრატეს აღწერილი აქვს ფასიდის ლერწმის ჭალაში მწოლარე მდინარის ღმერთი — მამაკაცი, რომლის სხეულიდან წყალი უჴვი ნაკადით ჩაედინება პონტოში, ასეთსავე ღვთაების გამოსახულებას, ოღონდ ქალ-ღმერთისას, აგვიწერს ფასისის შესართავთან არიანეც, რომელსაც ბ. კუფტინი აიგივებს მცირე აზიურ დედა-ღვთაება კიბელესთან, რომლის სახელი ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართულ „კოპალე"-სთან იყო დაკავშირებული).

წყალთან, ნაოსნობასთანაა დაკავშირებული აგრეთვე სამოქმედოდ წარმოთქმული შეძახილი „ჵელესა", რომელიც ნავისათვის გამიზნული ტყიდან ხის გამოთრევის პროცესში შექმნილი შრომის სიმღერა უნდა იყოს...

წარმატებული ნაოსნობისათვის ქართველი მენავეები იყენებდნენ როგორც რაციონალურ, ასევე არარაციონალურ ხერხებსაც. მათ სწამდათ, „ბედნიერი" და „უბედური" ნაოსნობა. ნავს რომ უხიფათოდ ეცურა, ბარაქიანი ნაოსნობა ჰქონოდა და ავი თვალისაგან დაეცვათ, ანძის ქვეშ ჩააყოლებდნენ დელფინის ძვალს, ლითონის ფულს ან ანძაზე დაახლოებით ადამიანის სიმაღლეზე ჩამოჰკიდებდნენ უბრალო შავ ქვას, ნალს ან ხისაგან გათლილ არწივის გამოსახულებას, რაც ყველაზე ძლიერ მაგიურ საშუალებად ითვლებოდა. როგორც ცნობილია, ქართულ მითოლოგიაში არწივი გმირობისა და ადამიანის კეთილმოსურნე არსებადაა წარმოდგენილი. ამიტომ არაა გასაკვირი, ანძაზე არწივის გამოსახულებას ქართველი ნაოსანი ასე დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა.

სამეგრელოში ძველად დარწმუნებული იყვნენ, რომ არსებობდა „ბედნიერი" და „უბედური" ნავიც. ამიტომ მიაჩნდათ რომ ბარაქიანი თევზაობა მთლიანად ნავზე იყო დამოკიდებული და არა ბადის სიკარგეზე, ან მეთევზის სიმარდეზე და ან თევზის სიმრავლეზე. აქედან გამომდინარე, ნავის გაკეთების დროს ცდილობდნენ ყოველივე იმ მოთხოვნების შესრულებას, რაც საჭიროდ მიაჩნდათ. მაგ., ხის მასალის გამომყიდველიც, სანავე ლურსმნების მჭედელიც, და თვით ნავის მშენებელი ოსტატიც ფულით კარგად უნდა დაესაჩუქრებინათ, რომ ისინი გულნატკენი არ დარჩენილიყვნენ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ნავი „უბედური" იქნებოდა და თევზს სულ ვერ დაიჭერდა. მათი აზრით, ნავს ისეთივე ალღო გააჩნდა თევზის ჭერისას, როგორც დაგეშილ ძაღლს ნადირის მიმართ. ამიტომაც თუ რომელიმე ნავს თავის დროზე ბევრი თევზი დაუჭერია, დაძველების შემდეგაც არ გადააგდებდნენ და გულმოდგინედ შეაკეთებდნენ რომლის აზრი შემდეგშია: თუ ნავი კარგად იჭერდა თევზს ახლობის დროს, სიძველის დროს უფრო მეტი უნდა დაიჭიროსო, იმიტომ რომ თევზის დაჭერის ხელობაში გამოცდილიაო. იცოდნენ ნავში სპეციალური კალათის ჩადგმა, რომელშიც ჩადებდნენ რამდენიმე გირვანქა წმინდა სანთელს და ვერცხლის წვრილ ფულს („ნარდი"), რომელსაც წმინდა გიორგის სახელზე შესწირავდნენ (ხშირად ზებერდეს სახელზედაც სწირავდნენ) ნიშნად მადლობისა, რომ მან მეთევზეებს ბევრი თევზი დააჭერინა, მაგრამ თუ პირიქით მოხდებოდა, მაშინ მიზეზად ვიღაცის მიერ ნავის დაწყევლას (გადალევას) მიიჩნევდნენ, რისთვისაც როგორც აღვნიშნეთ, ანძზე ან მის ძირში, ოთხკუთხად ამოფანჯრულ ბუდეში თვალის ასაცდენად ნალს (ან სხვა ნივთს) დაამაგრებდნენ, რომლის მაგიური ძალა საყოველთაოდაა ცნობილი.

ხანდაზმულ მეზღვაურთა გადმოცემით, „სულ ძველად დიდ ხომალდზე, იქ, სადაც ცხვირია, იჭრებოდა მრგვალად და შიგ არწივის ან თევზის თვალი ჩაისმებოდა", რაც უსაფრთხო ნაოსნობისა და ბარაქიანი თევზაობის გარანტია იყო. ამასთან, სწამდათ, რომ ისევე როგორც ადამიანს, ხომალდსაც ჰყავს თავისი მფარველი, რომელიც დიდი გაჭირვების ჟამს (ქარიშხალი, ნისლი და ა. შ.) კარნახობდა რეისს (კაპიტანს) როგორ მოქცეულიყო... მაგრამ თუ ხომალდზე იმყოფებოდა ისეთი ვინმე, რომელსაც ადრე დარღვეული ჰქონდა „ზღვის წესი", მაშინ იგი („ხომალდის მფარველი") რამდენიმე წამით მოჩვენებასავით დაენახვებოდა რეისს და ხომალდიც თავისი მეზღვაურებითურთ ზღვაში შთაინთქმებოდა. ამიტომ იყო, რომ ხომალდის ეკიპაჟის დაკომპლექტების დროს მისი მონაწილე მეტად გულდასმით შემოწმების შემდეგ შეირჩეოდა. ამავე მიზნით, ნაოსნობის დაწყების წინ (გაზაფხულზე) და მისი დამთავრების შემდეგ (შემოდგომა) ეწყობოდა დღესასწაული ზღვის მფარველის გულის მოსანადირებლად, რომლის დროსაც სპეციალურ ადგილას მსხვერპლსაც სწირავდნენ. გადმოცემით,

სამ წელიწადში ერთხელ იმართებოდა ზღვის მფარველებისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომლის დროსაც (მარტის ბოლოს) ზღვაზე გავიდოდა „წმინდა ხომალდი“ ყველაზე გამორჩეული მესაჭეებითა და მენავეებით. ამ დროს იცოდნენ ხარის შეწირვაც. ასეთივე დღესასწაულის გადახდა სცოდნიათ მესაჭეებისა და მენავეების საპატივცემლოდაც, მაგრამ სხვერპლშეწირვის გარეშე...

ხანდაზმული მეთევზეების გადმოცემით, ძველად ნავზე ჰქონდათ „წმინდა ლუზა“, რომელსაც განსაკუთრებული შემთხვევის დროს იყენებდნენ. მაგალითად, დიდი ღელვის დროს მას ჩაუშვებდნენ წყალში და ზღვის მფარველს (ზღვის დედას) შესთხოვდნენ გადაერჩინა განწირულნი. ამ დროს ნაოსნებსა და ზღვის მფარველს შორის შუამავლად „წმინდა ლუზა“ გამოდიოდა. დიდად ხიფათიანი ნაოსნობის ბედნიერად დამთავრების შემთხვევაში ნაპირთან მიახლოვებისას ზღვის ღმერთს ზოგჯერ „წმინდა ლუზასაც“ სწირავდნენ (თუმცა ზღვაში ლუზა წარმატებული ნაოსნობის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი იარაღია და „ხმელეთის ნაწილია“), ჩაუშვებდნენ მას წყალში და შესთხოვდნენ ზღვის მფარველს, „მომავალი ნაოსნობაც კეთილად დაგვიბედე და თევზიც ხვავიანად დაგვაჭერინე“7, რის შემდეგ ნაპირთან მიახლოვებისას ხოფების აწევით მომავალ „წყალმშვიდობას“ უსურვებდნენ ერთმანეთს.

საინტერესო წესი ჰქონიათ ყულევის ნავმშენებლებსაც, რომელიც ხალხის ყოფამ ამ უკანასკნელ დრომდე შემოგვინახა: ნავის ასაშენებელ ყავრით გადახურულ შენობაში (თერხანეში), განსაკუთრებულ ადგილას ყრიჯნენ ხურდა ფულს ან რაიმე ძვირფას ნივთს (ვერცხლი, მარგალიტი...), დელფინის ძვლებს, ხარის რქას და იტყოდნენ: „ზღვის მფარველო თეთრო ქალწულო, დალოცე ამის პატრონი, ბედნიერი და უხიფათო ნაოსნობა არგუნე და ბევრი თევზი დააჭერინე“. ამის შემდეგ დაკლავდნენ საქონელს და ღვინით დაილოცებოდნენ, კიდევ ერთხელ შესთხოვდნენ ზღვის მფარველს წარმატებულ თევზაობას და სანაოსნოდ წამსვლელთ „ზღვამშვიდობისა“-ს უსურვებდნენ, ხოლო თევზაობა რომ ბარაქიანი გამოსვლოდათ, ცდილობდნენ მოეპოვებინათ გამგებელი ღვთაების (წყლის ქალ-ღმერთის) მხარდაჭერა, რისთვისაც კლავდნენ „წყლის წილ“ საკლავს და ილოცებოდნენ: „ზღვის მფარველო, დაგვიფარე ავი სულებისაგან და გამომიგზავნე კეთილი სულები, რომ თევზი ბევრი დავიჭიროთ“-ო, რის შემდეგ აუშვებდნენ აფრებს და ზღვაში გავიდოდნენ.

ლაზი მენავეები კი ხომალდის აშენებას რომ დაამთავრებდნენ, მას ლოცავდნენ პურ-მარილით და სასმელით, ამ დროს მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, ცეკვავდნენ. ინფორმატორთა გადმოცემით, „შეპირების თანახმად, ნავს შეეწირავდით ცხვარს, ბატკანს, ხბოს და ზოგჯერ ხარსაც კი. ამ დროს ყველა მხიარული უნდა ვყოფილიყავით, გაბრაზება ან ერთმანეთის ოდნავი წყენინებაც კი არ შეიძლებოდა, თორემ ზღვის მფარველი“ მზოლაშ კულანი“ ნავს დალუპავდა“ (მთხრ. ოსმან ოდაბაშ-ოღლი, სოფ. ყულევი).

უოველივე ამის შემდეგ ეწყობოდა ხომალდის გამოცდა, რომლის დროსაც მოწმდებოდა მისი ავ-კარგიანობა (წყალდიდობა, ტივტივობა და სხვ.) და თუკი რამ ხარვეზს შეამჩნევდნენ მას გაასწორებდნენ, თანაც, ხალხის გადმოცემით, ნავს „ზღვის სიმლაშე რაც მალე გაუჯდებოდა“ კარგად ჰქონდათ დაცდილი — დიდხანს იცურავებდა და მრავალ ხიფათს მშვიდობით გადალახავდა. ბოლოს, უშუალოდ ნაოსნობის დაწყების წინ კიდევ ერთხელ დაილოცებოდნენ, ამისათვის ხისაგან სპეციალურად გამოთლილი ღვინის დიდი თასით ხომალდის მთელი შემადგენლობა მოსვამდა თითო ყლუპს (ღვინოში ცოტაოდენი ზღვის წყალია გარეული) და დარჩენილ ღვინოს ზღვაში ჩააქცევდნენ. ღვინის დანთხევა ზღვაში ნაოსნობის გასვლის წინ და ნაოსნობის დამთავრებისას ცნობილია სხვა ზღვაოსან ხალხებშიც. მაგალითად, ბერძნები ფაზისში შემოსვლის დროს ღვინოს ასხამდნენ ამ მდინარეში და ადგილობრივ, კოლხურ ღვთაებებს მსხვერპლსაც სწირავდნენ[8].

ქართველი ნავმშენებლებისათვის უცხო არ ყოფილა ნავის ცალკეული ნაწილის ორნამენტირების ხელოვნება. მაგალითად, „ჭალადიდურ ნიშაზე“ იქ, სადაც წინა ნაწილია მიამაგრებდნენ ხისაგან გამოჭრილი თევზის გამოსახულებას, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული წარმატებით თევზაობა (ორნამენტირებული იყო ზოგჯერ თვით ნავის ცხვირი ან კიჩო ან სხვა რომელიმე ნაწილიც, სადაც ამოტვიფრავდნენ თევზის, ცხოველის, ფრინველის ან მცენარის გამოსახულებას). ეს მოხატულებები და ფიგურები, გარდა იმისა, რომ ისინი ჩვენ წინაპრების შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია, ამასთან, მასში უფრო მეტი რამ იგულისხმებოდა: ზღვაზე გასული ნავისათვის, პირველ რიგში, მას უნდა უზრუნველეყო უსაფრთხოება (რადგან, როგორც ცნობილია, ამ ტიპის ნავები შედარებით ადვილად მსხვრევადია) და ბარაქიანი თევზაობა....

გადმოცემით, პირველ მსოფლიო ომამდე სამეგრელოში აქა იქ კიდევაც ასრულებდნენ ამ წესს და სათევზაოდ ხისაგან გამოთლილი ფიგურის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ გავიდოდნენ ზღვაში, მაგრამ ომის შემდეგ იგი რატომღაც დაივიწყეს. ამ ბოლო დრომდე სწამდათ, რომ წარუმატებელი თევზაობის მიზეზიც აქედან გამომდინარეობს და ხელმოცარეობას თევზისა და ზღვის მფარველი სულების მეთევზეზე განაწყენებას მიაწერდნენ. ბარაქიანი თევზაობის გარანტიად ზოგჯერ ახლადშობილი ბავშვის ჭიპლარის სათევზაო ნავის კიჩოზე ან სათევზაო მოწყობილობაზე მიბმასაც მიიჩნევდნენ, თანაც ეს ხალხის განმარტებით, იმის პირობაც იქნებოდა, რომ ახალშობილი კარგი მეთევზე და მეზღვაური გამოვიდოდა, რომელსაც ამისათვის დამატებით დაბადებისთანავე გულზე თევზის (დელფინის) კბილსაც კიდებდნენ, როგორც ავგაროზს, რომ მომავალ ნაოსნობაში ის ბედნიერი ყოფილიყო, რასაც ზოგჯერ ახლაც ვხვდებით.

სამეგრელოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მეთევზეების მფარველი ღვთაება ზებერდე, რომლის საპატივცემლო დღესასწაული გაზაფხულის ბუნიობას (21 მარტი), ნაოსნობის დაწყების წინ იმართებოდა. დღეობის წინა დღეს მეთევზე გადიოდა ზღვაზე თევზის დასაჭერად. ვიდრე ბადეს (მოსას) მოისროდა იგი ზებერდეს შესთხოვდა: „შენთვის მინდა ზებებდე, ბარაქა მომეცი“. შემდეგ ბრუნდებოდა სახლში და მთელი ოჯახი იჭერს თადარიგს მეორე დღისთვის. დილით კვერებს ამზადებდნენ, რომლებსაც სხვადასხვა სახის თევზების ფორმას აძლევდნენ. თევზის ძვლების შემკულ ტაბლაზე აწყობდნენ კვერებს, თევზს (მოხარშულს და ცოცხალს), ღვინოს დოქით. მლოცველი (მოხუცი და ყველაზე ცნობილი მეთევზე) აიღებდა ღვინით სავსე ჭიქას, დადგებოდა პირით ზღვისკენ და დაილოცებოდა: „ჩვენო მფარველო ზებერდე, თევზის გამჩენო, ჩემს ბადეს ბარაქა არ მოაკლო, ჩემს ოჯახს უმატე და ბედნიერად ამყოფე, დღევანდელი ლოცვა შენ შემარგე“. ამის შემდეგ მიუსხდებოდნენ სუფრას და ცერემონიალიც დამთავრებულად ითვლებოდა.

ლაზ-მეგრული ნაოსნების რწმენით, ანძაზე თეთრი ფრინველის შემოჯდომა იმის ნიშანი იყო, რომ ღმერთმა ისმინა მეთევზეთა მუდარა და კარგ ტაროსსა და ხვავიან ნადავლს ჰპირდება. ბარაქიანი იქნებოდა თუ არა თევზაობა, სიზმრითაც ატყობდნენ: „თუ სიზმარში სიმინდის ტარო ან მორის ნაგლეჯი ვნახეთ, ეს იმის ნიშანია, რომ თევზსაც მეორე დღისით დიდი ზომისას დავიჭერთ, ხოლო თუ ნაფოტებს ან სიმინდის კაკლებს, მაშინ ხამსია (ქაფშა) იქნება სულ“ (მთხრ. ა. ხორავა, სოფ. სარფი). სწამდათ, რომ თუ ძლიერი ქარიშხალი უცებ ამოვარდებოდა და ზღვა გაგიჟდებოდა, იგი თავისას (ე. ი. მსხვერპლს) ითხოვდა და აუცილებლად „წაიყვანდა“ ვინმეს, შეიძლება სრულიად უდანაშაულოსაც კი (ე. ი. დაახრჩობდა). ასეთი შემთხვევის დროს იტყოდნენ: ვინმემ (მეთევზემ ან ზღვაოსანმა) რაღაც დააშავა დაარღვია ზღვის წესი და ზღვის მფარველი განრისხდაო, ამიტომ ზღვაში ნაოსნობის დაწყების წინ, როგორც აღვნიშნეთ, მსხვერპლს სწირავდნენ, ლოცულობდნენ, რომ ზღვის მფარველს არ წაეხდინა (დაეხრჩო) ნაოსანი, ამინდი არ გაეფუჭებინა და თევზის ჭერაც ბარაქიანი ყოფილიყო.

## შენიშვნები

[1] ზ. კუტალეიშვილი. ნაოსნობა დასავლეთ საქართველოში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1978, გვ. 14 და შემდ.

[2] „შავი ქვა დაეცეს იმას, ვინც ჩვენს ფელუკას ავი თვალით შეხედავს“-ო. ამის გარდა ჩვენში იცოდნენ სხვა მაგიური საშუალებების გამოყენებაც: მაგალითად, ანძის ბუდეში დელფინის ძვლების ან ხარის რქის ჩატანება და ა. შ.

[3] Н. Джанашия. Религиозное верование абхазов. იხ. ჟურნ. «Христианский Восток», т. IV. Петроград, 1915. ст. 106.
ზღვასთან და საერთოდ, ფეოდალური ხანის აფხაზეთში ნაოსნობასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია გ. ძიძარიას და შ. ინალიფას ნაშრომებში.

[4] А. Робакидзе. К вопросу о некоторых пережитках культа рыбы. იხ. ჟურნ. «Советская этнография», 3, 1948, ст. 124.

[5] საინტერესოა, რომ თრიალეთში, სოფ. ჰოლიანქში ეკლესიას მიშენებული აქვს წყლის აუზი, სადაც გაშვებულია ტაბუირებული თევზები — კალმახები. ამ აუზში უშვილო ქალები ბანაობდნენ შვილის ყოლის იმედით. ანალოგიური მაგიური დანიშნულება ჰქონდათ თრიალეთელი ურუმებისათვის ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიის წყლის აუზს. შუამდინარეთშიც ზიკურატებს, როგორც წესი, მიშენებული ჰქონდათ აქვარიუმები ე. წ. „თევზის სახ-

ლები“, რომელთა დანიშნულებაც ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული.

6 ამ მხრივ საინტერესოა გურიაში (სოფ. ასკანა) ეკად. გ. ჩიტაიას მიერ სამოციოდე წლის წინათ დადასტურებული ფაქტი: ახალდაბადებული ბავშვი ჯანმრთელი და ძლიერი რომ ყოფილიყო, მის სახელზე ჭყინტი ყველისაგან გააკეთებდნენ თავის გამოსახულებას, რომელსაც ძვლებით ტანისა და ფეხის ფორმას მისცემდნენ, რის შემდეგ კერასთან ახლოს ამოთხრიდნენ მიწას და ყველაფერ ამას შიგ ჩადებდნენ, გადაასხამდნენ ღვინოს და დაილოცებოდნენ: „მიწავ, გამიჯერიებიხარ, კარგი ფერი და ხორცი მიეცი ჩემს ბალანას“-ო. იხ. გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული მოგზაურობა ალბულალის რაიონში. საქ. სახელმწიფო, მუზეუმის „მოამბე“, ტ. IV, თბ., 1928. შესაძლებელია, რომ ლაზეთში დამოწმებული თევზის მიწაში ჩამარხვაც ანალოგიურ ვითარებას გულისხმობდეს...

7 ინფორმაცია მოგვაწოდა ცნობილმა ქართველმა მესაჭემ აბდულა რეიზ-ოღლიმ 1969 წ. სოფ. ანაკლიაში, რაც დადასტურდა სოფ. სარფშიც (მთხრობლები: ალი ხორავა, კარლო ნუმანიშვილი, ალი თანდილავა და სხვ.). ანალოგიური წესი ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზების მოსახლეობისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი.

8 Аполлоний Родоский. Аргонавтика. Перевод Г. Ф. Церетели. Тб., 1964, I. 530. II 1270.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო თურნავა

# აკაკი შანიძე დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში

უცხოელი მეცნიერები, მწერლები, კულტურის მუშაკები სისტემატურად ჩამოდიან ჩვენს ქვეყანაში, უშუალოდ, კონტაქტებს ამყარებენ ქართული კულტურის მოღვაწეებთან, გულმოდგინედ სწავლობენ ქართულ ენასა და ლიტერატურას. ამჯერად შევჩერდებით იმ დიდ ყურადღებასა და ინტერესზე, რომელსაც იჩენენ უცხოელი მეცნიერები გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკაკი შანიძის მეცნიერული მოღვაწეობისადმი, მისი ნაშრომებისადმი ქართული ენისა და მწერლობის ურთულეს საკითხებზე.

აკაკი შანიძის ნაშრომები ხშირად ითარგმნება უცხოურ ენებზე, მის მოღვაწეობაზე იწერება წერილები, რომელთა ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველ მეცნიერს. მრავალი საზღვარგარეთელი მოღვაწე აღიზარდა აკაკი შანიძის წიგნებზე. ბევრმა მათგანმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქართველოლოგიის საკითხებზე. ქართველ მეცნიერს მიღებული აქვს მრავალი წერილი უცხოელი კოლეგებისაგან.

მეცნიერის დოსიეში მოიპოვება მრავალი წერილი, რომლებშიც საზღვარგარეთელი კულტურის მოღვაწენი დიდ მადლობას უძღვნიან აკაკი შანიძეს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც მან გაუწია ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ასე მაგალითად, მადლიერების გრძნობით გამსჭვალულ წერილებს იწერებიან: ჰანს ფოგტი, რენე ლაფონი, ჟერარ გარიტი, იულიუს ასფალგი, ფრანსუა გრაფენი, დავიდ მარშალ ლანგი, რობერტ სტივენსონი, შარლ მერსიე, კ. სალია, ბერნარ უტიე, მ. ესბროკი, გერტრუდ პეჩი და სხვანი. ამასთანავე მრავალმა უცხოელმა მეცნიერმა გამოაქვეყნა წერილები, რომლებშიც მოიხსენიებენ აკაკი შანიძის შრომებს, ეყრდნობიან და მაღალ შეფასებას აძლევენ მათ. შევჩერდებით ზოგიერთი უცხოელი მეცნიერის ნაშრომებზე, რომლებიც საგულისხმო უნდა იყოს ქართველი მკითხველისათვის.

აკაკი შანიძესთან წლების განმავლობაში საქმიანი კონტაქტები ჰქონდა დამყარებული აწ განსვენებულ ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორს, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს, პროფ. რენე ლაფონს.

პროფ. რენე ლაფონმა აკაკი შანიძის შრომებს მიუძღვნა რეცენზიები, როგორიცაა: აკაკის „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები", „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში"... 1962 წლის პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეს" მე-57-ე ტომში რენე ლაფონის რეცენზიაში ვკითხულობთ: „ამ ნაშრომების წაკითხვასა და განსჯას ვურჩევთ იმას, ვინც საქართველოსა და მის გარეთ ეწევა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ქართულ ენაში და საერთოდ ქართველურ ენებში. ისინი ამ ნაშრომებში იპოვნიან მდიდარ მასალებს და ბრწყინვალე გაკვეთილებს მეთოდიკის საკითხებზე. მადლობა უნდა ვუთხრათ ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას ამ ტომის გამოქვეყნებისათვის და ვუსურვოთ დანარჩენი ტომების მალე გამოქვეყნება".

პროფ. რ. ლაფონი ეხმაურება აკაკი შანიძის წიგნს „კავკასიელ ალბანელთა ენა და დამწერლობა". მკვლევარი მიმოიხილავს აკაკი შანიძის იმ წერილს, რომელიც მეცნიერმა გამოაქვეყნა 1988 წელს XV საუკუნის ერთ-ერთ სომხურ ხელნაწერში აღმოჩენილი 52 ასოსაგან შემდგარი ალბანური ანბანის აღმოჩენის გამო. მკვლევარი მიუთითებს: აკაკი შანიძისათვის უკვე ცნობილი იყო, რომ კავკასიელ ალბანელთა ენა ახლოს არის თანამედროვე უდურთან. შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრანგ პროფესორს ჟორჟ დიუ-

მეზილს თავის გამოკვლევაში „კავკასიის ალბანელები“ გამოუყენებია აკაკი შანიძის ნაშრომი. ფრანგი პროფესორი თავისი წიგნის „მსოფლიო ენების“ მეორე გამოცემაში ლაპარაკობს კავკასიელი ალბანელების ენასა და დამწერლობაზე. პროფ. ჟ. დიუმეზილი ბიბლიოგრაფიაში მიუთითებს აკაკი შანიძის ნაშრომზე.

პროფ. რ. ლაფონი აანალიზებს აკაკი შანიძის დასახელებულ წიგნს, რომელიც 1960 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე. ფრანგი მეცნიერი წერს, რომ აკაკი შანიძემ გასწია დიდი შრომა, გამოიყენა როგორც ახალი, ისე ძველი მონაცემები, ყველაფერი, რაც მისთვის ხელმისაწვდომი იყო. „აკაკი შანიძემ დაადგინა კავკასიელ ალბანელთა დამწერლობის თარიღი, — წერს ფრანგი პროფესორი, — კავკასიელი ალბანელები IV-XIII საუკუნეებში ცხოვრობდნენ მტკვრის ნაპირზე თანამედროვე აზერბაიჯანის აღმოსავლეთ ნაწილში. შემდეგ მათ მიაღწიეს თანამედროვე საქართველოსა და სომხეთის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. სომხები მათ ეძახდნენ „ალუანკ“-ს, ქართველები კი „მერ-ნი-ს“. ალბანელებს ჰქონდათ ქრისტიანული დამწერლობა და რელიგია. საქართველოში არაბთა შემოსევის (VII საუკუნე) შემდეგ ალბანელები ისლამისაკენ იხრებიან და კარგავენ თავიანთ ეროვნებას“.

ფრანგი მკვლევარი ეყრდნობა აკაკი შანიძის მონაცემებს და მიუთითებს, რომ ალბანეთის ისტორია დაწერილია ალბანურ ენაზე VII საუკუნეში და თარგმნილი სომხურ ენაზე X საუკუნეში. პროფესორი გამოთქვამს აზრს, რომ უდური ენა ერთ-ერთი დიალექტია ახალი ალბანურისა, ანდა ალბანელი ერის ლიტერატურული ენა ძველი უდური წარმოშობისაა. ბოლოს ფრანგი მეცნიერი დაასკვნის: „აკაკი შანიძესთან მინდა ვისურვო, რომ შემდოგმმა ძიებამ მოგვცეს სხვა წარწერები, ახალი მონაცემების აღმოჩენა ქართულ, სომხურ და არაბულ საბუთებში მათი გაშიფრვის საშუალებას მოგვცემს და ჩვენ შესაძლებლობა გვექნება გადავწყვიტოთ ეს პრობლემა, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მეცნიერები.

ასეთია სურვილი, რითაც აკაკი შანიძე ამთავრებს თავის ნაშრომს. რა ბედნიერი იქნებიან კავკასიოლოგები, თუ ისინი ამ უახლოეს ხანში შეძლებენ 14 საუკუნის წინათ დაღესტნელთა ენაზე დაწერილი ტექსტების წაკითხვასა და გაგებას“.

პროფ. რ. ლაფონმა ქართულიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა აკაკი შანიძის მეცნიერული გამოკვლევა: „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“, რომელიც ქართველმა მეცნიერმა დაწერა 1952 წელს. გამოკვლევის ავტორი მიზნად ისახავს „გამოარკვიოს ქვემდებარის საკითხი ზოგიერთი ტიპის წინადადებაში, საკითხი, რომელიც საცილობელი გამხდარა სპეციალისტებს შორის“.

როგორც ცნობილია, სასკოლო გრამატიკაში თანდათანობით გამოსწორდა უზუსტობანი, მაგრამ კიდევ მოსაგვარებელი დარჩა ერთი დიდი საკითხი. ეს გახლავთ საკითხი ქვემდებარის შეწყობისა ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან, რომელიც აკაკი შანიძემ გასაოცარი მეცნიერული სიზუსტით გამოიკვლია თავის ნაშრომში. აღნიშნული შრომით დაინტერესებულა ფრანგი მეცნიერი, უთარგმნია ქართულიდან ფრანგულ ენაზე და დაუსტამბავს პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბის“ 58-ე ტომში, ამავე ჟურნალში მოთავსებულია პროფ. რ. ლაფონის ვრცელი წერილი „ახსნა-განმარტებანი აკაკი შანიძის გამოკვლევაზე, რომელიც ეხება ქართულ ზმნას“.

„ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით, — წერს ფრანგი მეცნიერი, — აკაკი შანიძის წიგნს „ქართულ გრამატიკას“, რომელიც გამოვიდა თბილისში 1955 წელს. წიგნში შეტანილია ბევრი ახალი მასალა. ვიდრე ეს 1930 წლის გამოცემაშია“.

ფრანგი მკვლევარი გადადის მესამე სერიის მწკრივების აკაკი შანიძისეულ განმარტებაზე. „მესამე სერიის თურმეობითი ქართულში, განაგრძობს ფრანგი მეცნიერი, — გამოხატავს ორიგინალურ ნიუანსს. როდესაც აორისტს ხმარობენ, ამით მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომელიც მოხდა, ხოლო თურმეობითის ხმარებისას იმაზე, რომ მომხდარი ფაქტი არ უნახავთ... აი, რატომ ეძახიან ქართველი გრამატიკოსები ამ ფორმებს თურმეობითს. ეს კი ეკუთვნის ზმნის იმ ფორმებს, რომელთაც აკაკი შანიძე ნახულისა და უნახავის ფორმებს უწოდებს. ეს ორი ფორმა უკავშირდება ერთმანეთს. „მან დაწერა წერილი“ (აორისტი), მომხდარი ფაქტი უკვე რეალობაა, „მას დაუწერია წერილი“, თურმეობითია, მომხდარი ფაქტი არ უნახავთ“.

ფრანგი პროფესორი ეყრდნობა აკაკი შანიძის დებულებებს და მიუთითებს, რომ ყოველ ენაში არ მოიპოვება საშუალება უნახავი მოქმედება ერთი ზმნის ფორმით იქნას გადმოცემული, როგორც ეს ქართულშია.

უცხოელი სწავლული შემდეგ ეხება სერიისა და მწკრივის საკითხებს ქართულში. მკვლევარი მიუთითებს აკაკი შანიძის დამსახურებაზე, რომ მან მეცნიერული სიზუსტით გამოიკვლია ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხები. მკვლევარი განმარტავს ქართული ზმნის გვარებსაც. „გარდამავალ ზმნებს, — წერს პროფესორი, — აქვს აქტიური და პასიური გვარი. როგორც აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ აღმოაჩინა, თვით პასივი წარმოგვიდგება ორი ფორმით: დინამიკურით და სტატიკურით“.

---

სერგო თურნავა

აკაკი წერეთელი დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში

ფრანგი მკვლევარი დიდ ადგილს უთმობს ქართული ზმნის ქცევებს. „აკაკი შანიძემ, — წერს იგი, — შექმნა ქართული ზმნის ქცევის თეორია. მან თანამიმდევრულად შეასწორა ზმნათა ქცევები თავისი წიგნის ზოგიერთ ადგილას და მასთან დაკავშირებით ანგარიში გაუწია არნოლდ ჩიქობავას შენიშვნებს... აკაკი შანიძე მიუთითებს სამ ქცევაზე. ეს არის სასხვისო ქცევა (სხვისთვის), სათავისო ქცევა (თავისთვის), საარვისო ქცევა (არავისთვის“).

მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს აკაკი შანიძისეულ მეშველ ზმნებთან დაკავშირებულ მნიშვნელვან საკითხებს.

„აკაკი შანიძემ, — წერს ფრანგი მეცნიერი, — თავის წიგნში „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ბევრი მნიშვნელოვანი დებულება წამოაყენა, რომელიც უცხოელ მეცნიერთა ინტერესს აღძრავს“.

გამოკვლევის ბოლოს მკვლევარი ეხება ინვერსიის საკითხს ქართულში. „ჩვენ ვფიქრობთ, — განაგრძობს იგი, — არ დავამახინჯებთ აკაკი შანიძის აზრებს, თუ დავსძენთ: ზმნები „სძულს“ და „მაქვს“ ინვერსიულია, ნებისმიერია. ამის მიხედვით ზმნები გამოხატავენ სიძულვილს, ან კუთვნილებას, და ჩემი აზრით, უნდა ეკუთვნოდნენ გარდამავალ ზმნებს, რადგან როგორც ვიცით, ქართულში ქვემდებარე გადმოცემულია სახელობითში, ან ერგატივში, პირდაპირი ობიექტის დამატება კი მიცემითში, ან სახელობითში“.

აკაკი შანიძის აღნიშნული ნაშრომის ფრანგულ ენაზე გამოქვეყნება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საფრანგეთში დიდი ყურადღება ექცევა ქართული ენის მეცნიერულად შესწავლას.

ეს კიდევ ნათლად ჩანს რენე ლაფონის მეორე ნაშრომში — ქართული ენის უკეთ შესწავლისათვის“, რომელიც დაიბეჭდა ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე ქარტველოლოჟის“ ოთხ ნომერში (1958-1968). ავტორი წერს: „ამიერიდან ძალიან საჭიროა, რომ ქართული ენა გახდეს ცნობილი არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ევროპაში, რადგან ეს ენა ამას იმსახურებს... ქართული ლამაზი, ორიგინალური ენაა, რომელსაც არაფერი საერთო არ აქვს რუსულთან. მას ძალიან მდიდარი ლიტერატურა გააჩნია. ქართული ენა ოსტატურად გამოიყენება თანადროულობის ყველა გრძნობის და იდეის გამოსახატავად“.

პროფ. რ. ლაფონი თავის მეუღლე ალბერტინთან ერთად 1966 წლის ოქტომბერში იყო საქართველოში, სადაც იგი დაესწრო რუსთაველის იუბილეს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1967 წელს „რევიუ დე ქარტველოლოჟის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ვრცელი სტატია: „კავკასიური ენების შესწავლის მდგომარეობა საქართველოში“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს ქართველი ხალხის კულტურას, მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას. იგი ერთ ადგილას წერს: „ოცი წელია მას შემდეგ, რაც დავიწყე კავკასიური ენების შესწავლა, განსაკუთრებით კი ქართულისა. დიდი ხანია, რაც მიწერ-მოწერა მაქვს ქართველ მეცნიერებთან. დაახლოებით ორმოცი წელი მაკავშირებს აკაკი შანიძესთან, იგი იყო ჩემი მასწავლებელი და არის დღესაც როგორც ქართულ ენაში, ისე სხვა ქართველურ ენებში. ამ ხნის განმავლობაში ქართველ მეცნიერთაგან არც ერთი არ მინახავს პირადად, არც საქართველოში ვყოფილვარ, არც კავკასიაში და არც რუსეთის სხვა მხარეში.

მოსაწვევი ბარათის პირველი ფრაზა ნათლად მიუთითებდა იმ პრობლემებზე, რომლებსაც უნდა შევხებოდი, რადგან მათ საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს იყო საკითხი ბასკური ენის ნათესაური კავშირისა ქართულთან და საერთოდ ყველა საკითხი, რომელიც ამ პრობლემასთანაა დაკავშირებული.

ეს საკითხი იწვევს დიდ ინტერესს არა მარტო ქართველ ენათმეცნიერებს შორის, არამედ ქართველ მკითხველთა ფართო წრეებშიც...

საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა 30 სექტემბერს, სიტყვა წარმოვთქვი ქართულ ენაზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ თბილისში ძალიან გულთბილად მიმიღეს როგორც მე, ისე ჩემი მეუღლე ალბერტინი, რომელიც აგრეთვე მიწვეულ იყო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესასწაულს საერთო-სახალხო გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა. დღესასწაულმა გამოამჟღავნა ქართველი ხალხის დიდი კულტურა, მისი მუდმივი სწრაფვა მეცნიერებისაკენ.

თბილისში შევხვდი ლინგვისტური სკოლის ორ დიდ მეცნიერს, აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას. შევხვდით აგრეთვე სხვა მეცნიერებსაც...

ქართველი მეცნიერები ძალიან გულთბილად შეხვდნენ ჩემს როგორც ფრანგი ბასკოლოგისა და კავკასიოლოგის გამოჩენას თბილისში, მათ დიდი სიხარული განიცადეს ჩემთან ჩატარებული საუბრების გამო. ქართველი მეცნიერები გულთბილ მადლობას უძღვნიან ჩვენს პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეს“ იმისათვის, რომ იგი თავის ფურცლებზე დიდ ადგილს უთმობს ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს, რომელთა უმრავლესობა ქართულ, რუსულ ენებზე და კავკასიურ ენებს ეხება.

აკაკი შანიძემ მადლობა გადაგვიხადა იმისათვის, რომ პარიზის საენათმეცნიერო საზოგადოების „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი მეცნიერული ნაშრომის „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ ფრანგული თარგმანი, რომელიც ეხება ქარ-

თულ ზმნას და თან დართული აქვს ჩემი შენიშვნები“.

ფრანგი პროფესორი ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო და სამეცნიერო მუშაობას, სათანადო ადგილს უთმობს ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომებს და განსაკუთრებით ჩერდება აკაკი შანიძის შრომებზე, აძლევს მათ უმაღლეს შეფასებას და საერთოდ აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით გამოცემულ ძველი ქართული ენის კათედრის შრომებს. „აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკა“, — წერს ლ. ლაფონი, — ჩვენ შესანიშნავად გვასწავლის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის კარდინალურ საკითხებს. ორი დიდი ქართველი მეცნიერი — აკაკი შანიძე და არნოლდ ჩიქობავა ამავე დროს დიდი მოღვაწეები და ორგანიზატორებიც არიან.

აკაკი შანიძეს დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, იგი ძველი და ახალი ქართულის ავტორიტეტული მკვლევარია“.

გამოჩენილი ბელგიელი მეცნიერი ჟერარ გარიტი (ბელგია), ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელგიის სამეფო აკადემიის წევრი, აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალ „მუზეონის“ დირექტორი, წლების განმავლობაში დაუღალავ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა ქართული ენისა და ლიტერატურის მეცნიერულად კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. მეცნიერი შესანიშნავად ფლობს ძველსა და ახალ ქართულს, რაც საშუალებას აძლევს ღრმად შეისწავლოს ქართული ენისა და ლიტერატურის ძეგლები.

პროფ. ჟერარ გარიტი არაერთგზის მოიხსენიებს და ეყრდნობა ქართველი მეცნიერების აკაკი შანიძის, არნოლდ ჩიქობავას, ივანე იმნაიშვილის, შოთა ძიძიგურის, ალექსანდრე ბარამიძის, გიორგი ჯიბლაძის, ივანე ლოლაშვილისა და სოლომონ ყუბანეიშვილის ნაშრომებს.

პროფ. ჟერარ გარიტმა 1968 წლის „რევიუ დე ქარტველოლოჟის“ XXV ტომში გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „აკაკი შანიძე— ქართველოლოგიის მამამთავარი“..

მკვლევარი შესავალ ნაწილში მოკლედ გადმოსცემს აკაკი შანიძის ბიოგრაფიას, პეტერბურგში სწავლის პერიოდს. ბელგიელი მეცნიერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოამჟღავნა ნიჭი მეცნიერებისადმი, მომავალი მეცნიერი ილტვოდა ქართულ-სომხური ფილოლოგიისაკენ.

შემდეგ გადადის აკაკი შანიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დეხასიათებაზე, ეხება აკაკის თბილისში ჩამოსვლას და მის აქტიურ მონაწილეობას ქართული უნივერსიტეტის დაარსებაში.

გარიტი ვრცლად განიხილავს აკაკი შანიძის მეცნიერულ მოღვაწეობას მისი საწყისი პერიოდიდან 1968 წლამდე. გამოკვლევიდან კარგად ჩანს, რომ ავტორს შესანიშნავად შეუსწავლია აკაკი შანიძის ნაშრომები, მეცნიერული პრინციპების საფუძველზე გაუნალიზებია და იძლევა მეტად საგულისხმო დასკვნებს. იგი წერს: „აკაკი შანიძემ ნახევარი საუკუნის მეცნიერული მუშაობის პროცესში დიდი სახელი მოიხვეჭა ენათმეცნიერებისა და ქართული ფილოლოგიის ყველა დარგში. მისი შრომების ბიბლიოგრაფია, რომელიც წარსულ წელს გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის „მუზეონის“ ფურცლებზე (1967, ტ. 80) მოწმობს აკაკი შანიძის ნაშრომების სიუხვეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი შანიძე არის პიონერი ქართული ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის ყველა დარგში. მისთვის არაფერია უცნობი ისეთ დარგებში, როგორიცაა: თანამედროვე ქართული ენათმეცნიერება, ძველი ქართული ტექსტების გამოკვლევა და გამოცემა. პალეოგრაფია და ეპიგრაფია, ენის ეტიმოლოგია და ისტორია, ქართული და ქართველური დიალექტოლოგია (ლაზ-მეგრული და სვანური). ლექსიკოგრაფია, სალიტერატურო ქართულის დადგენა, რუსთველოლოგია, ალბანოლოგია, პოპულარული ლიტერატურა და ფოლკლორი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგიკა“ (გვ. 46-50).

მკვლევარი ჩერდება ქართული ზმნის საკითხებზე, მიუთითებს ქართული ზმნის სირთულეზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აკაკი შანიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქართული ზმნის შესწავლის საკითხს. ზმნის კატეგორიების ირგვლივ მან შეიმუშავა ორიგინალური თეორია და ახალი ტერმინოლოგია, რომლებიც ქართულ ენათმეცნიერებაში დაუყოვნებლივ გაიზიარეს... საკვირველი ინტუიციისა და შორსმჭვრეტელობის მეშვეობით აკაკი შანიძემ სავსებით ნათელი გახადა მეცნიერების რამდენიმე საკვლევი დარგი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი მეცნიერის გამოკვლევები ემყარება ზუსტ ფილოლოგიურ მეთოდებს და დასძენს: „ენის ისტორია უნდა ემყარებოდეს ზუსტ ფილოლოგიურ მონაცემებს, უდავო კრიტიკული გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია დაფუძნდეს ძველი ენების გრამატიკა და ლექსიკოლოგია“.

ჟ. გარიტი მიუთითებს, რომ აკაკი შანიძემ საფუძველი ჩაუყარა ზუსტ მეცნიერულ კვლევას, ისე როგორც კრუმბახერმა ბიზანტიურ ფილოლოგიაშიო. ჟ. გარიტი ჩამოთვლის აკაკი შანიძის სხვა ნაშრომებსაც, რომლებმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ფილოლოგიის განვითარების საქმეში. ავტორი იქვე ეხება ძველი ქართული ენის ლექსიკონის სამ ტომად გამოცემის საკითხსაც. „ტექსტების ანალიზი და-

სერგო თურნავა

აკაკი წერეთელი დასავლეთ ევროპის მეცნიერებაში

მთავრებულია, — წერს გარიტი, — მიმდინარეობს რედაქტირება. ქართველი სპეციალისტები მოუთმენლად ელოდებიან ამ განძის გამოსვლას. საეჭვო არ არის, რომ ეს იქნება აკაკი შანიძისა და მისი სკოლის ფილოლოგიური შრომების დაგვირგვინება“.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აკაკი შანიძის მეცნიერული მოღვაწეობა არ იფარგლება მარტო ქართული ლინგვისტიკითა და ძველი ქართული ფილოლოგიით, არამედ მისი მეცნიერული მოღვაწეობა მიდის კიდევ უფრო შორს და რომ იგი სამართლიანად იმსახურებს ქართველოლოგიის მამამთავრის ტიტულს. აკაკი შანიძე — მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერია“. ბელგიელი მეცნიერი იქვე შენიშნავს: „ჩვენ აქ არ გვაქვს საშუალება დეტალურად გავაანალიზოთ აკაკი შანიძის შრომები. აკაკი შანიძის ნაშრომების დეტალურ ანალიზს იხილავთ შოთა ძიძიგურის პატარა წიგნში, რომელიც მან 1967 წელს გამოსცა. წიგნი გამოვიდა ქართულ ენაზე. ასევე აკაკი შანიძის შესახებ მასალებს იხილავთ წიგნის „ორიონის“ მოწინავე სტატიაში“.

ბელგიელი მეცნიერი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს შოთა ძიძიგურის მეორე ნაშრომს „აკაკი შანიძე და ქართული დიალექტოლოგია“, კონსტანტინე გამსახურდიას „მოგონება დიდ ქართველოლოგზე“, ნაშრომს „აკაკი შანიძის გრამატიკული კონცეფციის საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით“ და სხვ.

ბელგიელი ავტორი შენიშნავს: ფილოლოგები და პატროლოგები დიდად დავალებული არიან აკაკი შანიძის წინაშე. „რამდენიმე უცნობი ტექსტი, ან ნაკლებად ცნობილი, — წერს ჟერარ გარიტი, — მათ გაიცნეს აკაკი შანიძის წყალობით. მათ განკარგულებაშია გამოცემები, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე მეცნიერების ზუსტ მოთხოვნებს“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროფ. ჟ. გარიტი მოიხსენიებს აკაკი შანიძის მოწაფის, პროფ. ივანე იმნაიშვილის ნაშრომებს, რომლებსაც უკავშირებს აკაკი შანიძის ნაშრომებს. ასეთებია: „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“, „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“. ბელგიელი ქართველოლოგი ორივე ნაშრომს მაღალ შეფასებას აძლევს, იგი განსაკუთრებით გამოყოფს „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონს“ და აღნიშნავს: „ეს სიმფონია დიდ დახმარებას გვიწევს კლასიკური ლექსიკის მეცნიერულ შესწავლაში“.

ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი — ჰანს ფოგტი წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს ქართველოლოგიის დარგში. იგი არის მსოფლიოში აღიარებული ქართველოლოგი და კავკასიოლოგი. მას დღემდე გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართველოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე.

1971 წელს ოსლოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ ფრანგულ ენაზე გამოსცა ჰანს ფოგტის დიდი ნაშრომი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელსაც წამძღვარებული აქვს ავტორის შესავალი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...მე ვისარგებლე აკაკი შანიძის მეცნიერული ნაშრომებით, ნაშრომს საფუძვლად დაედო მის მიერ 1942-1948 წლებში გამომუშავებული გრამატიკის პრინციპები და მისი 1955 და 1962 წლებში გამოცემული გრამატიკები. ამ მეცნიერის წინაშე, რომელიც ჩემი მასწავლებელი იყო და დღეს მეგობარია, დიდად ვარ დავალებული, მთელ წიგნში თითქმის მისი გავლენა ჩანს, თვით იქაც კი, სადაც მისი ნაშრომებიდან ციტატა არ მომყავს და აგრეთვე იქაც, სადაც მე სხვა თვალსაზრისის ვარ, ვიდრე ჩემი მასწავლებელი“.

ნორვეგიელი მეცნიერი ვრცლად განიხილავს ქართული ენის გრამატიკის რთულ საკითხებს, როგორც თვითონ აღნიშნავს, იგი აკაკი შანიძის დებულებებს ეყრდნობა, უცხოელ მკითხველებს აცნობს ქართული ენის სტრუქტურას, მის ისტორიას. ავტორი არაერთგზის იხსენიებს მისი თბილისში სწავლის პერიოდს. „ჩვენმა თბილისელმა მეგობრებმა და კოლეგებმა, — წერს ფოგტი, — მოხუცებმა და ახალგაზრდებმა, როგორც უნივერსიტეტში, ისე აკადემიაში, ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მესწავლა, გავმხდარიყავი ლინგვისტი. მათ წინაშე დიდად ვარ დავალებული. ჟურნალ „რევიუ დე ქარტველოლოჟის“ რედაქტორმა კ. სალიამ ყურადღებით წაიკითხა ხელნაწერი, ბევრი დრო მოანდომა იმას, რომ ნაშრომში შეცდომები არ გაპარულიყო... თავს ნებას ვაძლევ ეს მოკრძალებული ქართველოლოგიური ნაშრომი მივუძღვნა პროფ. ილია აბულაძის ნათელ ხსოვნას, იგი თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი იყო და უდროოდ გარდაიცვალა 1968 წელს, სომხურ-ქართულმა ფილოლოგიამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. ბატონი ილია იყო ჩემი პირველი მასწავლებელი ქართულ ენაში. ჩვენ ჭაბუკობიდანვე; დიდი ხნის განმავლობაში გვაკავშირებდა მეგობრობა და ეს დარჩება ჩემში ყველაზე ძვირფას მოგონებად“.

ჰანს ფოგტის ამ წიგნს გამოეხმაურა ფრანგი მეცნიერი რენე ლაფონი, რომელიც წერს: „პროფესორმა ჰანს ფოგტმა ძალიან კარგად შეასრულა დასახული მიზანი, არაქართველ ლინგვისტებს გააცნო ქართული ენის სტრუქტურა... წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ქართულ, კავკასიურ და ზოგად ენათმეცნიერებას. ჩვენ პირადად ეს წიგნი დიდი ინტერესით წავიკითხეთ, წიგნმა მომაგონა დღეები, რომლებიც ჰანს ფოგტთან ერთად გავატარე თბილისში

1966 წლის სექტემბერში ქართველ მეცნიერებს შორის, — საქართველოს დიდი ეროვნული პოეტის შოთა რუსთაველის 800 წლისთავის დღესასწაულის დროს". (რენე ლაფონი, ჰანს ფოგტი — „ქართული ენის გრამატიკა", „რევიუ დე ქარტველოლოჟი"; 1972, ტომი XIX-XX, გვ. 333).

ჰანს ფოგტის ნაშრომის შესახებ პროფ. ი. მეგრელიძე წერს: „ჰანს ფოგტი ახალ ნაშრომში ადრინდელზე უფრო ჭარბად იყენებს ენობრივ მასალებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, მიხეილ ჯავახიშვილის და მომდევნო თაობის მწერალთა თხზულებებიდან, ხოლო ფაქტების ანალიზისას კრიტიკულად სარგებლობს სხვადასხვა ენაზე არსებული ენათმეცნიერული ლიტერატურით. ჰ. ფოგტი სხვებზე უფრო ხშირად აკაკი შანიძეს ეყრდნობა, მაგრამ მისგან განსხვავებითაც საკითხების მრავალ ახალ ინტერპრეტაციას იძლევა... ორი აზრი არ შეიძლება იყოს იმაზე, რომ ეს ავტორის მორიგი გამარჯვებაა: იგი უცხოელი ლინგვისტისათვის, შემეცნებითის გარდა, ძვირფასი საცნობარო საშუალებაა" („კომუნისტი", 1971, 14 ოქტ.).

ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე ქარტველოლოჟის" რედაქტორს, პროფ. კ. სალიას ყურადღება მიუქცევია აკაკი შანიძის შრომისათვის „დასავლეთის დიდი დომესტიკი — გრიგორი ბაკურიანისძე და მის მიერ ბულგარეთში დაარსებული ქართული მონასტერი" ფრანგულ ენაზე გამოუქვეყნებია თავისი ჟურნალის ფურცლებზე. (1971, ტომი XXVIII).

ამავე ჟურნალის 1976 წლის XXXIV ტომში გამოქვეყნებულია ქრისტიანული აღმოსავლეთის სპეციალისტის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, პროფ. ბერნარ უტიეს ბიბლიოგრაფია-მიმოხილვები და რეცენზიები. აქვე გამოქვეყნებულია ბერნარ უტიეს რეცენზია აკაკი შანიძის ნაშრომზე: „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის". ნაშრომის ავტორი წერს: 1975 წელს აკაკი შანიძემ გამოსცა XII საუკუნის ასტროლოგიური თხზულება „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის", რომელიც გვაწვდის სიტყვებსა და გრამატიკულ ფორმებს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენის ისტორიისათვის. ტექსტს დართული აქვს ვრცელი მიმოხილვა ენისა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოტანილ ასტროლოგიურ ცნობებს გვიდასტურებს „ვეფხისტყაოსანი".

რეცენზენტი აღნიშნავს, რომ აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოსცა „თარგმანება ქებისა ქებათაისაი", რომელიც წარმოდგენილია X საუკუნის № 65 ხელნაწერში მხედრული ასოებით. რეცენზენტი შემდეგ განაგრძობს: „დღეს ეს დაუღალავი მკვლევარი კვლავ დაუბრუნდა იმავე ხელნაწერს და გამოსცა პატარა ასტროლოგიური თხზულება"... ეს არის ბრწყინვალე თხზულება თავისი ილუსტრაციებითა და ბრწყინვალე გამოკვლევით.

თხზულებას წამძღვარებული აქვს აკაკი შანიძის წინასიტყვაობა (5-15), მას მოსდევს ტექსტი (16-39) და ასე შემდეგ გამოკვლევა ენის თავისებურებასა და გრამატიკაზე (40-50), და ბოლოს სიტყვათა ინდექსი (51-87).

მთლიანად ტექსტი შედგება სამი თხზულებისაგან. ესენია: მოძღვრება ციურ ეტლთა შესახებ", „მოძღვრება მთვარის ამოსვლა-ჩასვლის შესახებ" და „მოძღვრება შვიდი მნათობის შესახებ". ვარსკვლავები დახასიათებულია ცამეტი ნიშნის მიხედვით. აკაკი შანიძე ტექსტს XII საუკუნით ათარიღებს. თხზულება გამოვიდა 3000 ტირაჟით, რომელიც თბილისში მაშინვე დაიტაცეს. ასეთი კარგი თხზულებისა და გამოკვლევის გამოქვეყნებისათვის ბატონ აკაკი შანიძეს გულითად მადლობას მოვახსენებთ".

აკაკი შანიძესთან მიმოწერა აქვს და მის ნაშრომებს არაერთგზის ეყრდნობა მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგი იულიუს ასფალგი. იგი რამდენიმეჯერ იყო საქართველოში, ინახულა პირადად აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, ივანე იმნაიშვილი, ილია აბულაძე და ბევრი სხვა ქართველი მეცნიერები.

ი. ასფალგმა 1968 წელს გამოსცა წიგნი „ქართული ხელნაწერები", რომელშიც აღწერა 15 ქართული ხელნაწერი. ეს ხელნაწერები დაცულია გერმანიის სხვადასხვა ქალაქის წიგნთსაცავებში. ამ წიგნში პირველად არის აღწერილი ქართული ხელნაწერები მეცნიერული პრინციპების მიხედვით. ავტორი თავის წიგნში მადლობას უძღვნის ქართველ მეცნიერებს იმ უანგარო დახმარებისათვის, რომელიც მას გაუწიეს ხელნაწერთა აღწერისა და შესწავლის საქმეში. „თბილისში ჩემი ყოფნის დროს, — წერს ი. ასფალგი, — პირადად გავიცანი ორი გამოჩენილი მეცნიერი, რომელთაც დიდი ამაგი დამდეს და დახმარება გამიწიეს. უპირველეს ყოვლისა ეს არის ქართული ფილოლოგიის მამამთავარი — პროფესორი აკაკი შანიძე, რომელმაც დიდძალი ლიტერატურა მომაწოდა, უპასუხა ჩემს მრავალ კითხვას და მომცა ბევრი კარგი რჩევა. მადლობას ვუძღვნი ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ილია აბულაძეს, რომელმაც აგრეთვე მომაწოდა საჭირო ლიტერატურა, დამეხმარა ზოგიერთი ტექსტის დადგენაში, აგრეთვე პალეოგრაფიულ საკითხებში ზოგიერთი ცნობის მოშველიებით ტექსტის დათარიღებაში, ორივე მეცნიერმა წაიკითხა ჩემი წიგნის კორექტურა; ეს არის სასიხარულო მაგალითი საერთაშორისო მეცნიერულ თანამშრომლობაში.

აკაკი შანიძის ნაშრომებს ყურადღება მიაქცია გამოჩენილმა ბელგიელმა ქართველოლოგმა პროფ. პოლ პეეტერსმა, რომელმაც 1922-1923 წლებში გამოაქვეყნა დიდტანიანი წიგნი „საქართველოს მონასტრების ისტორია“, რომელშიაც სხვა ქართველი მეცნიერების (ივანე ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ჩუბინაშვილი) შრომებთან ერთად ვრცლად განიხილავს აკაკი შანიძის მონოგრაფიას ხანმეტ ძეგლებზე და აღნიშნავს, რომ მის ნაშრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული ენის განვითარების ისტორიაში და მისი დებულება ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევსო.

ბელგიელი ორიენტალისტი აგრეთვე 1930 წელს გამოეხმაურა აკაკი შანიძის ნაშრომებს ქართული გრამატიკის საკითხებზე. პოლ პეეტერსი თავის რეცენზიაში შენიშნავდა, რომ აკაკი შანიძემ დიდი ღვაწლი დასდო ძველსა და ახალ ქართულს.

საზღვარგარეთის სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში სისტემატურად იბეჭდება აკაკი შანიძის მეცნიერული ნაშრომები. ამ მხრივ აღსანიშნავია გერმანული სამეცნიერო კრებული „შპრახე უნდ გეზელშაფტ“, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი გერმანელი ქართველოლოგის, პროფ. გერტრუდ პეჩის დაბადების 60 წლისთავის იუბილეს. გამოსცა იგი ქ. იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტმა 1970 წელს. ამ კრებულში დაიბეჭდა აკაკი შანიძის სტატია „ბატისა და კვატის ეტიმოლოგიისათვის ქართველურ ენებში“) ქართულიდან თარგმნა პროფესორმა ჰაინც ფენრიხმა.

ფრანგული ჟურნალის „რევიუ დე ქარტველოლოჟის“ 1980 წლის ბოლო ტომში დაიბეჭდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ვრცელი ნაშრომი „პეტრიწონის მონასტრის აშენებლის გრიგოლ ბაკურიანის-ძის შესახებ“, რომელშიც განიხილავს ბულგარეთის ქართული მონასტრის პეტრიწონის ტიპიკონის რუსულ თარგმანს.

ავტორი სამართლიანად აკრიტიკებს ვ. ა. არუთინოვა-ფიდანიანის კომენტარებს, რომლებიც დართული აქვს თარგმანს.

აკაკი შანიძემ ბევრ უცხოელ მეცნიერს გაუწია დახმარება, ასეთები იყვნენ ავსტრიელი მეცნიერი ფრიდრიხ კარლ ნეისერი, ამერიკელი მეცნიერი პროფ. რობერტ ბლეიკი, გერმანელი პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი, ბელგიელი ორიენტალისტი პროფ. პოლ პეეტერსი და სხვანი. მხცოვანი მეცნიერი დღესაც განაგრძობს ასეთ კეთილისმყოფელ მეცნიერულ საქმიანობას, მისი ხელმძღვანელობით ბევრმა უცხოელმა მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით თბილისის უნივერსიტეტში მოამზადა და დაიცვა ქ. იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენიდან გერმანულ ენაზე მანქანური თარგმანის ენათმეცნიერული პრობლემები“, ასევე სადოქტორო დისერტაცია ქართულ ენაზე თბილისის უნივერსიტეტში: „ენათა გენეტიკური ნათესაობის დასაბუთების კრიტერიუმები და ადრინდელი საერთო ქართველური ფუძე, ენის ძველი მორფემათა სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი“. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ ჰაინც ფენრიხს ერთხმად მიანიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1979 წელს ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის აკაკი შანიძემ ჰაინც ფენრიხს გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

ქართველმა ხალხმა 1977 წლის მაისში დიდი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით აღნიშნა დიდი მეცნიერისა და სახელოვანი მამულიშვილის აკაკი შანიძის დაბადების 90 წლისთავის იუბილე. საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის პრესაში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც ავტორები მაღალ შეფასებას აძლევენ დიდი მეცნიერის დამსახურებას ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

---

რედაქციაში შემოსული მასალები ერთ საავტორო თაბახამდე ავტორებს არ უბრუნდებათ

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-30. მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-28-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-48-75.

გადაეცა ასაწყობად 21. 9. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 11. 81 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2397. უე 08740. ტირაჟი 44 650.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 76236

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ